ქართული ენა

პირველი კლასი

მასწავლებლის წიგნი

ქართული ენა
პირველი კლასი
მასწავლებლის წიგნი

გამოცემის წელი და რიგითობა 2003,2009,2011,2018,2023 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. სასწავლო კომპლექტის კონცეფცია, მეთოდი და ამოცანები 4
II. სასწავლო კომპლექტით გათვალისწინებული სამუშაოები 7
III. 6 წლის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები 13
IV. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ..... 15
წინასაანბანო პერიოდი 20
თემა 1. პირველი დღე სკოლაში 20
თემა 2. ჩვენი გაკვეთილები 33
თემა 3. კლასელები 45
თემა 4. ოჯახი..... 57
თემა 5. ჩვენი ოჯახის განსხვავებული წევრები..... 70
თემა 6. სიკეთე და ბოროტება ზღაპრებში 82
საანბანო პერიოდი.....97
თემა N1. თამაშები..... 97
თემა N2. ზრუნვა 111
თემა N3. ახალი წელი 125
თემა N4. ჩემი თავისუფალი დრო 140
თემა N5. მეგობრობა 160
თემა N6. კითხვა-წიგნის სამყაროში 175

ანბანის შემდგომი პერიოდი.....188
დავალებების მატრიცა
თემა N1. სწავლის მნიშვნელობა..... 188
თემა N2. თამაშით სწავლა 198
თემა N3. გაზაფხული 208
თემა N4 დედის დღე..... 220
თემა N5. პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე..... 229
თემა N6. ჩვენი სურვილები-პროფესიები 240
თემა N7. მეგობრობა და ზრუნვა 251
თემა N8. წელიწადის ოთხი..... 261
რეკომენდებული მეთოდური ლიტერატურის სია მასწავლებელთათვის 273

I სასწავლო კომპლექტის კონცეფცია, მეთოდი და ამოცანები

1. ქართული ენისა და ლიტერატურის I კლასის სასწავლო კომპლექტის კონცეფცია

პირველი კლასის სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა წერა-კითხვის სწავლება.

ჩვენს სასწავლო კომპლექტს საფუძვლად უდევს წერა-კითხვის სწავლების **დაბალანსებული მეთოდი.** წერა-კითხვის სწავლების დაბალანსებული მიდგომა ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში. იგი არ უკავშირდება რომელიმე კონკრეტული ენის სპეციფიკას, არამედ წარმოადგენს შუალედურ მიდგომას ფონეტიკურ მეთოდებსა და მთლიანობით მეთოდებს შორის.

ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებულმა მეთოდმა შექმნისთანავე გაიარა აპრობაცია და სახელმძღვანელო დაინერგა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შედეგები შედარებულ იქნა ტრადიციული მეთოდით მომუშავე კლასებთან. ამ მეთოდით სწავლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა მოცემული მეთოდის ეფექტიანობა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სახელმძღვანელოს ფართოდ დანერგვა სკოლებში.

ამ მეთოდის საყრდენი კომპონენტებია:

- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
- ასო-ბგერითი მიმართების ჩამოყალიბება;
- სიტყვის გრაფიკულ ხატზე დაკვირვება თავასოს გამოყოფით;
- კითხვის მოტივაციის ჩამოყალიბება;
- კითხვაში გავარჯიშება კითხვის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით;
- ბავშვის ლექსიკური მარაგის გაზრდა; ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების გააქტიურება-განვითარება;
- წერის ათვისება და წერითი მეტყველების განვითარება;

წერისა და კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.

ჩვენი მეთოდის მიხედვით, პირველკლასელი მოსწავლე ჯერ სწავლობს ანბანს, იძენს კითხვის საწყის უნარ-ჩვევებს, ემზადება ბადიან რვეულში წერის დასაწყებად, ხოლო შემდეგ იწყებს ასოების, სიტყვებისა და წინადადებების წერას.

ვიდრე მოსწავლე დაიწყებდეს ბადიან რვეულში წერას, მან უკვე იცის ანბანი, შეუძლია მარტივი ტექსტის ამოკითხვა (რაც ხელს უწყობს გადაწერას და თავიდან აგვაცილებს გადახატვას); რვეულის I ნაწილის გავლის შემდეგ მოსწავლეს ნასწავლი აქვს კალმის ხელში სწორად ჭერა, სწორად ჯდომა, მომზადებული აქვს ხელის წვრილი მუსკულატურა, გაცნობიერებული აქვს შესასრულებელი დავალების სტრუქტურა (დღეს წერს მხოლოდ ამ გვერდს, დანარჩენი ხვალ, ზეგ და სხვა დროს არის შესასრულებელი; დაფიქსირებული აქვს წერის მიმართულება, მეტ-ნაკლებად გავარჯიშებულია სივრცითი მიმართებების დამყარებაში, გაუმჯობესებული აქვს თვალისა და ხელის კოორდინაცია; იცნობს ბადეს, შეუძლია დეტალების გადმოწერა და ა.შ. რაც, უდავოდ, ძალიან გაუადვილებს წერის ათვისებას, ბადიან რვეულში მუშაობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვის პროცესს თავისი სპეციფიკა აქვს, ხოლო წერისას – თავისი. როდესაც მოსწავლე იწყებს კითხვას, რაც უფრო განსხვავებულ ასოებს ვაწვდით ერთმანეთის სიახლოვეს, მით უფრო ნაკლებად ხდება მათი აღრევა. ხოლო წერისას, რაც უფრო მსგავსია ასოები, მით უფრო ადვილია მათი წერა. წერისა და კითხვის გამიჯვნამ საშუალება მოგვცა ასოთა დალაგებისას გაგვეთვალისწინებინა ზემოთ აღნიშნული სპეციფიკა.

სასწავლო კომპლექტმა მონაწილეობა მიიღო სახელმძღვანელოს გრიფირების ყველა პროცესში. წლების განმავლობაში მასში ისახებოდა ყველა სიახლე და ინოვაციური მიდგომები.

ვფიქრობთ, რომ ეს სასწავლო კომპლექტი მსრულად შეესაბამება ახალი რეფორმის ამოცანებს.

2. ზოგადი ინფორმაცია ქართულ ენისა და ლიტერატურის I კლასის სასწავლო კომპლექტის შესახებ

I კლასის საანბანო სახელმძღვანელოს – „ქართული ენის“ ავტორები გთავაზობენ სასწავლო კომპლექტს, რომელშიც შედის:

მასწავლებლის წიგნი;

მოსწავლის წიგნი – „ქართული ენა“;

მოსწავლის რვეული.

სასწავლო კომპლექტის თითოეული კომპონენტის ამომწურავად და სრულყოფილად გამოყენება საუკეთესო შედეგის მიღწევის საწინდარია. ამ საქმეში პედაგოგების მრჩეველი და დამხმარე კი წინამდებარე მასწავლებლის წიგნი იქნება.

<u>მოსწავლის წიგნი</u>

მოსწავლის სახელმძღვანელო „ქართული ენა" შედგება 3 ნაწილისაგან:

წინასაანბანო;

საანბანო;

ანბანის შემდგომი.

• წინასაანბანო პერიოდი წარმოდგენილია ნახატებით. ამ ნახატების შესატყვის თემებსა და სასწავლო ამოცანებს იხილავთ წინასაანბანო პერიოდის მატრიცებში.

• საანბანო პერიოდი

ამ ნაწილში მოცემულია: I. ე.წ. სალექსიკონო გვერდები, სადაც წარმოდგენილია შესასწავლი ასოები; II. სავარჯიშოების გვერდები, სადაც მოცემულია საკითხავი, ლექსიკური და სხვადასხვა ტიპის სააზროვნო სავარჯიშო. III. ძირითადი ტექსტები, რომლებიც საანბანო ნაწილის საერთო სიუჟეტურ ქარგას ქმნის, ჰყავს თავისი პერსონაჟები და გათვლილია 6 წლის ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე.

• კითხვის განმტკიცებისა და წერის ათვისების პერიოდი

წიგნის ამ ნაწილში შეხვდებით შესასწავლ ტექსტებს სასწავლო ამოცანებით. ამ ნაწილს გასდევს საწერი ბადე თავისი ნიმუშებით, რაც ეხმარება მოსწავლეს დაამყაროს მიმართება სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულს შორის.

<u>მოსწავლის რვეული</u>

მოსწავლის რვეული განკუთვნილია მხოლოდ კლასში მუშაობისათვის და ინახება კლასში. იგი გრიფირების სტანდარტის გათვალისწინებული კომპონენტია და სწავლა-სწავლების პროცესის ორგანული, აუცილებელი ნაწილია.

მოსწავლის რვეული შედგება სამი ნაწილისაგან:

• პირველი ნაწილი განკუთვნილია წინასაანბანო პერიოდისათვის. მასალა ითვალისწინებს სავარჯიშოებს ფონოლოგიური ცნობიერების და მოტორიკის განვითარებისათვის.

• მეორე ნაწილის მასალა ითვალისწინებს სავარჯიშოებს კითხვის უნარ-ჩვევებისა და წერის საწყისი უნარების განვითარებისათვის.

• მესამე ნაწილის მასალა – კითხვის განმტკიცებისა და ბადეში ასოების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების წერის ათვისებისათვის.

რვეულში მოცემულია კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა ტიპის რესურსი კომპლესური დავალებებისათვის, რესურსი საკლასო სამუშაოებისათვის.

მოსწავლის წიგნსა და რვეულში გამოყენებულ რუბრიკებს: სასაუბრო, დაფიქრდი! წაიკითხე! ააწყვე! მოძებნე და წაიკითხე! დააკვირდი! უპასუხე შეკითხვებს! დახატე! კითხვა-პასუხი, მიმართე კომპიუტერს და სხვა რუბრიკებს აქვს თავისი პირობითი ნიშნები და სიმბოლოები

<u>თვალსაჩინო მასალა</u>

წინასაანბანო და საანბანო პერიოდში გამოყენებული დამხმარე მასალა უნდა ემსახურებოდეს სწავლებისა და სწავლის მიზნების განხორციელებას.

მასწავლებლებს, თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, შექმნილი აქვთ ათასგვარი დამხმარე მასალა. მაგალითად: სიტყვების სკივრი, თოჯინები – დიალოგის წარმართვისათვის, ნიღბები – ზღაპრების გასათამაშებლად, სურათები – აღწერის მიზნით, სხვადასხვა ტიპის ბარათი და ა.შ. ზემოთ აღნიშნულ მასალას, რა თქმა უნდა, თავისი მეთოდური დანიშნულება აქვს, ეს ყოველივე სწავლების მოდელზე, მასწავლებლის არჩევანზე, კვალიფიკაციასა და შემოქმედებით მიდგომაზეა დამოკიდებული.

უნდა ითქვას, რომ სწავლების დაბალანსებული მეთოდიდან გამომდინარე, მასწავლებელი აქტიურად უნდა იყენებდეს ანბან-პლაკატს, მოძრავ მაგნიტურ ანბანსა და განსაკუთრებით,

საგანმანათლებლო ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ხელს შეუწყობს კოდირება-დეკოდირების პროცესის გაადვილებასა და ფონოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებას.

3. მეთოდის შესახებ

პირველი კლასის სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა წერა-კითხვის სწავლება.

ჩვენს სასწავლო კომპლექტს საფუძვლად უდევს წერა-კითხვის სწავლების დაბალანსებული მეთოდი. წერა-კითხვის სწავლების დაბალანსებული მიდგომა ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში. იგი არ უკავშირდება რომელიმე კონკრეტული ენის სპეციფიკას, არამედ წარმოადგენს შუალედურ მიდგომას ფონეტიკურ მეთოდებსა და მთლიანობით მეთოდებს შორის.

ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებულმა მეთოდმა აპრობაცია გაიარა 1995-1996 წლებში, 1997 წლიდან სახელმძღვანელო დაინერგა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შედეგები შედარებული იქნა ტრადიციული მეთოდით მომუშავე კლასებთან. ამ მეთოდით სწავლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა მოცემული მეთოდის ეფექტიანობა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სახელმძღვანელოს ფართოდ დანერგვა სკოლებში.

ამ მეთოდის საყრდენი კომპონენტებია:

- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
- ასო-ბგერითი მიმართების ჩამოყალიბება;
- სიტყვის გრაფიკულ ხატზე დაკვირვება თავასოს გამოყოფით;
- კითხვის მოტივაციის ჩამოყალიბება;
- კითხვაში გავარჯიშება კითხვის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით;
- ბავშვის ლექსიკური მარაგის გაზრდა; ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების გააქტიურება-განვითარება;
- წერის ათვისება და წერითი მეტყველების განვითარება.

<u>წერისა და კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.</u>

ჩვენი მეთოდის მიხედვით, პირველკლასელი მოსწავლე ჯერ სწავლობს ანბანს, იძენს კითხვის საწყის უნარ-ჩვევებს, ემზადება ბადიან რვეულში წერის დასაწყებად, ხოლო შემდეგ იწყებს ასოების, სიტყვებისა და წინადადებების წერას. იგი, რა თქმა უნდა, იყენებს წერით უნარებსაც, რომლებიც მოძრავი ანბანისა და ელექტრონული რესურსების დახმარებით უვარჯიშდება, მაგრამ ეს არ იძენს აკადემიურ ხასიათს. მოგვიანებით იგი აკეთებს წარწერებს პოსტერებზე, ბანერებზე, პლაკატებზე და ა.შ. თუმცა წამყვან აქტივობებად კითხვა და ზეპირმეტყველება რჩება.

ვიდრე მოსწავლე დაიწყებდეს ბადიან რვეულში წერას, მან უკვე იცის ანბანი, შეუძლია მარტივი ტექსტის ამოკითხვა (რაც ხელს უწყობს გადაწერას და თავიდან აგვაცილებს გადახატვას); რვეულის I ნაწილის გავლის შემდეგ მოსწავლეს ნასწავლი აქვს კალმის ხელში სწორად ჭერა, სწორად ჯდომა, მომზადებული აქვს ხელის წვრილი მუსკულატურა, გაცნობიერებული აქვს შესასრულებელი დავალების სტრუქტურა (დღეს წერს მხოლოდ ამ გვერდს, დანარჩენი ხვალ, ზეგ და სხვა დროს არის შესასრულებელი). დაფიქსირებული აქვს წერის მიმართულება, მეტ-ნაკლებად გავარჯიშებულია სივრცითი მიმართებების დამყარებაში, გაუმჯობესებული აქვს თვალისა და ხელის კოორდინაცია, იცნობს ბადეს, შეუძლია დეტალების გადმოწერა და ა.შ. რაც, უდავოდ, ძალიან გაუადვილებს წერის ათვისებას, ბადიან რვეულში მუშაობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვის პროცესს თავისი სპეციფიკა აქვს, ხოლო წერისას – თავისი. როდესაც მოსწავლე იწყებს კითხვას, რაც უფრო განსხვავებულ ასოებს ვაწვდით ერთმანეთის სიახლოვეს, მით უფრო ნაკლებად ხდება მათი აღრევა. ხოლო წერისას, რაც უფრო მსგავსია ასოები, მით უფრო ადვილია მათი წერა. წერისა და კითხვის გამიჯვნამ საშუალება მოგვცა ასოთა დალაგებისას გაგვეთვალისწინებინა ზემოთ აღნიშნული სპეციფიკა.

ახალ მიდგომებში წარმოჩენილი ამოცანები ხშირად დაემთხვა სახელმძღვანელოს მეთოდით გათვალისწინებულ ამოცანებს (განსაკუთრებით ფონოლოგიური განვითარების სფეროში), რამაც ხელი შეუწყო მოცემული სახელმძღვანელოს მეთოდის გამრავალფეროვნებას, გაღრმავებასა და გააქტიურებას.

აქედან გამომდინარე, შეგახსენებთ იმ პრინციპებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ სახელმძღვანელოთი სწავლებისას:

II. სასწავლო კომპლექტით გათვალისწინებული სამუშაოები

1. სახელმძღვანელოს მეთოდისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოები

<u>ფონოლოგიური ცნობიერების განმავითარებელი სავარჯიშოები</u>

მეტყველება 6 წლის ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ამ ასაკისთვის იგი კარგად ფლობს მშობლიურ ენას. მაგრამ იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს გაბმული მეტყველებიდან სიტყვებისა და ბგერების გამოცალკევება, მას სპეციალური ფონეტიკური ვარჯიში სჭირდება.

ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ უჭირს ხოლმე მოსწავლეს წაკითხული სიტყვის გამთლიანებით წარმოთქმა. თითქოს ამოკითხული სიტყვის მნიშვნელობა მისთვის გასაგებია, მაგრამ ბავშვს წაკითხული სიტყვის წარმოთქმა მაინც უძნელდება (ამაზე მეტყველებს ტიპური შეცდომა, როცა ამოიკითხავს „თხას" და ამბობს „ბატკანს"). გარდა გრაფიკული ხატის გამთლიანების სირთულისა, ამას საფუძვლად სიტყვის ბგერითი (აკუსტიკური) ხატის გამთლიანების სირთულეც უდევს. სიტყვის ბგერითი ხატის გამთლიანების უნარის გასავითარებლად გათვალისწინებულია ფონოლოგიური ცნობიერების განმავითარებელი სპეციალური სავარჯიშოები:

- სიტყვის ბგერითი ანალიზის განვითარებას, სიტყვაში ბგერის გამოცალკევებას ემსახურება რომელიმე ბგერაზე დაწყებული სიტყვის დასახელება. მასწავლებელი ჯერ განწყობასა და მოტივაციას უქმნის მოსწავლეებს, დაასახელებს სიტყვას, პირველი ბგერის მკვეთრი წარმოთქმით, აუხსნის მოსწავლეებს, რომ ეს სიტყვა იწყება ამ ბგერაზე, შემდეგ შეახსენებს მათ დავალების არსს – „მე დაგისახელებთ სიტყვებს და თქვენ მითხარით, რა ბგერაზე იწყება" (შესაძლოა, ამ სამუშაოს შეჯიბრის სახეც მიეცეს, რიგების მიხედვით დაიყოს მოსწავლეები, განაწილდეს მათი ფუნქციები), შემდეგ კი მასწავლებელი ამ ვარჯიშის მეორე ეტაპზე გადადის – „ახლა თქვენ დამისახელეთ რ-ზე დაწყებული სიტყვები. შემდეგ ჩ-ზე დაწყებული სიტყვები".
- **ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება**. მასწავლებელი სიტყვას ბგერებად დაშლილს წარმოთქვამს, მკაფიოდ, თითოეულ ბგერაზე საკმაოდ ყოვნდება. მოსწავლემ უნდა გააერთიანოს, გაამთლიანოს ბგერებად დაშლილი სიტყვა – მოახდინოს სიტყვის აკუსტიკური ხატის სინთეზი. ამ ფონეტიკურ ვარჯიშს ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. იგი გაუადვილებს მოსწავლეს შემდგომში სიტყვის გრაფიკული ხატის ამოკითხვას. მაგ.: ი-რ-ე-მ-ი, ჩ-ი-რ-ი და ა.შ. აკუსტიკურად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს ის სიტყვები, რომლებიც მომდევნო გაკვეთილზე საკითხავ სავარჯიშოებსა და ძირითად ტექსტებში იქნება მოცემული.
- **ერთი ბგერით განსხვავებული სიტყვების ერთმანეთისაგან გარჩევა.** ეს სავარჯიშო ხელს უწყობს მოსწავლეს, გაამახვილოს ყურადღება ბგერის არსებობაზე მრავალგვარ პოზიციაში; შეიძინოს, დააგროვოს პრაქტიკული გამოცდილება ბგერათა სიმრავლეზე; ისევ და ისევ პრაქტიკული გამოცდილების დონეზე მიხვდეს, რომ ბგერას მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. ამ ვარჯიშის დროს ვითარდება სიტყვის ანალიზის უნარი.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს – „მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ოღონდ ამ სიტყვებში ერთი სხვანაირი, განსხვავებული სიტყვა იქნება. ყურადღებით იყავით, როცა განსხვავებულ სიტყვას შენიშნავთ, ტაში შემოკარით".

მაგალითად:

ტანი-ტანი	ფური-ყური
ტანი-კანი	ფური-ფური
კანი-კანი	ყური-ყური
ტანი-ტანი	ფური-ფური
კანი-ტანი	ყური-ფური

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, გთავაზობთ შემდეგი ტიპის ფონეტიკურ ვარჯიშებს:

ა) რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;
ბ) მოცემულ ასოზე დაწყებული სიტყვების დასახელება;
გ) დაშლილი სიტყვის გამთლიანება;
დ) მთლიანი სიტყვის დაშლა;
ე) ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება;
ვ) სიტყვების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით.

დამხმარე მასალა ფონეტიკური სამუშაოსათვის მოცემული იქნება თითოეულ მატრიცაში დანართის სახით.

მასალაში მოცემულია ერთ თავასოზე დაწყებული სიტყვების გარკვეული სიმრავლე. მასწავლებელს შეუძლია შერჩევა, თუ რომელ სიტყვებს გამოიყენებს ამ ჩამონათვალიდან. რაც შეეხება ფონეტიკურ წყვილებს, ეს სავარჯიშო უნდა შესრულდეს სრულად, ყველა სიტყვის გამოყენებით და ყოველთვის. ასევე მოსწავლის რვეულსა და მასწავლებლის წიგნში დეტალურადაა გაწერილი სამუშაოები.

<u>ასო-ბგერითი მიმართებების განვითარებაზე მუშაობა – ანბან-პლაკატი</u>

სიტყვის ბგერით მხარეზე მუშაობა ბავშვს სიტყვის ბგერითი ანალიზ-სინთეზის უნარს უვითარებს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ კონკრეტული ბგერები კონკრეტულ ასოებს დაუკავშიროს; რაც უფრო ადრე დააგროვებს ბავშვი ამგვარ გამოცდილებას, მით უფრო ძლიერი იქნება დასწავლის ეფექტი. სწორედ, ამიტომ სკოლაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ქართული ანბანის პლაკატს (პლაკატი უნდა ეკიდოს თვალსაჩინო ადგილზე, სასურველია – დაფასთან, ბავშვისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე). მასწავლებელი ეუბნება, რომ ეს არის ქართული ანბანი და უკითხავს მკაფიოდ, თითოეულ ასოზე საჩვენებელი ჯოხის დადებით მთელ ანბანს (დასახელდება ასოს შესატყვისი ბგერა, – ა, ბ, გ... და არა ასოს სახელწოდება).

შემდეგ დღეებში მასწავლებელი აიყოლიებს ბავშვებსაც ანბანის კითხვაში.

ანბან-პლაკატზე მუშაობას აქვს თავისი ეტაპები:

1. დასაწყისში, წინასაანბანო პერიოდის განმავლობაში, მასწავლებელი კლასთან ერთად ხმამაღლა კითხულობს ანბანს. ამ ეტაპზე ანბანის კითხვას უფრო რიტუალის სახე აქვს და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ბავშვების ცოდნის შემოწმებას.

2. საანბანო პერიოდში მასწავლებელი კითხულობს ანბანს მოსწავლეებთან ერთად, მაგრამ ყურადღებას გაამახვილებს უკვე ნასწავლ ასოებზე; დაადებს საჩვენებელ ჯოხს უკვე ნასწავლ ასოებს და ეკითხება კლასს, რომელი ასოა; შემდეგ გამოიყვანს დაფასთან მოსწავლეს და სთხოვს მას საჩვენებლით უპოვოს უკვე ნასწავლი ესა თუ ის ასო. ბავშვმა უნდა მოახდინოს დეკოდირება – ასოთა სიმრავლეში ასოს ამოცნობა, ასოსა და ბგერის ურთიერთმიმართების დამყარება.

ანბანზე მუშაობის ასეთი ხერხი ეხმარება მოსწავლეს ასოთა გრაფიკული ხატის დამახსოვრებაში, ბგერა იძენს საგნობრივ გამოსახულებას და უადვილებს ბავშვს ბგერის შემჩნევას სიტყვაში, უყალიბებს გამოცდილებას და ცოდნას, თუ რომელ ბგერას რომელი ასო შეესატყვისება.

3. შესასწავლი ასოების დაფიქსირება.

გავლილი მასალის გამეორების შემდეგ მასწავლებელი ერთგვარად ამზადებს მოსწავლეს ახალი ასოების გასაცნობად – „დღეს ვისწავლით რ-ს და ჩ-ს". კედელზე გაკრულ ანბანზე საჩვენებელ ჯოხს ადებს ჯერ ერთ ასოს, შემდეგ – მეორეს და მკაფიოდ წარმოთქვამს მათ. შემდეგ კი დიდი ზომით, სწორი მართლწერით (არა პლაკატურად) ახალ ასოებს დაწერს დაფაზე, თან მოსწავლეებს გაამახვილებინებს ყურადღებას მოხაზულობაზე.

4. მასწავლებელი იღებს მოცემულ ასოებს, დებს დაფის დირეზე ან მაგნიტურ დაფაზე განალაგებს, კიდევ ერთხელ ასახელებს მათ, ავალებს ბავშვებს თვითონ მოძებნონ ახალი ასოები თავიანთ მოძრავ ანბანში.

5. შემდეგ მასწავლებელი გამოიძახებს მოსწავლეებს სათითაოდ დაფასთან და დაავალებს მათ, მოხაზონ საჩვენებელი ჯოხით დაფაზე დაწერილი ასოები, დაიცვან ასოს წერის მიმართულება (სასურველია, ამ აქტივობაში რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩავრთოთ).

6. ამის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს მათ მიერ უკვე გამოცალკევებულ მოძრავი ანბანის შესატყვის ასოზე საჩვენებელი თითით გაიმეორონ ასოს მოხაზულობა (გავითვალისწინოთ, რომ ამ მოძრაობას ცაციები შეასრულებენ მარცხენა ხელით. არ ავუკრძალოთ მათ მარცხენა ხელის გამოყენება!). ამგვარი ამოცანის განსახორციელებლად განსაკუთრებული როლი ენიჭება ელექტრორესურსის გამოყენებას.

მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ანბან-პლაკატზე სისტემატური მუშაობა ხელს უწყობს იმ ასოების დამახსოვრებასაც, რომლებიც იმ მომენტისთვის არ არის სასწავლო ამოცანა.

<u>სალექსიკონო ნაწილზე მუშაობა</u>

ნახატიანი ლექსიკონის თითოეულ ჩარჩოში ჩახატულია კონკრეტული საგნები, რომელთა სახელები ერთ რომელიმე კონკრეტულ ბგერაზე იწყება. ნახატს მიწერილი აქვს თავისი სახელი. ასეთი გვერდის მეშვეობით მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ახალ ასოებს, მაგრამ ამის გარდა, ამ მეთოდიკის მეშვეობით იგი აღწევს რამდენიმე მიზანს:

- მოსწავლე ეჩვევა სიტყვის მთლიანი გრაფიკული ხატის აღქმას;
- გამოუმუშავდება სიტყვის გრაფიკული ხატის ცნობის უნარი;
- აფიქსირებს სიტყვაში ცალკეულ ასოებს.

ყოველივე ამის მეშვეობით მოსწავლე პრაქტიკულად მუშაობს სიტყვის ანალიზ-სინთეზზე. ნახატი უადვილებს ბავშვს სამუშაოს. იგი ამ სიტყვებს ჯერ ვერ კითხულობს, მაგრამ ნახატი მიანიშნებს, თუ რა სიტყვა წერია.

ლექსიკონზე მუშაობას თავისი თანმიმდევრობა აქვს:

1. პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპია გასაცნობი ასოს პოვნა სალექსიკონო ჩარჩოში. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ჩაატარებს მოსამზადებელ სამუშაოს, გადააშლევინებს მოსწავლეებს წიგნს სათანადო გვერდზე, საჩვენებელს დაადებს სალექსიკონო ჩარჩოს ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებულ ასოს – „ეს არის რ". მოაძებნინებს მოსწავლეებსაც ამ ასოს სათანადო გვერდზე და დააფიქსირებინებს.
2. ამის შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს ნახატზე. ცალ-ცალკე ეკითხება ბავშვებს – „აქ რა ხატია?" ასახელებინებს საგანს. იმისათვის, რომ მოსწავლემ ნახატისა და მისი სახელის იდენტიფიკაცია მოახდინოს, მან უნდა გაიაზროს, რომ აქ ხატია, მაგალითად, „რაკეტა" და არა სხვა რამ (იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა ბავშვისათვის უცხო აღმოჩნდა, მასწავლებელი ატარებს განმარტებით-სალექსიკონო სამუშაოს). მას შემდეგ, რაც დასახელდება საგანი, მასწავლებელი მიუთითებს ნაწერზე და ეუბნება – „აქ წერია რაკეტა?" საგნის დასახელებას უკითხავს მკაფიოდ, დამარცვლის გარეშე, მთლიან სიტყვას. ასე დაამუშავებს იგი ამ სალექსიკონო გვერდის ყველა ნახატსა და წარწერას.
3. ნახატისა და სიტყვის სათანადო ჩანაწერის ამგვარი დამუშავების შემდეგ მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს – „აბა, იპოვეთ, სად წერია ...?" თავდაპირველად ასახელებს მოკლე სიტყვას და დაადებინებს ბავშვს თითს ამ სიტყვაზე. მოსწავლე ამ ამოცანას, რა თქმა უნდა, ნახატის დახმარებით წყვეტს. ვთქვათ, მასწავლებელი „რ" ასოს სალექსიკონო ჩარჩოს დამუშავებისას შეეკითხება – „აბა, მითხარით, სად წერია რგოლი?", ბუნებრივია, მოსწავლე ნახატის საშუალებით მიაგნებს სათანადო სიტყვას. ჩვენთვის აქ ის არის მნიშვნელოვანი, რომ მოსწავლეები თანდათან გადაგვყავს ნახატიდან ნაწერი სიტყვის ცნობაზე.
4. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას სალექსიკონო გვერდიდან (ჯერ მოკლე სიტყვას, შემდეგ უფრო გრძელ სიტყვებს. მაგალითად: ია, იხვი, ირემი; აძლევს მოსწავლეებს დავალებას, მოძებნონ ასეთი სიტყვა წიგნში; აქაც მასწავლებელი სალექსიკონო ჩარჩოს ყველა სიტყვას დაამუშავებს. ამ ეტაპზე მასწავლებელი ნახატის გარეშე, პირდაპირ სიტყვის გრაფიკული ხატის ცნობაზე მუშაობს.
5. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომელ ახალ ასოს ეცნობიან ისინი იმ დღეს. შემდეგ მკაფიოდ ჩამოთვლის ნახატებიანი ლექსიკონის სიტყვებს, პირველ ასოზე განსაკუთრებული მახვილით და შეეკითხება, რაზე იწყება ეს სიტყვები. სათანადო პასუხის შემდეგ მასწავლებელი საჩვენებლით აღნიშნავს, ეს სიტყვები იწყება „რ"-ზე. ეს არის ასო „რ". შემდეგ მოსწავლეები სამუშაო გვერდის ყველა სიტყვაში მოძებნიან თავასოს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შესასწავლი ასო ნახატიანი ლექსიკონის სიტყვაში რამდენჯერმე გვხვდება. მაგალითად, შესასწავლი ასო ი ორჯერ გვხდება სიტყვებში – ირემი, იხვი. ასეთ შემთხვევებს მასწავლებელი სპეციალურად დაამუშავებს. იგი მიმართავს მოსწავლეებს: „აბა, მიპოვეთ, კიდევ სად შეამჩნიეთ ასო ი!"

და ბოლოს, მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს სალექსიკონო გვერდის სიტყვებს. მასწავლებელი მიმართავს კლასს: „აბა, ვინ მეტყვის, რა წერია აქ?" და მიუთითებს მის მიერ დაფაზე დაწერილ, უკვე კარგად დამუშავებულ სიტყვებზე რიგრიგობით.

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება

როგორც მოგეხსენებათ, სადღეისოდ საქართველოში შექმნილია საგანმანათლებლო თამაშები სხვადასხვა სასწავლო საგანში დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. ეს პროგრამები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს. ჩვენს სახელმძღვანელოში გამოვიყენეთ „მოლაპარაკე ანბანი“ და „ქამაბუკი“, რადგან ისინი ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენს სასწავლო მეთოდს და საუკეთესო თვალსაჩინო მასალას წარმოადგენს პირველკლასელთათვის.

პირველი სემესტრისათვის, როდესაც ჩვენი მეთოდის მიხედვით მოსწავლეები სწავლობენ კითხვას, შევარჩიეთ „მოლაპარაკე ანბანი“, რადგან ასობგერითი მიმართებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე არა მხოლოდ ხედავდეს ასოს, არამედ ისმენდეს ბგერის ჟღერადობასაც. ყოველი ახალი ასოთა წყვილის გაცნობის შემდეგ, ვიდრე მოსწავლეები გადავლენ საკითხავ სავარჯიშოებზე, ისინი მოიძიებენ „მოლაპარაკე ანბანში“ შესასწავლ ასო-ბგერებს და კიდევ ერთხელ დააკვირდებიან ასოებს, ნახატებსა და სიტყვებს.

მეორე სემესტრისათვის, როდესაც მოსწავლეები იწყებენ ასოების წერას, ჩვენ შევარჩიეთ პროგრამა, რომელშიც უკეთ არის ნაჩვენები, თუ როგორ იწერება ასო ბადეში, რაც მართლწერისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

თავისთავად ცხადია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე შემოწმებული უნდა იყოს მოსწავლეების პორტატული კომპიუტერების ტექნიკური გამართულობა და ჩატვირთული უნდა იყოს ელექტრონული რესურსები.

მოსწავლის წიგნში ელექტრორესურსების გამოყენების სიმბოლო იქნება:

მიმართე კომპიუტერს!

მაგნიტური ანბანით მუშაობა

როგორც შეამჩნევდით, ჩვენ გავავარჯიშეთ მოსწავლე სიტყვის აკუსტიკური ხატის სინთეზზე:

- ფონეტიკური სამუშაოებით, როდესაც ბგერებად დაშლილ სიტყვებს მთლიანად წარმოთქვამენ;
- ანბანზე მუშაობის დროს დავაკავშირებინეთ კონკრეტული ბგერა კონკრეტულ ასოსთან;
- ლექსიკონზე ვარჯიშისას დავამყარებინეთ მიმართება სიტყვის აკუსტიკურ და გრაფიკულ ხატებს შორის.

ახლა გვჭირდება ასოების მეშვეობით სიტყვის გრაფიკული ხატის გამთლიანებაზე ვარჯიში – ე.ი. სიტყვის აწყობა ანბანის მეშვეობით.

ამ მეთოდურ ხერხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს – ბავშვი თავისი ხელით ქმნის სიტყვას კლასის თვალწინ. ამისათვის მან უნდა გაანალიზოს ასაწყობი სიტყვა – რა ბგერებისგან შედგება? რა ასოები დასჭირდება? შემდეგ გადაიტანოს სიტყვის ბგერითი თანმიმდევრობა ასოების თანმიმდევრობაში – ე. ი. მოახდინოს სიტყვის სინთეზი. ბოლოს, მან უნდა ამოიკითხოს თავისი „შექმნილი” სიტყვა.

სიტყვის ანბანით აწყობის სავარჯიშო საუკეთესოდ მიესადაგება ბავშვის შესაძლებლობებსა და მის ინტელექტუალურ განვითარებას. ჩვენ ხომ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ასაკში ბავშვის აზროვნება „მოქმედებითია” – ის საუკეთესოდ გაიაზრებს იმას, რასაც თვითონ, თავისი ხელით ასრულებს. გარდა ამისა, მოძრავი ანბანით სიტყვების აწყობა წერის პროცესის იმიტაციას წარმოადგენს. ასაწყობი ანბანის რა ფორმას მიმართავს მასწავლებელი, ეს დამოკიდებულია მის ხელთ არსებულ რესურსებზე.

ცხადია, ამ ყველაფერს ავსებს სხვადასხვა ტიპის თამაში, რომლებსაც გვთავაზობს მასწავლებლის არაერთი დამხმარე სახელმძღვანელო, ახალი სკოლის მოდელის მიდგომები და, განსაკუთრებით, საგანმანათლებლი ელექტრონული რესურსები.

ამჯერად ჩვენ თავს არ შეგაწყენთ სახელმძღვანელოში შეტანილი ყველა ტიპის დავალების აღწერით, რადგან მასწავლებლის წიგნში დეტალურადაა გაწერილი ჩატარებული სამუშაოებისა და კომპლექსური დავალებების მატრიცა. უბრალოდ შეგახსენებთ დავალებების ტიპოლოგიას, რომელიც ასახულია პირველი კლასის სახელმძღვანელოში:

ძირითად ტექსტზე მუშაობა

მიდგომა საანბანო ტექსტისადმი გამომდინარეობს კითხვის პროცესის იმ გაგებიდან, რომ კითხვა არის ნაწერი სისტემიდან აზრის გამოტანის პროცესი. ბავშვისთვის რომ კითხვის პროცესი გააზრების პროცესიც იყოს, წასაკითხი ტექსტი შესატყვისად უნდა შეიცავდეს დასრულებულ აზრს. ტექსტი არ უნდა იყოს წინადადებებად დაგლეჯილი ისე, რომ წინადადებებს შორის არ იყოს აზრობრივი კავშირი, გარდა ამისა:

- წასაკითხი ტექსტი უნდა შეიცავდეს ისეთ შინაარსს, რომელიც ბავშვისათვის ადვილად გასაგები და ახლობელი იქნება;
- წასაკითხი ტექსტი დასაწყისისთვის უნდა იყოს მოკლე;
- წასაკითხ ტექსტში დასაწყისისთვის უნდა ჭარბობდეს მოკლე, ბავშვისათვის გასაგები სიტყვები, რაც გაუადვილებს მას ტექსტის წაკითხვას.

კითხვის ათვისებისათვის ვიყენებთ შემდეგ ხერხებს:

- მასწავლებლის მიერ ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა;
- გუნდური კითხვა – (უნისონში კითხვა) მასწავლებელი და მოსწავლეები რამდენჯერმე ერთად კითხულობენ ტექსტს;
- მასწავლებელი – მოსწავლე – ე. წ. ექო-მკითხველის მეთოდი – პირველად კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ კი იმავეს – მოსწავლე ან მთელი კლასი;
- ლიდერი – ჯგუფი – მასწავლებელი კითხულობს ტექსტის ერთ ნაწილს, ხოლო ჯგუფი – ტექსტის დარჩენილ ნაწილს (განსაკუთრებით გამოდგება რეფრენების მქონე ლექსის კითხვის დროს: ძირითად ნაწილს წაიკითხავს მასწავლებელი, რეფრენს წააკითხებს მთელ კლასს ერთად);
- კითხვა მცირე ჯგუფებით – კლასი იყოფა მცირე ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი კითხულობს თავის ნაწილს;
- წყვილებში კითხვა – აქვს ორი ვარიანტი:
  ა) ორი მკითხველი კითხულობს ხმამაღლა ერთად (მასწავლებელი – მოსწავლე; კარგად მკითხველი მოსწავლე – მოსწავლე; ორი თანაბარი უნარის მოსწავლე);
  ბ) ორი მოსწავლე კითხულობს მონაცვლეობით (მაგ.: დიალოგს).
  შენიშვნა: ამ ხერხის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ვარიანტია, როდესაც მასწავლებელი მოულოდნელად სთხოვს მოსწავლეს, გააგრძელოს სხვის მიერ დაწყებული კითხვა. ეს ხშირად მოსწავლის წარუმატებლობას იწვევს, რადგან მოულოდნელობის ეფექტი ამცირებს კითხვის მოტივაციას. უმჯობესია, მასწავლებელმა წინასწარ შესთავაზოს ორ მოსწავლეს წყვილში გაერთიანება და ისე გააგრძელებინოს მეორეს კითხვა.
- მოსწავლის მიერ მთლიანი ტექსტის თავიდან ბოლომდე წაკითხვა.
- განმეორებითი კითხვა – მოსწავლე კითხულობს ერთი და იგივე ტექსტს რამდენჯერმე;
- მითითებული ადგილის წაკითხვა ტექსტში;
- მკითხველთა თეატრი – მოსწავლეები ინაწილებენ როლებს, შემდეგ კითხულობენ ტექსტს როლებში;
- ჩუმი კითხვა – მოსწავლეები კითხულობენ დამოუკიდებლად, ჩუმად.

ენობრივი სავარჯიშოები

მოსწავლის წიგნში მოცემულია მთელი რიგი ენობრივი სავარჯიშოები, რომელთა მიზანიცაა მშობლიური ენის ინტუიციური ცოდნის გააქტიურება და ენობრივ მოვლენებზე დაკვირვება.

სავარჯიშოების ტიპოლოგია ასეთია:

- რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია მოცემულ სიტყვაში;
- ხმოვანზე და თანხმოვანზე დაწყებული სიტყვების დასახელება;
- რებუსი, „სიტყვის კიბე";
- მარცვლებით სიტყვების შედგენა;
- რომელ წინადადებაში რამდენი სიტყვაა;
- წინადადების დასრულება;
- ორსიტყვიან წინადადებაში კონტექსტის მიხედვით შესაბამისი ზმნის შერჩევა;
- ორსიტყვიანი წინადადების სამსიტყვიანად გადაქცევა;

- წინადადების ბოლოს სასვენი ნიშნების დასმა (. ?);
- ზრდილობიანი ფორმების გამოყენება.
- არაერთი ენობრივი, ლექსიკური და სააზროვნო სამუშაო სრულდება კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში.

ეს სავარჯიშოები განაწილებულია მოსწავლის წიგნსა და მოსწავლის რვეულში. სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია კოგნიტური ანუ შემეცნებითი სავარჯიშოები. წიგნში სხვადასხვაგვარი სავარჯიშოა შეტანილი. ამ ტიპის სავარჯიშოები მოსწავლეთათვის საინტერესო და სახალისოა და უპირატესად მიზნად ისახავს სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. ამ სავარჯიშოების სიმბოლოა – დააკვირდი!

კოგნიტურ სავარჯიშოებს განეკუთვნება:
- სავარჯიშოები კლასიფიკაციაზე.
- სავარჯიშოები ყურადღების კონცენტრაციაზე.
- ნახატზე ნაჩვენები მოქმედების ვერბალიზაცია.
- სავარჯიშოები სივრცით მიმართებებზე.
- ამბის ლოგიკური ჯაჭვის დადგენა ნახატებისა და ფონოლოგიური ხატის გათვალისწინებით.
- კლასიფიკაცია ზედმეტის გამორიცხვით.
- მოსწავლის მიერ წაკითხული ამბის აღდგენა ნახატების მიხედვით.
- დასახული ამოცანის მიხედვით დამოუკიდებელი ნახატის შექმნა. ამ სავარჯიშოს სიმბოლოა – დახატე.

<u>დამოუკიდებლად საკითხავი მასალა</u>

მართალია, დამოუკიდებლად საკითხავი მასალა ამჯერად არ არის მატრიცებში შეტანილი, მაგრამ ვფიქრობთ, მისი გამოყენება ბევრ სიკეთეს მოუტანს მოსწავლეს, კერძოდ, დამოუკიდებლად საკითხავის მიზანია:
- მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის განვითარება;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ჩუმად დამოუკიდებლად კითხვის უნარის ჩამოყალიბება;
- წერითი დავალების დამოუკიდებლად შესრულების უნარის განვითარება;
- მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგის დადგენა, შეფასება, თვითშეფასება. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიაგნისტიკაში - რა დონითა და სიღრმეებით ახერხებს მოსწავლე კოდირება-დეკოდირებას.

<u>მიზნობრივი თამაშები</u>

მიზნობრივი თამაში, ერთი მხრივ, სახალისოს ხდის სწავლის პროცესს, მეორე მხრივ, ავითარებს სოციალურ ჩვევებს. იგი საუკეთესო საშუალებაა ინდივიდის საზოგადოებაში ადაპტაციისთვის, უვითარებს მოსწავლეს გუნდურობის განცდას და მუშაობის ჩვევებს: ინსტრუქციის მოსმენა, გააზრება და შესრულება; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების დაცვა, სხვისი მოსმენა და ა.შ. თამაშ-ვარჯიშები შესანიშნავი საშუალებაა მხედველობითი მეხსიერების გასავარჯიშებლად, სივრცითი მიმართებების დასამყარებლად, მეტყველებით-სმენითი აქტივობისათვის. შემოგთავაზებთ რამდენიმე ტიპის მიზნობრივ თამაშს. მასწავლებელი შეძლებს გააცნობიეროს, თუ დასახული მიზნის შესაბამისად როგორ შეიძლება დაიგეგმოს ამა თუ იმ ტიპის თამაში. ცხადია, მასწავლებელს შეუძლია გაამრავალფეროვნოს უკვე მოცემული მეთოდები. თითოეული მიზნობრივი თამაშის აღწერა და ჩატარების წესი მოცემულია გაკვეთილების გეგმებში, დამხმარე მასალის რუბრიკაში.

შენიშვნა: არ უნდა დავიწყოთ თამაში მანამ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ინსტრუქცია ყველასთვის გასაგებია. რამდენჯერმე და ეტაპობრივად უნდა გავუმეოროთ თამაშის წესები და დასჯა-წახალისების ფორმები (ქულები, ვარსკვლავები, მზე). დასჯა-წახალისება განსაკუთრებით ორიენტირებული უნდა იყოს თამაშის დროს წესრიგისა და წესების დაცვაზე.

გთავაზობთ შემდეგი სახის მიზნობრივ თამაშებს:
- <u>თამაშები სასკოლო-სოციალური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად:</u> „გავიცნოთ ერთმანეთი", „მეგობრობის წრე", „ჩვენ კლასელები ვართ";

- <u>თამაშები სივრცითი მიმართებების ფორმირებისათვის:</u> „ჩვენი საკლასო ოთახი", „შორს და ახლოს", „მარჯვენა და მარცხენა", „მატარებლობანა", „მაძებარი", „სად რა დავხატე";
- <u>თამაშები მეტყველებით-სმენითი აქტივობისათვის</u>: „ვიპოვოთ განსხვავებული სიტყვა"; „ვის რა უყვარს";
- <u>თამაში მხედველობითი მეხსიერების გასააქტიურებლად</u>: „რა ხატია სურათზე".

მიზნობრივი თამაშები შეტანილია მატრიცებში და მათი ჩატარების წესი მოცემულია მის დანართში

III. 6 წლის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები

ბავშვმა რომ პირველი სასწავლო წლის სირთულეებს თავი გაართვას, მას სათანადო სასკოლო მზაობა უნდა ჰქონდეს. გონებრივი ფუნქციების მომწიფება, ემოციურ-სოციალური და ფიზიკური განვითარება ბავშვის სასკოლო მზაობის სამი აუცილებელი პირობაა.

6 წლის ასაკი სწორედ ის ხანაა, როდესაც ბავშვი ამ სამი კომპონენტის მიხედვით გარდამავალ მდგომარეობაში იმყოფება: ჯერ არ არის დაძლეული თამაშის მოთხოვნილება, მაგრამ უკვე გაჩნდა წესრიგის, დავალების შესრულების, გამიზნული ქმედების სურვილი. 6 წლის ბავშვს უკვე შეუძლია უფროს ადამიანზე ორიენტირება, მაგრამ იმავდროულად, სრულიად არ აქვს განვითარებული ნებისყოფა. მას უჭირს სააზროვნო ამოცანაზე ხანგრძლივად ყურადღების შეჩერება, ამოცანის პირობის ბოლომდე გააზრება და დამახსოვრება. ის ვერ ითავისებს განზოგადებულად გამოთქმულ ინსტრუქციებს.

6 წლის ბავშვის აზროვნება თვალსაჩინო და ხატოვანია. აზროვნების თვალსაჩინოება იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ხედავს, ამჩნევს და გაიაზრებს მოვლენისა თუ საგნის იმ თვისებებს, რომლებიც ნათლად, თვალსაჩინოდ ჩანს, ზედაპირზევეა მოცემული და განზოგადებას არ მოითხოვს.

ბავშვი შეიმეცნებს გარემოს თვალსაჩინო, ხატოვან ნიშნებს. ის ამგვარად აგროვებს უშუალო გამოცდილებას სამყაროს შესახებ. ეს გამოცდილება შემოინახება მის მეხსიერებაში. მეხსიერება კი ამ ასაკში მეტად აქტიურია. მეხსიერებაში შემონახული თვალსაჩინო შემეცნებითი გამოცდილება ეხმარება ბავშვს, ახალ სიტუაციებში შესატყვისი რეაგირება მოახდინოს. მაგრამ, თუ ჩვენ ბავშვს შევთავაზებთ მისი ამგვარი გამოცდილებისათვის შეუსაბამო სასწავლო მასალას, მაგალითად, არათვალსაჩინო მოვლენის სიტყვიერ ანალიზს, ამ ანალიზიდან გამომდინარე განზოგადებულ ცნებებს (როგორიც არის, ვთქვათ, გრამატიკული განმარტებები), მაშინ ბავშვი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. თავისი განვითარებით ის ჯერ არ არის მზად ამგვარი სასწავლო მასალის ასათვისებლად. ამ ასაკის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ისაა, რომ ბავშვის აზროვნება „მოქმედებითია". ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ამ ასაკში პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს ხელით მოქმედებასა და ინტელექტის განვითარებას შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასათვისებელ მასალას ბავშვი ყველაზე უკეთ გაიგებს და დაიმახსოვრებს მაშინ, როცა მას ხელით მოქმედების საშუალებას მივცემთ.

6 წლის ბავშვს საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული მეტყველება, მას შეუძლია საკუთარი განცდების, ფიქრების, მოგონებების გამოხატვა სიტყვებით, მაგრამ ამავე ასაკისთვის ისიც დამახასიათებელია, რომ ბავშვისთვის ენა „გამჭვირვალეა", ე. ი. ის კი იყენებს ენას, მაგრამ ენის არსებობის ფაქტის დანახვა, ენის მოვლენის დაკვირვების საგნად გადაქცევა და განზოგადება არ შეუძლია. ამიტომ მას უფრო პრაქტიკული გამოცდილება უნდა მივცეთ ენის არსებობის შესახებ, ვიდრე თეორია და წესები.

<u>რამდენიმე რჩევა პირველადი სასკოლო სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებისა</u>
<u>და სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის</u>

გავიხსენოთ სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები და დაწყებითი საფეხურის მისია. მასში ნათქვამია , რომ ამოცანა არის საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის <u>გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;</u> საბაზისო უნარების – წიგნიერებისა და რაოდენობრივი <u>წიგნიერების გ ა ნ ვ ი თ ა რ ე-ბ ის ხ ე ლ შ ე წ ყ ო ბ ა;</u> სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ <u>დ ა დ ე ბ ი თ ი დ ა მ ო -კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა,</u> <u>ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა</u> და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

აქედან გამომდინარე, სწორედაც რომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი სასკოლო სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სწავლის მოტივაციის ამაღლებას. პირველადი სასკოლო და სოციალური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად ჯერ კიდევ წინასაანბანო პერიოდში იწყება მუშაობა და იგი გრძელდება როგორც საანბანო პერიოდში, ასევე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

წინასაანბანო პერიოდიდანვე მასწავლებელი ასტრუქტურებს სასწავლო რეჟიმს – ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისსა და დასასრულზე, რაც ხშირ შემთხვევაში ზართან არის დაკავშირებული. ავტორთა ჯგუფი თვლის, რომ სასწავლო რეჟიმის არსებობა და მისი დაცვა, ბავშვს ეხმარება დროის დასტრუქტურებაში, რაც მისთვის ასე იოლი არ არის. ამავე დროს, უვითარებს მნიშვნელოვან სოციალურ ჩვევას – საქმის დაგეგმვის ჩვევას, მუშაობას წინასწარ განსაზღვრული რეჟიმით. მაგ.: ახლა კითხვის დროა, ახლა – დასვენების, ახლა – წერის. ეს ეხმარება ბავშვს თანდათან გადალახოს შინაგანი წინააღმდეგობა (მე ახლა არ მინდა წერა, კითხვა და ა.შ.). რა თქმა უნდა, რეჟიმის, დღის განრიგის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თავიდან ავიცილოთ მოსწავლის გადატვირთვა და გადაღლა.

სასკოლო რეჟიმის დასტრუქტურების მომდევნო ეტაპი გახლავთ გაკვეთილების ცხრილი. მოსწავლეს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ერთი გაკვეთილის დაწყება-დამთავრება ნიშნავს ერთი ტიპის საქმის დაწყება-დამთავრებას. ამასთან, ამ საქმიანობის დროს საჭიროა შესაბამისი სასწავლო ნივთები. მოსწავლეს ვიზუალურ დონეზე უნდა განვასხვავებინოთ სახელმძღვანელოები და შესაბამისი რვეულები, ალბომები, მოძრავი ანბანი და სხვა სასწავლო ნივთები.

მოსწავლეებს უნდა ვესაუბროთ დღის იმ ახალ რეჟიმზეც, რომელიც მათ მოსწავლედ გახდომას მოსდევს; დროულად გაიღვიძონ, ისაუზმონ, რათა არ დააგვიანონ სკოლაში, არ დარჩეთ სასკოლო ნივთები. სასურველია, მშობელმა და მასწავლებელმა შეაჩვიონ მოსწავლე თავისი მოვალეობების დამოუკიდებლად შესრულებას.

მოსწავლის სასკოლო საქმიანობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭიროა შემდეგი სოციალური უნარ-ჩვევები: თანატოლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის დამყარების უნარი, მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, პასუხის გაცემის, დავალების ჩაბარების, სხვისი მოსმენის უნარი.

პასუხის გაცემის, დავალების დასრულების შემთხვევაში, ტრადიციულად, იყენებენ ხელის აწევას. შესაძლოა, გამოვიყენოთ ფერად-ფერადი ალმების აწევა, რომელთაც თავ-თავისი დანიშნულება ექნებათ. ამით ნელ-ნელა თავიდან ავიცილებთ წამოძახებას, რითაც მოსწავლეები ცდილობენ ყურადღების მიქცევას.

აღსანიშნავია, რომ შეთავაზებული სისტემა მასწავლებლის მიერ პირუთვნელად უნდა იყოს დაცული, ყურადღება თანაბრად უნდა გადანაწილდეს ბავშვებზე.

აღზრდის პროცესში ხშირად მოგვიწევს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი საქციელის შეფასება – საქციელის და არა თავად ბავშვის, ცუდია ან კარგი ესა თუ ის საქციელი და არა ესა თუ ის მოსწავლე. კონკრეტული მოსწავლის ხშირი შეფასება კლასში იწვევს არასწორ სოციალურ დიფერენცირებას, მოსწავლეთა შინაგან პროტესტს, ხშირად საპირისპირო რეაქციასაც. იგი მით უფრო მძაფრდება, თუ ერთის უარყოფით საქციელს ხშირად ვუპირისპირებთ მეორის დადებით ქცევას. დადებითი მაგალითის მიბაძვის სურვილი კი უფრო მაშინ ჩნდება, თუ კარგი ზოგადად არის შექებული და წახალისებული.

სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით უნდა გავითვალისწინოთ, ერთი მხრივ, მოსწავლის ინტერესები, მეორე მხრივ, დავაკმაყოფილოთ მისი ცნობისმოყვარეობა და შემეცნებითი სამყაროს გაფართოების სურვილი. უნდა შეირჩეს შესაბამისი და მრავალფეროვანი მასალა. თავი უნდა

დავაღწიოთ მხოლოდ რუტინულ სამუშაოებს, სასწავლო პროცესი გავხადოთ ცოცხალი, აქტიური, საინტერესო. ამის ყველაზე სწორი ინდიკატორია მოსწავლის ჩართულობა და ინტერესი.

IV. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ

სწავლა-სწავლება, უპირველეს ყოვლისა, დადებით დამოკიდებულებას უნდა უყალიბებდეს მოსწავლეს, უნდა ემსახურებოდეს მის მრავალმხრივ განვითარებას, ხელს უწყობდეს წიგნიერების განვითარებას. ხოლო თუ გავიხსენებთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს, სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა). ერთი სიტყვით, ეს სხვა არაფერია, თუ არა სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდების, გამჭოლი კომპეტენციებისა და მეტაკოგნიციის (სწავლის სწავლა) გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში.

1. გამჭოლი კომპეტენციები

წიგნიერება. წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

მედიაწიგნიერება. ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტმა, რომლიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მრავალგვარი ფორმის მულტიმედიატექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა.

ციფრული წიგნიერება იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავების უნარს. ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც ციფრული წიგნიერება ეწოდება.

რაოდენობრივი წიგნიერება. რაოდენობრივი წიგნიერება არის რაოდენობებით ოპერირების უნარი, რაც რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებასაც გულისხმობს.

ეკოლოგიური წიგნიერება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულებისა და პირადი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის უნარი, დაეუფლოს ენას/ენებს და გამოიყენოს ეს ცოდნა.

სემიოტიკური კომპეტენცია. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტეპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის, ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

გამჭოლი კომპეტენციების მთავარი აზრი ის არის, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე საგნის ამოცანა, ამიტომ გამჭოლი კომპეტენციების დაუფლება ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს, მას არ უნდა უფრთხოდეს მასწავლებელი. თუმცა დაწყებით საფეხურზე ყველა ასპექტის თანაბარი სიხშირითა და სიძლიერით გამოყენება ვერ მოხერხდება.

ჩვენთვის გამჭოლ კომპეტენციათა შორის მნიშვნელოვანია წიგნიერება. რაც უფრო ხშირად მივცემთ მოსწავლეს შეფასების, შეჯამების, დამოუკიდებლად აზრის გამოთქმის, წიგნიერების სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით გამოყენების, საკუთარი გამოცდილების ახალ იდეებზე მორგების საშუალებას, მით უფრო სასურველ შედეგს მივიღებთ. ჩვენ მიერ შედგენილ სახელმძღვნელოში ამის საშუალებას იძლევა რუბრიკები: „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“, „სასაუბრო“, „დახატე“, სხვადასხვა რჩევა-დარიგება (მაგ., „როგორ უნდა მოიქცე, თუ დაიკარგე“, „როგორ უნდა მოექცე მეგობარს“ და სხვ.).

განსაკუთრებით საინტერესოა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის მედიაწიგნიერება. ერთდროულად ენობრივი, ხმოვანი და ვიზუალური მხარეების გამოყენება ძალიან აადვილებს ბავშვისათვის სასწავლო ამოცანის წვდომას.

რაოდენობრივი წიგნიერება ალბათ მოგვიანებით შემოვა მინიკვლევის, სტატისტიკური გათვლების სახით. მანამდე კი, იმასაც შეიძლება დავჯერდეთ, რომ მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ თვლა, რამდენი ხმოვანი და თანხმოვანია სიტყვაში, რამდენი მარცვალია სიტყვაში, რამდენჯერ მეორდება სიტყვა, მერამდენე გვერდზე უნდა გადაშალოს წიგნი ან რვეული, რამდენი ასო ან სიტყვა უნდა გამოწეროს და ა.შ.

სემიოტიკური კომპეტენცია დაწყებით კლასებში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება. ასე მაგალითად, ჩვენს საანბანო სახელმძღვანელოში ნახატს მრავალგვარი ფუნქცია აქვს. ესენია: სურათის აღწერა, ნახატზე არსებული საგნების კლასიფიკაცია, დახატული საგნების მწკრივიდან ზედმეტის გამორიცხვა, ნახატის მიხედვით ამბის შედგენა, ნახატების დალაგება ამბის თანმიმდევრობის აღდგენით, ნახატებზე გამოსახული პერსონაჟების ქცევის შეფასება. სახელმძღვანელოში არის ტექსტების ილუსტრაციები, რომლებიც მოსწავლემ ტექსტის შინაარსს უნდა დაუკავშიროს. სახელძღვანელოში მოცემულია აგრეთვე სასწავლო ტექსტთან მიმართებაში მოსწავლის მიერ ნახატის შექმნის დავალებები (რუბრიკა „დახატე“). ასევე კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მოვასმენინებთ შესწავლილ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, სადღესასწაულო სიმღერებს და ისინი გამოხატავენ თავიანთ განწყობას, დახატავენ ნახატებს.

რაც შეეხება ციფრულ ანუ კომპიუტერულ წიგნიერებას, ეს ამ თაობის პრიორიტეტია, ამიტომ მასწავლებელმა, თუ ამის საშუალება არსებობს, აქტიურად უნდა გამოიყენოს იგი მასალის მოძიებისათვის, თვალსაჩინოების მოპოვებისათვის და ა.შ.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციისათვის, სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელია ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორებიცაა კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება. საამისოდ სახელმძღვანელოში შესულია მასალა ტექსტებისა და აქტივობების სახით: სხვადასხვა დღესასწაულისადმი მიძღვნილი ტექსტები („დაბადების დღე“, „ახალი წელი“, „დედის დღე“), ქცევის წესებისადმი მიძღვნილი ტექსტები („პირველად თეატრში“, „ქუჩაში მოძრაობის წესები“, „როგორ უნდა მოიქცე, თუ დაიკარგე“), პრობლემების მოგვარებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობისადმი მიძღვნილი ტექსტები („ახალი მეგობარი“, „მეგობრობა“, „როგორ უნდა მოექცე მეგობარს“, „ხატვის გაკვეთილზე“, „სიტყვის ძალა“). სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის შემუშავების მიზნით დაწყებით საფეხურზე მიზანშეწონილია ჯგუფური სამუშაოების ორგანიზება და მოსწავლეების ჩართვა წესების შემუშავებასა და დაცვაში. სახელმძღვანელოში ამ მიზანს ემსახურება მიზნობრივი თამაშები და რუბრიკა „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარება არა მარტო საგაკვეთილო პროცესის პრიორიტეტი უნდა იყოს, არამედ საერთოდ, აღმზრდელობითი პროცესისა. საგაკვეთილო პროცესში სამოქალაქო თემატიკა უნდა იქცეს, ერთი მხრივ, მასალასთან მიმართებაში მსჯელობის საგნად, მეორე მხრივ, იგი უნდა ვაქციოთ სასკოლო ცხოვრების წესად. მუშაობა ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ ბავშვის სკოლაში მოსვლის დღიდანვე.

2. მეტაკოგნიცია

მეტაკოგნიცია ანუ სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი, სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. ეს მეტაკოგნიციის პროცესის პედაგოგიური ხედვაა.

მაინც რა არის მეტაკოგნიცია? მეტაკოგნიცია საკუთარი შემეცნების (უფრო ფართოდ კი საკუთარი ფსიქიკური პროცესების) შემეცნების საგნად (ობიექტად) გადაქცევაა. პედაგოგიური თვალთახედვით ეს ნიშნავს მოსწავლის მიერ სწავლის ქცევის შემეცნებითი დაკვირვების საგნად, ობიექტად გადაქცევას. საამისოდ, პირველ რიგში, საჭიროა მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა გავაკეთე და როგორ? რას ვაკეთებ და როგორ? რას გავაკეთებ და როგორ?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს დასჭირდება, დააკვირდეს უკვე შესრულებულ სასწავლო აქტივობას, მაგალითად, კრიტიკული დაკვირვების ობიექტად აქციოს უკვე შესრულებული სავარჯიშო: სწორად შეასრულა თუ არა იგი, რა შეცდომები დაუშვა და რატომ. შემდეგ კი საჭიროა დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება (ვთქვათ, „მე დავუშვი ასეთი

და ასეთი შეცდომები, რადგან ...). დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება სასწავლო ქცევის ობიექტივაციის აუცილებელი ეტაპია.

კითხვაზე – რას ვაკეთებ და როგორ? პასუხი ფაქტობრივად ნიშნავს იმას, თუ როგორ იყენებს მოსწავლე წინარე გამოცდილებას, გამოაქვს თუ არა სწორი დასკვნები უკვე მიღებული გამოცდილებიდან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეტაკოგნიციის საკმარისი დონე. მთლიანი მეტაკოგნიტური ციკლის დასრულებისათვის საჭიროა პასუხი ბოლო კითხვაზე – რას გავაკეთებ და როგორ? ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდგომი სასწავლო ქცევის წინასწარი განჭვრეტა – ანიციპაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე უკვე მიღებული და განზოგადებული გამოცდილების საფუძველზე, დაგეგმავს შემდგომ სასწავლო ქცევას.

როგორც ვხედავთ, სწავლების სწავლა საკმაოდ რთული ფსიქიკური აქტივობაა. მასში ჩართულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესი, როგორიცაა დაკვირვება, უშუალო ან ხანგრძლივი მეხსიერება (შესრულებული სამუშაოს გასახსენებლად), კრიტიკული აზროვნება (შეცდომებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოჩენისათვის), ლოგიკური აზროვნება (შედეგების განზოგადებისათვის). საჭიროა აგრეთვე ყურადღების კონცენტრაციისა და ნებელობითი ქცევის განხორციელების უნარები.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ინტელექტის განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფებიან. ინტელექტის განვითარების ეს დონე ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი მეტაკოგნიტური აქტივობის განხორციელებას. ეს შესაძლებლობა მოსწავლეს გაუჩნდება ინტელექტის განვითარების შემდეგ სტადიაზე – ლოგიკური ოპერაციების სტადიაზე (12 წლის ასაკიდან). მაგრამ მეტაკოგნიციის განვითარების თვითდინებაზე მიშვება დიდი პედაგოგიური და მეთოდური შეცდომა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ დაწყებით სკოლას აქვს კარგი საშუალებები ამ პროცესების მართვისათვის, კონკრეტული სასწავლო საგნების შინაარსისა და ზოგადად, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სახით.

სწავლის უნარს მინიმალურ დონეზე გამოცდილება აყალიბებს. სკოლაში ამ უნარის გამოყენება სისტემატურ და სისტემურ სახეს უნდა იღებდეს. მეტაკოგნიციის გარეშე ვერ განხორციელდება ხარისხიანი სწავლა-სწავლება. ამას კი საფუძველი დაწყებით კლასებში უნდა ჩაეყაროს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს ჩვენგან არ ესწავლებათ, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული პირველი კლასის მართვა. სკოლაში მოსულ ბავშვს, საუკეთესო შემთხვევაში, უხარია, რომ მოსწავლე გახდა, მაგრამ ბავშვმა ხომ ჯერ საერთოდ არ იცის, რას ავალებს მას ეს ახალი სოციალური სტატუსი! პირველი კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა უნდა გააცნოს ყოველივე ის, რაც სწავლის ქცევასთანაა დაკავშირებული და სკოლაში ახალმოსული ბავშვისთვის თავისთავად ცხადი და გასაგები სრულიადაც არ არის. მაგალითად: საჭიროა სასკოლო ნივთების მოვლა და მოწესრიგება, მასწავლებლისა და თანაკლასელების მოსმენა, დავალებების შესრულება, საკუთარი აზრის გამოსათქმელად ხელის აწევა და არა ადგილიდან წამოძახება და სხვ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ეტაპზე მეტაკოგნიციაზე საუბარი გადაჭარბებულია, მაგრამ უკვე ის ცვლილებები და ძალისხმევა ბავშვის ცხოვრებაში, რაც მოსწავლის როლის გათავისებას სჭირდება, არის პირველი მცირე საძირკველი შემდგომი მეტაკოგნიტური ამოცანების გადასაჭრელად. გარდა ამისა, მასწავლებელმა ნათელი და ცხადი ინსტრუქციებით უნდა დაასტრუქტუროს გაკვეთილი, გარკვევით აუხსნას მოსწავლეებს, თუ რისი შესრულება ევალებათ; როგორ უნდა შეასრულონ ესა თუ ის სავარჯიშო; მოგვიანებით მისცეს მოსწავლეებს საშუალება, თავად ახსნან, როგორ იმუშავებენ ამა თუ იმ სავარჯიშოზე; ასევე მასწავლებელი დაუგეგმავს მოსწავლეებს, თუ როგორ გაასწორონ საკუთარი ნაწერი და საამისოდ გამოიყენებს დაფაზე მოცემულ მოდელს; შემდგომში მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ნაწერის გასწორება ზეპირი განხილვის საფუძველზე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი სამუშაოს თანმიმდევრობის განხილვა: ჯერ ეს საქმე კეთდება, მერე – ეს და ბოლოს – ეს. საჭიროა ჩატარებული სამუშაოს შეფასება. დავიწყოთ ჯგუფური მუშაობის შეფასებით, თუ რატომ იყო ჯგუფი წარმატებული ან წარუმატებელი. კარგია შეფასების ბარათების გამოყენებაც. კარგად დაგეგმილი განმავითარებელი შეფასებაც მოსწავლეს გააცნობიერებინებს, რატომ დაუშვა შეცდომა და როგორ გამოასწოროს იგი.

კარგია, რომ მეტაკოგნიცია, ანუ სწავლების სწავლება არ არის თვითდინებაზე მიშვებული და მასწავლებლის ნებაზეა დამოკიდებული. ახალი სკოლის მოდელმა ეს ეტაპი კომპლექსური სამუშაოს ნაწილად აქცია. კომპლექსური სამუშაოების მატრიცებში მოცემულია ერთნაირი მოდელი, რომელიც მასწავლებლის ამოცანას უსვამს ხაზს, მაგრამ მასწავლებელმა უნდა მოძებნოს ბავშვისა და სამუშაოსთვის შესაფერისი ლექსიკა, თუ გვინდა, რომ ეს პროცესი გასაგები გახდეს

ბავშვისთვისაც და მასწავლებლისთვისაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი მოსწავლის მოწონებული პასუხი შეიძლება მექანიკურად გაიმეოროს მომდევნო მოსწავლემ და მივიღოთ ახალი შტამპი. გავიმეორებ, ყველაფერი ახლა მასწავლებელზეა დამოკიდებული.

3. ინკლუზიური განათლების შესახებ

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ავლენს სსსმ მოსწავლეების მიმართ, ამიტომ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური მატერიალური თუ საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლის დაცვაც ევალება სკოლას. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სპეციალური საჭიროების განსაზღვრის საქმეში ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი: მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სპეცმასწავლებელი. პირველ რიგში, კვალიფიციური დიაგნოსტიკის მეშვეობით განისაზღვრება, რა კონკრეტულ საჭიროებასთან გვაქვს საქმე. Aამის შესახებ ვრცლადაა საუბარი ესგ-ს VIII თავში. არსებობს შესანიშნავი სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ცხრილები. ყოველ სსსმ მოსწავლეს თავისი შესაფერისი ისგ სჭირდება. Aამჯერად ჩვენ ინკლუზიური განათლებისადმი მიდგომის მთავარ პრინციპებს ჩამოვაყალიბებთ:

სსსმ მოსწავლე უნდა იყოს სასწავლო პროცესში ჩართული;

კომფორტულად გრძნობდეს სოციალურ გარემოში თავს და გრძნობდეს კლასელებისა და პედაგოგების მზრუნველობას;

სსსმ მოსწავლე მხოლოდ სპეცმასწავლებელთან არ უნდა მუშაობდეს;

ისგ ისე უნდა შედგეს, რომ იგი უკავშირდებოდეს საგაკვეთილო პროცესს;

მასწავლებელი თემატურად უნდა გეგმავდეს, როგორ გაუმარტივოს სსსმ მოსწავლეს სამუშაო ან რით ჩაანაცვლოს იგი;

სსსმ მოსწავლე შეძლებისდაგვარად ჩართული უნდა იყოს კლასგარეშე ღონისძიებებში;

სსსმ მოსწავლე უნდა მონაწილეობდეს ჯგუფურ მუშაობაში და ასრულებდეს მისთვის დაძლევად დავალებებს და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი ხედავს და აღიარებს ბავშვის პრობლემებსა და საჭიროებებს, როდესაც იგი თანამშრომლობს სკოლასთან, გონივრული შედეგიც სახეზე იქნება. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. კლასში ზოგჯერ გვეყოლება არაღიარებული სსსმ მოსწავლე, ან, უბრალოდ, სწავლის სიძნელეების მქონე ბავშვი. მასწავლებელს არ აქვს უფლება მშობლის თანხმობის, სპეციალური დასკვნის გარეშე, რომელიმე მოსწავლე აღიაროს ინკლუზიურად, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა დავტოვოთ, რადგან ეს გამოიწვევს მოსწავლის უფრო მეტ ჩამორჩენასა და იზოლირებას. როგორც ვიცით, I-IV კლასებში შეფასება მხოლოდ განმავითარებელია. ამიტომ მასწავლებელმა სტანდარტის მოთხოვნების მინიმუმის გათვალისწინებით, გონივრულ ფარგლებში, უნდა გაუმარტივოს მოსწავლეს პროგრამა და არ დატოვოს საგაკვეთილო პროცესის მიღმა. მის მიმართაც დაიცვას ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, იყოს ობიექტური, მშობელს ხშირად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის ძლიერი მხარეების შესახებ, რა დაძლია და რისი დაძლევა გაუჭირდა, მისცეს რეკომენდაციები, შეფასებისას იყოს ჰუმანური, მოზომილი, მაგრამ ობიექტური. შესაძლოა, ამგვარმა დამოკიდებულებამ მშობელი განაწყოს თანამშრომლობისაკენ. ეს არ იქნება იმ ტიპის პროგრამა, რასაც სსსმ მოსწავლეს უდგენენ, მაგრამ ეს იქნება დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ჩვენი სასწავლო საგნიდან (ქართული ენა) გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რაც მოსწავლეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესში შეიძლება გაუჩნდეს.

ზოგადად, წერა-კითხვის დაუფლების სერიოზულ და მნიშვნელოვან დარღვევაზე მაშინ შეიძლება საუბარი, თუ მოსწავლე კლასის დონეს ორი სასწავლო წლით ჩამორჩება. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა საქმე გვქონდეს ან მნიშვნელოვან გონებრივ ჩამოჩენასთან, ან ისეთ დარღვევასთან, როგორიცაა დისლექსია. დისლექსია ნაწერ ნიშანთა სისტემის კოდირება-დეკოდირების უუნარობაა (იგივე პრობლემა გამოჩნდება ხოლმე რაოდენობრივ ცნობიერებაშიც, დისკალკულიის სახით). დღესდღეობით მისი გამომწვევი მიზეზები ბოლომდე დადგენილი არ არის.

ხშირად წერა-კითხვის დაუფლების პრობლემები ზედაპირზე დევს და ადვილად შესამჩნევია. ასეთი პრობლემების „დადებითი მხარე“ ის არის, რომ ისინი, დროული და სწორი ჩარევის მეშვეობით, ადვილად დაძლევადია.

პირველი, რაც წერა-კითხვის ათვისების შეფერხების შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ, ბავშვს საფუძვლიანად უნდა შევუმოწმოთ მხედველობა და სმენა. მხედველობის ისეთი პრობლემები, როგორებიცაა შორსმხედველობა, ახლომხედველობა, სიელმე, ასტიგმატიზმი, თვალის კუნთის მოდუნება და სხვ., მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წერა-კითხვის პროცესებზე. რაც შეეხება სმენას, სმენის დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს ფონოლოგიური ცნობიერების შეფერხება, ხოლო ფონოლოგიური ცნობიერება წერა-კითხვის ათვისების საფუძველია.

მეორე და მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც ადვილად განხორციელებადია: არ დავაძალოთ ცაცია ბავშვებს მარჯვენა ხელით მუშაობა! ჩვეულებრივ, დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობისათვის წამყვანი ხელია მარჯვენა. ასეთი ადამიანების ტვინი გარემოდან მიღებულ აღქმით ინფორმაციას (მხედველობით, სმენით, შეხებით და სხვ.) მარცხენა ჰემისფეროს მეშვეობით გადაამუშავებს. ცაციების ცენტრალური ნერვული სისტემის თავისებურება კი ის არის, რომ გარემოდან მიღებული აღქმითი ინფორმაციის გადამუშავება მათი ტვინის მარჯვენა ჰემისფეროთი ხდება. ჩვენ რომ ცაციებს მარჯვენა ხელით აქტივობა დავაძალოთ, შემეცნებით დისონანსში ჩავაგდებთ მათ. ეს მაშინვე აისახება წერისა და კითხვის ათვისებაზე, მთლიანად ბავშვის ქცევაზე.

არსებობს წერა-კითხვის ისეთი შეცდომები, რომლებსაც სწავლა-სწავლების დაწყებით საფეხურზე ხშირად ვხვდებით და, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზევით, ადვილად ექვემდებარება გამოსწორებას. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი და შევეხოთ მათი გამოსწორების გზებსაც.

ყველაზე გავრცელებულია ე.წ. პედაგოგიური მიშვებულობა. ამის მიზეზი ის არის, რომ მოსწავლეს ეზარება კითხვა, არ ერთვება აქტიურად გაკვეთილის მსვლელობაში. შესაძლოა, მასწავლებელმა და მშობელმა ეს გვიან შეამჩნიონ და პრობლემა გაღრმავდეს.

ამ პრობლემის თავი და თავი მოტივაციის უქონლობაა – ბავშვი პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში კარგავს კითხვისა და წერის მოტივაციას. ასეთი პრობლემის დაძლევის კარგი საშუალებაა პატარა, ადვილი ტექსტების განმეორებითი კითხვა, მაგრამ განმეორებითი კითხვა უნდა გავაძლიეროთ დამატებითი მოტივით. ამას შევძლებთ წამზომით დროის, მონიშვნით კითხვა. ტექსტის ყოველი შემდეგი წაკითხვა წინაზე უფრო სწრაფად მოხდება. ბავშვიც ჩართული იქნება საკუთარ თავთან ამ ერთგვარ შეჯიბრში (მიაქციეთ ყურადღება, ხომ არ დაიზეპირა ბავშვმა ტექსტი!).

ფონოლოგიური ცნობიერების განუვითარებლობა. ჩვეულებრივ, 6 წლის ასაკისათვის ბავშვების უმრავლესობას შეუძლია გაბმული მეტყველებიდან ცალკეული ბგერების გამოყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე ვერ შეძლებს კონკრეტულ ბგერას კონკრეტული გრაფიკული ხატი – ასო დაუკავშიროს. არის შემთხვევები, როდესაც ამ უნარის ჩამოყალიბება ფერხდება და ბავშვს სპეციალური დახმარება სჭირდება. ჩვენ გთავაზობთ მთელ რიგ ფონეტიკურ ვარჯიშებს, რაც წერა-კითხვის სწავლების ჩვენი მეთოდით არის გათვალისწინებული და ამგვარ პრობლემას თავიდან აგვაცილებს. ეს ვარჯიშები შედის პირველი კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოში. ესენია: ფონეტიკური წყვილების შედარება-განსხვავება, ერთ ბგერაზე დაწყებული სიტყვების დასახელება, ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება. ამას შეიძლება დავუმატოთ სიტყვების ბგერებად დაშლის ამოცანაც.

ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება შეიძლება შეფერხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვს მეტყველების სპეციფიკური პრობლემები აქვს. აქ საქმეში ლოგოპედი უნდა ჩავრთოთ.

ჩვენ გავითვალისწინეთ აგრეთვე ისეთი ტიპური შეცდომები, როგორებიცაა სიტყვის გამთლიანებით ამოკითხვის პრობლემა, სარკისებრი ასოების აღრევა და ბადეში ასოების არასწორად ჩაწერა (გამომწვევი მიზეზი – ჩამოუყალიბებელი სივრცითი მიმართებები), გამოცნობით კითხვა (გამომწვევი მიზეზი – კითხვაში გაუმართლებელი აჩქარება), კითხვისას ასოების გამოტოვება (მიზეზი – თვალის არათანმიმდევრული მოძრაობა) და სხვ.

ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, პირველი და მეორე კლასის მოსწავლეთა სამუშაო რვეულებში შეტანილია სპეციალური სავარჯიშოები.

წერა-კითხვის სწავლება-სწავლის სწორად წარმართვის შემთხვევაში, მოსწავლეები მეოთხე კლასის დასასრულისათვის კითხულობენ და წერენ გამართულად და თავისუფლად იყენებენ ამ უნარებს სხვა სასკოლო საგნების დასაუფლებლად.

მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის გაწერილი თითოეული თემა თავისი აქტივობებით, რომელიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს და მივყავართ კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნამდე. ვფიქრობთ, ვრცლად წარმოდგენილი თემატური მატრიცები არცერთ კითხვას არ დატოვებს პასუხგაუცემელს.

წინასაანბანო პერიოდი

<table>
<tr><td colspan="4">**თემა 1. პირველი დღე სკოლაში**
საათების სავარაუდო რაოდენობა: 14</td></tr>
<tr><td colspan="4">**თემაში გამოყენებული ტექსტი: გ. ბედოშვილის ზღაპარი „აპრილიდან აპრილამდე“, I ნაწილი**
ნ. ჯანაშიას ლექსი „დათვის ბელი“</td></tr>
<tr><td colspan="4">**სხვა რესურსი:**
მოსწავლის წიგნი – აღსაწერი სურათები, გვ. 3, 4, 5.
გამოყენებული ტექსტები; იხილეთ დანართი N1.
მიზნობრივი თამაში „გავიცნოთ ერთმანეთი“, „ვიპოვოთ განსხვავებული საგანი“ (იხილეთ დანართი N 2)
სავარჯიშოები მოსწავლის რვეულიდან, გვ. 3, 4.

რესურსი კომპლექსური დავალებისთვის – მოსწავლის რვეული, გვ. 4.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">საკითხები</td></tr>
<tr><td>**სამიზნე ცნებები**</td><td>**1.** სურათზე ასახული საკლასო ოთახის აღწერა ზეპირად</td><td>**2. საკითხი:** გ. ბედოშვილის ზღაპრის „აპრილიდან აპრილამდე“ პერსონაჟების – ბიბოს და ბუბას პირველი დღის დახატვა ტყის „საკლასო ოთახში“</td><td>3. ქართული ანბანის გაცნობა; ასოსა და ბგერის ურთიერთშესაბამისობის დაფიქსირება</td></tr>
<tr><td>**ტექსტი** (ჟანრები)
(შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

ქვეცნებები:
არამხატვრული ჟანრი – საინფორმაციო-ყოფითი ტექსტი – აბრა.
შინაარსი,
სტრუქტურა/აგებულება,
ენა,
სტრატეგია</td><td></td><td>**ქვესაკითხები:**
გ. ბედოშვილის ზღაპრის ,,აპრილიდან აპრილამდე“ თემა, იდეა ეპიზოდი, პერსონაჟები, ახალი სიტყვები

გაგების სტრატეგიები</td><td></td></tr>
<tr><td>**სიტყვა, წინადადება, ტექსტი**
(შედეგები: (I). 4, 5, 6)
ქვეცნება: აღწერა, სტრუქტურა/აგებულება, ენობრივი საშუალებები</td><td>**ქვეცნებები**: აღწერის შემადგენელი ნაწილები, ნიშან-თვისებების ,ადგილ-მდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>**წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა**
(ფონოლოგიური უნარების განვითარება)
ქვეცნებები</td><td></td><td></td><td>**ქვესაკითხები**:
წარმოთქმული სიტყვები, ქართული ანბანის ასოები, ბგერები</td></tr>
</table>

ბგერა, წარმოთქმული მარცვალი, სიტყვა			
	1. კომპლექსური დავალება: საკლასო ოთახის აღწერა ზეპირად.	**2. კომპლექსური დავალება:** ბიბოს და ბუბას პირველი დღე ტყის საკლასო ოთახში (ეპიზოდის დახატვა).	**3. კომპლექსური დავალება:** ქართული ანბანის გაცნობა; ასოსა და ბგერის ურთიერთშესაბამისობის დაფიქსირება.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება:** აღწერა აღწერის მახასიათებლები **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:** **მოსწავლე აცნობიერებს, რომ** 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**საკითხი:** საკლასო ოთახის აღწერა ზეპირად **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები); ნიშან-თვისების, ადგილ-მდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ აღვწერო საკლასო ოთახი ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს? როგორ გამოვკვეთო ნიშან-თვისებებისა და ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები? **კომპლექსური დავალება:** ➢ ისე აღწერე საკლასო ოთახი, რომ მსმენელს ნათლად წარმოუდგეს, თუ როგორია იგი.
	შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები <u>ნამუშევრის აღწერისას წარმოაჩინე:</u> • საკლასო ოთახის რომელ ნაწილში რა დგას (ოთახის შუაში, კედლებზე, კედელთან, მაგიდებზე), როგორია – რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის) (ს.1, 2, 3) • ვინ არიან სურათზე გამოსახულნი, როგორ გამოიყურებიან. სად არის თითოეული და რას აკეთებს, რა აცვია (ს.1. 2.).

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
(კონკრეტული კომპლექსური დავალება ხორციელდება სკოლის დაწყების პირველივე დღეებში, ამიტომ დავალების პირველ ეტაპზე, მათი სასკოლო გარემოში ადაპტაციისა და საჭირო წინარე ცოდნის უზრუნველყოფის მიზნით ვახორციელებთ დამატებით აქტივობებს).

(დაზუსტება, რას ველით მათგან, რას უნდა ელოდნენ ჩვენგან, ემოციური დაცულობის განცდის შექმნა)

- თავისი სიტყვებით ვინ ახსნის, რას მოითხოვს დავალება თქვენგან? რა უნდა შექმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რამის დამატება?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა და წარდგენა

ნაბიჯი 1. საკლასო ოთახი – ოთახის რომელ ნაწილში რა დგას (ოთახის შუაში, კედლებზე, კედელთან, მაგიდებზე), როგორებია – რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის) (ს.1, 2, 3)

ქვესაკითხი: სასკოლო გარემო; საკლასო ოთახის აღწერა.

აქტივობები, რესურსები

აქტივობა 1. გაცნობა (მასწავლებელი აცნობს თავს).

აქტივობა 2. მიზნობრივი თამაში ,,გავიცნოთ ერთმანეთი".

აქტივობა 3. სურათის აღწერა – სურათზე მოცემული ნივთების კლასიფიკაცია.

რესურსი 1. მასწავლებლის წიგნი

მიზნობრივი თამაში ,,გავიცნოთ ერთმანეთი" (დანართი N2)

აქტივობა 4. სურათის აღწერა – ,, ჩვენი საკლასო ოთახი"

რესურსი 2 აღსაწერი სურათი ,,ჩვენი საკლასო ოთახი" **–** (იხ. მოსწავლის წიგნი გვ. 4-5)

აქტივობა 5. სურათის აღწერა – საგნების კლასიფიკაცია

რესურსი 3. საკლასო ოთახი და მასში არსებული საგნები

აქტივობა 6. ზეპირი სავარჯიშო – საკლასო ოთახში არსებული საგნების აღწერა ფერის, ფორმის, ზომის, ადგილმდებარეობის მიხედვით.

აქტივობა 7. აღსაწერ სურათზე მინიშნებების პოვნა და პარალელების გავლება საკლასო ოთახის აღწერილობასთან.

აქტივობა 8. ,,ვიპოვოთ განსხვავებული საგანი"

რესურსი 4. ილუსტრაცია (იხ. მოსწავლის წიგნი გვ. 4)

- რა კიდია წინა კედელზე? მარჯვენა კედელზე?
- რა დევს მაგიდაზე, მერხზე, თაროზე?
- ყველაზე პატარა წიგნი რა ფერისაა?
- რას ხედავთ ფანჯრის მარცხნივ? მარჯვნივ?
- რას ხედავთ სურათზე დაფის წინ? დაფის ზემოთ? მაგიდის წინ? რამდენი მერხია? მაგიდა რამდენია?
- მაგიდაზე რა დგას? მერხზე რა დევს? თაროზე რა დევს? თაროში?
- ფანჯრის რაფაზე რას ხედავთ? რას ვუწოდებთ ამ საგანს? როგორია ის? რა ფერისაა? დიდია თუ პატარა?
- თქვენი აზრით, რომელი კლასის მოსწავლეების საკლასო ოთახია? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა დგას საკლასო ოთახში? რამდენი სკამია? მერხი?
- რით ჰგავს და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან შენი საკლასო ოთახი და სურათზე გამოხატული საკლასო ოთახი ერთმანეთისგან?
- რა არის ჩვენ საკლასო ოთახში ისეთი, რომელიც ილუსტრაციაზე არ ჩანს?
- როგორ აღწერდი შენს საკლასო ოთახს?
- ვის მერხთან უფრო ახლოსაა დაფა?
- ვინ ზის ფანჯარასთან ახლოს? შორს?

- რა დგას დაფის მარცხნივ? მარჯვნივ?
- რა გამოიყენე აღწერის დროს – ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გამოიყენე? (მაგ., მარჯვნივ, მარცხნივ, გვერდით, უკან, ზემოთ, ახლოს, შორს).
- რა დეტალებზე გაამახვილე ყურადღება? რით გაამდიდრე მოკლე აღწერა?
- რა დაგვეხმარა აღწერის გაუმჯობესებაში? რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ნათლად აღვწეროთ საგანი?

აქტივობა 9. მოკლე აღწერის დეტალებით გამდიდრება

მაგალითი: საწყისი წინადადება – კედელზე დაფა კიდია.
რომელ კედელზე კიდია დაფა? (მარჯვენა, უკანა, წინა)
როგორია დაფა? (დიდი, პატარა, მწვანე, მაგნიტური)
რამე ხომ არ არის მიმაგრებული დაფის თავზე?
რა განსხვავებაა სურათზე მოცემულ დაფასა და ჩვენ საკლასო ოთახში არსებულ დაფას შორის?

საბოლოო (ერთ-ერთი შესაძლო) ვარიანტი –
საკლასო ოთახის წინა კედელზე დიდი, მწვანე, მაგნიტური დაფა კიდია. დაფის თავზე მიმაგრებულია ანბანი. (იმავე პრინციპით მოხდება საკლასო ოთახში არსებული სხვა ნივთების აღწერა)

საკლასო ოთახის ზეპირად აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

- ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერილი სურათი მკითხველისთვის?
- აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები**: მხატვრული ჟანრი – ზღაპარი ტექსტის შინაარსობრივი მხარე – თემა, იდეა ეპიზოდები, პერსონაჟები გაგების სტრატეგია	**საკითხი:** გ. ბედოშვილის ზღაპრის „აპრილიდან აპრილამდე“ პერსონაჟების – ბიბოს და ბუბას პირველი დღის დახატვა ტყის „საკლასო ოთახში“. **ქვესაკითხები:** გ. ბედოშვილის ზღაპრის ,,აპრილიდან აპრილამდე“: თემა, იდეა ეპიზოდები, პერსონაჟები, ზღაპრის ჟანრული მახასიათებლები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**გაგების სტრატეგიები** – ზღაპრის მინიშნებების ურთიერთდაკავშირების საფუძველზე დასკვნების გამოტანა; ვარაუდების გამოთქმა და გადამოწმება. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხი გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ წარმოვაჩინო პერსონაჟების – ბიბოს და ბუბას პირველი დღე ტყის ,,საკლასო ოთახში“? **1. კომპლექსური დავალება:** ეპიზოდის დახატვა. ბიბოს და ბუბას პირველი დღე ტყის „საკლასო ოთახში; ➢ გ. ბედოშვილის ზღაპარში – „აპრილიდან აპრილამდე“ მოცემულ მინიშნებებზე დაყრდნობით წარმოიდგინე და დახატე პირველკლასელი ტყუპების – ბიბოს და ბუბას პირველი დღე ტყის „საკლასო ოთახში“. ➢ ნამუშევარში ასახე: როგორია „საკლასო ოთახი“, ვინ სად ზის.
	შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე: • რით უკავშირდება შენი ნახატი ტექსტის ეპიზოდს, ბიბოსა და ბუბას პირველი დღე ,,ტყის საკლასო ოთახში“, რა დაგამახსოვრდა ტექსტიდან, რაც გამოიყენე ნახატის შესაქმნელად (ტ. 1, 2, 3); • რითია ეს ეპიზოდი შენთვის საინტერესო, რას გახსენებს იგი (ტ. 1); • როგორია პირველკლასელების, ბიბოსა და ბუბას განწყობილება (მაგ., მხიარულები არიან, გაოცებულები, ბედნიერები, გაბრაზებულები, დაღლილები...); ვინ არის კიდევ საკლასო ოთახში?

I ეტაპი. დავალების პირობის გაცნობა

(დაზუსტება, რას ველით მათგან, რას უნდა ელოდნენ ჩვენგან, ემოციური დაცულობის განცდის შექმნა)

- თავისი სიტყვებით ვინ ახსნის, რას მოითხოვს დავალება თქვენგან? რა უნდა შექმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რაიმეს დამატება?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

ნაბიჯი 1. რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად

ქვესაკითხი: გაგების სტრატეგია;

აქტივობები, რესურსები

რესურსი 1. ილუსტრაცია ,,ვემზადები სკოლისთვის“ (იხ. მოსწავლის წიგნი)

აქტივობა 1. პირადი გამოცდილებისა და ილუსტრაციის ,,ვემზადები სკოლისთვის“ მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა:

- როგორ ჩაიარა თქვენმა პირველმა დღემ სკოლაში?
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რა არ მოგეწონათ?
- და დაგამახსოვრდათ?
- რა უამბეთ მშობლებს სკოლიდან დაბრუნების შემდეგ?
- რას გრძნობდით დღეს, დილით, როდესაც სკოლაში მოდიოდით?
- რა ნივთებს ხედავთ სურათზე?
- როგორ ემზადება სურათზე გამოსახული ბიჭი სკოლისთვის?
- რომელი ნივთები უნდა ჩაალაგოს ბიჭმა სკოლაში წასვლის წინ?
- რა შეიძლება ეწოდოს ყველა ამ ნივთს ერთად?
- რისთვისაა ეს ნივთები საჭირო?
- როგორ გადაანაწილებდით ამ ნივთებს?
- გარდა სურათზე ნაჩვენები ნივთებისა, კიდევ რა შეიძლება ბიჭმა ჩადოს ჩანთაში? რატომ? რისთვის დასჭირდება?
- თქვენ რა ნივთები დაგაქვთ სკოლაში? თავად ჩაილაგეთ თუ დაგეხმარათ ოჯახის რომელიმე წევრი?
- ახლა რა ნივთები გიდევთ ჩანთაში? (ამოალაგებენ ჩანთიდან ნივთებს და დაასახელებენ მათ სახელებს)
- რომელია სურათზე ის ნივთები, რომლებიც თქვენც გაქვთ/არ გაქვთ?

რესურსი 2. ნათია ჯანაშიას ლექსი ,,დათვის ბელი“

აქტივობა 2. ლექსის ,,დათვის ბელი“ წაკითხვა. ტექსტის გაგებაზე მუშაობა.

- თქვენი აზრით, რის შესახებ იქნება ლექსი?
- რა არის ბელი?
- სად მიდიოდა დათვის ბელი?
- თან რა მიჰქონდა მას ?
- რას არის პანტა, მოცხარი?
- როგორი იყო მისი ჩანთა?
- საიდან ჩანს, რომ დიდი იყო დათვის ბელის ჩანთა?
- რატომ დააქვთ სკოლაში ჩანთა?
- დათვის ბელს რა ედო ჩანთაში?
- რატომ არ ელაგა მის ჩანთაში წიგნები?
- როგორ მიდიოდა დათვის ბელი?
- რას ნიშნავს „ზოზინით მიუყვება“ ? თქვენ როგორ მიდიხართ სკოლაში? ნელა, ზოზინით თუ სწრაფად, მარდად?
- მიუსწრებს დათვის ბელი გაკვეთილებს?
- როგორ ფიქრობ, უხაროდა ბელს სკოლაში წასვლა?
- შენი აზრით, როგორია დათვის ბელი?
- რა უნდა ჩაელაგებინა ბელს ჩანთაში?

ნაბიჯი 2. რით უკავშირდება შენი ნახატი ტექსტის ეპიზოდს, ბიბოს და ბუბას პირველ დღე ტყის საკლასო ოთახში, რა დაგამახსოვრდა ტექსტიდან, რაც გამოიყენე ნახატის შესაქმნელად (ტ. 1, 2, 3); რითია ეს ეპიზოდი შენთვის საინტერესო, რას გახსენებს იგი (ტ. 1); რატომ დაასათაურე ნახატი ასე (ტ. 1).

ქვესაკითხი: გ. ბედოშვილის ზღაპრის ,,აპრილიდან აპრილამდე“- 1 ნაწილი: თემა, იდეა ეპიზოდები, პერსონაჟები, ზღაპრის ჟანრული მახასიათებლები

აქტივობა 1. ზღაპრის წაკითხვა ვარაუდების გამოთქმით
რესურსი 1. მასწავლებლის წიგნი. ზღაპარი ,,აპრილიდან აპრილამდე“

- როგორ ფიქრობ, ვინ იქნებიან ჩვენი ზღაპრის პერსონაჟები? **(რეს.3 აქტ. 7)**

- სად და როდის მოხდება მოქმედება? რა მოხდება?
- რატომ ფიქრობ ასე?

I პაუზა. „... ტყის ბინადრებმა ახლად ამწვანებულ და აბიბინებულ სკოლასთან მოიყარეს თავი...“

- როგორ იწყება ეს ამბავი?
- ვინ იცის, რა ამბავი იწყება ასე – „იყო და არა იყო რა“?
- რას გვიყვება ამბის დასაწყისი?
- რა იყო მოწყობილი ნაკაფიანის ტყეში?
- რომელი პერსონაჟი გავიცანით პირველ ეპიზოდში?
- როდის იწყებოდა სწავლა ნაკაფიანის ტყეში?
- ჩვენ შემოდგომაზე დავიწყეთ სწავლა, ცხოველებმა – გაზაფხულზე.
- როგორი წარმოგიდგენიათ ცხოველების სასკოლო გარემო? როგორი მერხები ექნებათ მათ? როგორი იქნება მათი დამოკიდებულება სწავლის მიმართ? რომელი ცხოველები და ფრინველები შეიძლება იყვნენ პირველკლასელები?
- რატომ ფიქრობ ასე?

II პაუზა. „...ძია თომამ მშობლები რის ვაი-ვაგლახით დააწყნარა, მუხის ჯირკზე შესკუპდა და ხმამაღლა დაიბუბუნა“:

- რას გვიყვება ამბის შემდგომი მონაკვეთი?
- სინამდვილეში, ვინ ყოფილან ნაკაფიანის ტყის მოსწავლეები?
- გამართლდა თქვენი ვარაუდი სასკოლო გარემოსა და პირველკლასელებთან დაკავშირებით?
- ვინ იყვნენ პირველკლასელები?
- სინამდვილეში, როგორ მერხებზე ისხდნენ ცხოველები?
- რას ფიქრობდნენ პირველკლასელები?
- როგორ იქცეოდნენ მეორე-მესამეკლასელები?
- რა უსურვა ძია თომამ მშობლებს?

აქტივობა 2. ახალი სიტყვების დამუშავება:

- <u>რა უნდა მოვიმოქმედო, თუკი არ მესმის სიტყვის მნიშვნელობა?</u>
- <u>როგორ დავიმახსოვრო ახალი სიტყვები?</u>
- <u>როგორ გავიმდიდრო ლექსიკური მარაგი?</u>
- **თვალუწვდენელი –** თუ გსმენიათ ეს სიტყვა? რას ნიშნავს? სხვანაირად როგორ ვიტყვით ამ სიტყვას? რა შეიძლება იყოს თვალუწვდენელი?
- **ჩინებული –** თუ გსმენიათ ეს სიტყვა? რას ნიშნავს? სხვანაირად როგორ ვიტყვით ამ სიტყვას? რა შეიძლება იყოს ჩინებული? შეადგინე წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.
- **ახო** – რა შეიძლება იყოს ახო? შეადგინეთ 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით (აჩვენებს სურათს).
- **ბინადარი** – რას ნიშნავს ბინადარი? რომელი სიტყვა შედის ამ სიტყვის შედგენილობაში? თქვენი აზრით, უკავშირდება თუ არა ამ სიტყვის მნიშვნელობა „ბინას? შეადგინეთ 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.
- **ტანმორჩილი** – რას ნიშნავს ტანმორჩილი? რომელი სიტყვები შედის ამ სიტყვის შედგენილობაში? შეადგინეთ 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.
- **ჯირკი** – როგორ გესმით ჯირკი? სხვანაირად როგორ იტყოდით ამას?
- **ცინდალი –** გსმენიათ ეს სიტყვა? სად? სხვანაირად რა ჰქვია ცინდალს? ხომ არ გყავთ შინ? (ასე დამუშავდება სიტყვები: **დაიბუბუნა, ბაკანი და ა. შ.)**

აქტივობა 3. ზღაპრის წაკითხვა (გამთლიანებული).

აქტივობა 4. ტექსტის შინაარსის გააზრება კითხვებით

- რა ჰქონდა ნაკაფიანის ტყეში მოწყობილი ძია თომას?
- როდის იწყებოდა ამ სკოლაში სწავლა?
- ვინ სწავლობდა ნაკაფიანის სკოლაში?
- როგორი იყო ნაკაფიანის სკოლა?

- როგორი მერხები იდგა? რაზე უნდა დამსხდარიყვნენ მოსწავლეები?
- ვინ იყვნენ პირველკლასელები და რა ეჩქარებოდათ მათ?
- რა უთხრა ძია თომამ მშობლებს?
- სად შეიყვანა ძია თომამ თავისი მოსწავლეები?

აქტივობა 5. იდეების ორგანიზება

- გაიხსენეთ, პერსონაჟები ბუბა და ბიბო როგორ საკლასო ოთახში შეიყვანა ძია თომამ?
- სად იყო სკოლა, საკლასო ოთახი?
- როგორი მერხები და სკამები იდგა კლასში?
- ვინ სწავლობდა მათთან ერთად?
- უხაროდათ ბიბოსა და ბუბას სკოლაში ყოფნა თუ არა?
- ვისი შვილები იყვნენ ბიბო და ბუბა?
- როგორ გამოიყურებიან ისინი, როგორი გარეგნობა აქვთ მათ?

წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი და დახატეთ, როგორი იქნებოდა ბიბოსა და ბუბას პირველი დღე სკოლაში.

დავალებაზე მუშაობა და პრეზენტაცია

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ დააკავშირე ნახატი ტექსტის ეპიზოდთან?
- როგორ დაასათაურე ნახატი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3**
სამიზნე ცნება: წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (ფონოლოგიური უნარები) **ქვეცნებები :** ასო, ბგერა, წარმოთქმული სიტყვა	**საკითხი:** ქართული ანბანის გაცნობა, ასოსა და ბგერის ურთიერთშესაბამისობის დაფიქსირება. **ქვესაკითხი**: ქართული ანბანის ასოები, ბგერები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ დავშალო წარმოთქმული სიტყვა ბგერებად? როგორ მივხვდე, რომ ერთ ასოს ერთი ბგერა შეესაბამება? რამდენი ბგერა და რამდენი ასოა სიტყვაში?

	კომპლექსური დავალება: ქართული ანბანის გაცნობა; ასოსა და ბგერის ურთიერთშესაბამისობის დაფიქსირება; ➢ რა ხატია სურათზე? დათვალე ნახატის ქვეშ მიწერილი სიტყვის ასოების რაოდენობა, რამდენი ბგერა იქნება ამავე სიტყვაში. ➢ იპოვე და შემოხაზე ერთნაირი ასოთა რაოდენობის მქონე სიტყვები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები – ბგერებისგან. 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** • როგორ დათვლი ბგერებს ნახატებით წარმოდგენილ სიტყვებში? (წ. 1); • როგორ უკავშირდება ასოები და ბგერები ერთმანეთს? • რამდენი ბგერაა თითოეულ სიტყვაში? (წ.2) • რამდენი ასოა თითოეულ სიტყვაში (წ. 2). საიდან მიხვდი?

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. მოტივირება

ქართული ანბანის, ანბან-პლაკატის გაცნობა; მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენა კითხვა-პასუხით.

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

რესურსები, აქტივობები:

ნაბიჯი 1. ასოები და ბგერები წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებში (წ. 3);

ქვესაკითხი: ქართული ანბანის ასოები, ბგერები

რესურსი 1: ანბან-პლაკატი.

აქტივობა 1. ქართული ანბანის წაკითხვა ექოს პრინციპით.

ასოსა და ბგერის ურთიერთშესაბამისობის დადგენა.

ა – რა ასო წარმოვთქვი? დააკვირდით დაწერილ ანბანში რომელი ასო მივუთითე? (რამდენჯერმე გავიმეოროთ ეს აქტივობა).

ბგერა წარმოითქმის, ასო იწერება.

დააკვირდით, თითო ასოს რამდენი ბგერა შეესაბამება? – თითო ასოს თითო ბგერა შეესაბამება.

ნაბიჯი 1. როგორ დათვლი ბგერებს ნახატით წარმოდგენილ სიტყვებში? (წ. 1); რამდენი ასოა თითოეულ სიტყვაში? (წ. 2).

ქვესაკითხი: სიტყვა და ასო; ბგერისა და ასოს რაოდენობა სიტყვაში

აქტივობა 2. ასოების რაოდენობის დადგენა სიტყვაში – ვარჯიში ექოს პრინციპით.

აქტივობის აღწერა: დაიწეროს დაფაზე სიტყვა. დავადგინოთ რამდენი ასოა მასში (სიტყვა უნდა იყოს მოკლე). მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ითვლიან თითებით წარმოთქმული, ბგერებად დაშლილი სიტყვის ასოების რაოდენობას ექოს პრინციპით, შემდეგ თვლიან დაფაზე დაწერილი სიტყვის ასოთა რაოდენობას;
(რამდენჯერმე გავიმეოროთ ეს აქტივობა).

აქტივობა 3. მუშაობა კომპლექსურ დავალებაზე (**რვეული გვ. 4**)

დავალების მესამე ნიმუშს ერთად შეასრულებენ მასწავლებელი და მოსწავლეები.
ვნახოთ, რა ხატია და რა წერია მესამე დავალებაში:

- რა ხატია პირველ ნახატზე და რა წერია?
- ხატია ხე და წერია ხე? დავთვალოთ ასოები.
  ასე დავამუშაოთ მე-3 ვარიანტის ყველა სიტყვა.

აქტივობა 4. ამ სიტყვებში ორი სიტყვა ყველაზე დიდია – ხუთასოიანია
 დააკვირდით, რომელია ყველაზე დიდი სიტყვა? შევამოწმოთ, ხომ არ შეგვეშალ, დავთვალოთ ასოები, გამოვიდა – ხუთი.
რამდენი ბგერა იქნება ამ სიტყვაში? – ხუთი, რადგან ქართულ სიტყვაში, რამდენი ასოცაა, იმდენი ბგერაა.
შევამოწმოთ – დავშალოთ ბგერებად და თითებით დავთვალოთ.
მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ პირველ და მეორე დავალებას.
შემდეგ განიხილება დავალება (იგულისხმება, რომ ერთად შეასრულებენ დავალებას ზემოთ განხილული პრინციპით) და შეცდომის შემთხვევაში მოსწავლეები რვეულში ასწორებენ შეცდომას.
კოპლექსური დავალების რესურსი ჩართულია წინასაანბანო ნაწილის ბოლოს

ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ დააკავშირე ნახატი ტექსტის ეპიზოდთან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

დანართი N1

აპრილიდან აპრილამდე

(ეპიზოდი)

იყო და არა იყო რა, ერთი თვალუწვდენელი და მშვენიერი ტყის უკეთესი რა იქნებოდა. ამ თვალუწვდენელ და მშვენიერ ტყეს დიდი და პატარა ნაკაფიანის ტყეს ეძახდა. ნაკაფიანის ერთ პატარა ახოში ტყის ბინადართა შვილებისათვის ძია თომას ჩინებული სკოლა ჰქონდა მოწყობილი. ძია თომა ტანმორჩილსა და ღონიერ-გონიერ დათუნიას ერქვა.

ნაკაფიანში სწავლა პირველ აპრილს იწყებოდა და ტყის ბინადრებმა შვილებიანად ახლად ამწვანებულ და აბიბინებულ სკოლასთან მოიყარეს თავი. გაზაფხულის შხაპუნა წვიმებს საკლასო მერხები ისე საგულდაგულოდ ჩამოერეცხა და გაესუფთავებინა, რომ პირველკლასელებს ერთი სული ჰქონდათ, სანამ ამ ლამაზ ჯირკებს შემოუსხდებოდნენ. მეორე-მესამეკლასელებს თავი უკვე დიდებად მოჰქონდათ და ჯირკებს ზედაც აღარ უყურებდნენ, განზე გამდგარიყვნენ და ერთიმეორეს ზამთარში გატარებულ დღეებზე უყვებოდნენ.

პირველკლასელები სამნი იყვნენ: მელაკუდას მოუსვენარი ცინდალი და ქალბატონ ბუს ტყუპები – ბიბო და ბუბა.

ძია თომამ მშობლები რის ვაი-ვაგლახით დააწყნარა, მუხის ჯირკზე შესკუპდა და ხმამაღლა დაიბუბუნა:

– გილოცავთ პირველი აპრილის მობრძანებას! ვუსურვებ თქვენს შვილებს კარგად სწავლასა და ყველა ხიფათის აცილებას.

– გმადლობთ, თომავ, გმადლობთ! – დაიძახეს აქეთ-იქიდან.

– ძია თომამ მოწაფეები ყვავილების სურნელით სავსე კლასში შეიყვანა.

გ. ბედოშვილი

დათვის ბელი

- დათვის ბელი სად მიდის
ამოდენა ჩანთით?
- სად მიდის და სკოლაში.
- თან რა მიაქვს?
- თაფლი!
- კიდევ?
- ბლომად მოცხარი,
ამდენივე პანტა,
წიგნებისთვის ჩანთაში
ადგილი არ დარჩა.
თანაც ისე ზოზინით
მიუყვება ბილიკს,
სადაცაა გამოვა
ბოლო გაკვეთილიც.

ნათია ჯანაშია

დანართი N2

თამაში – გავიცნოთ ერთმანეთი:

თითოეული მოსწავლე გამოდის და ამბობს თავის სახელსა და გვარს. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ერთმანეთს ესალმებიან და ულოცავენ სკოლაში წასვლას.

მაგ.: – მე ვარ გიორგი მიქაძე.

– გამარჯობა, გიორგი. გილოცავთ, შენ უკვე პირველკლასელი ხარ.

ეს მარტივი თამაში, ერთი მხრივ, ეხმარება ბავშვებს ერთმანეთის სახელის დამახსოვრებაში, აფიქსირებინებს მოსწავლეს თავის ახალ სოციალურ მდგომარეობას. იგი აძლევს ბავშვს წარდგენის (პრეზენტაციის) უმარტივეს უნარს და ხელს უწყობს ჯგუფთან ურთიერთობის ჩვევის განვითარებას. თამაში – „მეგობრობის წრე“

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად დგება წრეში. თავად იწყებს: „მე ვარ ნინო მიქელაძე", შემდეგ კი ავალებს ბავშვებს თანმიმდევრობით დაასახელონ თავიანთი სახელი. თან აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას: „შეეცადეთ, დაიმახსოვროთ თქვენი მეგობრების სახელები. ყურადღება მიაქციეთ, ვინ დგას თქვენ გვერდით". შემდეგ მოსწავლეები გაუშვებენ ერთმანეთს ხელს. მასწავლებელი აწევს მარჯვენა ხელს და ამბობს: „მე ავწიე მარჯვენა ხელი", იგივეს სთხოვს მოსწავლეებსაც; შეამოწმებს, ყველამ მარჯვენა ხელი ასწია თუ არა; შემდეგ კი რიგრიგობით ასახელებინებს, ვინ დგას მათ მარჯვნივ. ისევ იწყებს მასწავლებელი: „ჩემგან მარჯვნივ დგას თამუნა, თამუნა, ვინ დგას შენგან მარჯვნივ, დაასახელე" და ა.შ. იგივე გამეორდება მარცხენა მხარის დაფიქსირებითაც.

ეს თამაშიც, ერთი მხრივ, ემსახურება მოსწავლეების ურთიერთგაცნობას, მეორე მხრივ, ჯგუფში ადაპტაციას. ამასთან ერთად, დგას სივრცითი მიმართულებების გავარჯიშების ამოცანაც.

თამაში – „ვიპოვოთ განსხვავებული სიტყვა":

მასწავლებელი თავდაპირველად მთელ კლასს აძლევს მარტივი კლასიფიკაციის ჩამონათვალს და წინასწარ მიუთითებს, რომ ჩამონათვალში შეურევს ერთ განსხვავებულ სიტყვას, რომელზედაც ბავშვებმა უნდა შემოჰკრან ტაში.

მაგალითად: „მე ჩამოგითვლით ბოსტნეულს, თუ რომელიმე სიტყვა არ იქნება ბოსტნეული, ტაში შემოჰკარით. კომბოსტო, სტაფილო, ვარდი, ხახვი, ჭარხალი, ბადრიჯანი".

შემდეგ კლასს დაყოფს გუნდებად და ასეთ ინსტრუქციას აძლევს:

– მე ჩამოვთვლი ხილს. თქვენ დაიმახსოვრეთ და შემდეგ დაასახელეთ ის სიტყვები, რომლებიც შემეშლება და არ იქნება ხილი. სანამ პასუხს მეტყოდეთ, შეთანხმდით, რომელი არ არის ხილი. პასუხებს ნუ წამოიძახებთ. თამაშის ბოლოს ყველა ჯგუფი გამცემს პასუხს.

გუნდებს ეძლევათ 4 სიტყვა, ერთი განსხვავებული. ყველა გუნდს ეძლევა თავისი ვარიანტი,

მაგალითად: 1) მსხალი, თუთა, ნიორი, კომში; 2) ალუბალი, პომიდორი, ქლიავი, ტყემალი; 3) ლეღვი, გარგარი, ბადრიჯანი, ბალი; 4) ვაშლი, ატამი, ბალი, კიტრი.

სასურველი იქნება, თუ ამ თამაშისთვის ნახატებიან ბარათებს მოვამზადებთ. ასეთ შემთხვევაში სიტყვების დასახელებასთან ერთად მასწავლებელი მოსწავლეებს ბარათებსაც დაურიგებს.

კომპლექსური დავალება №1

დაასახელე, რა ხატია. დააკვირდი წარწერას თითეულ მწკრივში. შემოხაზე ის სიტყვები, რომლებშიც ასოების ერთნაირი რაოდენობაა:

1

ია

იხვი

ბუ

ირემი

2

დროშა

უთო

ნავი

მზე

3

ხე

ჩანთა

ზარი

ქოლგა

თემა 2. ჩვენი გაკვეთილები **საათების სავარაუდო რაოდენობა: 7**
თემაში გამოყენებული ტექსტი: **ლექსები – მარი დიერიას ,,მინდა ვხატო“, მაია წიგნაძე – ,,დაირეკა სკოლის ზარი“, ნინია კაპანაძის ,,სკოლა“, გივი ჭიჭინაძის ,,ვისწავლოთ ანგარიში“.**
სხვა რესურსები **მასალა სახელმძღვანელოდან : თემატური ილუსტრაციები ; გვ. 4, 5, 6, 7, 8.** **სავარჯიშოები საკლასო სამუშაოების რვეულიდან, გვ. 5.** **რესურსი კომპლექსური დავალებისთვის, მოსწავლის რვეული, გვ. 6.**

სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** მარი დიერიას ლექსის ,,მინდა ვხატო“ შინაარსის მიხედვით ნახატის შექმნა	**საკითხი 2.** წებოვანი ლოგოებით შექმნილი გაკვეთილების ცხრილის აღწერა	**საკითხი 3.** სიტყვების ბარათზე დაყრდნობით სიტყვების დაშლა ბგერებად
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მხატვრული ტექსტი – ლექსი; ტექსტის შინაარსობრივი მხარე – თემა, შინაარსი, მნიშვნელოვანი დეტალების, გაგების სტრატეგია	**ქვესაკითხები:** ლექსის ,,მინდა ვხატო“თემა, შინაარსი, მნიშვნელოვანი დეტალი		
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება**: **აღწერა** ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სიტყვები		**ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტე-ბი (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების, ადგილ-მდებარეობის კატეგორიები)	
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნებები**: ბგერა და წარმოთქმული სიტყვა			**ქვესაკითხები:** ბგერების რაოდენობა სიტყვაში; ასოსა და ბგერის შესაბამისობა.
	კომპლექსური დავალება 1. ლექსის მიხედვით ნახატის შექმნა	**კომპლექსური დავალება 2.** გაკვეთილების ცხრილის შექმნა და აღწერა	**კომპლექსური დავალება 3.** თამაში ,,სიტყვის კოშკის აგება“

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მხატვრული ჟანრი – ლექსი; ტექსტის შინაარსობრივი მხარე – თემა, შინაარსი, არსებითი და არაარსებითი დეტალები; ახალი სიტყვები გაგების სტრატეგია	**საკითხი:** მარი დიერიას ლექსის ,,მინდა ვხატო“ მიხედვით ნახატის შექმნა **ქვესაკითხები**: ლექსის ,,მინდა ვხატო“ შინაარსობრივი მხარე – თემა, შინაარსი, არსებითი და არაარსებითი დეტალი. ახალი სიტყვები; **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ლექსის ,,მინდა ვხატო“ გასაგებად? როგორ შევქმნა ნახატი ლექსში აღწერილი სურათის მიხედვით? როგორ წარმოვაჩინო მისი მნიშვნელოვანი დეტალები? **კომპლექსური დავალება**: ლექსის მიხედვით ნახატის შექმნა ➢ კარგად მოისმინე ლექსი და ციფრული რესურსის ,,ვსწავლობ თამაშით“ გამოყენებით ან სახატავი საშუალებებით შექმენი ლექსში აღწერილი სურათი. ➢ დააკვირდი: რისი დახატვა სურს ბავშვს ხატვის გაკვეთილზე, რა ფერის საღებავები დასჭირდება მას ღრუბლის, მზის, ზეცისა და სხვა საგნების დასახატად.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება; 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა; 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები:** **ნამუშევარში/<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>** • რით უკავშირდება შენი ნახატი ლექსს? (ტ. 1, 2, 3); • რითი ჰგავს შენი ნახატი ლექსში აღწერილ სურათს? (ტ. 1, 2, 3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- შენ თუ დაგიხატავს ლექსში/ზღაპარში მოთხრობილი ამბავი?
- რას აკვირდებოდი ტექსტში ?
- რას ითვალისწინებდი ხატვისას?
- რის მიხედვით ირჩევდი ფერებს, ფორმებს, საგნებს, პერსონაჟებს?
- თქვენი სიტყვებით ახსენით, რას მოითხოვს დავალება;

- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რით უკავშირდება შენი ნახატი ლექსს, ტექსტის რა ინფორმაცია და მინიშნებები გამოიყენე ნახატის შესაქმნელად (ტ. 1, 2, 3);
რითი ჰგავს შენი ნახატი ლექსში აღწერილ სურათს? (ტ. 1, 2, 3); ტექსტის გაგების სტრატეგიები

ქვესაკითხი: შინაარსი,მნიშვნელოვანი დეტალი

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. ილუსტრაციები გაკვეთილების ამოსაცნობად
(რესურსი იხილეთ მოსწავლის წიგნში)

აქტივობა 1. გაკვეთილების ამოცნობა მოცემულ ილუსტრაციებზე

გეზისმიმცემი კითხვები:

1. **რა წერია დაფაზე?**
2. **რომელი გაკვეთილია ?**
3. **რა გაკვეთილია მოცემულ სურათზე?**
4. **როგორ მიხვდი, რომ ხელოვნების გაკვეთილზე არიან ბავშვები?**
5. **რომელ გაკვეთილზე არიან ბავშვები?**
6. **რამ მიგანიშნა? რა წერია დაფაზე?**
7. **მომდევნო სურათის მიხედვით, რომელ გაკვეთილზე არიან ბავშვები?**
8. **როგორ მიხვდი, რომ ბავშვები სპორტის გაკვეთილზე არიან?**
9. **რა წერია დაფაზე? რაზე მიგანიშნებს ეს ნაწერი?**
10. **რომელი გაკვეთილი აქვთ ბავშვებს? და ა.შ.**

აქტივობა 2. სახალისო ლექსის წაკითხვა და კითხვებზე პასუხით შინაარსის გაგება
რესურსი 2. ნინია კაპანაძის ლექსი ,,სკოლა“

რას ასწავლიან სკოლაში?
დაფიქრდა სანდრო ბიჭი.
თამაშს, ცეკვას და სიმღერას?
კი მაქვს ყველაფრის ნიჭი.
მასწავლებელი მზრუნველი,
კეთილი, მხიარული.
ასეთ სკოლაში ვის არ სურს,
სწავლა და სიარული.
კითხვასაც მალე ვისწავლი,
შენ არ იდარდო ბები,
ძილის წინ რომ წაგიკითხო,
საბავშვო გაზეთები.

ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული კითხვები:

- როგორი წარმოუდგენია სანდროს სკოლა?
- მისი აზრით, რას ასწავლიან სკოლაში?
- ეთანხმებით სანდროს მოსაზრებას, რომ სკოლაში ცეკვა-თამაშისთვის დადიან?
- სინამდვილეში, რას სწავლობენ ბავშვები? თქვენ რას სწავლობთ?
- როგორი მასწავლებელი ეგულება სანდროს სკოლაში?
- როგორი უნდა იყოს მასწავლებელი?
- რას ჰპირდება სანდრო ბებიას?

- მხოლოდ ცეკვით და გართობით შესაძლებელია კითხვის სწავლა?
- თქვენც წაუკითხავთ ბებიას გაზეთებს?
- როგორ ფიქრობთ, ბებიას საბავშვო გაზეთები მოეწონება?
- თქვენი აზრით, სანდრო სკოლის მოსწავლეა? რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 3. ლექსების წაკითხვა. სასკოლო საგნების ამოცნობა ლექსების შინაარსის მიხედვით
რესურსი 3. ლექსები: მაია წიგნაძის ,,დაირეკა სკოლის ზარი", გივი ჭიჭინაძის ,,ვისწავლოთ ანგარიში"
ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული კითხვები:
,,დაირეკა სკოლის ზარი,
დარი დარი, დარი დარი,
შემოვაღე სკოლის კარი,
შემოვუსხდით მერხებს ყველა,
აწკრიალდა ცოდნის ზარი,
მერხზე დამხვდა დედაენა,
ყველასათვის საფიცარი,
აი ია, აი თათი,
აი ჩემი საკითხავი,
მიყვარს წიგნი, სწავლა, სკოლა,
მასზე კარგი არა არის,
მშობლიური ანბანა,
არის მართლაც საოცარი,
დარი დარი, დარი დარი,
დაირეკა სკოლის ზარი,
კართან დედა მელოდება
ამაყი და მომღიმარი!

,,ვისწავლოთ ანგარიში"

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, უკვე ვიცი დათვლა, თუკი ასე ვისწავლი, მე სკოლაში წავალ. ერთი ცხენი ბალახს ძოვს, მიემატა ერთიც, აბა, გამოიცანი რამდენია? – ორი. ორი ცელქი მელია ელოდება დაიკოს, როცა ისიც მოვა, გახდებიან? – სამნი	აგერ სამი ფისოა, ფანჯარაში – ერთი, სულ რამდენი გამოვიდა? რამდენი და – ოთხი. ოთხი ლეკვი თამაშობს, მიემატა ერთი. აბა, ჩქარა დაითვალე რამდენია? – ხუთი. ჩემს საკუთარ თითებზე შევისწავლე დათვლა, ერთი, ორი, სამი, ოთხი, მივუმატოთ ერთიც და გახდება ხუთი.

- რომელ გაკვეთილზე შევიდა პირველი ლექსის მიხედვით მოსწავლე?
- როგორ მიხვდი, ეწერა ლექსში?
- დედაენით რას ვსწავლობ?
- მეორე ლექსში, რის შესწავლაზეა საუბარი?
- რომელ გაკვეთილზე სწავლობთ დათვლასა და ანგარიშს?
- თქვენც თუ ამოხსენით ლექსში გაგონილი ამოცანები?
- კიდევ რომელი გაკვეთილები გიტარდებათ სკოლაში? ჩამოთვალეთ...

აქტივობა 4. მარი დიერიას ლექსის ,,მინდა ვხატოს" წაკითხვა და დამუშავება.
რესურსი 4. მარი დიერიას ლექსი ,,მინდა ვხატო"

მინდა ვხატო

ღრუბელი რომ დავხატოთ, ბამბასავით ქათქათა, ჯობს არ გავაფერადოთ, შემოვხაზოთ კარგად და... ამოვავლოთ საღებავში სახატავი ფუნჯი და დავხატოთ ზეცა ცისფერი ან ლურჯი. მერე ზეცას მივუხატოთ დისკო მზისა, მუქი, ყვითელი მზის გარეშე არ გვექნება შუქი.	მუქი, მუქი მწვანე ამოვიდეს ყანა, ჯეჯილად რომ იქცეს უნდა მზე და წვიმა. თან დავხატოთ სახლი, ხე და ყვავილები, ფერად - ფერადები, ზოგი გაშლილები. ყველა ფერის საღებავი დაგვჭირდება ახლა, რომ მოვხატოთ თუთიყუში, ხეზე შევსვათ მაღლა.

აქტივობა 5. სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვების დასმა:

- რატომ არ სჭირდება თეთრ ღრუბელს გაფერადება?
- რა არის საკმარისი მის დასახატად?
- რას გირჩევთ ავტორი? თეთრი ღრუბლის გარშემო რა უნდა დახატოთ?
- რა ფერისაა ზეცა?
- რა ფერით ხატავენ მზის დისკოს ანუ მზის მოხაზულობას?
- რატომ ყოფილა მზე საჭირო?
- რა არის ყანა? რა ითესება ყანაში?
- იცი, რა არის ჯეჯილი? (ჯეჯილი ახლად ამოსული ყანაა)
- გინახავთ ჯეჯილი? რა ფერისაა ის?
- რა სჭირდება ჯეჯილს და საერთოდ მცენარეებს გასაზრდელად?
- როგორი იქნება ნახატზე ყვავილები?
- რის დახატვას დასჭირდება ფერად-ფერადი საღებავები?
- რა უნდა დაიხატოს შემდეგ?
- რომელ გაკვეთილზე გჭირდებათ ფუნჯი და საღებავები?
- განსაკუთრებით რისი ხატვა მოგწონთ?

აქტივობა 6. ფერებით თამაში

დააკვირდი, რომელი ფერებია ნახსენები ლექსში და ჩასვი გამოტოვებულ ადგილებზე;

ა) ზეცა არის .... ან ..... .

ღრუბელი არის ..... და ბამბასავით ..... .

მზის დისკო მუქი ..... შუქს გვაძლევს ..... მზე.

ყანას წყალი სჭირდება, რომ გახდეს მუქი ..... .

გაშლილი და გაუშლელი ყვავილები არის ..... .

თუთიყუშის დასახატად საჭიროა ..... საღებავი.

ბ) მოიფიქრე და ზეპირად თქვი, კიდევ რა შეიძლება იყოს : თეთრი? მწვანე?ლურჯი? ცისფერი? ყვითელი? ჭრელი? ფერად-ფერადი?

აქტივობა 7. იდეების ორგანიზება

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად :

- რა დაგამახსოვრდათ წაკითხული ლექსიდან?
- პირველ რიგში, რას მოიმარაგებ გაკვეთილისთვის?
- რომელ რჩევებს გაითვალისწინებ ხატვისას?
- რით დაიწყებ ხატვას? რა ფერს დახატავ ღრუბელს?
- რა სიტყვებითაა აღწერილი ლექსში ღრუბლის სითეთრე?
- როგორ მოიქცევი თეთრ ქაღალდზე თეთრი ღრუბლის დასახატად?
- რა წერია ამაზე ლექსში?

- გარშემო რას დაუხატავ ღრუბელს?
- რა ფერის იქნება შენ მიერ დახატული ზეცა?
- მზეს რა ფერს დახატავ? მზის დისკო როგორი ყვითელია?
- რისთვისაა საჭირო მზის სითბო? კიდევ?
- რა ამოვა მზისა და წვიმის დახმარებით?
- რა ფერის იქნება შენი ჯეჯილი? მუქი თუ ღია მწვანე?
- კიდევ რას დახატავ?
- სახლთან ამოსული ხეები და ყვავილები როგორ არის აღწერილი ლექსში?
- ხეზე რას შემოსვამ ბოლოს? რა ფერის იქნება თუთიყუში?

ნახატზე დამოუკიდებლად მუშაობა

- **ილუსტრაციების შექმნა, საბოლოო ვარიანტის მომზადება**
- **ნამუშევრების წარდგენა**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- უკავშირდება თუ არა შენი ნახატი ლექსის შინაარსს/ მის მთავარ დეტალებს?
- რაში დაგეხმარა დავალების შესრულება?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი ნახატი მკითხველისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება:** **აღწერა** ნიშან-თვისების აღმნიშნელი სიტყვები	**საკითხი:** წებოვანი ლოგოებით შექმნილი გაკვეთილების ცხრილის აღწერა **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის კატეგორიები) **საკვანძო შეკითხვა:** როგორ აღვწერო ჩემ მიერ წებოვანი ლოგოებით შექმნილი გაკვეთილების ცხრილი ? როგორ გამოვკვეთო ადგილმდებარეობისა და ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები?

	კომპლექსური დავალება 2. გაკვეთილების ცხრილის შექმნა ➢ ამოირჩიე წებოვან ქაღალდზე მომზადებული საგნების ლოგოები და კვირის დღეების მიხედვით განალაგე ისე, რომ მიიღო გაკვეთილების ცხრილი. ➢ შენ მიერ შექმნილი ცხრილი წარუდგინე და აღუწერე მეგობრებს, შემდეგ კი წაიღე სახლში და შენს სამუშაო მაგიდასთან გამოაკარი. (მუშაობისას გაითვალისწინე: რომელ საგნებს სწავლობ სკოლაში, დღეში რამდენი გაკვეთილი გაქვს, რომელ დღეს რა გაკვეთილები გიტარდება)
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	<u>**აღწერისას წარმოაჩინე:**</u> ● ცხრილის რომელ ნაწილში რომელი საგნის ლოგოა ჩაწებებული (შუაში, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, ორშაბათს, სამშაბათს და ა.შ), როგორებია – რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის) (ს.1, 2, 3) ● რომელი საგნებია გამოსახული ცხრილზე, დაახასიათე თითოეული საგანი, ახსენი, რომელ გაკვეთილზე რას აკეთებ, რას სწავლობ, რითია საინტერესოა (ს.1. 2. 3)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) **II ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა** **აქტივობა 1.** დავალების მოთხოვნების გაცნობიერება. ● შეგისრულებია დავალება სურათის აღწერაზე? ● კიდევ რისი ცოდნა დაგჭირდება? (მაგ,: იცი კვირის დღეების, გაკვეთილების ცხრილი) ● რა უნდა გაითვალისწინო ამ დავალების შესასრულებლად? ● ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება? **II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა** **ნაბიჯი 1**. ცხრილის რომელ ნაწილში რომელი საგნის ლოგოა ჩაწებებული (შუაში, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, ორშაბათს, სამშაბათს და ა.შ), როგორებია – რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის) (ს.1, 2, 3), რომელი საგნებია გამოსახული ცხრილზე, დაახასიათე თითოეული საგანი, ახსენი, რომელზე რას აკეთებ, რას სწავლობ, საინტერესოა თუ არა (ს.1. 2. 3) **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები)

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. (აღსაწერი ილუსტრაცია იხილეთ სახელმძღვანელოში)

აქტივობა 1. ილუსტრაციის აღწერა

აქტივობა 2. მოთხრობის წაკითხვა. კვირის დღეების შეხსენება (დასწავლა)

რესურსი 2. მოთხრობა სახელმძღვანელოდან. ,,რა ჰქვია კვირის დღეებს?"

რა ჰქვია კვირის დღეებს?
რომელ დღეებში სწავლობ?
შაბათი და კვირა არდადეგებია?
რა განსხვავებაა შაბათ-კვირასა და არდადეგებს შორის?
რა დღეა დღეს? რა დღე იყო გუშინ? რა დღე იქნება ხვალ?

აქტივობა 3. ამბის მოფიქრება კვირის დღეების თანმიმდევრობით გამოყენებაზე
7-ბავშვიან ჯგუფებში მოიფიქრონ ამბავი. თანმიმდევრობით გამოიყენონ კვირის დღეები. იწყებს ერთი მოსწავლე, აგრძელებენ – დანარჩენები რიგრიგობით. (შეიძლება მასწავლებელმა დაიწყოს მაგალითის მიცემის მიზნით)
მაგ., ორშაბათს ცეკვაზე მივდივარ, სამშაბათს...., ოთხშაბათს.... და ა. შ. (ყველა ჯგუფი განსხვავებულ ამბავს მოიფიქრებს)

აქტივობა 4. სამუშაო რვეულში გავეცნოთ ლოგოების ცხრილს

აქტივობა 5. იდეების ორგანიზება

- რომელ საგნებს სწავლობ პირველ კლასში?
- დღეში რამდენი გაკვეთილი გაქვს?
- როგორ ამოიცანი ლოგოზე აღნიშნული საგნები?
- რას აკეთებ ქართულის გაკვეთილზე? მათემატიკაზე? ბუნებისმეტყველებაზე? ....
- შენთვის რითია დასამახსოვრებელი თითოეული საგანი, როგორ ისაუბრებ მათ შესახებ?
- რადგან კვირაში 5 დღე სწავლობ, რამდენი დღის გაკვეთილების ცხრილის მომზადება მოგიწევს?
- რა თანმიმდევრობით დაალაგებ ცხრილში დღეებს?
- რომელი დღით დაიწყებ ცხრილის მომზადებას?
- რამდენი გაკვეთილი გაქვს ორშაბათს? რა გაქვს პირველი? მეორე?...
- როგორ, რა თანმიმდევრობით აღუწერ შენს ცხრილს მეგობრებს?
- რომელ სიტყვებს გამოიყენებ აღწერისას?

შემენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში, აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

- **ნამუშევრების წარდგენა**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შემენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე
- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერილი ცხრილი მკითხველისთვის?

- აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**
სამიზნე ცნება: **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (ფონოლოგიური უნარები)** **ქვეცნებები:** **სიტყვა , ბგერა, ასო**	**საკითხი:** სიტყვების ბარათზე დაყრდნობით სიტყვების დაშლა ბგერებად. **ქვესაკითხი:** ბგერათა და მარცვალთა რაოდენობა სიტყვებში; ასოსა და ბგერის შესაბამისობა. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ იშლება სიტყვები? როგორია ასო-ბგერის შესაბამისობა? როგორ გავიგოთ რამდენი ბგერაა სიტყვაში? **კომპლექსური დავალება - თამაში: „სიტყვის კოშკის“ აგება** ➢ ავაგოთ კუბურების კოშკი სიტყვებში ბგერათა რაოდენობის მიხედვით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; (შედეგები: (I) 2, 4, 6) მოსწავლე აცნობიერებს, რომ 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები - ბგერებისგან. 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** წარმოაჩინე: • რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვა (წ. 1) • რომელი კოშკი რომელ სიტყვას შეესაბამება; რატომ ფიქრობ ასე? (წ. 2,3); • რომელ ბგერაზე იწყება სიტყვა? (ვიპოვოთ პირველი ბგერა). (წ. 1,2,3)
კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)	
I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა:	
ავაგოთ კოშკი; თითების დახმარებით და კუბიკების გამოყენებით <u>დათვალეთ რამდენი ბგერაა წარმოთქმულ სიტყვაში.</u>	

აქტივობა 1. მოტივირება

როგორ ვიგებთ ნათქვამს? გვესმის სიტყვები და სიტყვებად გამთლიანებული დასრულებული აზრი, ე.ი. წინადადება;
რისგან შედგება გაგონილი სიტყვა? მას ბგერას ეძახიან;
სამყარო სავსეა ბგერებით, დავაკვირდეთ მათ;
მოვისმინოთ ქუჩის ბგერები. მას რას ეძახიან ? - ქუჩის ხმაურს;
მოვისმინოთ ბუნების ხმები; რა დავარქვათ იმას, რაც მოისმინეთ? - ჭიკჭიკი;
ეს რა ხმა გესმით? - თხა კიკინებს;
ეს რისი ხმაა? - ლომმა დაიღრიალა;
ნახეთ რა ლამაზი მუსიკა მოგასმენინოთ. რა ჟღერდა? - როიალი ან პიანინო;
რა ჰქვია ამგვარ ბგერებს? - მუსიკალური;
მოისმინეთ , ვისი ხმა გესმით? - ადამიანის;
როცა ასეთ ბგერებს ვისმენთ, რას ვამბობთ ხოლმე? - ვიღაც ლაპარაკობს;
ის ბგერები, რომლებსაც ლაპარაკის დროს ვისმენთ, ჭკვიანი ბგერებია, ისინი რაღაც აზრს გადმოგვცემენ;
როგორ ქმნიან ბგერები სიტყვებსა და წინადადებებს;
სამყარო სავსეა ბგერებით. ბგერები ქმნიან სხვადასხვა ხმოვანებას; წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისაგან. თითო ბგერა შეესაბანება თითო ასოს.

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

აქტივობა 1. სიტყვების პირამიდა
ბგერისა და ასოს შესაბამისობის დადგენა
წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისაგან. კითხვისას უნდა გავახმოვანოთ ასოების შესაბამისი ბგერები, გაბმულად უნდა ამოვიკითხოთ ყველა ასო და გამოვა სიტყვა. წერისას ყველა ბგერის შესაბამისი ასო უნდა დავწეროთ; ვთქვი სიტყვა და დავწერე, ასევე დაწერილი ამოვიკითხე. ბგერას წარმოვთქვამთ, ასოს ვწერთ. თითო ბგერა შეესაბამება თითო ასოს.
შევეცადოთ გავიგოთ, რამდენი ბგერაა ნათქვამ სიტყვაში.
დავიწყოთ პატარა სიტყვებით: ხე, გზა, დაფა, მერხი - დავშალოთ ისინი ბგერებად და ზომის გათვალისწინებით ბავშვებმა უნდა მოძებნონ ეს სიტყვა დაფაზე დაწერილ ამავე სიტყვის პირამიდაში.
რამდენი ბგერაა სიტყვაში **ხ ე ? - 2**
მოძებნეთ სიტყვების პირამიდაში ეს სიტყვა

ხე
გზა
დაფა
მერხი

რამდენი ბგერაა სიტყვაში **გ ზ ა ? - 3**
რამდენი ბგერაა სიტყვაში **დ ა ფ ა ? - 4**
რამდენი ბგერაა სიტყვაში **მ ე რ ხ ი ? - 5**

აქტივობა 2 . ვითამაშოთ თითებით
თითები შევკრათ მუშტად და ავწიოთ ზევით. მე დაგისახელებთ სიტყვას, მერე ერთად დავშალოთ ბგერებად და თქვენ იმდენი თითი გაშალეთ, რამდენ ბგერასაც გაიგებთ, დაასახელეთ მარტივი ნაცნობი სიტყვები.
ხე , გზა , ია, ტყე, კატა, ქოხი, მზე, ჩიტი, კიტრი, სახლი, კუ, ხაზი, ბატი, მსხალი და ა.შ.
(პირველი თამაშისას არ ვცილდებით 5 ასოს, ასევე ასწავლეთ სწორად როგორ გამოიყენონ თითები: 1 - საჩვენებლით; 2 - საჩვენებელი და შუა თითი; 3 - შუა თითი არათითი და ნეკათითი; 4 - ცერა თითის გარდა ოთხივე; 5 - ყველა. თითების სახელების სწავლა არ არის საჭირო, თქვენც

იმუშავეთ თითებით, თავიდან ერთად, მერე დაელოდეთ, ჯერ ყველა მოსწავლემ გაჩვენოთ რამდენი ბგერაა სიტყვაში
გუნდური თამაშის შემდეგ თითოეულ მოსწავლეს მივცეთ თითო მაგალითი დასაშლელად და ბგერების დასათვლელად.

კომპლექსური დავალების შესრულება

ავაშენოთ კუბიკების კოშკი

დაურიგეთ ბავშვებს კუბიკების ყუთები, რომლებშიც ორით მეტი კუბიკია, ვიდრე დასაშლელ სიტყვაში; მიეცით თითო ნახატი საგნის გამოსახულებით.

ინსტრუქცია:

თქვენ გაქვთ ყუთში კუბიკები და ნახატიანი ბარათი. დააკვირდი, რა ხატია ბარათზე, დაშალე ბგერებად მოცემული სიტყვა ისე, როგორც თითებით ითვლიდი ბგერებს, ახლა კუბიკები ამოიღე ყუთიდან და ერთმანეთზე დააწყე იმდენი კუბიკი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში; ააშენე კოშკი.
დავალების წარდგენისას დაასახელე სიტყვა, დაშალე ბგერებად. რამდენი ასო იყო შენს სიტყვაში?
რამდენ სართულიანია შენი კოშკი? დაემთხვა თუ არა ერთმანეთს.

რა გაიგე, რა დაადგინე ამ სამუშაოს შესრულებისას?

რისგან შედგება სიტყვები?

რა არის ბგერა?

რა არის ასო?

მოგეწონა თუ არა დავალება?

გაგიძნელდა თუ გაგიადვილდა?

წინასაანბანო დამატებითი აქტივობები

მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში

(მოსწავლის რვეული საკლასო სამუშაოებისთვისაა გათვლილი. იგი ერთგვარი რესურსია ესგ-თი გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. ამასთანავე ძალიან მოხერხებულია ბავშვის ცოდნა-უნარების დასადგენად, რადგან მოსწავლე მას დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად ასრულებს);

(მოსწავლის რვეულში მოცემული დავალებები შეიძლება შესრულდეს თემის ფარგლებში ნებისმიერ დროს, ერთ ჯერზე ერთი სამუშაო. მასწავლებელი უკითხავს ინსტრუქციას)

სამუშაოების მიზანი

საწერ სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარება;
წერის მიმართულების დაფიქსირება;
თვალისა და ხელის მოქმედებათა კოორდინაცია წერის დროს;
მთელსა და ნაწილს შორის მიმართებათა შემჩნევის უნარის განვითარება;
ნიმუშის მიხედვით გრაფიკული გამოსახულების გადაწერის უნარის განვითარება;
ზრუნვა სარკისებური აღრევის აღმოსაფხვრელად;
სიტყვის აკუსტიკუტი ანალიზი და სინთეზი.

შესასრულებელი სამუშაო:

1. შეაერთე წერტილები ნიმუშის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ;
2. მოძებნე ფიგურა, რომელიც სხვა მხარეს იყურება და გადახაზე;
3. დააკვირდი ცალკე დახატულ ფიგურას, მოძებნე ზუსტად ასეთი და შემოხაზე;
4. რა ხატია ნახატზე? რამდენი ბგერისგან შედგება ეს სიტყვა ? იმდენივე კუბიკი გააფერადე. (პირველ ნიმუშს მასწავლებლის დახმარებით აკეთებენ).

კომპლექსური დავალებისათვის №2

რესურსი

დააკვირდი ნახატებს, დაასახელე რა ხატია.
რომელი გაკვეთილს შეესაბამება თითოეული მათგანი:

თემა 3 - კლასელები **საათების სავარაუდო რაოდენობა: 7**
თემაში გამოყენებული ტექსტი: **მასწავლებლის მიერ კლასში წასაკითხი ტექსტი: გ. ბედოშვილის „აპრილიდან აპრილამდე“, II ნაწილი**
სხვა რესურსები: **მასალა სახელმძღვანელოდან : თემატური ილუსტრაციები: გვ. 9.** **ელექტრორესურსი: „თუ, თუ, თუ“ - ნატო მეტონიძე და ბასტი-ბუბუ** **სავარჯიშოები მოსწავლის რვეულიდან, გვ. 7, 8, 9, 10.** **რესურსი კომპლექსური დავალებისთვის - მოსწავლის რვეული გვ. 10 დანართი N4** **გ. ბედოშვილის „აპრილიდან აპრილამდე“, II ნაწილი, დანართი N 1** **მასალა ზეპირი ფონეტიკური სავარჯიშოებისათვის; დანართი N 2** **მიზნობრივი თამაშები: „ჩვენ კლასელები ვართ“, დანართი N 3**

სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ზღაპრის პერსონაჟის დახასიათება საკუთარ ნახატზე დაყრდნობით	**საკითხი 2.** **თანაკლასელის** აღწერა	**საკითხი 3.** მარცვლების რაოდენობის შესაბამისი უჯრების დათვლა და გაფერადება. თავბგერის პოვნა
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** ზღაპარი დედააზრი, პერსონაჟი	**ქვესაკითხები:** **ზღაპარ „გაკვეთილი დაიწყოს“** პერსონაჟის - ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან		
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები :** აღწერა		**ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები(ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები)	

წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნებები**: • ბგერა, • წარმოთქმული სიტყვა, მარცვალი			**ქვესაკითხები:** • წარმოთქმული სიტყვის პირველი ბგერა; • მარცვლების რაოდენობა წარმოთქმულ სიტყვაში
	კომპლექსური დავალება 1. პერსონაჟის დახატვა/გამოძერწვა	**კომპლექსური დავალება 2**. კლასელის აღწერა	**კომპლექსური დავალება 3**. მარცვლების რაოდენობის შესაბამისი უჯრების დათვლა და გაფერადება. თავბგერის პოვნა

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) ქვეცნება: მხატვრული ჟანრი - ზღაპარი დედააზრი, პერსონაჟი	**საკითხი:** ზღაპრის პერსონაჟის დახასიათება ნახატზე დაყრდნობით. **ქვესაკითხები: ზღაპარ „გაკვეთილი დაიწყოს“** პერსონაჟის - ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან;ახალი და იშვიათად ხმარებული სიტყვები. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხი გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ წარმოვაჩინო ნახატით პერსონაჟის დამახასიათებელი ნიშნები? როგორ დავახასიათო პერსონაჟი საკუთარ ნახატზე დაყრდნობით? **კომპლექსური დავალება:** პერსონაჟის დახატვა/გამოძერწვა დახატე ან გამოძერწე წაკითხული ზღაპრის **„გაკვეთილი დაიწყო“** ერთ-ერთი <u>პერსონაჟი</u> მისთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნით, რომელიც მიგვახვედრებს, რომელი ტექსტის <u>პერსონაჟია</u> დახატული/გამოძერწილი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>აღწერისას წარმოაჩინე:</u>** <u>ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რით ჰგავს შენი დახატული/გამოძერწილი პერსონაჟი <u>ზღაპრის პერსონაჟს;</u> რატომ დახატე/გამოძერწე ასე და არა სხვაგვარად (ტ. 1, 2, 3); • რის თქმა უნდოდა ავტორს ამ პერსონაჟით, რაზე დაგაფიქრა ამ პერსონაჟმა (ტ.1).

3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	
• ი	
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები:** აღწერა	**საკითხი: თანაკლასელის** აღწერა სათანადო სტრუქტურა-აგებულებისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებით. **ქვესაკითხი:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები; ნიშან-თვისებების (მაგ., ფერის, ზომის, ფორმის, რაოდენობის) აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები; მიზეზშედეგობრიობის აღმნიშვნელი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვა:** • როგორ აღვწერო ჩემ გვერდით მჯდომი კლასელი ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოვუდგინო იგი? • რომელი სიტყვები შევარჩიო ჩემი კლასელის აღსაწერად? **კომპლექსური დავალება: კლასელის აღწერა** ➢ წარმოიდგინე, რომ შინ დაბრუნებულმა ოჯახის წევრებს უნდა აღუწერო შენ გვერდით მჯდომი კლასელი. ➢ ისაუბრე მის გარეგნობაზე (რა ფერის თმები და თვალები აქვს, როგორი ხასიათი აქვს, მორცხვია, თამამია), მხიარულია..., აუხსენი, რა თვისება აქვს მას ისეთი, რის გამოც იგი შენი მეგობარი გახდება.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: **მოსწავლე აცნობიერებს, რომ** 1.მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** <u>**აღწერისას წარმოაჩინე:**</u> • როგორია შენ გვერდით მჯდომი კლასელი (მაგ.: გარეგნობა, აღნაგობა, სიმაღლე, თმის და თვალის ფერი, ხასიათი, თვისებები) (ს. 1, 2, 3); • ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს. 2).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დაზუსტება, რას ველით მათგან, რას უნდა ელოდნენ ჩვენგან, ემოციური დაცულობის განცდის შექმნა).

- თავისი სიტყვებით ვინ ახსნის, რას მოითხოვს დავალება თქვენგან? რა უნდა შევქმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რამის დამატება?
- გავიხსენოთ, მსგავსი დავალება ხომ არ შეგვისრულებია? რა თემას/რომელ ტექსტს ეხებოდა?
- როგორ მოვიქცევით აღწერისას, რას მივაქციეთ ყურადღება?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. წარმოაჩინე, როგორია შენ გვერდით მჯდომი კლასელის ნიშან-თვისებები (ს. 1, 2, 3); გამოიყენე ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს. 2). გამოიყენე მიზეზშედეგობრიობის აღმნიშვნელი სიტყვები (ს.2).

ქვესაკითხი: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- გაიხსენეთ, როგორ ვიქცევით, როცა რამეს აღვწერთ, რას ვაქცევთ ყურადღებას?
- აღწერისას, რომელ სიტყვებს ვიყენებთ?

აქტივობა 2. აღვწეროთ სურათი: კლასი მუშაობს მასწავლებელთან ერთად. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს სურათის აღწერაში.

რესურსი 1. მოსწავლის წიგნი - გვერდი 9

- დააკვირდი მოცემულ სურათს. აღწერე პირველკლასელი მეგობრები, როგორ გამოიყურებიან? რა აცვიათ და რა უჭირავთ? რა უდევთ მერხზე, რას აკეთებენ?
- მერხის რომელ მხარეს დგას ბიჭი - მარჯვნივ თუ მარცხნივ? რა აცვიათ ბავშვებს? როგორ გამოიყურებიან? რა უჭირავთ? რას საქმიანობენ? როგორ გამოიყურებიან წიგნის უკან დამალული ბავშვები? რა ფერის თმა აქვთ? როგორ განწყობაზე არიან?

აქტივობა 3. რა სიტყვები გამოვიყენოთ გარეგნობის აღწერისას?
რესურსი 2. სიტყვების ყუთი.

ქერა, შავი, თმახუჭუჭა, მოკლე, სწორი (თმა), მწვანე, ლურჯი, შავგვერმანი, თმაგაწეწილი, ლამაზი, მომღიმარი, მოღუშული, მაღალი, დაბალი, პირმრგვალი.

აქტივობა 4. გამოიცანი გამოცანები (რესურსი 1)
რესურსი 3. გამოცანები

გარეული ფრინველია,
კისერი აქვს გრძელი,
წყალში ნაზად დანარნარებს,
ლამაზი და თეთრი.
სოროს ივსებს სოკოებით,
მარაგი აქვს პანტის,
პაწაწინა და ჩხვლეტია
ტყე-ტყე მარდად დარბის...
თუ შეშინდა დამრგვალდება,
თქვი, ვინ არის? .....

კბენს, ყეფს ხმამაღლა და არ უშვებს უცნობებს სახლში.
ნაცრისფერი ქათიბი
უხდება ჩვენს პრანჭიას,
ბაფთასავით ყურები
ალამაზებს პაწიას,
კომბოსტო და სტაფილო
ურჩევნია ვარდს, იას.
გამოიცან, სახელად
მას რა ჰქვია?...

- როგორ გამოიცანი გამოცანა? რა მინიშნებებზე დაყრნობით გამოიცანი პასუხი?

რომელი ნიშან-თვისებების მიხედვით არის აღწერილი გამოცანაში თითოეული ცხოველი

- თქვენ თუ იცით გამოცანები?
- რა არის გამოცანა?
- რით განსხვავდება პირველი გამოცანა მეორისგან?
- რომელი უფრო ადვილი გამოსაცნობია? რატომ?

აქტივობა 5. აღწერის მიხედვით საგნის ამოცნობა
ყურადღებით მოისმინე გამოცანა. გამოიცანი რა საგანია და მოცემული ნახატებიდან შემოხაზე შესაბამისი. (რეს.2)

რესურსი 4. სქემა აღწერითი ტექსტით და სასწავლო ნივთების სურათები

(იხილეთ მოსწავლის რვეულში გვ. 8)

აღწერა	საგანი
ის შეიძლება დიდიც იყოს და მომცრო ზომისაც. გოგონები და ბიჭები მათთვის შესაფერისი ფერებისა და ნახატების მიხედვით ირჩევენ. დანიშნულება კი ყველას ერთი აქვს. ის ყოველ დილით გავსებული მიჰყვება მოსწავლეებს სკოლაში. ბავშვები მასში ალაგებენ ყველა საჭირო ნივთს.	
მას არ აქვს ენა, მაგრამ მაინც გვესაუბრება, საინტერესო ამბებს გვიყვება. ის გვასწავლის რა არის კარგი და რა არის ცუდი. უფროსები გვირჩევენ, რომ მასთან ვიმეგობროთ.	
ეს ნივთი ხაზიანიც გვაქვს და უხაზოც. ის ხშირად წიგნებთან ერთადაც დაგვაქვს. მის ფურცლებზე ვწერთ და ვხატავთ. აბა გამოიცანი, რა არის?	
ის ძალიან საჭირო, პატარა და მსუბუქი ნივთია. სკოლაში უეჭველად დაგვაქვს. არის იასავით ლურჯიც და ვარდივით წითელიც. ვინ იცის, პაწაწინა თითები რამდენჯერ დაუღლია. ალბათ გამოიცნობ, რა არის?	

- რაზე დაკვირვება დაგეხმარა ყველაზე მეტად, რომ ამოგეცნო ეს საგანი?

შემენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში
აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

ნამუშევრების წარდგენა

- რომელ სიტყვებს გამოიყენებ თანაკლასელის აღსაწერად?

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად აღწერაა?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შემენილ ცოდნას?

- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რის მიხედვით შეარჩიე? აღწერე საგანი.

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით? რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3**
სამიზნე ცნება: **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (ფონოლოგიური უნარები)** **ქვეცნებები :** • ბგერა, სამეტყველო ბგერა, ბგერა და ასო, მათი შესაბამისობა და განსხვავება; • მარცვალი (აკუსტიკური გარჩევის დონეზე)	**საკითხი:** ნახატის შესაბამის სიტყვებში თავბგერის და მარცვლის რაოდენობის განსაზღვრა. **ქვესაკითხები:** წარმოთქმული სიტყვის პირველი ბგერა; მარცვლების რაოდენობა წარმოთქმულ სიტყვაში. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ დავადგინო თავბგერა მოცემულ სიტყვაში? როგორ დავშალო წარმოთქმული სიტყვა მარცვლებად? როგორ გავამთლიანო ზეპირი მარცვლები სიტყვებად? **კომპლექსური დავალება:** ➢ მარცვლების რაოდენობის შესაბამისი უჯრების დათვლა და გაფერადება. თავბგერის პოვნა. ➢ დამარცვლე ნახატის შესაბამისი სიტყვა. ➢ გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი მარცვლისგანაც შედგება ის. ➢ დაასახელე, თითოეული სიტყვის პირველი ბგერა.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; მოსწავლეს შეუძლია: (შედეგები: (I) 2, 4, 6) • მოსწავლე აცნობიერებს, რომ • 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები - ბგერებისგან. • 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**(დავალების შეფასების კრიტერიუმები**). <u>აღწერისას წარმოაჩინე:</u> • როგორ დაშლი მარცვლებად ბარათებზე წარმოდგენილ სიტყვებს (წ. 1); • რამდენი მარცვალია თითოეულ სიტყვაში (წ.2). • რომელი ბგერაა წარმოთქმულ სიტყვაში პირველი (წ. 3);

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა:
აქტივობა 1 - მოტივირება: სიტყვებზე დაკვირვებისას უნდა გავარკვიოთ, რომელ ბგერაზე თუ ასოზე იწყება იგი. იკითხავთ, რაში მჭირდება ამის ცოდნაო. მოდი დავფიქრდეთ, როგორაა გალაგებული მოსწავლეთა გვარები საკლასო ჟურნალში? ჯერ ალბათ ა-ზე, ბ-ზე, გ-ზე, დ-ზე დაწყებული გვარებია, ბოლოსკენ კი ჭ-ზე, ფ-ზე, ღ-ზე და ა. შ. ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ეს სია ყველა დოკუმენტში ერთნაირად იყოს, რათა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის საბუთები ადვილად მოძებნონ. ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნია, ისინი ანბანის მიხედვით რომ არ იყოს დალაგებული, ვერ იპოვიდნენ საჭირო წიგნს. ანბანი რა არის? ეს არის ამა თუ იმ ენის ასოების გარკვეული თანმიმდევრობით დალაგება. კიდევ ერთხელ ვნახოთ, როგორაა დალაგებული ქართული ანბანი (მასწავლებელთან ერთად კითხულობენ ანბანპლაკატს). ახლა მარცვლებზე ვისაუბროთ. ზოგადად რას ნიშნავს მარცვალი? მარცვალი მხოლოდ სიტყვას კი არ აქვს, მაგალითად, ყურძნის, სიმინდის შემადგენელი ნაწილებია და როცა ყურძენს ან სიმინდს მარცვლებად შლიან, ამბობენ დავმარცვლეო. ეს ბუნებრივია, ყურძები მარცვლებისგან შედგება. ჩვენ სიტყვა უკვე დავშალეთ ბგერებად. დავადგინოთ რაში გვჭირდება მარცვლები? მოდით ერთი საინტერესო ვიდეო ვნახოთ. (ნაწყვეტი სპექტაკლიდან ბატის ჭუკი, როდესაც ჭუკის გადასარჩენად ბავშვები მანანას ეძახიან: მა-ნა-ნა; ამ პატარა ბავშვებმა სულ არ იციან მარცვლის არსებობის შესახებ, მაგრამ მათ დაძახებისას ასე დაყვეს სიტყვა. ესე იგი მარცვალი სიტყვის ბუნებრივი ნაწილია. იგი ბუნებრივად გამოიყენეს ბავშვებმაც. გავიხსენოთ როგორ ეძახით ეზოდან დედას - დე-და! მოდით ყველამ ერთად დავუძახოთ წითელქუდას - წი-თელ-ქუ-და! ახლა კი უკეთ გავეცნოთ თავბგერას (სიტყვის პირველ ბგერას) და მარცვალს.
აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება: • ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება? • რისი ცოდნა გამოგადგებათ? • თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? • რაში დაგჭირდებათ დახმარება?
II ეტაპი. კომპლექსურ სამუშაოზე მუშაობა და წარდგენა
აქტივობა 1. კლიპის ჩვენება **იმისათვის, რომ გავეცნოთ თავბგერას (სიტყვის პირველ ბგერას) და მარცვალს, ვნახოთ ბასტი ბუბუს ერთ-ერთი კლიპი „თუ თუ თუ“** **https://www.google.com/search?q=%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98+%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%A3+%E1%83%97%E1%83%A3+%E1%83%97%E1%83%A3+%E1%83%97%E1%83%A3&sxsrf=AJOqlzUQt99p9t-uJRNWPmV7T-Xr1sTc-Q%3A1674299075809&ei=w8bLY8n-MPOUxc8P9O** **ან კონცერტიდან ნაწყვეტი - ნატო მეტონიძე და ბასტი ბუბუ**
აქტივობა 2. - თავბგერის დადგენა და ოპერირება მარცვლებით **მარცვლებით თამაში „ექო“** რა იწყება თ-ზე? თ-ზე იწყება თოვ-ლი, ექოს იმეორებენ მოსწავლეები: თოვ-ლი რა იწყება მ-ზე? მ-ზე იწყება მუ-ხა, ექოს იმეორებენ მოსწავლეები: მუ-ხა გავავარჯიშოთ 6-7 სიტყვით მაგალითები:, ციყ-ვი, გო-ჭი, რკი-ნა, ტუ-რა, ფორ-მა, ქა-რი, ძუნ-წი
აქტივობა 3. დავმარცვლოთ სიტყვები დავურიგოთ სამ-სამი ან ორ-ორი ნახატი, რომლებზეც გამოსახული იქნება ორმარცვლიანი სიტყვები.

წარმოთქვან სიტყვა და შემდგომ დამარცვლონ იგი:
დოლი, კატა, ბუდე,
ზარი, ნავი, პური,
სახლი, ბალი, კიტრი,
კარი, ქალი, მგელი,
ლომი, წერო, ვარდი,
ქუდი, კაბა, წიგნი,
ბურთი, ბადე, ჩანთა,
თაგვი, ტორტი, თევზი,
ციყვი, მარწყვი, ბურთი,
რგოლი, ჭიქა, თეფში,
კოვზი, ვაშლი, სოკო.

შესაძლებელია დავუსახელოთ სიტყვები და მოსწავლეებმა დამარცვლონ. თუმცა ნახატებით მუშაობა სხვა უნარებსაც ავითარებს და, რა თქმა უნდა, უმჯობესია.

კომპლექსური დავალება N1, მუშაობა თავბგერაზე
ინიციალები:
გვარისა და სახელის პირველ ასოებს ინიციალები ჰქვია; მაგალითად: პირველი სასკოლო წიგნის დედაენის შემქმნელისა და საბავშვო მწერლის ,იაკობ გოგებაშვილის, ინიციალები იქნება ი. გ. ზოგჯერ ძალიან დიდი ადამიანები ხელის მოწერის ნაცვლად ინიციალებსაც იყენებდნენ. დავადგინოთ კლასელების ინიციალები.
წყვილად თამაში:
ერთი ასახელებს ჯერ სახელს, მერე გვარს, მეორე მოსწავლე ამოიცნობს ჯერ სახელის თავბგერას, მერე - გვარის თავბგერას. შემდეგ მეორე მოსწავლე აკეთებს იმავეს.
კარგი იქნება, თუ ამ ინიაციალების სტიკერებს დავუკრავთ ან მერხზე, ან რვეულზე.
ეს იქნება პირველი ასოები, რომლებსაც ისინი გაეცნობიან და დაიმახსოვრებენ.
კომპლექსური დავალება N3.
მუშაობა თავბგერისა და მარცვალთა რაოდენობის დადგენაზე
რესურსი: დანართი N4
რა გაიგე, რა დაადგინე ამ სამუშაოს შესრულებისას?
რისგან შედგება სიტყვები?
რა არის თავბგერა და თავასო?
რაში გვჭირდება ამის ცოდნა?
მოგეწონა თუ არა დავალება?
გაგიძნელდა თუ გაგიადვილდა?

საანბანოს დამატებითი აქტივობები
მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში
(მოსწავლის რვეული საკლასო სამუშაოებისთვისაა გათვლილი. იგი ერთგვარი რესურსია ესგ-თი გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. ამასთანავე ძალიან მოხერხებულია ბავშვის ცოდნა-უნარების დასადგენად, რადგან მოსწავლე მას დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად ასრულებს).
(მოცემული დავალებები შეიძლება შესრულდეს თემის ფარგლებში ნებისმიერ დროს, ერთ ჯერზე - ერთი სამუშაო. მასწავლებელი უკითხავს ინსტრუქციას).
სამუშაოების მიზანი
საწერ სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარება;
წერის მიმართულების დაფიქსირება;
თვალისა და ხელის მოქმედებათა კოორდინაცია წერის დროს;
მთელსა და ნაწილს შორის მიმართებათა შემჩნევის უნარის განვითარება;
ნიმუშის მიხედვით გრაფიკული გამოსახულების გადაწერის უნარის განვითარება;
ზრუნვა სარკისებური აღრევის აღმოსაფხვრელად;
სიტყვის აკუსტიკუტი ანალიზი და სინთეზი.

შესასრულებელი სამუშაო:

1. მიიყვანე ბიჭი სათვალესთან, გაავლე ხაზი ნიმუშის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ;
2. მოძებნე ფიგურა, რომელიც სხვა მხარეს იყურება და გადახაზე;
3. დააკვირდი ცალკე დახატულ ფიგურას, მოძებნე ზუსტად ასეთი და შემოხაზე;

4 რა ხატია ნახატზე? რამდენი მარცვლისგან შედგება ეს სიტყვა ? იმდენივე კუბიკი გააფერადე, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში (პირველ ნიმუშს მასწავლებლის დახმარებით აკეთებენ).

დანართი **N1**

აპრილიდან აპრილამდე

გაკვეთილი დაიწყო

ძია თომა ფეხზე წამოდგა, კუს მოზრდილი ბაკანი ზარივით აარაკუნა და ის-ის იყო, პირველი გაკვეთილი უნდა დაეწყო, რომ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, პირველკლასელი ტყუპები - ბიბო და ბუბა ერთიმეორეს დაეძგერნენ. ისეთი მუშტი-კრივი გააჩაღეს, რომ დამფრთხალმა ნუკრმა, ციყვმა და კატუნიამ კინაღამ შინისკენ მოკურცხლეს. წერომ და ყანჩამ ფრთა ფრთას შემოჰკრეს, ცაში აფრენა დააპირეს, მაგრამ ძია თომამ ბუები გააშველა და კლასიც დაშოშმინდა.

- რა გაჩხუბებთ, შე კაცო, ძმები არა ხართ?
- ძმები ვართ! - ერთხმად თქვეს ტყუპებმა.
- მერე რა გაქვთ გასაყოფი?
- რა გვაქვს გასაყოფი და, ბიბო ამბობს, უფროსი მე ვარო.
- მერედა, არ იცით, რომელი ხართ უფროსი?
- ეჰ, ეგ რომ ვიცოდეთ! - თითქმის ერთდროულად თქვეს ძმებმა და თავები ჩაქინდრეს, - ჩვენ ხომ ტყუპები ვართ...

ძია თომა ამ ამბავმა ღრმად ჩააფიქრა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ეს უთხრა ტყუპებს:

- თქვენს შორის ის იქნება უფროსი, ვინც ახლა ყველაზე კარგ ლექსს იტყვის!

ბიბომ ბუბას გადახედა, ბუბამ - ბიბოს, აღმოჩნდა, რომ არც ბიბომ იცოდა ლექსები და არც ბუბამ.

ძია თომა სიის ამოკითხვას შეუდგა.

- შვლის ნუკრი!

შვლის ნუკრი თვალების ფახულით წინ წამოდგა და წყნარად თქვა:

- აქ ვარ, პატივცემულო!
- მგელუკა!

ხმა არავის ამოუღია.

- მგელუკა!

ხმა არავის ამოუღია.

- მგელუკა არ არის! კარგი და პატიოსანი, - თქვა დათუნიამ და ზიტოს ჯირკზე ხავსიანი ქვა დადო.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ძია თომა მგელს „არას" უწერდა.

- კურდღელი!
- აქ ვარ.
- წერო!
- ავად არის, - დაიძახა ყანჩამ. კლასი აწრიალდა. ძია თომას თავი არ აუწევია, ისე თქვა:
- ცნობას მომიტანს ექიმისაგან!..
- ექიმიც ავად არის! - ჩაიქირქილა ყანჩამ.

ძია თომას არც ახლა აუწევია თავი და წყნარად თქვა:

- ყანჩა გამოვა და ტყუილის თქმისთვის ცალ ფეხზე დადგება!
- ბიბო!

კრინტი არავის დაუძრავს.

- ბუბა!

ხმა არც ახლა ამოუღია ვინმეს.

- დაყრუვდით? - იკითხა ძია თომამ.
- ჩვენ ძმები ვართ - წამოდგნენ ტყუპები, - ამიტომ სიაშიც ყოველთვის ერთად უნდა ვიყოთ!..

დათუნიამ სათვალე მოიხსნა და ალმაცერად გამოხედა ტყუპებს.

თვალებგაბრწყინებულმა ბიბომ და ბუბამ ლექსივით ჩაარაკრაკეს.
- აქ ვართ! აქ ვართ!
ძია თომამ არყის ხის თეთრი ქერქის ჟურნალი დახურა და გაკვეთილის ახსნა დაიწყო.

გ. ბედოშვილი

დანართი 2
მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის

ტომი - ტომი	სარი - სარი	როლი - ბოლი
ტომი - ტომი	სარი - სარო	ბოლი - ბოლი
ტომი - ტონი	სარო - სარო	ბოლი - როლი
ტონი - ტონი	სარო - სარო	როლი - როლი

ბალთა - ბალთა	კალათი - სალათი	ქისა - ქისა
ბალთა - ბალთა	კალათი - სალათი	ქისა - ქისა
ბალთა - კალთა	კალათი - სალათი	ქისა - ქოსა
კალთა - ბალთა	სალათი - სალათი	ქოსა - ქისა
კალთა - კალთა	სალათი - კალათი	ქოსა - ქოსა

დანართი N 3

თამაში - „ჩვენ კლასელები ვართ“

ეს თამაში გათვლილია გუნდურობის განვითარებაზე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ასწიონ ხელი, ვისაც ხატვა უფრო უყვარს, ვიდრე სიმღერა და ცეკვა. მათ დააყენებს ერთ მხარეს, შემდეგ მეორე მხარეს დააყენებს მათ, ვისაც ყველაზე მეტად სიმღერა უყვარს, შუაში დადგებიან ისინი, ვისაც ცეკვა უფრო უყვარს. შედგა სამი გუნდი. შემდეგ ვთხოვოთ ბავშვებს, წრე შეკრან და ჩაკიდონ ერთმანეთს ხელები.

I გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს ხატვა, ჩვენ ვართ გუნდი.

მასწავლებელი აკეთებს კომენტარს - ამ გუნდს ის აკავშირებს, რომ ყველას უყვარს ხატვა.

II გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს სიმღერა, ჩვენ ვართ გუნდი.

ანალოგიური კომენტარი კეთდება.

III გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს ცეკვა, ჩვენ ვართ გუნდი.

ისევ კომენტარი.

შემდეგ კი სამივე გუნდი გაერთიანდება. ყველანი ხელს ჩაკიდებენ ერთმანეთს და იტყვიან: ჩვენ ვართ გუნდი, ჩვენ ვართ კლასელები, ჩვენ ვართ მეგობრები, ჩვენ გვიყვარს სწავლა.

თამაში - „მატარებლობანა“

ერთმანეთს ჩაებმებიან მასწავლებელი და ბავშვები (5-6 მოსწავლე) და „მატარებელი” დაიძვრება. ვაჩერებთ ბავშვებს მოწოდებით „სდექ”! ვეკითხებით ბავშვს: „გიორგი, ვინ არის შენ წინ, შენ უკან? ვინ არის თამუნას წინ, უკან?”

მატარებლიდან ჩამოვიდა, ვთქვათ, ორი მგზავრი - ახლა ვინ ვის უკან და წინ იქნება? მატარებელი აგრძელებს მოძრაობას. მასწავლებელი აჩერებს და ეკითხება, საით არის კარი? საით არის დაფა? საით არის ფანჯარა? მარჯვნივ თუ მარცხნივ? შეგვიძლია სამ-სამი მოსწავლე დავაყენოთ ერთმანეთის უკან და დავსვათ ანალოგიური კითხვები. ამ შემთხვევაში განვსაზღვროთ მარჯვენა-მარცხენა მიმართულებები.

დანართი **N4**

მოსწავლის რვეული გვერდი- 9-10

კომპლექსური დავალება №3

1

რა ხატია სურათებზე?
რომელი ცხოველის ან ფრინველის სახელი იწყება ერთსა
და იმავე ბგერაზე? შეაერთე ხაზებით:

2

რა ხატია ნახატებზე?
რამდენი მარცვლისგან შედგება ეს სიტყვები?
დააკვირდი ნიმუშს.
იმდენივე უჯრა გააფერადე, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში:

ნიმუში →

თემა 4 - ოჯახი **საათების რაოდენობა: 7 სთ**
თემაში გამოყენებული ტექსტი: ნ. კუპრავა „ ვისია ეს სახლი“
სხვა რესურსები: **რესურსი კომპლექსური დავალებისათვის, გვ. 13; დანართი N4** **სავარჯიშოები საკლასო სამუშაოების რვეულიდან, გვ. 11, 12.** **გამოყენებული ტექსტი; დანართი N1** **მასალა ზეპირი ფონეტიკური სავარჯიშოებისათვის; დანართი N2** **მიზნობრივი თამაშები: „რა ხატია სურათზე“, „სად რა დახატე“; დანართი N3**

სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** მოთხრობის ,,ვისია ეს სახლი“ შინაარსის (დასაწყისის, შუა ნაწილის, დასასრულის) თანამიმდევრუ-ლად გადმოცემა ნახატებით	**საკითხი 2.** ოჯახის წევრების ზეპირად აღწერა	**საკითხი 3.** სიტყვის ანალიზი და სინთეზი
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** **ჟანრი** - მოთხრობა, **შინაარსობრივი მხარე:** თემა, იდეა, სიუჟეტის განვითარების საფეხურები	**ქვესაკითხები:** ნ. კუპრავას მოთხრობის - „ვისია ეს სახლი?“ თემა, დედააზრი, სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული)		
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება**: **აღწერა** ნიშან-თვისების აღმნიშნელი სიტყვები		**ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტებ ი (ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები)	
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნებები**: ბგერა, მარცვალი, სიტყვა			**ქვესაკითხები:** • ბგერები წარმოთქმულ სიტყვაში; • წარმოთქმულ სიტყვაში მარცვლების რაოდენობა

	კომპლექსური დავალება 1. სიუჟეტის ამსახველი ილუსტრაციების მომზადება და მათზე დაყრდნობით შინაარსის გადმოცემა	**კომპლექსური დავალება 2.** ოჯახის წევრების აღწერა	**კომპლექსური დავალება 3.** სიტყვაში ბგერათა და მარცვალთა რაოდენობის დადგენა

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1.**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** **ჟანრი** -მოთხრობა, **შინაარსობრივი მხარე** თემა, იდეა, სიუჟეტის განვითარების საფეხურები. **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:** **1.** ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**საკითხი:** მოთხრობა ,,ვისია ეს სახლის“ შინაარსის (დასაწყისის, შუა ნაწილის, დასასრულის) თანმიმდევრულად გადმოცემა ნახატების მეშვეობით. **ქვესაკითხი:** ნ. კუპრავას მოთხრობის - „ვისია ეს სახლი?“ თემა, დედააზრი, სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული). **გაგების სტრატეგიები:** მოთხრობის მინიშნებების ურთიერთდაკავშირების საფუძველზე დასკვნების გამოტანა. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხი/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ გადმოვცე ნესტან კუპრავას - „ვისია ეს სახლი?“ შინაარსი (დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული) ნახატების მეშვეობით? **კომპლექსური დავალება : სიუჟეტის ამსახველი ილუსტრაციების მომზადება და მათზე დაყრდნობით შინაარსის გადმოცემა** ➢ დახატე სამი ილუსტრაცია ნაწარმოების „ვისია ეს სახლი?“ მიხედვით: ერთი ილუსტრაცია უნდა ასახავდეს <u>ამბის დასაწყისს</u>, მეორე - <u>შუა ნაწილს</u>, მესამე - <u>დასასრულს</u>. ➢ დაალაგე თანამიმდევრობით ილუსტრაციები და მათზე დაყრდნობით გადმოეცი შინაარსი.
	შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები <u>ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება მოთხრობა, გამოიყენე ტექსტში მოცემული ახალი ან საინტერესო სიტყვები (ტ. 1, 3); • რას გვასწავლის მოთხრობა (ტ. 1, 3); • რით უკავშირდება ტექსტს ნახატები? (ტ. 2).

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების გაცნობა

რესურსი, აქტივობა

აქტივობა 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, საჭიროებების დადგენა

(დაზუსტება, რას ველით მათგან, რას უნდა ელოდნენ ჩვენგან, ემოციური დაცულობის განცდის შექმნა)

- თავისი სიტყვებით ვინ ახსნის, რას მოითხოვს დავალება თქვენგან? რა უნდა შექმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რაიმეს დამატება?
- აბა, გავიხსენოთ, მსგავსი დავალება ხომ არ შეგვისრულებიათ? რა თემას/რომელ ტექსტს ეხებოდა?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების/დავალებების მომზადება და წარდგენა

რესურსი, აქტივობა

ნაბიჯი 1. რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება მოთხრობა, გამოიყენე ტექსტში მოცემული ახალი ან საინტერესო სიტყვები (ტ. 1, 3); რას გვასწავლის მოთხრობა (ტ. 1, 3); ტექსტის რა ინფორმაცია და მინიშნებები გამოიყენე ნახატების შესაქმნელად (ტ. 2).

ქვესაკითხები: მოთხრობის თემა, დედააზრი, სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული)

რესურსი 1. თემატური ილუსტრაციები ,,ვინ სად ცხოვრობს“ (რესურსი იხ. მოსწავლის რვეულში)

აქტივობა 1. იპოვე ვინ სად ცხოვრობს?

- სად ცხოვრობს ჩიტი? რა ჰქვია მის სახლს/ საბინადროს? (აქტ. 1)
- რა ჰქვია ძაღლის საცხოვრებელს?
- სად ცხოვრობს ფუტკარი? რას ვეძახით მის საბინადროს?
- რა ჰქვია ადამიანის საცხოვრებელს?
- სად და ვისთან ერთად ცხოვრობ შენ?
- დაფიქრდი, გიყვარს შენი სახლი? რატომ გიყვარს?
- როგორ ფიქრობ, როდის არ იქნებოდა შენთვის შენს სახლში ცხოვრება სახალისო? რატომ?

რესურსი 2. სახელმძღვანელოს ილუსტრაციები ოჯახის თემაზე

აქტივობა 2. ოჯახის მნიშვნელობის გააზრება (საერთო საკლასო მუშაობა მასწავლებელთან ერთად)

აქტივობა 3. საკუთარი ოჯახის დახატვა

აქტივობა 4. ნახატის დახმარებით კლასელებისთვის საკუთარი ოჯახის გაცნობა

(ვინ ვინ არის; ვინ როგორია; ვისთან რა ურთიერთობა აქვს; რას აკეთებენ ერთად?)

რესურსი 3 . ნესტან კუპრავას მოთხრობა ,,ვისია ეს სახლი?“

აქტივობა 5 . წინარე ცოდნის გააქტიურება, წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურზე დაყრდნობით.

აქტივობა 6 . კითხვა პაუზებით (ერთი პაუზა წინადადებასთან: „ ...ისე იყურებიან, ნამდვილად ვიღაცას ელიან...“, მეორე ,,... პატარა ნამდვილ გოგონას შეევედრა…“! და ა. შ);

- რას გეუბნება მოთხრობის სათაური მისი შინაარსის შესახებ? რით უკავშირდება ისინი შენს ცოდნას? (აქტ.5)
- თქვენი აზრით, რაზე იქნება ეს ტექსტი?
- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? (აქტ. 6)

- რატომ ფიქრობ ასე?
- გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი?
- სინამდვილეში რა მოხდა?

აქტივობა 7. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა

- როგორ გესმის სიტყვის ,,**შეევედრა**“ მნიშვნელობა? (აქტ.7)
- სიტყვას ,,**შეევედრა**“-ს რომელი სიტყვით შეცვლიდი, რომ **იგივე** სათქმელი გადმოსცე ? (შეეხვეწა) (თავისით თუ ვერ ამოიცნობენ, შეიძლება შევთავაზოთ ერთი და იგივე შინაარსის წინადადება სიტყვების ,,შეევედრა“ და ,,შეეხვეწას“ გამოყენებით. დააკვირდნენ, იცვლება თუ არა აზრი ამ სიტყვების შეცვლით)
- დაფიქრდი, რას უნდა ნიშნავდეს გამოთქმა: **,,საკვამურმა ბოლი ამოაფუილა”?** (თუ გაუჭირდებათ განმარტება, კითხვებით მივიყვანთ სწორ პასუხამდე. მაგ., რა არის კვამლი,საკვამური? რისთვის აქვთ სახლებს საკვამური? ე.ი. საკვამურიდან ბოლის ამოსვლა სხვაგვარად როგორ შეიძლება რომ ვთქვათ/ როგორ ითქვა მოთხრობაში, რომ საკვამურიდან ბოლი ამოვიდა?...)
- როგორ ახსნი გამოთქმას ,, თვალები ელულება“? (თუ ვერ გამოიცნობენ მნიშვნელობას, დავაკვირვოთ კონტექსტზე.,,ძილის დროც დამდგარა...) ე.ი. როცა ეძინებათ თვალები ეხუჭებათ)
- (ყვავილი - ყვავილნარი; ნაძვი - ნაძვნარი) - დააკვირდი, სურათებს და ამოიცანი, რა განსხვავებაა ნაძვსა და ნაძვნარს, ყვავილსა და ყვავილნარს შორის?

აქტივობა 8.
კითხვების დახმარებით ტექსტის გაგებაზე მუშაობა

- ვინ დახატა სახლი?
- როგორი იყო ქრისტინეს დახატული სახლი?
- სახლის შემდეგ ვინ დახატა ქრისტინემ?
- რა ჰქვია პატარა გოგონას?
- რატომ მიიპატიჟა სახლმა პატარა სალომე?
- რატომ შეევედრა სალომე ქრისტინეს ოჯახის წევრების დახატვას?
- ვინ არიან სალომეს ოჯახის წევრები?
- გაუხარდათ ოჯახის წევრებს ერთმანეთთან შეხვედრა?
- შეგიძლიათ გაიხსენოთ, საიდან, რომელი ეპიზოდიდან ჩანს?
- როგორ მიიღო სახლმა მოსულები?(სალომეს ოჯახის წევრები)
- საიდან ჩანს მისი სიხარული? როგორ გაუღო კარი? რა დაემართა სახლის ფანჯრებს? რა ქნა საკვამურმა? როგორ ღუღუნებდა ბუხარში ცეცხლი?
- მოთხრობის მიხედვით, როდის ღუღუნებს ბუხარში ცეცხლი ასე ?
- ვინ ცხოვრობდა ამ სახლში?

- ამ ადამიანებს, ყველას ერთად რა ჰქვიათ?
- რატომ მოიწყინა სახლმა ღამის მოახლოებასთან ერთად? რა აწუხებდა მას?
- მიუხვდა ქრისტინე სახლს წუხილის მიზეზს? საიდან ჩანს?
- გაუხარდათ ბავშვებს ძაღლის დახატვა? საიდან ჩანს? რომელი სიტყვით გადმოსცემს ავტორი მათ სიხარულს?
- როგორ გრძნობდა თავს ძაღლი? რა განწყობა ჰქონდა? რას მიხვდა ის?
- რატომ იყო ოჯახი მშვიდად? რას უწოდებს ავტორი ძაღლს?
- საიდან ვიგებთ, რომ ქრისტინემ გადადო ნახატის დასრულება?
- რატომ არ დახატა ბოლომდე სურათი?
- რა დარჩა მას დასახატი?
- თქვენ რამეს ხომ არ დაამატებდით ნახატს?

აქტივობა 9. ტექსტის წაკითხვა მთლიანად

აქტივობა 10. ავტორის მთავარი სათქმელის ამოცნობა და მსჯელობა

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- რა არის ავტორის მთავარი სათქმელი?
- ტექსტში ავტორის სათქმელი პირდაპირ იყო მოცემული თუ დააკვირდით და გამოიცანით?
- რაზე დაგაფიქრათ, რა გაგახსენათ ნაწარმოებმა?
- თქვენი აზრით, რატომ უხარიათ ოჯახი წევრებს ერთად ყოფნა? როდის არის სახლი ბედნიერი?

აქტივობა 11. იდეების ორგანიზება
- გავიხსენოთ, რა მოხდა ტექსტის დასაწყისში;
- როგორ დაასათაურებ პირველ ეპიზოდს?
- რა მოხდა შემდეგ?
- რის მიხედვით დაასათაურებ მეორე ეპიზოდს?
- რა მოხდა ბოლოს? როგორ გასრულდა მოთხრობა?
- რას დაარქმევ ამ ეპიზოდს?

მუშაობა კომპლექსურ დავალებაზე

დააკვირდი სურათებს, დაალაგე შინაარსის თანმიმდევრობით **(რესურსი იხილეთ მოსწავლის რვეულის დანართში)**

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში
ნახატებზე დაყრდნობით მოთხრობის შინაარსის გადმოცემაზე დამოუკიდებლად მუშაობა

- **ნამუშევრების წარდგენა**
- რას გაითვალისწინებ მოთხრობის შინაარსის გადმოსაცემად?
- რას, რომელ სიტყვებს გამოიყენებ თხრობისას?

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რატომ ფიქრობ, რომ ტექსტის შინაარსი ამ თანმიმდევრობით უნდა გადმოგეცა?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე
- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რის მიხედვით დახატე ნახატები?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?

რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **აღწერა** ნიშან-თვისების აღმნიშნელი სიტყვები	**საკითხი:** ოჯახის წევრების ზეპირად აღწერა **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები) **საკვანძო შეკითხვა:** როგორ აღვწერო ჩემი ოჯახის წევრი ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს მისი გარეგნობა? როგორ გამოვკვეთო ოჯახის წევრების ნიშან-თვისებები? **კომპლექსური დავალება:** ოჯახის წევრების აღწერა დახატე შენი ოჯახის წევრები და გაგვაცანი ისინი. შენი ამოცანაა, ისე აღწერო ოჯახის წევრები, რომ მსმენელებმა ნათლად წარმოვიდგინოთ მათი გარეგნობა.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: **მოსწავლე აცნობიერებს, რომ** 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>აღწერისას წარმოაჩინე:</u>** • გარეგნობა შენი ოჯახის წევრებისა (მაგ., მაღალი, დაბალი, გამხდარი, მსუქანი, ქერა, შავგვრემანი, წითური, ცისფერთვალა, შავთვალა, გრძელთმიანი, ნაწნავიანი...) (ს. 1, 2, 3); • ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება წინარე ცოდნის გააქტიურების გზით. გაიხსენეთ, როგორ ვიქცევით, როცა რამეს ან ვინმეს აღვწერთ, რას ვაქცევთ ყურადღებას?
რესურსი 1. აღსაწერი სურათი

ნიმუში 1. ფიფქია ძალიან ლამაზი გოგონაა. მას აქვს თეთრი, ქათქათა სახე, წითელი ტუჩები, პატარა და ლამაზი ცხვირი, დიდი თვალები და წამწამები. ფიფქიას ლამაზი, შავი თმა აქვს. თმაზე წითელი ლენტი უკეთია.

- აღწერისას, რომელ სიტყვებს ვიყენებთ?
- დააკვირდი, როგორ არის აღწერილი ფიფქია?
- რას დაამატებდი? მაგ., როგორი კაბა აცვია ფიფქიას? რა ფერისაა კაბის ზედა ნაწილი? ქვედა ნაწილი?
- ფეხზე რა აცვია მას? მკლავზე რა აქვს ფიფქიას გადაკიდებული? რა უჭირავს მეორე ხელში?
- ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. წარმოაჩინე შენი ოჯახის წევრები შესაბამისი ნიშან-თვისებების მიხედვით (ს. 1, 2, 3); გამოიყენე ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2)
ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები)

რესურსები/აქტივობები

აქტივობა 1. აღწერილის მიხედვით გამოიცანი და დახატე მულტფილმის პერსონაჟი.

რესურსი 1. ის საყვარელი პერსონაჟია. არის პატარა ტანის, მსუქანი და ღიპიანი. მას მოკლე და პუტკუნა ხელები და ფეხები აქვს, ტანზე აცვია ცისფერი კომბინეზონი და მწვანე პერანგი, ფეხზე კიყავისფერი ფეხსაცმელი. მას აქვს აწეწილი ღია წაბლისფერი თმა, მრგვალი ცხვირი და დაჭყეტილი თვალები. უყვარს ტრაბახი. იგი ზურგზე მიმაგრებული პროპელერით დაფრინავს.

- შენი აზრით, ვინ არის ეს პერსონაჟი?
- როგორ მიხვდი? რა არის მის გარეგნობაში ისეთი, რაც სხვას არ აქვს?
- დაგეხმარა ჩემი აღწერა კარლსონის გარეგნობის აღდგენაში/ წარმოსახვაში?
- რომელ დეტალებს მიაქციე ყურადღება?
- შენი აზრით, რომელი სიტყვები დამეხმარა, რომ შენთვის გასაგებად აღმეწერა ნახატი?
- როგორი თვისებების იყო კარლსონი? გარეგნულად როგორ გამოიყურებოდა?
- რა ფერის ტანსაცმელი ჩააცვი? რა ფერის ფეხსაცმელი აცვია ?

აქტივობა 2. იდეების ორგანიზება

- რამდენი ადამიანი ცხოვრობს შენს ოჯახში?
- როგორ გამოიყურებიან ბებია და ბაბუა?
- რა ფერის თმა აქვს ბებიას, რა ფერის თვალები აქვს მას?
- რა ფერის თმა /თვალები აქვს ბაბუას? როგორი ცხვირი/ თვალები აქვს მას?
- როგორი ხასიათისაა ბებია/ ბაბუა?
- რა აცვია ბებიას/ ბაბუას?

- რამდენი და-ძმა გყავს?
- როგორ აღწერ მათ გარეგნობას?
- რა ფერის თმა, თვალები აქვთ მათ?
- ოჯახის ერთ წევრს დახატავ თუ რამდენიმეს?
- როგორია დედა?
- როგორი ცხვირი, რა ფერის თმა და თვალები აქვს მას?
- ნიშან-თვსებების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გამოიყენე აღსაწერად?
- წარმოიდგინე, მათ გარეშე აღწერდი შენი ოჯახის წევრებს?

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში

აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

ნამუშევრების წარდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე ?
- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერა მსმენელისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**
სამიზნე ცნება **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (ფონოლოგიური უნარები)** **ქვეცნებები:** • ბგერა, სამეტყველო ბგერა, მარცვალი	**საკითხი:** **ანალიზი და სინთეზი.** **ქვესაკითხები:** სიტყვაში ბგერების რაოდენობა, სიტყვაში მარცველების რაოდენობა; თავასო **საკვანძო შეკითხვები:** როგორ იშლება სიტყვა? როგორ დავადგინო სიტყვაში ბგერათა და მარცვალთა რაოდენობა? როგორ დავადგინო სიტყვათა ჯაჭვის დალაგების პრინციპი? **კომპლექსური დავალება :** ➢ რამდენი ბგერისა დ მარცვლისგან შედგება ნახატზე მოცემული სიტყვა, გააფერადე იმდენივე უჯრა; ➢ თავბგერისა და მარცვალთა რაოდენობის მიხედვით იპოვე განსხვავებული სიტყვა;
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** **<u>წარმოაჩინე:</u>**

მოსწავლე აცნობიერებს, რომ • 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები - ბგერებისგან. • 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. • 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	• რისგან შედგება წარმოთქმული სიტყვა? (წ. 1,3) • კიდევ რა ნაწილებად იყოფა სიტყვა?(წ. 1,2,3) • რამდენი ბგერისა და მარცვლისგან შედგება დავალებაში მოცემული სიტყვები; რატომ? (წ. 1.2) • როგორ იპოვე სიტყვაში ბგერები და მარცვლები? • შეარჩიე სიტყვა და დაშალე ბგერაბათ? • ამოიცნოს დაშლილი სიტყვა შენმა კლასელმა?

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა:

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

აქტივობა 1

ანბან-პლაკატზე მუშაობა

ანბან-პლაკატის წაკითხვა ბავშვებთან ერთად ; მასწავლებელი ზომიერი ტემპით კითხულობს, ბავშვები მას აჰყვებიან, შემოკარით ერთი ტაში, როდესაც დღეს შესწავლილ ასოებს წარმოვთქვამთ.

აქტივობა 2. ფონეტიკური სავარჯიშოები:

- თავბგერის დასახელება , რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;
- მოცემულ ბგერებზე სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს - „ მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ზოგჯერ ამ

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს - „მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ოღონდ ამ სიტყვებში ერთი სხვანაირი, განსხვავებული სიტყვა იქნება. ყურადღებით იყავით, როცა განსხვავებულ სიტყვას გაიგონებთ, ტაში შემოკარით”.

მაგალითად:

ტანი-ტანი ფური-ყური
ტანი-კანი ფური-ფური
კანი-კანი ყური-ყური
ტანი-ტანი ფური-ფური
კანი-ტანი ყური-ფური

კომპლექსური დავალების შესრულება-წარდგენა

რა გაიგე, რა დაადგინე ამ სამუშაოს შესრულებისას?
რისგან შედგება სიტყვები?
როგორ დაადგინეთ განსხვავებული სიტყვა?
მოგეწონა თუ არა დავალება?
გაგიძნელდა თუ გაგიადვილდა?

წინასაანბანოს დამატებითი აქტივობები
მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში
(მოსწავლის რვეული საკლასო სამუშაოებისთვისაა გათვლილი. იგი ერთგვარი რესურსია ესგ-თი გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. ამასთანავე ძალიან მოხერხებულია ბავშვის ცოდნა-უნარების დასადგენად, რადგან მოსწავლე მას დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად ასრულებს)
(მოსწავლის რვეულში მოცემული დავალებები შეიძლება შესრულდეს თემის ფარგლებში ნებისმიერ დროს, ერთ ჯერზე - ერთი სამუშაო. მასწავლებელი უკითხავს ინსტრუქციას)

სამუშაოების მიზანი
საწერ სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარება;
წერის მიმართულების დაფიქსირება;
თვალისა და ხელის მოქმედებათა კოორდინაცია წერის დროს;
მთელსა და ნაწილს შორის მიმართებათა შემჩნევის უნარის განვითარება;
ნიმუშის მიხედვით გრაფიკული გამოსახულების გადაწერის უნარის განვითარება;
ზრუნვა სარკისებური აღრევის აღმოსაფხვრელად;
სიტყვის აკუსტიკუტი ანალიზი და სინთეზი.
შესასრულებელი სამუშაო:
1. შეაერთე წერტილები ნიმუშის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ;
2. მოძებნე ფიგურა, რომელიც სხვა მხარეს იყურება და გადახაზე;
3. დააკვირდი ცალკე დახატულ ფიგურას, მოძებნე ზუსტად ასეთი და შემოხაზე;
4. რომელია ზედმეტი? გადახაზე ნახატი, რომელიც განსხვავებულ ასოზე იწყება;
5. რომელია ზედმეტი? გადახაზე ნახატი, რომელ სიტყვაშიც მარცვალთა განსხვავებული რაოდენობაა.

დანართი N 1

ვისია ეს სახლი?

სახატავ ქაღალდზე ქრისტინემ სახლი დახატა. სახლი პატარაა, თუმცა ნამდვილს არაფრით ჩამოუვარდება. აქვს პატარა კიბე, პატარა კარი და ორი პატარა ფანჯარა. ფანჯრები თითქოს თვალებია, - ისე იყურებიან, ნამდვილად ვიღაცას ელიან. ნეტავ, ვის? ქრისტინემ სახლისკენ ხტუნვა-ხტუნვით მიმავალი გოგონა დახატა. გოგონამ სახლთან მიირბინა და შესძახა:
- რა ლამაზი პატარა სახლია! ვისია ეს სახლი? - მობრძანდი, სალომე, მობრძანდი! - სახლმა კარები ფართოდ გამოაღო, იმიტომ რომ ეს სახლი ამ დახატული გოგონასია. - კარგად დაფიქრდი, სახლში ცხოვრება მარტო გიხარია, თუ საყვარელ ადამიანებთან ერთად?
პატარა დახატულმა გოგონამ სალომემ ფანჯრიდან გამოიხედა, პატარა ნამდვილ გოგონას შეევედრა:
- მარტო ცხოვრება ძალიან მოსაწყენია! გეხვეწები, ახლა ჩემი ოჯახი დახატე!
ქრისტინემ თხოვნა შეუსრულა, მთელი ოჯახი დახატა. ესენი არიან: დედიკო, მამიკო, ბებია, ბაბუა და პატარა ბუთხუზა ძამიკო. სალომემ კიბე ჩამოირბინა, თავისი ოჯახის წევრებს შეეგება, დედას გულში ჩაეკრა.
- კარგია, რომ მოხვედით! ძალიან მენატრებოდით!
დედას თვალები გაუბრწყინდა: - მეც მენატრებოდი, შვილიკო! ახლა კი სახლში შევიდეთ!
სახლმა კარები ფართოდ გამოაღო: - მობრძანდით! სიხარულით იცხოვრეთ! სახლის ყველა ფანჯარა განათდა. საკვამურმა ბოლი მხიარულად ამოაფუილა, - მამამ ბუხარში ცეცხლი დაანთო. ბუხარში ცეცხლი მშვიდად და ტკბილად მაშინ ღუღუნებს, როცა სახლში ბედნიერი ოჯახი ცხოვრობს. მოდი, ერთხელაც ჩამოვთვალოთ, ამ სახლში ვინ ცხოვრობს: დედიკო, მამიკო, დაიკო, ძამიკო, ბებია და ბაბუა. დაიმახსოვრე, - მათ ერთად ოჯახი ჰქვია.
ქაღალდს თანდათან ღამე ეპარება, სახლმა რატომღაც მოიწყინა. რას წუხს სახლი?-იმას, რომ მას სჭირდება ძაღლიც-მამაცი, ერთგული,- ამ სახლს, ამ ოჯახს რომ უდარაჯოს. ჩვენმა პატარა მხატვარმა სწორედ ასეთი ძაღლი დახატა. ძაღლმა დაიყეფა: - ვისია ეს სახლი? ბავშვებმა ფანჯარა გამოაღეს, აჟრიამულდნენ: - ჩვენია სახლი! ჩვენია ძაღლიც! ძაღლს ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ეს სახლი მისიც იყო და ეზო-ყურეს ფხიზელი, კეთილი მზერა მოავლო. დღეიდან ამ სახლისთვის, ამ

ოჯახისთვის უნდა ედარაჯა. ფანჯრები უკვე მიხურეს. ოჯახი მშვიდადაა. აქვთ სახლი, ჰყავთ ძაღლიც, - მათი სიმშვიდის დამცველი.

ძილის დროც დამდგარა. პატარა ქრისტინეს თვალები ელულება. ფერადი ფანქრები მან მაგიდაზე დატოვა, ბრწყინვალე, დახატული მზე ხვალ ამ დახატული სახლის ზევითაც ამოვა და ყველაფერს კიდით კიდე გაანათებს. ცა აქაც ყოფილა! ეზოში, სახლისგან მარჯვნივ, ქრისტინე ხეხილის ბაღს დახატავს, მარცხნივ - ნაძვნარს, წინ - ყვავილნარს. ასეთ კოხტა სახლში, ასეთ ლამაზ ეზოში ცხოვრება, აბა, ვის არ მოეწონება? ამ ლამაზი სახლის წინ უამრავი დახატული მგზავრი ჩაივლის, ბევრიც ამოივლის, სახლს შეხედავს და იკითხავენ: - ვისია ეს სახლი? ვისია ეს სახლი?

ნესტან კუპრავა

რესურსი ტექსტზე სამუშაო ბარათებისთვის

დანართი N2

მასალა ფონეტიკური წყვილებისთვის

ზვარი - ზვარი	კანი - კანი	დაისი - დაისი
ზვარი - ზვარი	კანი - ტანი	აისი - აისი
ზვარი - ზღვარი	ტანი - ტანი	აისი - დაისი
ზღვარი - ზვარი	ტანი - კანი	დაისი - აისი

მახე-სახე	ბოლი-ბოლი	ბანკი-ბანკი
მახე-მახე	ბოლი-მოლი	ბანკი-ტანკი
სახე-სახე	მოლი-მოლი	ტანკი-ბანკი
სახე-მახე	მოლი-ბოლი	ტანკი-ტანკი

დანართი N3

თამაში - „რა ხატია სურათზე?“

მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს პატარა გუნდებად (3-4 მოსწავლე), დაფასთან გამოიძახებს რიგრიგობით თითოეულ გუნდს. დაფის დირეზე დევს გადაბრუნებული ნახატი. შემდეგ შემოაბრუნებს ნახატს და ეუბნება მოსწავლეებს: „კარგად შეხედეთ და დაიმახსოვრეთ, რა ხატია“. მერე ისევ შეაბრუნებს ნახატს და გუნდის წევრებმა უნდა გაიხსენონ და დაასახელონ საგნები.

სურათი არ უნდა წარმოადგენდეს კომპოზიციას. მასზე უნდა ეხატოს 4-5 საგანი (შეიძლება ამოჭრილი სურათებიც დაწებდეს ფურცელზე), მაგალითად: წიგნი, ბურთი, სკამი, ვარსკვლავი, მანქანა. როდესაც მასწავლებელი ისევ ამოაბრუნებს სურათს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის საგანი, რაც გამორჩათ.

ყოველ მომდევნო გუნდს ეძლევა ახალი სურათი.

თამაში - „სად რა დავხატე“

მოსწავლეებს ვურიგებთ სახატავ ფურცლებს. ვთხოვთ, რომ შუაში დახატონ საკუთარი თავი, შემდეგ კი დახატონ ხე, მზე და ყვავილი.

როდესაც დაასრულებენ ხატვას, თითოეულმა აგვიხსნას, სად რა დახატა, მაგალითად, მზე - ზევით, ხე - მარჯვნივ, ყვავილი - მარცხნივ.

შენიშვნა: როგორც უკვე ითქვა, სივრცით მიმართებებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სურათის აღწერის დროს.

|კომპლექსური დავალება №4

დათვალე ბგერათა და მარცვალთა რაოდენობა.
მარცხენა მხარეს გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. მარჯვენა მხარეს გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში:



რომელია ზედმეტი?
გადახაზე ნახატი, რომლის სახელიც განსხვავებულ ბგერაზე იწყება:

რომელია ზედმეტი?
გადახაზე ნახატი , რომლის სახელშიც მარცვალთა განსხვავებული რაოდენობაა:

საათების სავარაუდო რაოდენობა: 7 სთ **სხვა რესურსები:** **რესურსი კომპლექსური დავალებისათვის, გვ. 16;** **სავარჯიშოები საკლასო სამუშაოების რვეულიდან, გვ. 14, 15.** **გამოყენებული ტექსტი; დანართი N 1 სილვია სერელი „ერთი ლეკვი მაჩუქე რა?"** **მიზნობრივი თამაშები: დანართი N 2**

სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** მოთხრობაში **„ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“** აღწერილი ამბის მსგავსი შემთხვევის ნახატით (ფოტოთი, ციფრული რესურსით) გადმოცემა.	**საკითხი 2.** **ჩაფიქრებული** ცხოველის აღწერით და ამოცნობა- გამოცანა მეგობარს	**საკითხი 3.** სურათების მიმდევრობის გაგრძელება სიტყვებში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.
ტექსტი; (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** ჟანრი - მოთხრობა; შინაარსობრივი მხარე - თემა, დედააზრი, ძირითადი საკითხი; ურთიერთობები.	**ქვესაკითხები:** სილვია სერელის მოთხრობის **„ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“** თემა, დედააზრი, ძირითადი საკითხი, პერსონაჟის ურთიერთობები.		
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება**: აღწერა		**ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები)	
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება**:			**ქვესაკითხები:** დასურათებულ ბარათზე დაწერილი სიტყვა, ზეპირი მარცვლები წარმოთქმულ სიტყვებში
	კომპლექსური დავალება 1.	**კომპლექსური დავალება 2.**	**კომპლექსური დავალება 3.**

სილვია სერელის მოთხრობაში **„ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“** გადმოცემული ამბის მსგავსი შემთხვევის დახატვა (დავალების ფოტოთი ან ციფრული რესურსით მომზადება)	სახალისო გამოცანის შედგენა მეწყვილისათვის	სურათების მიმდევრობის გაგრძელება სიტყვებში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: მხატვრული ჟანრი - მოთხრობა; შინაარსობრივი მხარე- თემა, დედააზრი, პერსონაჟი **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:** 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება; 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა; 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**საკითხი:** სილვია სერელის მოთხრობაში **„ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“** გადმოცემული ამბის მსგავსი შემთხვევის გადმოცემა ნახატით (ფოტოთი, ციფრული რესურსით, თამაშით“). **ქვესაკითხი:** სილვია სერელის მოთხრობის **„ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“** თემა, დედააზრი, ძირითადი საკითხი, პერსონაჟის ურთიერთობები. **საკვანძო შეკითხვა**: რა ხერხი გამოვიყენო სილვია სერელის მოთხრობის - **„ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“** გასაგებად? რით და როგორ დავუკავშირო ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მოთხრობას? **კომპლექსური დავალება : ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება (<u>ჩემი განსხვავებული მეგობარი)</u>** ➢ დაუკავშირე მოსმენილი ტექსტი საკუთარ ცხოვრებას. სახატავი საშუალებების, ციფრული რესურსის ,,ვსწავლობთ თამაშის“ გამოყენებით დახატე შენი განსხვავებული მეგობარი ან ფოტო გადაუღე მას. ➢ გაიცანი იგი შენს თანაკლასელებს: რა ჰქვია? როგორი ხასიათისაა? რა მოსწონს? როგორ იქცევა? რაიმე თუ იცის? შენ რა ასწავლე? ვინ უყვარს ყველაზე მეტად? როგორ მეგობრობთ? როგორ ზრუნავ მასზე?
	შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები <u>აღწერისას :</u> <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1) ; • რით უკავშირდება შენი <u>ამბავი</u> წაკითხულ ტექსტს (ტ.1, 2, 3); • რაზე დაგაფიქრა ნაწარმოებმა? (ტ. 1 2, 3).

I ეტაპი. დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

რესურსი, აქტივობა

აქტივობა1. დავალების პირობის გაცნობა, საჭიროებების დადგენა

(დაზუსტება, რას ველით მათგან, რას უნდა ელოდნენ ჩვენგან, ემოციური დაცულობის განცდის შექმნა)

- თავისი სიტყვებით ვინ ახსნის, რას მოითხოვს დავალება თქვენგან? რა უნდა შექმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რაიმეს დამატება?
- აბა, გავიხსენოთ, მსგავსი დავალება ხომ არ შეგვისრულებია? რა თემას/რომელ ტექსტს ეხებოდა?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების/ დავალებების მომზადება და წარდგენა

რესურსი, აქტივობა

ნაბიჯი1. რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1); რით უკავშირდება შენი ამბავი წაკითხულ ტექსტს (ტ.1, 2, 3); რაში დაგეხმარა ცხოვრებისეული ამბისა და მოთხრობის ერთმანეთთან შედარება (ტ.1, 2, 3); რას მიაქციე ყურადღება ისეთს, რაზედაც ნაწარმოების წაკითხვამდე არ დაფიქრებულხარ (ტ. 1 2, 3).

ქვესაკითხები: სილვია სერელის მოთხრობის **„ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“** თემა, დედააზრი, ძირითადი საკითხი, პერსონაჟის ურთიერთობები.

რესურსი1. მოთხრობა **„ჟაკო“**

აქტივობა1. მოთხრობის წაკითხვა და ტექსტის გააზრება კითხვებზე პასუხით

- რას ცდილობდა ია, რა შედეგი გამოიღო გულმოდგინე შრომამ?
- რომელი ფრინველი ან ცხოველი გყავთ სახლში?
- რომელი ფრინველი ან ცხოველი გინდათ რომ გყავდეთ?
- კიდევ რომელი ცოცხალი არსება შეიძლება ჰყავდეთ სახლში?
- თუ იცით, როგორ უნდა მოუაროთ ლეკვს?

რესურსი 2. სილვია სერელის **მოთხრობა „ერთი ლეკვი მაჩუქეთ, რა?“**

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა (ვარაუდების გამოთქმა)

წინარე ცოდნის გააქტიურება, წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურზე დაყრდნობით.

აქტივობა 3. კითხვა პაუზებით (მაგ.:ერთი პაუზა წინადადებასთან: ,, - დაბადების დღისთვის ერთი ლეკვი მაჩუქეთ რა!“... , მეორე - ,,... სანატრელი დაბადების დღეც დადგა, …“! და ა. შ);

- რას გეუბნება მოთხრობის სათაური მისი შინაარსის შესახებ? რით უკავშირდება ისინი შენს ცოდნას?
- თქვენი აზრით, რაზე იქნება ეს ტექსტი?

- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი?
- სინამდვილეში რა მოხდა?

აქტივობა 4. კითხვების დახმარებით ტექსტის გაგებაზე მუშაობა (ეპიზოდებად წაკითხვა)

- რა მოსწონდა თეას, რაზე ოცნებობდა ის?
- რომელი ცხოველი მიიღო საჩუქრად ოთხი წლის თეამ? რა დაარქვა მან თავის კნუტს?
- რატომ დაკარგა თეამ მოსვენება? რისი მოყვანა სურდა?
- როგორ გააფრთხილა/დაარიგა მამამ გოგონა?
- რა პირობა მისცა თეამ მამას?
- რას ვიგებთ მოთხრობიდან, კიდევ ვის უნდოდა ძაღლის ყოლა?
- რატომ ვერ აიხდინა ჩესკომ ოცნება? სამაგიეროდ რა ჰყავს მას ახლა?
- რომელი ცხოველი ჰყავს მარიამს?
- როგორ წარმოუდგენია თეას აკილესა და თავისი ახალი მეგობრის (ლეკვის) ურთიერთობა?
- რაზე დანაძლევდნენ ჩესკო და თეა?
- ვინ მოუყვანა თეას ლეკვი?
- როგორი ძაღლი გამოდგა ლორი?
- რა აღმოაჩინა რამდენიმე დღეში თეამ, მართლა ასეთი ჭკვიანი იყო მისი ახალი მეგობარი?
- რით იყო უკმაყოფილო გოგონა?
- რა ურჩია მამამ გოგონას? გაიხსენე ტექსტიდან,როგორ უნდა მოიქცეს ის?
- რას მიხვდა თეა?
- როგორ სრულდება მოთხრობა?

აქტივობა 5. მთლიანი ტექსტის წაკითხვა

აქტივობა 6. ავტორის მთავარი სათქმელის ამოცნობა და მსჯელობა

- გავიხსენოთ, რა მოხდა ტექსტის დასაწყისში;
- რა მოხდა შემდეგ?
- რა მოხდა ბოლოს?
- რა არის ავტორის მთავარი სათქმელი, რისი თქმა სურს ჩვენთვის?
- ტექსტში ავტორის სათქმელი პირდაპირ იყო მოცემული, თუ დააკვირდი და ისე გამოიცანი?
- რით უკავშირდება წაკითხული ტექსტი შენს გამოცდილებას? როგორ გამოიყენებ წაკითხულით მიღებულ გამოცდილებას ცხოვრებაში?

მსჯელობა და დასკვანის გამოტანა: მოთხრობიდან თქვენ უკვე გაიგეთ, თუ როგორ მოუაროთ ლეკვს.

- ვინ იცის, როგორ უნდა მოუაროთ კატას, ჩიტს, თევზებს,ზაზუნას, ჰამსტერს, შინშილას ან რომელიმე სხვა ცხოველს. საჭიროებენ თუ არა ისინი ზრუნვას, მოვლას? (ყველა ცხოველი ოჯახის წევრი ხდება და თქვენგან ზრუნვას მოითხოვს)
- თუ გაგიგიათ შემთხვევები, როდესაც ძაღლები ზრუნავენ პატრონზე, ადამიანზე?

აქტივობა 7. მულტფილმის ჩვენება და მსჯელობა (მულტფილმი პატარა ლეკვზე)

- როგორ იქცეოდა პატარა ლეკვი? რა უნდოდა მას?
- რას ცდილობდა მასწავლებელი?
- ლეკვმა გამოცდაზე შეცდომა დაუშვა, სად დაამტკიცა, რომ ყველაფერი შეუსწავლია?
- რატომ აჩუქეს ლეკვს ჭკვიანი ძაღლის მოსასხამი?
- რა მოგეწონათ ამ ფილმში? რა გვასწავლა მულტფილმმა?

თუ მოინდომებ, ყველა სურვილს აისრულებ; მთავარია, შენი ცოდნა ცხოვრებაში გამოიყენო.

- **რაზე დაგაფიქრა მოთხრობის მოსმენამ და მულტფილმის ნახვამ?**

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება, კომპლექსურ დავალებაზე **დამოუკიდებლად მუშაობა**

- **ნამუშევრების წარდგენა**

- რას გაითვალისწინებ საკუთარი ცხოვრებიდან მოთხრობაში გადმოცემული ამბის მსგავსი შემთხვევის გახსენებით და მისი ნახატით გადმოსაცემად?
- რას, რომელ სიტყვებს გამოიყენებ თხრობისას?

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ამბავი სწორად დააკავშირე ტექსტთან ?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რის მიხედვით დახატე ნახატები?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?

რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6) ქვეცნება: აღწერა **აღწერის მახასიათებები**	**საკითხი: გამოსაცნობად** ჩაფიქრებული ცხოველის აღწერა და ამოცნობა **ქვესაკითხები**: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები) **საკვანძო შეკითხვა:** როგორ აღვწერო ესა თუ ის ცხოველი? **კომპლექსური დავალება:** სახალისო გამოცანის შედგენა მეწყვილისათვის ➢ ჩაიფიქრე ერთ-ერთი შინაური ცხოველი. ჯერ კარგად მოიფიქრე, როგორ აღწერ მას. შემდეგ შენს მეწყვილეს ისე აღუწერე იგი, რომ გამოიცნოს, რომელი ცხოველი გყავს ჩაფიქრებული.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები :	**დავალების შეფასების კრიტერიუმები:**

მოსწავლე აცნობიერებს, რომ	**ნამუშევარში/<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>**
1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	• როგორი გარეგნობა/ბეწვი აქვს, როგორი კუდი, ყურები, თვალები აქვს, რა უყვარს, რას ჭამს, როგორ ხმას გამოსცემს და სხვ. (ს.1, 3) • ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს.1, 2)

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- გიყვართ გამოცანები?
- ადვილად შეგიძლიათ მათი გამოცნობა?
- როგორ გამოიცანით გამოცანის პასუხი? რა მინიშნებები იყო გამოცანაში ისეთი, რაც დაგეხმარათ პასუხის ამოცნობაში?
- თქვენ ხომ არ გიცდიათ გამოცანის შედგენა? რას ეხებოდა?
- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება გამოცანის შედგენის დროს?
- როგორ აღვწეროთ საგანი ისე, რომ მსმენელმა შეძლოს მისი გამოცნობა?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ აღწერისთვის?
- რისი შესწავლა დაგვჭირდებათ?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების/დავალებების მომზადება და წარდგენა

<u>**ნაბიჯი 1:**</u> რის მიხედვითაც აღწერე ჩაფიქრებული შინაური ცხოველი, როგორი გარეგნობა/ბეწვი აქვს, რა უყვარს,რას ჭამს, როგორი კუდი, ყურები, თვალები აქვს, როგორ ხმას გამოსცემს და სხვ. (ს.1, 3), ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს.1, 2)

ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები)

რესურსები/აქტივობები
აქტივობა1. ცხოველების ამოცნობა და აღწერა
რესურსი 1. სახელმძღვანელოს ილუსტრაციები იხილეთ სახელმძღვანელოში
- რას ხედავთ ილუსტრაციებზე?
- რომელი ცხოველის დასახელება შეგიძლიათ?
- სად ცხოვრობს ძაღლი? კატა?
- კიდევ რომელი ცხოველები ცხოვრობენ ადამიანებთან?

აქტივობა 2. გარეული ცხოველები
რესურსი 2 (იხილეთ მოსწავლის **რვეულში)**
- რას ხედავ სურათებზე?
- სად ცხოვრობს დათვი? მელა? მგელი? ვეფხვი? ლომი? (ტყეში)
- თურმე, რატომ ეძახიან ზოგ ცხოველს შინაურს, ზოგს კი - გარეულს?
- როგორი ზომის ცხოველია ციყვი?
- სად ცხოვრობს კურდღელი? როგორი ყურები და კუდი აქვს მას?

- რომელი ცხოველი მოგწონს განსაკუთრებით? რატომ?
- როგორ გამოიყურება ის?

აქტივობა 3. მოსწავლეებისთვის აღწერის მაგალითის ჩვენება
რესურსები 2. მაგალითად: სპილოს სურათი
აქტივობის აღწერა:
მასწავლებელი იწყებს ერთ-ერთი გარეული ცხოველის დახასიათებას ფერის, ზომის, გარეგნობისა და სხვა ნიშნების (რქა, კუდის სიგრძე, ბრჭყალები, ხორთუმი) მიხედვით, რაც მოსწავლეებისთვის ამა თუ იმ ობიექტის აღწერის მაგალითი უნდა იყოს. დახასიათების დასრულებისას მოსწავლემ, რომელსაც აქვს შესაბამისი ნახატი, იგი უნდა უჩვენოს მთელ კლასს. სასურველია, მასწავლებელმა არ გამოტოვოს არც ერთი მოსწავლის ბარათზე ასახული ცხოველი).
მაგ., ის დიდი ზომის ნაცრისფერი ცხოველია. მას აქვს ვეებერთელა ყურები, დიდი თეთრი ეშვები და პატარა თვალები. მისი კუდი არ არის დიდი, არც ფუმფულა, კუდის ბოლო ფუნჯივით აქვს დაყოფილი. ამ ცხოველს აქვს ღონიერი გრძელი ხორთუმი.
აქტივობა 3. შინაური ცხოველის აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

- საბოლოო ვარიანტის მომზადება
- გამოცანის მოფიქრება

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარისა ხელშესაწყობად
ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- უკავშირდება თუ არა შენი აღწერა ტექსტის შინაარს?
- დაგეხმარა თუ არა ცხოველების აღწერა ტექსტის უკეთ გაგებაში?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ დაახასიათე შენ მიერ შერჩეული ცხოველი, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება;
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერა მკითხველისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?

რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**
სამიზნე ცნება **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (ფონოლოგიური უნარები)** **ქვეცნებები :** • ბგერა, სამეტყველო ბგერა, ბგერა და ასო, მათი შესაბამისობა და განსხვავება; • მარცვალი; (აკუსტიკური გარჩევის დონეზე)	**საკითხი:** ანალიზის სინთეზი **ქვესაკითხი:** დასურათებულ ბარათზე დაწერილი სიტყვა; ზეპირი მარცვლები წარმოთქმულ სიტყვებში. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ/რით უკავშირდება დაწერილი სიტყვა წარმოთქმულ სიტყვას? როგორ დავშალო წარმოთქმული სიტყვა მარცვლებად?

	როგორ დავადგინო სიტყვათა ჯაჭვის დალაგების პრინციპი. კომპლექსური დავალება: დააკვირდი და ამოიცანი, რა წესითაა დალაგებული ნახატები; ყურადღება მიაქციე მარცვალთა რაოდენობას ნახატის შესაბამის სიტყვებში. ქვემოთ მოცემული სამი სურათიდან შეარჩიე შესაბამისი ნახატები და ისე ,,მიიყვანე" ხაზებით ცარიელ უჯრებთან, რომ სიტყვების თანმიმდევრობის მოცემული წესი არ დაარღვიო.
ინზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; (შედეგები: (I) 2, 4, 6) მოსწავლე აცნობიერებს, რომ 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები - ბგერებისგან. 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>წარმოაჩინე:</u> • რისგან შედგება წარმოთქმული სიტყვა? (წ. 1,3) • კიდევ რა ნაწილებად იყოფა სიტყვა?(წ. 1,2,3) • რამდენი ბგერისა და მარცვლისგან შედგება დავალებაში მოცემული სიტყვები; რატომ? (წ. 1.2) • როგორ იპოვე სიტყვაში ბგერები და მარცვლები? • შეარჩიე სიტყვა და დაშალე ბგერაბათ? • ამოიცნოს დაშლილი სიტყვა შენმა კლასელმა?
კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)	
I ეტაპი: მოსწავლეთათვის კომპლექსური დავალების გაცნობა	
დააკვირდი ნახატებს. რა ხატია? დაფიქრდი, რა წესითაა დალაგებული, ყურადღება მიაქციე მარცვალთა რაოდენობას. ქვემოთ მოცემული სამი სურათიდან შეარჩიე შესაბამისი ნახატები და დალაგების წესის გათვალისწინებით შეავსე გამოტოვებული უჯრები, შეაერთე ხაზებით	
აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება ➢ ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება? ➢ რისი ცოდნა გამოგადგებათ? ➢ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? ➢ რაში დაგჭირდებათ დახმარება?	
II ეტაპი. კომპლექსურ დავალებეზე მუშაობა და წარდგენა	

აქტივობა 1. ანბან-პლაკატზე მუშაობა
სიტყვის ბგერით მხარეზე მუშაობა ბავშვს სიტყვის ბგერითი ანალიზ-სინთეზის უნარს უვითარებს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ კონკრეტული ბგერები კონკრეტულ ასოებს დაუკავშიროს; რაც უფრო ადრე დააგროვებს ბავშვი ამგვარ გამოცდილებას, მით უფრო ძლიერი იქნება დასწავლის ეფექტი. სწორედ ამიტომ სკოლაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ქართული ანბანის პლაკატს (პლაკატი უნდა ეკიდოს თვალსაჩინო ადგილზე, სასურველია, დაფასთან, ბავშვისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე). მასწავლებელი ეუბნება, რომ ეს არის ქართული ანბანი და უკითხავს მკაფიოდ, თითოეულ ასოზე საჩვენებელი ჯოხის დადებით მთელ ანბანს (დასახელდება ასოს შესატყვისი ბგერა - ა, ბ, გ... და არა ასოს სახელწოდება).
შემდეგ დღეებში მასწავლებელი აიყოლიებს ბავშვებსაც ანბანის კითხვაში.
აქტივობა 2. ფონეტიკური სავარჯიშოები;

- თავბგერის დასახელება, რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;
- მოცემულ ბგერებზე სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს - „ მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ზოგჯერ ეს სიტყვები ერთნაირი იქნება, ზოგჯერ გამოერევა განსხვავებული სიტყვა. ყურადღებით იყავით, როცა განსხვავებულ სიტყვას გაიგონებთ, ტაში შემოჰკარით.

მახე-სახე	ბოლი-ბოლი	ბანკი-ბანკი
მახე-მახე	ბოლი-მოლი	ბანკი-ტანკი
სახე-სახე	მოლი-მოლი	ტანკი-ბანკი
სახე-მახე	მოლი-ბოლი	ტანკი-ტანკი

აქტივობა 3. მარცვლებით თამაში
1 სიტყვათა ჯაჭვი- მე ჩამოგითვლით სიტყვათა ჯაჭვს. დააკვირდით, როგორ არის აწყობილი ეს ჯაჭვი - რა წესზე; შეიძლება იწყებოდნენ ერთნაირ მარცვალზე, შეიძლება მთავრდებოდნენ ერთნაირ მარცვალზე; შეიძლება ყველა სიტყვა ორმარცვლიანი იყოს. შეიძლება რომელ მარცვალზეც მთავრდება ერთი სიტყვა, იმ მარცვალზე იწყებოდეს მომდევნო სიტყვა; მაგალითად:
4 მამა-**�lი** **ლი**მო-ნი ნიან-გი გი-რჩი ჩი-რი
1 სახ-**ლი** --- ბა-**ლი** --კვა **ლი** -- თვა-**ლი**
2 სა- თა - მა- შო(4) ---- მა-გი- და (3) ---- ქო-რი (2) ------ ხე(1)
3 ქა-**თა**-მი---- მუ -**თა**-ქა-----მა -**თა**-რა
2. ერთსა და იმავე ასოზე ჩამოვთვალოთ : ხილი, ცხოველი, ფრინველი - **მანდარინი, მაიმუნი, მერცხალი.**
მასწავლებელი ასახელებს ასოებს, მას ამ ასოებზე უნდა ჰქონდეს მომზადებული მასალა, რათა ჩაერთოს თამაშში და დაეხმაროს მოსწავლეებს. ეს თამაში არა მარტო ფონოლოგიურ ცნობიერებას ავითარებს, არამედ ამდიდირებს ლექსიკას.
3. სიტყვების წრე. ჩადექით წრეში, რიგრიგობით დაასახელეთ ერთსა და იმავე ბგერაზე დაწყებული სიტყვა.
დათვი. დილა. დოლი. დინგი. დრუნჩი. დუდუკი.
თუ ვინმემ ვერ მოახერხა, მასწავლებელი აძლევს რომელიმე სიტყვის მინიშნებას, თუ ვერ

დანართი N1

ერთი ლეკვი მაჩუქეთ რა?

- დარწმუნებული ხარ, რომ თოჯინა კელის კოსმონავტის სამოსი არ გინდა? ანდა სამზარეულო დაკიდებული ქვაბებით, სათამაშოების მაღაზიაში რომ ნახე?- ჰკითხა დედამ.

- დარწმუნებული ვარ, კი! - უპასუხა გოგონამ.

- კარგი, მაშინ ლეკვი შენი დაბადების დღისთვის გეყოლება! - გააგრძელა მამამ.

- რა კარგია! - იყვირა თეამ და მთელი სახლი ხტუნვა-ხტუნვით შემოიარა.

თეას ცხოველები ძალიან მოსწონს. სამი წლის იყო, დინოზავრის ნაშიერზე რომ ოცნებობდა. ოთხი წლისამ კატის კნუტი ისურვა და მოუყვანეს კიდეც, სახელად აკილე. ბოლო პერიოდში პატარა პანდა მოუნდა... მაგრამ მას შემდეგ , რაც გაიგო, მეზობლების ძაღლს ლეკვები გაუჩნდაო, მოსვენება დაკარგა და მთელი ოჯახი მუდარით ხელში შეიკლა:

- დაბადების დღისთვის ერთ ლეკვს მაჩუქებთ?

- კი, მაგრამ დაიმახსოვრე, ცხოველებს და, განსაკუთრებით მათ ლეკვებს მოვლა, ყურადღება და ძალიან დიდი მოთმინება სჭირდებათ.

მეორე დღეს, როდესაც ჩესკოსა და მარიამს შეხვდა, ემოცია ვერ დამალა და წამოიძახა:

- ჩემს დაბადების დღეზე ლეკვი მეყოლება! სათამაშოებით ვათამაშებ და ენრიკა ბებიას კატლეტებს ვაჭმევ.

- ოჰ, რა კარგი იქნება! მეც ძალიან მომწონს კატლეტები! - წამოიძახა მარიამმა.

- მერე აკილეს საუკეთესო მეგობარი გახდება, ერთად ითამაშებენ და დაიძინებენ! –

ემოციებს ვერ მალავდა თეა.

- ძაღლები და კატები ერთმანეთთან არ მეგობრობენ! - მიანიშნა ჩესკომ გოგონას.

- ჩემები იმეგობრებენ! - შეეწინააღმდეგა თეა.

- დავნაძლევდეთ, გინდა? ჟოლოს ჩუპა- ჩუპსის კანფეტს მოგცემ, თუ წავაგებ!

- კარგი!

სანატრელი დაბადების დღეც დადგა. სტუმრად ბაბუა ვასკო მოვიდა და ხელში ულამაზესი ლეკვი ეჭირა.

- რა ლამაზია! - წამოიძახა თეამ სიხარულით! - ლორის დავარქმევ!

ლორი ძალიან საყვარელი და სასაცილო ძაღლი გამოდგა. რამდენიმე დღეში გოგონამ აღმოაჩინა, რომ მას რბილი სათამაშოებით გართობა ძალიან მოსწონდა და ისე სულაც არ იყო, როგორც მას ეგონა. ლორის ძალიან მოსწონდა სათამაშოების ღრღნა, გლეჯა, შიგთავსის გადმოყრა; მეტიც, ჩუსტებს, ბოტასებს და წინდებს აქეთ-იქით ათრევდა და ყოველ დილით თეას ჩივილი იქაურობას აყრუებდა:

- ოჰ, დედა, ჩემი წინდები მთლად დაწიწკნილია.

- მართალი იყავი, მამა, ლეკვებთან დიდი მოთმინებაა საჭირო! - გამოუტყდა გოგონა,-და მე არ ვიცი, თუ შევძლებ..

- საკმარისია მეტი ყურადღება გამოიჩინო: შენი ფეხსაცმელები და წინდები აქეთ-იქით არ დაყარო, სათამაშოებიც იქ დადო , სადაც ლორი ვერ მისწვდება და კიდევ, კატლეტებიც აღარ აჭამო, რადგან მუცლის საშინელ ტკივილს იწვევს, - დაასრულა მამამ.

თეა მიხვდა, რომ ლეკვი სათამაშო კი არა , ცოცხალი არსება იყო, რომელიც გაწვრთნას, დროის დათმობას და ყურადღებას ითხოვდა. მიხვდა ასევე, რომ ჩესკოსთან ნიძლავი მოიგო, ლორი და აკილე ერთმანეთის გვერდით დაძინებული რომ დაინახა.

სილვია სერელი

დანართი N 2

თამაში - „მარჯვენა და მარცხენა“

სივრცითი მიმართებების დაფიქსირების პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარჯვენა-მარცხენის გარჩევას. ეს პროცესი, პირველ რიგში, საკუთარ სხეულთან მიმართებაში უნდა დაფიქსირდეს.

არაერთხელ ითქვა, რომ იდეა იმ ხელის დასახელებისა, რომლითაც წერენ, სრულყოფილი არ არის, რადგან ბავშვი შეიძლება ცაცია იყოს. ამ ბოლო ხანებში გაჩნდა სტიკერების გამოყენების იდეა.

შეგვიძლია ჩავატაროთ უმარტივესი ვარჯიშები: ავწიოთ მარჯვენა ხელი, მოვხაროთ მარჯვენა ფეხი, გავშალოთ მარჯვენა ხელი და ა.შ.

შეიძლება შევკრათ წრე და მოსწავლეებს ვთხოვოთ, დაასახელონ ვინ დგას მათ მარჯვნივ და ვინ - მათ მარცხნივ.

მარჯვენა და მარცხენა უნდა დავაფიქსირებინოთ საგნებს შორის მიმართებაშიც. დავაწყოთ მერხზე ერთმანეთის გვერდით საგნები - მაგალითად: კალამი, რვეული, წიგნი. შემდეგ დავუსახელოთ საგნები და ვკითხოთ - რა დევს წიგნის მარჯვნივ? რა დევს რვეულის მარცხნივ და ა.შ.

შეგვიძლია, დაფაზე დავხატოთ საგნები - ყვავილი, ბურთი, მზე, ვარსკვლავი და მოსწავლეებს დავაფიქსირებინოთ მიმართებები, რა არის მზის ზევით, მზის ქვევით, მზის მარჯვნივ და მარცხნივ. თუ კლასში მაგნიტური დაფა გვაქვს, ამგვარი სავარჯიშოს შესრულება უფრო ადვილი იქნება.

თამაში - „ჩვენი საკლასო ოთახი“

სივრცითი მიმართებების დაფიქსირება უნდა დავიწყოთ საკუთარი სხეულის მიმართ. ამ მიზნით გამოვიყენოთ საკლასო ოთახის ინტერიერი.

- რა დგას შენ წინ, შენ უკან, შენ გვერდით?
- ვინ ზის შენ წინ, შენ უკან?

შემდეგ მოსწავლეს ვთხოვოთ საგნის მდებარეობის დაფიქსირება.

- რა დგას დაფის წინ?
- რა დგას დაფის უკან?
- რა დევს ფანჯრის რაფაზე?
- რა დევს მაგიდაზე?
- რა დგას კარის გვერდით?

ცხადია, შეკითხვებს განსაზღვრავს კონკრეტული ინტერიერი.

თამაში - „შორს და ახლოს“

ამ თამაშის მიზანია, მოსწავლეს დავაფიქსირებინოთ საგანთა შორის დაშორება.

- ვის მერხთან უფრო ახლოსაა დაფა, დიმიტრის თუ ქეთინოს მერხთან?
- ვინ ზის ფანჯარასთან ახლოს?
- ვინ ზის ფანჯრიდან უფრო შორს?

ჩვენ შეგვიძლია ბავშვებს პრაქტიკული სავარჯიშოებიც შევთავაზოთ. მაგალითად, გამოვიყვანოთ მოსწავლეები და ვთხოვოთ:

- ნიკა დადგეს მაგიდასთან ახლოს, მარიამი - შორს.

ანდა განვალაგოთ ბავშვები და დავსვათ კითხვა:

- ვინ დგას სანდროსთან ახლოს და სანდროსგან შორს, ვინ დგას ნინოსთან ახლოს და ნინოსგან შორს?

რვეული ვერდი გვერდი 16

კომპლექსური დავალება №5

დააკვირდი ნახატებს. რა ხატია?
დაფიქრდი, რა წესითაა დალაგებული ნახატები,
ყურადღება მიაქციე მარცვალთა რაოდენობას.
რომელი სიტყვა რამდენ მარცვლიანია?



გაიხსენე, როგორ იყო ზედა სავარჯიშოში სიტყვები დალაგებული. მარცხენა მწკრივს აკლია ორი ნახატი. დაადგინე, რამდენ მარცვლიანია მარჯვნივ მოცემული ორი სიტყვა და ჩასვი შესაბამის ადგილას.
შეართე ხაზებით:





თემა 6: სიკეთე და ბოროტება ზღაპრებში **საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 სთ**			
თემაში გამოყენებული ტექსტი: ქართული ხალხური ზღაპარი - ,,გვრიტი“ დანართი 1			
სხვა რესურსები: **სავარჯიშოები საკლასო სამუშაოების რვეულიდან, გვ. 17, 18.** **რესურსი კომპლექსური დავალებისთვის - საკლასო სამუშაოების რვეული, გვ. 19, 20.** **მიზნობრივი თამაშები - დანართი 2.**			
	საკითხები		
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ზღაპარ ,,გვრიტის“ **ეპიზოდის** გათამაშება პერსონაჟის როლის მორგებით	**საკითხი 2.** საყვარელი პერსონაჟის გარეგნობის ზეპირად აღწერა	**საკითხი 3.** ბგერების რაოდენობის დადგენა წარმოთქმულ სიტყვაში
ტექსტი; (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მხატვრული ჟანრი - ზღაპარი შინაარსობრივი მხარე - დედააზრი, პერსონაჟი, ხედვის კუთხე. ზღაპრის მახასიათებლები.	**ქვესაკითხები:** ზღაპარ ,,გვრიტის“ დედააზრი, პერსონაჟის ხედვის კუთხე, ქცევა, შინაგანი სამყარო, დამოკიდებულებები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან.		
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები:** აღწერა		**ქვესაკითხები:** აღწერის ელემენტები, ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები.	
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება**:			**ქვესაკითხები:** ბგერები მოცემულ სიტყვებში; ბგერათა რაოდენობა წარმოთქმულ სიტყვებში.

ბგერა, წარმოთქმული სიტყვა,მარცვალი.			
	კომპლექსური დავალება 1. ტექსტის ეპიზოდის როლური გათამაშება.	**კომპლექსური დავალება 2.** ზღაპრის საყვარელი პერსონაჟის ზეპირად აღწერა.	**კომპლექსური დავალება 3.** სიტყვაში ბგერების შესაბამისი რაოდენობის უჯრების გაფერადებით **ბგერების კვადტარისა და ბგერების კიბის შექმნა.**

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მხატვრული ჟანრი - ზღაპარი შინაარსობრივი მხარე - დედააზრი, პერსონაჟი, ხედვის კუთხე.	**საკითხი:** ზღაპარ ,,გვრიტის“ ეპიზოდის როლური გათამაშება შერჩეული პერსონაჟის როლის მორგებით. **ქვესაკითხი:** ზღაპარ ,,გვრიტის“ დედააზრი, პერსონაჟის ხედვის კუთხე, ქცევა, შინაგანი სამყარო, დამოკიდებულებები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხების გამოყენებით გავიგო ტექსტი? როგორ მოვირგო და გავითამაშო პერსონაჟის როლი? **კომპლექსური დავალება:** ტექსტის ეპიზოდის როლური გათამაშება ➢ ჯგუფის წევრებთან ერთად შეარჩიეთ ზღაპარ ,,გვრიტის“ ეპიზოდი, რომელიც მოგწონთ; ➢ გაინაწილეთ მთხრობლისა და პერსონაჟების როლები და გაითამაშეთ შერჩეული ეპიზოდი. ➢ ეპიზოდის გათამაშებისას გამოხატე გრძნობა, რომლითაც პერსონაჟი თუ მთხრობელი წარმოთქვამს სიტყვებს, წინადადებებს.;
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები ეპიზოდის გათამაშების შემდეგ წარმოაჩინე:** • რატომ შეირჩიე ეს ეპიზოდი (ტ.1); • რომელი სიტყვები მოგეწონა ყველაზე მეტად (ტ. 3); • რომელი პერსონაჟი მოგეწონა ყველაზე მეტად (ტ. 3). • რა გრძნობები გამოხათე?

მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	

I ეტაპი. მოსწავლეებისთვს დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

რესურსი, აქტივობა

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება, წინარე ცოდნის გააქტიურება

- გიყვართ ზღაპრები? ვინ გიკითხავთ ხოლმე ზღაპრებს?
- რომელი ზღაპარი იცით?
- რომელი ზღაპარი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?
- ხომ ვერ გაიხსენებ შენი საყვარელი ზღაპრის გმირებს?
- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა უნდა იცოდე, რომ დავალება კარგად შეასრულო?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

რესურსი, აქტივობები

ნაბიჯი1. რა მინიშნებები გამოიყენე პერსონაჟის გრძნობების, მისი გამომეტყველების გადმოსაცემად, რას მიაქციე ყურადღება, ტექსტის რომელ სიტყვებს (ტ.2); რისი თქმა, რის ჩვენება გინდოდა ამ ეპიზოდის გათამაშებით? (ტ1); რატომ შეირჩიე ეს ეპიზოდი (ტ.1); რომელი სიტყვები მოგეწონა ყველაზე მეტად (ტ. 3); რომელი პერსონაჟი მოგეწონა ყველაზე მეტად (ტ. 3).

ქვესაკითხები: ზღაპარ ,,გვრიტის" დედააზრი, პერსონაჟის ხედვის კუთხე, ქცევა, შინაგანი სამყარო, დამოკიდებულებები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან.

რესურსი 1. ქართული ხალხური ზღაპარი **,,გვრიტი"**

აქტივობა 1. ზღაპრის წაკითხვა და დამუშავება

- მოდით განვმარტოთ რას ნიშნავს **მახათი?** იქნებ იცის, რომელიმე თქვენგანმა? საკერავი ნემსი ხომ ყველას გინახავთ? **მახათი არის დიდი ზომის ნემსი.** (ან ვაჩვენებთ სურათს და თავად გააკეთებენ დასკვნას)
- თქვენი აზრით, რა არის **ფილთაქვა**? დააკვირდით სურათს. იქნებ სახლშიც გაქვთ ასეთი ნივთი? ხომ ვერ გაიხსენებთ, რისთვის იყენებენ მას?
- როგორ ფიქრობთ, სიტყვა **აიტუზა** რას უნდა ნიშნავდეს? წავიკითხოთ ეპიზოდი და დავაკვირდეთ - ,,ვირი კართან აიტუზა, მახათი კარებიდან შეძვრა..." გავიხსენოთ, რისთვის მივიდნენ ისინი ბოროტი კაცის სახლში? - ბარტყების ჩუმად წასაყვანად. ამიტომ მათ

სიფრთხილე, სიჩუმე დასჭირდებათ. კართან აიტუზებოდა, ე.ი. ჩუმად, გაუნძრევლად დადგებოდა.

დააკვირდით ნახატს, როგორი სახურავი აქვს სახლს. ასეთ სახურავს ერდოს ეძახიან.

აქტივობა 2. ახალი ლექსიკის განმტკიცება

ერთად მოვიფიქროთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.

აქტივობა 3. მთლიანი ტექსტის წაკითხვა და კითხვებზე პასუხის გაცემით შინაარსის გაგება.

- როგორ იწყება და როგორ მთავრდება ეს ამბავი?
- რა შეემთხვა გვრიტს?
- ჯერ ვინ შეხვდა და რა შესთავაზა მას?
- შემდეგ ვინ შეხვდა გვრიტს და რა შესთავაზა მას?
- ბოლოს ვინ შეხვდა გვრიტს და რა შესთავაზა მას?
- ჩამოთვალე გვრიტის მშველელები. როგორ მოიქცა მამალი?
- რა ქნა მახათმა?
- რა გააკეთა ფილთაქვამ?
- როგორ მოიქცა ვირი?
- რით აჯობეს გვრიტმა და მისმა მეგობრებმა ბოროტ კაცს?
- გაიხსენე, შენ თუ დახმარებიხარ სხვას?
- შენ თუ დაგხმარებია ვინმე?
- რა გვასწავლა ზღაპარმა?

მეგობრებისა და კეთილი ადამიანების დახმარებით ბევრი ისეთი რამის გაკეთებას შეძლებ, რასაც მარტო ვერ გააკეთებდი;

სიყვარული და სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე.

რესურსი 2. ილუსტრაციები (რესურსი იხ. სამუშაო რვეულში)

აქტივობა 4. ილუსტრაციების მიხედვით შესაბამისი ეპიზოდის ამოცნობა და მოყოლა

- მოცემული ილუსტრაციის მიხედვით, რა მოხდა ზღაპრის ამ ეპიზოდში?
- რა საუბარი გაიმართა პერსონაჟებს შორის?

აქტივობა 5. ზღაპრის მახასიათებლის გააზრება

გაიხსენეთ, როგორ იწყებოდა ჩვენი წაკითხული ზღაპარი ,,გვრიტი". კიდევ ხომ არ გახსენდებათ სხვა ზღაპრები, რომლებიც ასე იწყება?

ამ ზღაპრების დასასრულს ხომ ვერ გაიხსენებთ? როგორ დასრულდა ზღაპარი?

,,ჭირი იქა, ლხინი - აქა.."

ჩვენ რომ წავიკითხეთ ,,ეს სახლი ვისია", „ლეკვი მაჩუქეთ, რა?", ,,ჟაკო" , ასე იწყებოდა და მთავრდებოდა ის ტექსტები?

ხომ ვერ მეტყვით, რატომ? (თუ ვერ გამოიცნობენ, ვეუბნებით) იმიტომ, რომ ისინი მოთხრობები იყო, ასე კი მხოლოდ ზღაპრები იწყება და სრულდება.

აქტივობა 6. მასწავლებელმა გადაანაწილოს ზღაპრის პერსონაჟები ბავშვების სურვილების გათვალისწინებით. მათ უნდა წარმოადგინონ თავიანთი პერსონაჟი, კლასელებმა კი ამოიცნონ, ვინ გაითამაშა მეგობარმა.

აქტივობა 7. მასწავლებელი მოირგებს ერთ-ერთ როლს ნიმუშად და სვამს კითხვებს:
მაგ.: აბა, გამოიცანით, ვინ ვარ მე?

კომპლექსური დავალების განხორციელება
დავალების წარდგენა

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარისა ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერილი ზღაპრის პერსონაჟის თვისებები, ქცევები, გარეგნობა მსმენელისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი(სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები :** აღწერა - ნიშან-თვისებების (მაგ., ფერის, ზომის, ფორმის, რაოდენობის) აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები.	**საკითხი: ზღაპრის პერსონაჟის გარეგნობის** ზეპირად აღწერა **ქვესაკითხი:** საყვარელი ზღაპრის პერსონაჟის აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები) **საკვანძო შეკითხვა:** როგორ აღვწერო ჩემი საყვარელი ზღაპრის პერსონაჟი ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოვუდგინო იგი? რომელი სიტყვები შევარჩიო ჩემი საყვარელი ზღაპრის პერსონაჟის აღსაწერად? **კომპლექსური დავალება:** ზღაპრის საყვარელი პერსონაჟის ზეპირად აღწერა

	➢ აღუწერე შენს კლასელებს საყვარელი პერსონაჟი როგორ გამოიყურება შენი საყვარელი პერსონაჟი. ➢ შენი ამოცანაა, ისე აღწერო პერსონაჟი, რომ მეგობარმა ნათლად წარმოიდგინოს ის. ამისთვის:
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>აღწერისას შემდეგ წარმოაჩინე:</u>** • გამოგონილია (ბაყბაყდევი), ცხოველია თუ ადამიანი; • როგორ გამოიყურება ის, • გამოკვეთე მათი გარეგნული ნიშნები (დიდი, პატარა, ფერი, ადამიანების სიმაღლე...). ▪ ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სათანადო სიტყვები.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

(დაზუსტება, რას ველით მათგან, რას უნდა ელოდნენ ჩვენგან, ემოციური დაცულობის განცდის შექმნა)

- რომელი ზღაპარი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?
- უყვებით თუ არა მეგობრები ერთმანეთს საყვარელ ზღაპრებს?
- გყავთ საყვარელი ზღაპრის პერსონაჟები?
- რატომ მოგწონთ ისინი?
- თავისი სიტყვებით ვინ ახსნის, რას მოითხოვს დავალება თქვენგან?
- რა უნდა შევქმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რაიმეს დამატება?
- გავიხსენოთ, მსგავსი დავალება ხომ არ შეგვისრულებია?
- როგორ მოვიქცეთ აღწერისას, რას მივაქციოთ ყურადღება?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რატომ ფიქრობ, რომ შენს მეგობარს არ გაუჭირდებოდა შენი აღწერილი პერსონაჟის წარმოდგენა (ს. 1,2, 3)

ქვესაკითხები: აღწერის ელემენტები, ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები; რესურსი, აქტივობები

რესურსი 1. აღსაწერი სურათი

ნიმუში 1.

კომბლე ბიჭია. ის საშუალო სიმაღლისაა. აქვს წაბლისფერი ტალღოვანი თმა, ხორბლისფერი სახე, დიდი ლამაზი თვალები და სწორი ცხვირი.

- აღწერისას, რომელ სიტყვებს ვიყენებთ?
- დააკვირდი, როგორ არის აღწერილი კომბლე?
- რას დაამატებდი? მაგ., როგორი ტანსაცმელი აცვია კომბლეს?
- რა ფერისაა მისი პერანგი? შარვალი?
- ფეხზე აცვია რამე ?
- ხელში რა უჭირავს ?
- ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს ეს დავალება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. წარმოაჩინე შენი ოჯახის წევრები შესაბამისი ნიშან-თვისებების მიხედვით (ს. 1, 2, 3); გამოიყენე ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2).

ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები)

რესურსები/აქტივობები

აქტივობა 1. აღწერილის მიხედვით გამოიცანი ზღაპრის პერსონაჟი.

რესურსი 1. ის ბავშვების საყვარელი პერსონაჟია. ძალიან ლამაზი გოგონაა. აქვს მომღიმარი ქათქათა, თეთრი სახე, წითელი ტუჩები, პატარა და აპრეხილი ცხვირი, დიდი ლურჯი თვალები. მას ქერა ტალღისებური თმა აქვს. თავზე მშვენიერი წითელი ქუდი ახურავს. ტანზე აცვია თეთრი და ცისფერი პერანგი, ლურჯი ქვედა კაბა; უკეთია პატარა თეთრი წინსაფარი; ფეხზე აცვია წითელი ფეხსაცმელი. გოგონას ხელში კალათი უჭირავს.

- შენი აზრით, ვინ არის ეს პერსონაჟი?
- როგორ მიხვდი? რა არის მის გარეგნობაში ისეთი, რაც სხვას არ აქვს?
- დაგეხმარა ჩემი აღწერა წითელქუდას გარეგნობის აღდგენაში/ წარმოსახვაში?
- რომელ დეტალებს მიაქციე ყურადღება?
- შენი აზრით, რომელი სიტყვები დამეხმარა, რომ შენთვის გასაგებად აღმეწერა ნახატი?
- გარეგნულად როგორ გამოიყურებოდა წითელქუდა?
- რა ფერის ტანსაცმელი აცვია? რა ფერის ფეხსაცმელი აცვია ?

აქტივობა 2. გამოიცანი, რომელი პერსონაჟი ჩავიფიქრე!

რესურსი 2 . მოსწავლის წიგნის ილუსტრაციები

აქტივობა 3. იდეების ორგანიზება

- რომელია შენი საყვარელი ზღაპარი?
- რომელი პერსონაჟი მოგწონს განსაკუთრებით?
- როგორ გამოიყურება ის?
- რომელ დეტალებს მიაქცევ აღწერისას ყურადღებას?
- როგორი გარეგნობა აქვს მას?

- რა გამოარჩევს მას სხვა პერსონაჟისაგან? (ტანსაცმელი, ნივთები)
- ნიშან-თვსებების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გამოიყენე აღსაწერად?
- წარმოიდგინე, მათ გარეშე აღწერდი შენს საყვარელ პერსონაჟს?

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში

აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

ნამუშევრების წარდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე ?
- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერა მსმენელისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?

რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა **(ფონოლოგიური უნარები)** **ქვეცნებები :** • ბგერა, სამეტყველო ბგერა, ბგერა და ასო; • მარცვალი (აკუსტიკური გარჩევის დონეზე)	**საკითხი: ანალიზი და სინთეზი.** **ქვესაკითხი** ასოსა და ბგერის შესაბამისობა და განსხვავება; ბგერები მოცემულ სიტყვებში; ბგერათა რაოდენობა წარმოთქმულ სიტყვებში. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ დავშალო წარმოთქმული სიტყვა ბგერებად? როგორ გავამთლიანო ბგერები სიტყვად? **კომპლექსური დავალება:** სიტყვაში ბგერების შესაბამისი რაოდენობის კუბიკების გაფერადებით **ბგერების კვადრატისა და ბგერების კიბის შექმნა** ➢ დააკვირდით რა ხატია? დაადგინეთ, რამდენი ბგერაა თითოეულ სიტყვაში. ბგერების რაოდენობის მიხედვით გააფერადე კუბიკი. ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით. ➢ დათვალე, რამდენი ფერის ზოლი გამოვიდა, რამდენი სიტყვა ყოფილა? რამდენბგერიანი ყოფილა თითოეული სიტყვა, რა ფიგურა მივიღე? ➢ დააკვირდი სიტყვებს, რა ხატია? დაადგინე, რამდენი ბგერაა თითოეულ მათგანში. ბადის პირველ ხაზზე

	მარცხნიდან მარჯვნივ გააფერადე იმდენი კუბი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. ➢ ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით, რა ფიგურა მივიღეთ? -კიბე. დათვალე, რამდენი საფეხური გვაქვს. რამდენი უჯრით მაღალია კიბის ერთი საფეხური მეორეზე. რა წესის მიხედვით ყოფილა სიტყვები დალაგებული?
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; მოსწავლეს შეუძლია: 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები - ბგერებისგან. 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>წარმოაჩინე:</u> • რისგან შედგება წარმოთქმული სიტყვა? (წ. 1,3) • კიდევ რა ნაწილებად იყოფა სიტყვა?(წ. 1,2,3) • რამდენი ბგერისა და მარცვლისგან შედგება დავალებაში მოცემული სიტყვები; რატომ? (წ. 1.2) • როგორ იპოვე სიტყვაში ბგერები და მარცვლები? • შეარჩიე სიტყვა და დაშალე ბგერაბათ? ამოიცნოს დაშლილი სიტყვა შენმა კლასელმა?

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა:

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ➢ ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- ➢ რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- ➢ რომელ ფიგურებს იცნობთ?
- ➢ დაასახელეთ საკლასო ოთახში რომელ ფიგურებს ხედავთ?
- ➢ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ➢ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

აქტივობა 1. ანბან-პლაკატზე მუშაობა

სიტყვის ბგერით მხარეზე მუშაობა ბავშვს სიტყვის ბგერითი ანალიზ-სინთეზის უნარს უვითარებს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ კონკრეტული ბგერები კონკრეტულ ასოებს დაუკავშიროს; რაც უფრო ადრე დააგროვებს ბავშვი ამგვარ გამოცდილებას, მით უფრო ძლიერი იქნება დასწავლის ეფექტი. სწორედ ამიტომ სკოლაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ქართული ანბანის პლაკატს (პლაკატი უნდა ეკიდოს თვალსაჩინო ადგილზე, სასურველია, დაფასთან, ბავშვისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე). მასწავლებელი ეუბნება, რომ ეს არის ქართული ანბანი და უკითხავს მკაფიოდ, თითოეულ ასოზე საჩვენებელი ჯოხის დადებით მთელ ანბანს (დასახელდება ასოს შესატყვისი ბგერა - ა, ბ, გ... და არა ასოს სახელწოდება).

შემდეგ დღეებში მასწავლებელი აიყოლიებს ბავშვებსაც ანბანის კითხვაში.

აქტივობა 2. ფონეტიკური სავარჯიშოები

- თავბგერის დასახელება , რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;
- მოცემულ ბგერებზე სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება;

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს - „ მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ზოგჯერ ეს სიტყვები ერთნაირი იქნება, ზოგჯერ გამოერევა განსხვავებული სიტყვა. ყურადღებით იყავით, როცა განსხვავებულ სიტყვას გაიგონებთ, ტაში შემოჰკარით.

ცერი - ცერი	ქიმი - ქიმი	ნისლი - ნისლი
ცერი - ცერი	სიმი - სიმი	ნისლი - ნისლი
ცერი - ბერი	სიმი - ქიმი	ნისლი - ისლი
ბერი - ცერი	ქიმი - ქიმი	ისლი - ისლი
ბერი - ბერი	ქიმი - სიმი	ისლი - ისლი
ბერი - ცერი	სიმი - სიმი	ისლი - ნისლი

აქტივობა 3. მარცვლებით თამაში

1 სიტყვათა ჯაჭვი- მე ჩამოგითვლით სიტყვათა ჯაჭვს. დააკვირდით, როგორ არის აწყობილი ეს ჯაჭვი, რა წესზე; შეიძლება იწყებოდნენ ერთნაირ მარცვალზე, შეიძლება მთავრდებოდნენ ერთნაირ მარცვალზე; შეიძლება ყველა სიტყვა ორმარცვლიანი იყოს. მაგალითად:

დააკვირდით სიტყვათა ჯაჭვს. მასწავლებელი დამარცვლით ასახელებს სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეებს ახსნან, რა წესითაა იგი აგებული. ამ ჯაჭვში დაცულია ორი წესი: კა -ნი---- სი-ნი------ ლხი-ნი-------ტვი-ნი--------ბა-ნი

დააკვირდით სიტყვათა ჯაჭვს. მასწავლებელი დამარცვლით ასახელებს სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეებს ახსნან, რა წესითაა იგი აგებული. დაასახელე მე-6 წევრი, რამდენმარცვლიანი სიტყვა უნდა ჩასვა სა-სა-ხლე---ტახ-ტი-- გზა----კა-ლა-თი-----ქა-ლი-----

დააკვირდით სიტყვათა ჯაჭვს. მასწავლებელი დამარცვლით ასახელებს სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეებს ახსნან, რა წესითაა იგი აგებული. ხე----მზე-----ბზა---- ცა----ქვა

თითოეული სიტყვათა ჯაჭვის სამ-სამი ვარიანტი მაინც უნდა შექმნას მასწავლებელმა და კლასი ავარჯიშოს.

დააკვირდი სიტყვებს, რა ხატია? დაადგინე, რამდენი ბგერაა თითოეულ მათგანში. ბადის პირველ ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ გააფერადე იმდენი კუბიკი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით. დათვალე, რამდენი ფერის ზოლი გამოვიდა , ესე იგი რამდენი სიტყვა ყოფილა? რამდენ ბგერიანი ყოფილა თითოეული სიტყვა, რა ფიგურა მივიღეთ? რამდენი პატარა უჯრაა ფიგურის თითოეულ გვერდზე; დათვალე უჯრები, ტოლია თუ არა ოთხკუთხედის გვერდები?

დააკვირდი სიტყვებს, რა ხატია? დაადგინე, რამდენი ბგერაა თითოეულ მათგანში. ბადის პირველ ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ გააფერადე იმდენი კუბიკი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით; რა ფიგირა მივიღეთ? -კიბე. დათვალე, რამდენი საფეხური გვაქვს. რამდენი უჯრით მაღალია კიბის ერთი საფეხური მეორეზე. რა წესის მოხედვი ყოფილა სიტყვები დალაგებული?

კითხვები

რა გაიგე, რა დაადგინე ამ სამუშაოს შესრულებისას?

რისგან შედგება სიტყვები?

რამდენი პატარა კუბიკია ოთხკუთხედის თითოეულ გვერდზე?

რატომ მივიღეთ ერთ შემთხვევაში კუბიკი და მეორე შემთხვევაში კიბე?

მოგეწონა თუ არა დავალება?

გაგიძნელდა თუ გაგიადვილდა?

წინასასაანბანო დამატებითი აქტივობები

მუშაობა საკლასო სამუშო რვეულში

(მოსწავლის რვეული საკლასო სამუშაოებისთვისაა გათვლილი. იგი ერთგვარი რესურსია ესგ-თი გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. ამასთანავე ძალიან მოხერხებულია ბავშვის ცოდნა-უნარების დასადგენად, რადგან მოსწავლე მას დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად ასრულებს);

(მე... გვერდზე მოცემული დავალებები შეიძლება შესრულდეს თემის ფარგლებში ნებისმიერ დროს, ერთ ჯერზე - ერთი სამუშაო. მასწავლებელი უკითხავს ინსტრუქციას)

სამუშაოების მიზანი:

საწერ სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარება;

წერის მიმართულების დაფიქსირება;
თვალისა და ხელის მოქმედებათა კოორდინაცია წერის დროს;
მთელსა და ნაწილს შორის მიმართებათა შემჩნევის უნარის განვითარება;
ნიმუშის მიხედვით გრაფიკული გამოსახულების გადაწერის უნარის განვითარება;
ზრუნვა სარკისებური აღრევის აღმოსაფხვრელად;
სიტყვის აკუსტიკუტი ანალიზი და სინთეზი.

შესასრულებელი სამუშაო:

1. შეაერთე წერტილები ნიმუშის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ;
2. მოძებნე ფიგურა, რომელიც სხვა მხარეს იყურება და გადახაზე;
3. დააკვირდი ცალკე დახატულ ფიგურას, მოძებნე ზუსტად ასეთი და შემოხაზე;
4. დააკვირდი სიტყვებს, რა ხატია? დაადგინე რამდენი ბგერაა თითოეულ მათგანში. ბადის პირველ ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ გააფერადე იმდენი კუბიკი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით. დათვალე, რამდენი ფერის ზოლი გამოვიდა, ესე იგი, რამდენი სიტყვა ყოფილა? რამდენბგერიანი ყოფილა თითოეული სიტყვა, რა ფიგურა მივიღეთ? რამდენი პატარა კუბიკია ფიგურის თითოეულ გვერდზე.

5. დააკვირდი სიტყვებს, რა ხატია? დაადგინე, რამდენი ბგერაა თითოეულ მათგანში. ბადის პირველ ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ გააფერადე იმდენი კუბიკი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით, რა ფიგურა მივიღეთ? - კიბე. დათვალე, რამდენი საფეხური გვაქვს. რამდენი უჯრით მაღალია კიბის ერთი საფეხური მეორეზე? რა წესის მიხედვით ყოფილა სიტყვები დალაგებული?

დანართი 1

გვრიტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გვრიტი, ცხოვრობდა თავისთვის ერთ ხეზე, იდგამდა ბუდეს, ჩეკდა ბარტყებს და მზრუნველადაც უვლიდა, - ადრე დილიდან მზის ჩასვლამდე ფრთებჩაუკრეფლად დაფრინავდა და შვილებს საზრდოს უზიდავდა.

საღამოობით დაღლილ-დაქანცული, მაგრამ ბედნიერი, ჩამოჯდებოდა ბუდის გვერდით და მიდამოს ნელი გვრინით ატკბობდა.

ერთხელაც ბარტყებისათვის საჭმლის საშოვნელად შორს მოუხდა გაფრენა და ბუდეს დიდი ხნით მოშორდა. ერთმა გლეხმა ამით ისარგებლა, ამოსხა ბუდიდან გვრიტის პაწაწინა ბარტყები და შინ წაიყვანა.

დაბრუნდა გვრიტი შორეული მოგზაურობიდან და საზრდოც - ჭიაღუა და მსუქანი მატლები - ბლომად მოიტანა, მაგრამ სადღა არიან ბარტყები? ბუდე ცარიელი დახვდა. დაღონდა გვრიტი, ბუდის გევრდით ფრთებჩამოყრილი ჩამოჯდა და მწარედ ატირდა.

ტირილით რომ გული მოიოხა, ადგა და შვილების საძებნელად წავიდა. ცოტა გზა რომ გაიარა, წინ მამალი შემოხვდა და ჰკითხა:

გვრიტო, გვრიტო, სად მიდიხარო?

შვილების საძებნელადო.

- მოდი, მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

- ძალიან კარგიო, - უთხრა გვრიტმა, - მშველელი და ამხანაგი კაცს სწორედ გაჭირვების ჟამს უნდაო, - და გაიყოლა.

წავიდნენ ორნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მამალი. იარეს, იარეს და წინ მახათი შემოეყარათ.

- გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიაო? - ჰკითხა მახათმა.

- შვილების საძებნელადო.

- ეგ მამალი რაღად მოგდევსო?

- ჩემ საშველად მოდისო.

- მაშ მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

- ძალიან კარგიო, - მიუგო გვრიტმა.

შეუერთდა მახათიც და გაუდგნენ გზას სამნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მახათი და მამალი მისდევენ. იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა შემოხვდათ.

- გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიაო? - ჰკითხა ფილთაქვამ.

- შვილების საძებნელადო.
- ეგ მახათი და მამალი რაღად მოგდევენო?
- ჩემ საშველად მოდიანო.
- მაშ მეც შენი მშველელი ვიქნებიო.
- ძალიან კარგიო.

შეუერთდა ფილთაქვაც და წავიდნენ ოთხნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მამალი, მახათი და ფილთაქვა მისდევენ. იარეს, იარეს და ახლა ვირი შემოხვდათ.

გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიაო? - ჰკითხა ვირმა.
- შვილების საძებნელადო.
- ეგ მამალი, მახათი და ფილთაქვა რაღად მოგდევენო?
- ჩემ საშველად მოდიანო.
- მაშ მეც შენი მშველელი ვიქნებიო.
- ძალიან კარგიო.

შეუერთდა ვირიც და წავიდნენ ხუთნი. შუაღამისას ერთ სოფელში შევიდნენ, დაუგდეს ყური და ერთი სახლიდან პატარა გვრიტების ღუღუნი გაიგონეს.

მივიდნენ სახლთან, შევიდნენ ეზოში და საომრად მოემზადნენ: ვირი სახლის კარებთან აიტუზა, მახათი ჭუჭრუტანიდან შეძვრა და ბუხრის პირას დაერჭო, გვრიტი, მამალი და ფილთაქვა ერდოდან ჩავიდნენ.

მამალი ბუხრის თავზე შემოჯდა, ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაეფლო, ხოლო გვრიტი გალიასთან მიფრინდა და ბარტყების გამოხსნას შეუდგა.

დედის დანახვაზე ბარტყებმა ერთი ჭყიპინი და კრუშკრუში ატეხეს.

ხმაურზე კაცს გამოეღვიძა, წამოვარდა ლოგინიდან და, რომ გაეგო, სიბნელეში რა ხდებოდა, ბუხართან ცეცხლის ასანთებად მივიდა.

გაჩხრიკა თუ არა ნაღვერდალი, ფილთაქვა გასკდა და ნაცარი თვალებში შეეყარა.

კაცი შეშინდა, უკან დაიწია და ბარძაყში ახლა მახათი შეერჭო.

ამ დროს მაღლიდან მამალმაც დაჰყივლა. კაცს შეეშინდა და გულგახეთქილი გარეთ გავარდა.

კარებთან ვირი დახვდა და გვერდებში ისეთი წიხლები უტყუპა, რომ სამი ყირა გადაატარა.

ამასობაში გვრიტმა გალია გახსნა, გამოიყვანა თავისი ბარტყები, შეისხა ფრთებზე და გახარებულმა ბუდისაკენ გააფრინა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

დანართი N2
თამაში - „ვის რა უყვარს?“
კლასი იყოფა ოთხ პატარა გუნდად. ერთმანეთს ეთამაშება ორ-ორი გუნდი.
ერთი გუნდის ბავშვები (ოთხივე) ჩამოთვლიან, ვის რა უყვარს.
მაგალითად: I მოსწავლე - ბანანი
II მოსწავლე - თოჯინა
III მოსწავლე - ბურთი
IV მოსწავლე - კანფეტი

მოპირდაპირე გუნდს ევალება დაიმახსოვროს, ვის რა უყვარს და გაიმეოროს უკვე სახელთან ერთად.
ზურიკოს - ბანანი
მაიას - თოჯინა
გიას - ბურთი
ელენეს - კანფეტი
შემდეგ შეიცვლება როლები.
მერე გამოვა შემდეგი ორი გუნდი.

დანართი N3

თამაში - „რკინის ჯარისკაცი – ნაჭრის თოჯინა“

მასწავლებელი მიმართავს კლასს:

- ბავშვებო, მე კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით. მოდით, შემდეგი სავარჯიშოს შესრულებამდე ცოტა დავისვენოთ. ბავშვებო, გინახავთ, როგორ დგანან ჯარისკაცები საპატიო ყარაულში? - აი, ასე გაჭიმულები და გასწორებულები (და თვითონ უჩვენებს ამ პოზას - გასწორდება, გაჭიმულ ხელებს ჩაასწორებს, თავს მაღლა ასწევს). ახლა გაიხსენეთ, როგორებია ნაჭრის რბილი სათამაშოები, მოდუნებული და მოშვებული (და თვითონაც მოეშვება, მოდუნდება). ახლა ვითამაშოთ. მე თუ გავცემ ბრძანებას: ჯარისკაცებო, გასწორდით! თქვენ ადგებით, დადგებით მერხების გვერდით და გაიჭიმებით, აბა მაჩვენეთ, როგორ, ასეე. მე თუ გავცემ ბრძანებას: თოჯინებო, მოდუნდით! თქვენ მოდუნდებით, მოეშვებით. აბა, მაჩვენეთ, როგორ; კარგია. აბა, დავიწყოთ!

გვახსოვდეს, რომ თამაში უნდა დავასრულოთ გასწორების, გაჭიმვის ფაზით, რათა მივიღოთ მობილიზების ეტაპი.

კომპლექსური დავალება №6

დააკვირდით სიტყვებს, რა ხატია?
დაადგინეთ რამდენი ბგერაა თითოეულ მათგანში.





ბადის პირველ მწკრივში მარცხნიდან მარჯვნივ გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით.
დათვალე რამდენი ფერის ზოლი გამოვიდა.
რამდენი სიტყვა ყოფილა?
რამდენ ბგერიანი ყოფილა თითოეული სიტყვა?
რა ფიგურა მივიღეთ?
რამდენი პატარა უჯრაა ფიგურის თითოეულ გვერდზე?

დააკვირდით სიტყვებს, რა ხატია?
 დაადგინეთ რამდენი ბგერაა თითოეულ მათგანში.





ბადის ქვედა პირველ ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში. ყოველი სიტყვის ხაზი გააფერადე სხვადასხვა ფერით.
რა ფიგურა მიიღე? – კიბე
დათვალე რამდენი საფეხურია.
რამდენი უჯრით მაღალია კიბის ერთი საფეხური მეორეზე?
რა წესის მიხედვით ყოფილა სიტყვები დალაგებული?

საანბანო პერიოდი

<table>
<tr><td colspan="4">**თემა N1. თამაშები**
საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 სთ</td></tr>
<tr><td colspan="4">**თემაში გამოყენებული ტექსტი: ქ. ჭილაშვილის მოთხრობა „აფრინდა, აფრინდა“, იხილეთ დანართი N1**</td></tr>
<tr><td colspan="4">**სხვა რესურსები:**
სახელმძღვანელოს საანბანო მასალის (ა, ი, დ, ე, მ, ს) საკითხავი ტექსტები, გვ. 16-23
ფონეტიკური სავარჯიშოები; იხილეთ დანართი N 2
საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 21, 24.
კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო ტესტი N1 - გვ 24
მულტფილმს ბომბორა სწავლას იწყებს: იხილეთ ვიდეომასალებში
მასალა I საკითხის N 2. კომპლექრი დავალებისათვის (დანართი N 3)</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">**საკითხები**</td></tr>
<tr><td>**სამიზნე ცნებები**</td><td>**I საკითხი:**
შესწავლილი ასოების გამოყენებით წიგნის ილუსტრირებული გვერდის შექმნა</td><td>**II**
საკითხი: საყვარელი თამაშის წესების გაცნობა და ნახატით გადმოცემა</td><td>**III**
საკითხი:
ზეპირი ამბის შეთხზვა სიუჟეტური ნახატების გამოყენებით</td></tr>
<tr><td>**ტექსტი** (ჟანრები)
(შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

მხატვრული ჟანრი - მოთხრობა,
თემა; იდეა, ძირითადი საკითხი;
ტექსტის გაგების სტრატეგია;
არამხატვრული ჟანრი - საინსტრუქციო ტექსტი</td><td></td><td>**ქვესაკითხები:**
მოთხრობა „აფრინდა, აფრინდას“ თემა, იდეა და ძირითადი საკითხი; ტექსტის გაგების სტრატეგიები; კითხვის სტრატეგიები;თამაშის წესები</td><td></td></tr>
<tr><td>**სიტყვა, წინადადება, ტექსტი;**
ქვეცნება:
თხრობა</td><td></td><td></td><td>**ქვესაკითხი:**
თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, დროის გამომხატველი ენობრივი საშუალებები</td></tr>
<tr><td>**კოდირება-დეკოდირება**
(შედეგები I 2,4, 6)

ქვეცნება:
ასო, დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი);</td><td>**ქვესაკითხი:**
ასოთა წყვილები:
აი,დე,მს,
შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები;</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>**კომპლექსური დავალება**
საანბანო პერიოდის პროექტი - ჩემი ილუსტრირებული წიგნი</td><td>**კომპლექსური დავალება:**
საყვარელი თამაშის და მისი წესების გაცნობა</td><td>**კომპლექსური დავალება:**
ამბის მოგონება და გადმოცემა სურათზე დაყრდნობით</td></tr>
</table>

თემა 1	**ა, ი, დ, ე, მ, ს**
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი №1**
სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის); (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნებები:** ასო, დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი). **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:** **მოსწავლე აცნობიერებს, რომ:** 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის შუალედის დაცვა, წინადადების ბოლოს - წერტილის დასმა.	**საკითხი:** შესწავლილი ასოების გამოყენებით წიგნის ილუსტრირებული გვერდის შექმნა; **ქვესაკითხი:** ასოთა წყვილები: **აი,დე,მს,** შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები; **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ილუსტრირებული წიგნის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოების ცოდნა? როგორ წარმოვაჩინო ტექსტის შინაარსის ცოდნა? როგორ გავვარჯიშდე წინადადებების წაკითხვაში? **კომპლექსური დავალება საანბანო პერიოდის პროექტი - ჩემი ილუსტრირებული წიგნი** ➢ გადახედე გავლილ მასალას, სახატავ რვეულში შექმენი თემის შესაბამისი ილუსტრაციები. ➢ წაიკითხე დაჭრილ ფურცლებზე მოცემული წინადადებები; ამოარჩიე შენი ნახატის შესაბამისი წინადადებები და მიაწებე სასურველ ადგილას წიგნში. **დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • ახალი ასოების ცოდნა (დ.1); • ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); • რამდენი წინადადებაა შენ მიერ აწყობილ ტექსტში (დ.3, 4) წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4).
მზადება კომპლექსური დავალებისათვის **ზეპირი საკლასო სამუშაოები ფონოლოგიური ცნობიერების გასავითარებლად;** **თემაში შემავალი ასოების შესწავლა, კითხვის სტრატეგიები**	
აქტივობა 1. ფონეტიკური სავარჯიშოები • თავბგერის დასახელება, რაზე იწყება დასახელებული სიტყვა; • მოცემულ ბგერებზე სიტყვების დასახელება; • მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;	

- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს - „მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ზოგჯერ ეს სიტყვები ერთნაირი იქნება, ზოგჯერ გამოერევა განსხვავებული სიტყვა. ყურადღებით იყავით, როცა განსხვავებულ სიტყვას გაიგონებთ, ტაში შემოჰკარით.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს - „მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ოღონდ ამ სიტყვებში ერთი სხვანაირი, განსხვავებული სიტყვა იქნება. ყურადღებით იყავით, როცა განსხვავებულ სიტყვას შენიშნავთ, ტაში შემოკარით“.

მაგალითად:

ტანი-ტანი	ფური-ყური
ტანი-კანი	ფური-ფური
კანი-კანი	ყური-ყური
ტანი-ტანი	ფური-ფური
კანი-ტანი	ყური-ფური

აქტივობა 2. წარმოთქმული და დაწერილი ასოების (**ჯერ ა-ა; შემდეგ დ-ე; ბოლოს მ-ს),** სიტყვების მოკლე წინადადებების კოდირება- დეკოდირება

ასოთა სამივე წყვილისათვის განკუთვნილი სამუშაოები

ა) <u>ანბანის ხმამაღლა, გუნდურად წაკითხვა</u> მასწავლებელთან ერთად.(მუშაობის მეთოდი - მასწავლებლის წიგნი, გვ....

ბ)ახალი ასოების გაცნობა. მასწავლებელი წარმოთქვამს შესასწავლ ასოს და ასევე აჩვენებს ბავშვებს, რა ბგერა გაიგონეთ, რა ასოს ხედავთ;

გ) <u>ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა</u> (მუშაობის მეთოდი - მაწავლებლის წიგნი, გვ.....)

დ) <u>დაასახელეთ</u> **ი**-სა და **ა**- ზე (თემების შესაბამისად: **დ**-სა და **ე**-ზე; **მ**-სა და **ს**-ზე) დაწყებული სიტყვები;

ე) წიგნში საკითხავ მასალაზე მუშაობა; სამივე საანბანო წყვილზე ცალცალკე.

აქტივობა 3. კითხვა-დეკოდირება

ი-ა

I. წაიკითხე, რა ჰქვია გოგონას; რა ჰქვია ყვავილს.

წაიკითხე, რა ყვავილია ქოთანში; წაიკითხე, რას გვეუბნება ბიჭი?

დ-ე მარცვლების წაკითხვა;

1. მასწავლებელთან ერთად - ქორო; 2. ექოთი; დამოუკიდებლად - თითო-თითო მარცვალი - მატარებლის პრინციპით; ერთის გამოტოვებით, ბოლო მარცვლიდან დასაწყისისკენ;

II. დამარცვლული სიტყვის წაკითხვა;

1. მასწავლებელთან ერთად - ქორო; 2. ექოთი; 3. წაიკითხე და გააერთიანე სიტყვა;

III. მთლიანი სიტყვის წაკითხვა.

1. მასწავლებელთან ერთად - ქორო; 2. ექოთი; წყვილებად, დაასახელე რა სიტყვა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;

IV. მოკლე წინადადებების წაკითხვა მასწავლებელთან ერთად - 1. ქორო; 2. ექოთი. 3. თითო-თითო წინადადებების წაკითხვა წყვილად, გაიმეორე, რა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;

4. სად რა წერია (ნახატების დახმარებით ამოცნობა): მოძებნე, სად წერია **აი, დედა** და წაიკითხე;

5. წაიკითხე ჯერ მეორე სიტყვა და მერე პირველი;

6. მოძებნე, სად წერია **აი დიდედა და ია** და წაიკითხე;

7. წაიკითხე სიტყვები ბოლოდან დასაწყისისკენ. წაიკითხე პირველ ნახატში რა უთხრა დედამ იას; წაიკითხე მეორე ნახატში რა უთხრა დედამ იას;

მ-ს

ანალოგიურად მუშავდება მ-ს ასოთა წყვილის საკითხავი სავარჯიშოები და ძირითადი ტექსტი;

8. ფორმატებზე წინასწარ დაწერილ წინადადებებს (სიტყვათა სხვადასხვა ახალი კომბინაციით) თითო-თითოს ვაკრავთ დაფაზე და ვთხოვთ წაიკითხონ (მაისია, მაია იას დაა, მამიდა ადის, მამა მიდის, დედა დიდია, დიდედა იასია და ა.შ)

აქტივობა 4. წერის იმიტირება მაგნიტური ანბანითა და ანბანსტიკერით ან ელექტრორესურსის გამოყენებით;

სიტყვების აწყობა მაგნიტური ანბანით ან ელექტრორესურსის გამოყენებით. ბუკში და კომპიუტერში შევუქმნათ მოსწავლებს ფაილი „ჩემი რვეული“ და კლავიატურაზე ავკრიფოთ სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მითითებულია სახელმძღვანელოში (ვასწავლოთ, ეს როგორ უნდა შეძლონ)

პირველ წყვილთან - **აი ია**
მეორე წყვილთან - **აი დედა**
მესამე წყვილთან - **მამა მიდის**

აქტივობა 5. მარცვლებით ოპერირება
მა-მი-და (ჩამოვაჭრათ პირველი და მეორე მარცვალი, რა გამოვიდა?)
მა-მი-და (ჩამოვაჭრათ მეორე მარცვალიც, რა გამოვიდა?)
მე-დე-ა (ჩამოვაჭრათ მეორე და მესამე მარცვალი. რა გამოვიდა)
მა-ია (ჩამოვაჭრათ პირველი მარცვალი. რა გამოვიდა?)

კომპლექსური დავალება, საანბანო პერიოდის პროექტი - ჩემი ილუსტრირებული წიგნი

ეტაპი I დავალების პირობის გაცნობა:

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება;

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ დავალების შესრულებისას
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:

აქტივობები, რესურსები:
ნაბიჯი 1. ახალი ასოების ცოდნა (დ.1); ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4)

აქტივობა 1.
მოტივირება:

ბავშვებს ვაჩვენებთ მულტფილმს „ბომბორა სწავლას იწყებს“
https://www.youtube.com/watch?v=DaKIBO-8XhY
რატომ უნდა ვიცოდეთ კითხვა?
გვჭირდება: აბრების, აფიშების, განცხადებების, ინსტრუქციებისა და სხვადასხვა ინფორმაციის წასაკითხად; ყველა სასკოლო საგნის შესასწავლად; საინტერესო წიგნების წასაკითხად; როგორი წიგნები უფრო მოგწონთ, ნახატებიანი თუ ნახატების გარეშე?
შეადგინეთ თქვენი წიგნის პირველი გვერდი ასოთა წყვილების **ი ა, დ ე, მ ს -ს** საკითხავი ტექსსტების გათვალისწინებით.
აქტივობა 2.
ილუსტრირებული წიგნების ნიმუშების ჩვენება, დარიგება, დათვალიერება (წიგნები გათვალისწინებული უნდა იყოს დამწყები მკითხველისთვის, მინიმალური ტექსტით). შესაძლებელია ეს აქტივობა ბიბლიოთეკაშიც ჩატარდეს.

აქტივობა1. ილუსტრირებული წიგნის გაცნობა

- როგორია ილუსტრირებულიწიგნი?
  რა ჰქვია წიგნის გარეკანს? - ყდა. დააკვირდით, როგორია ყდა?
  რა ხატია ზედ? რა და რა წერია? (სათაური, ავტორი)
  რაზე მიგვანიშნებს ნახატი? (ვიზე ან რაზეა ამბავი)
  სად წერია სათაური? სად წერია ავტორის გვარი?
- გადავშალოთ წიგნი, ვნახოთ პირველი საკითხავი გვერდი.
- როგორია ეს გვერდი? (მოცემულია ნახატი და ტექსტი)
- მასწავლებელი უკითხავს ერთ-ორ გვერდს იმის საილუსტრაციოდ, რომ ნახატი ასახავს მონათხრობ ამბავს. ასე გრძელდება მომდევნო გვერდზეც.
- დააკვირდით, დანომრილია თუ არა გვერდები. სად წერია ტექსტი?
- დააკვირდით მომდევნო გვერდს, თუ მიხვდებით, რას უნდა მოგვითხრობდეს იგი?

II ეტაპი. მუშაობა ილუსტრირებულ წიგნზე:

ნაბიჯი 2. რამდენი წინადადებაა შენ მიერ აწყობილ ტექსტში; (დ. 3, 4)
აქტივობა 1. წიგნის ერთი გვერდის შედგენა

პირველ 2-3 მასალას ამზადებენ მასწავლებლის დახმარებით. მოგვიანებით მოსწავლეები დამოუკიდებლად შეარჩევენ წიგნის მასალას.

1. გადავშალოთ სახატავი რვეულები. თქვენ მასში შექმნით თქვენს პირველ წიგნს.
2. გამოტოვეთ პირველი ფურცელი. თქვენ მას მოგვიანებით დაუბრუნდებით და მასზე დახატავთ ყდას.
3. შევუდგეთ პირველი გვერდის შექმნას გავლილი მასალის გამოყენებით:
4. გავიხსენოთ ვინ გავიცანით? ია, იას დედა და იას მამა.
5. დავხატოთ ან გავაფერადოთ და გამოვჭრათ ან ავარჩიოთ ნახატი და გამოვჭრათ.
6. გადავანაწილოთ ისინი ფურცელზე, შეგიძლიათ რაიმე მიუხატოთ კიდეც.
7. კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ნასწავლი ტექსტი და დავაკვირდეთ: რა წინადადებები წერია. რომელი წინადადება რომელი ნახატის ქვეშ არის.
8. ახლა კი წიგნის დახმარების გარეშე ჩააწებეთ ტექსტი წებოვანი ასოებით; თქვენ უკვე გაგიკეთებიათ, როდესაც შესწავლილი ასოებით სიტყვებსა და მოკლე წინადადებებს აწყობდით. შეგიძლიათ წიგნი ააწყოთ ბუკში, შექმნათ მისი ელექტროვერსია.
9. არ დაგავიწყდეთ, სიტყვებში ერთმანეთის გვერდით დასვით ასოები. სიტყვებს შორის გამოტოვეთ მანძილი. წინადადებების ბოლოს დასვით წერტილი.
10. მოდით ჯერ ვთქვათ პირველი წინადადება, რომელსაც წიგნში შეიტანთ; ეს იქნება აი ია; რამდენი სიტყვისგან შედგება ეს წინადადება; წარმოთქვით იგი სიტყვებს შორის პაუზებით; ორი სიტყვაა. ახლა შეიტანეთ იგი წიგნში. ჯერ დაალაგეთ ასოები. მე გადავამოწმებ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააწებეთ.
11. შემდეგი წინადადება იქნება აი იას დედა. რამდენი სიტყვისგან შედგება ეს წინადადება; წარმოთქვით იგი სიტყვებს შორის პაუზებით; სამი სიტყვაა. ახლა შეიტანეთ იგი წიგნში. ჯერ დაალაგეთ ასოები. მე გადავამოწმებ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააწებეთ.
12. ბოლო წინადადებაა ეს იას მამაა. რამდენი სიტყვისგან შედგება ეს წინადადება; წარმოთქვით იგი სიტყვებს შორის პაუზებით; სამი სიტყვაა. ზოგიერთი სიტყვა მეორდება, ზოგი არა. ახლა შეიტანეთ იგი წიგნში. ჯერ დაალაგეთ ასოები. მე გადავამოწმებ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააწებეთ.
13. ახლა წაიკითხეთ თქვენი წიგნის ტექსტი. **აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.**

აქტივობა 2. წარუდგინე შენი ნამუშევარი კლასს
ისაუბრე:
- რა დახატე, როგორ დახატე და რა დაწერე;
- რის შემდეგ რა გააკეთე;
- როგორ გააფორმე წიგნის გვერდი, როგორ შექმენი ნახატები;
- როგორ შეიტანე წიგნში ტექსტი.

კითხვები:

- მოგწონს თუ არა შენი წიგნის პირველი გვერდი?
- შენი ნამუშევრიდან რა მოგწონს ყველაზე მეტად?
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას.

რესურსები: სახელმძღვანელო, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, გამოსაჭრელი ან გასაფერადებელი ნახატები. წინადადებების კალათი. ელექტრორესურსები, მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემული დამატებითი საკითხავი მასალა.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი №2**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება: მოთხრობა** თემა; იდეა, ძირითადი საკითხი ტექსტის გაგების სტრატეგია; კითხვის სტრატეგია; არამხატვრული ჟანრი - საინსტრუქციო ტექსტი	**საკითხი:** საყვარელი თამაშის წესების გაცნობა **ქვესაკითხები:** მოთხრობა „აფრინდა, აფრინდას“ თემა, იდეა და ძირითადი საკითხი; ტექსტის გაგების სტრატეგიები; კითხვის სტრატეგიები; თამაშის წესები. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? რით და როგორ დავუკავშირო ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მოთხრობას? როგორ გავაცნო მსმენელს ჩემი საყვარელი თამაში და მისი წესები? **კომპლექსური დავალება** - საყვარელი თამაშის წესების გაცნობა ➢ გაიხსენე, რაზე დაგაფიქრა მოსმენილმა ტექსტმა, რა ყოფილა გასათვალისწინებელი თამაშის სწავლების დროს. ➢ გააცანი შენი საყვარელი თამაშის წესები შენს თანატოლებს, რომ მათაც შეძლონ სწორად თამაში. ➢ შეგიძლია შენი საყვარელი თამაში დახატო ფერადი ფანქრებით ან ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ და ისე წარუდგინო კლასელებს.
1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რით ჰგავს შენი თამაში მოთხრობაში აღწერილ თამაშს? (ტ.1, 2, 3); • რაში დაგეხმარა მოთხრობაში აღწერილი თამაშის შედარება შენ საყვარელ თამაშთან? (ტ.1, 2, 3); • რა წესებს ემყარება შენ მიერ შერჩეული თამაში; რა წესებს ემყარება ტექსტში აღწერილი თამაში, რა აქვს საერთო ყველა თამაშს? • რამდენად გასაგებად აუხსენი მეგობარს შენი საყვარელი თამაშის წესები?

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა
დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- რით ერთობით თავისუფალ დროს? ვის გიყვართ თამაში?
- ალბათ, ყველას გითამაშიათ ესა თუ ის თამაში?

მაშ, საყვარელი თამაშიც გექნებათ და არ გაგიჭირდებათ დავალების შესრულება.
- მიხვდით, რას მოითხოვს თქვენგან წაკითხული დავალების შესრულება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ ამ დავალების შესასრულებლად?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1); რით ჰგავს შენი თამაში მოთხრობაში აღწერილ თამაშს? (ტ.1, 2, 3); რაში დაგეხმარა მოთხრობაში აღწერილი თამაშის შედარება შენ საყვარელ თამაშთან?(ტ.1, 2, 3); რას მიაქციე ყურადღება ისეთს, რაზედაც მათ შედარებამდე არ დაფიქრებულხარ (ტ. 1 2, 3).

ქვესაკითხი: მოთხრობა „აფრინდა, აფრინდას'' თემა, ძირითადი საკითხი

აქტივობა1. მულტფილმის ჩვენება და მოკლე განხილვა
- ვინ არიან ამ მულტფილმის პერსონაჟები?
- როგორია თოვლის გუნდა? გოგონა?
- როგორ გრძნობდნენ ისინი თავს გაცნობამდე?
- როგორ ერთობოდნენ გაცნობის შემდეგ? რას აკეთებდნენ?
- მარტო ჯობია თამაში თუ მეგობრებთან ერთად?
- შენ ვისთან ერთად თამაშობ?
- შენს მეგობრებსაც იგივე თამაშები უყვართ, რაც შენ?

მოდით ვნახოთ, როგორ და რას თამაშობენ თქვენი თანატოლები

აქტივობა 2. ვარაუდის გამოთქმა ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციაზე

რესურსი 1. მოთხრობა „აფრინდა, აფრინდა"
- რაზე მიგანიშნებთ სათაური და ილუსტრაცია?
- რა დაფრინავს? თქვენი აზრით, რაზე იქნება მოთხრობა?

აქტივობა 3. ტექსტის წაკითხვა, ტექსტის გაგებაზე მუშაობა
- რა თამაში შესთავაზა მამუკამ მეგობრებს?
- როგორ მოემზადნენ ბავშვები სათამაშოდ?
- როგორ დაიწყო თამაში მამუკამ?
- როგორ უსმენდენენ ბავშვები მამუკას? **სულგანაბული**
- თქვენი აზრით, რას ნიშნავს **სულგანაბული** ? როგორ მოუსმენდნენ ბავშვები, რომ კარგად გაეგოთ მამუკას ნათქვამი?
- სხვაგვარად როგორ ვიტყვით ამ სიტყვას?
- რატომ გადახედა მამუკამ მეგობრებს ეშმაკურად? რას აპირებდა ის?
- რა წამოსცდა ნინის, რატომ ატეხეს ბავშვებმა ყიჟინა?
- რა ელოდა ნინის? რატომ?
- რას ნიშნავს **ყიჟინა?** ტექსტის მიხედვით თუ შეგიძლია ამ სიტყვის ამოცნობა?
- შენი აზრით, რა გააკეთეს ბავშვებმა, როდესაც ნინიმ შეცდომა დაუშვა? (ყველამ იყვირა)
- შეიცვლება წინადადების აზრი, თუ ვიტყვი „**ბავშვებმა ყვირილი ატეხეს?"** (თურმე, ბევრი ადამიანის ერთად ყვირილს ყიჟინასაც ეძახიან).
- შემდეგ ვინ დაუშვა შეცდომა?
- რით იმართლა ბიჭმა თავი?
- რატომ ატეხეს ბავშვებმა მის ნათქვამზე ჟრიამული და სიცილი?
- როგორ გესმის **ჟრიამული ატეხეს**?
- როგორ ხასიათზე იყვნენ ბავშვები?
- როგორ აღწერს ავტორი მათ განწყობას? რა ყოფილა ჟრიამული?
- თუ იცით, რომ ხშირად ფრინველებზეც ამბობენ, ჟრიამული ატეხეს, აჟრიამულდნენო?
- რომელი ორი სიტყვა შეგხვდა ტექსტში, რომლებიც ადამიანების ერთობლივ ხმაურს ნიშნავს?

- მოიფიქრეთ თითო წინადადება სიტყვების: **ყიჟინა, ჟრიამული, სულგანაბული** გამოყენებით.
- რა გაარკვიეთ ამ მოთხრობიდან? რატომ გავარდნენ თამაშიდან ნინი და გიგი?
- რა წესი ჰქონია თამაშს „აფრინდა, აფრინდა“?

აქტივობა 4. ვსაუბრობთ თამაშებზე

- რომელი თამაში იცით? რომელი გითამაშიათ?
- შეგიძლიათ დაასახელოთ თამაშები, რომლებსაც ეზოში თამაშობთ?
- თქვენ აზრით, რით არის კარგი ეზოს თამაშები?
- ვის შეუძლია ისაუბროს, როგორ უნდა ვითამაშოთ რეზინობანა? წრეში ბურთი?
- რა უნდა ვიცოდეთ, რომ ვითამაშოთ რომელიმე თამაში?
- რას აქცევთ თამაშის დროს ყურადღებას?რატომ არის მნიშვნელოვანი თამაშის წესების დაცვა?
- შენ ყოველთვის იცავ თამაშის წესებს?
- რომელია შენი საყვარელი თამაში?
- დაფიქრდი, რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მხიარული მოთხრობით? (რომ მხიარულ თამაშსაც კი აქვს თავისი წესები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს)
- რას აკეთებდნენ მოთხრობის პერსონაჟები? ყველა ახერხებდა ყურადღებით ყოფნას და წესის დაცვას?
- მოგეწონა მათი თამაში? შენც ითამაშებ ამ თამაშს?

თოვლის გუნდას და გოგონას დაეხმარა თამაში დამეგობრებაში.

რას ფიქრობ, შენ გეხმარება თამაშები თანატოლებთან ურთიერთობებში?

აქტივობა 5. იდეების ორგანიზება კომპლექსური დავალების შესასრულებლად

- ჰგავს შენი საყვარელი თამაში მოთხრობაში აღწერილ თამაშს? როგორი წესები აქვს შენ საყვარელ თამაშს?
- ყოველთვის იცავ ამ წესებს? რა მოხდება თუ არ დაიცავ?
- რაში დაგეხმარა მოთხრობაში და ილუსტრაციებზე აღწერილი თამაშების შედარება შენს საყვარელ თამაშთან?
- რას მიაქციე ყურადღება ისეთს, რაზედაც მანამდე არ დაფიქრებულხარ?

(თურმე,რომ ითამაშო, უნდა იცოდე თამაშის წესი. ყველა თამაშს ცოდნა და წესის გათვალისწინება სჭირდება).

გეზისმიმცემი კითხვები:

რომ დაგჭირდეს თანატოლებისთვის შენი საყვარელი თამაშის სწავლება, როგორ გააცნობ მათ ამ თამაშს?
რა წესები აქვს ამ თამაშს?
რამდენი ბავშვი თამაშობს?
სამაგიდო თამაშია თუ ეზოსი?
რა არის საჭირო თამაშისთვის? (ბურთი, სახტუნაო...)
რა შემთხვევაში იმარჯვებს მოთამაშე?

დაფიქრდი და თანმიმდევრულად გადმოეცი სათქმელი.

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განსავითარებლად და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რომელ თამაშებს გაეცანი?
- ✓ რით ჰგავს შენი საყვარელი თამაში მოთხრობაში აღწერილს?
- ✓ გასაგები იქნება თუ არა შენი ახსნილი თამაში შენი თანატოლებისთვის?
- ✓ რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები:** თხრობა	**საკითხი:** ზეპირი მონათხრობის შეთხზვა სიუჟეტური ნახატების გამოყენებით. **ქვესაკითხი:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, დროის გამომხატველი ენობრივი საშუალებები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გამოვიყენო სურათი ამბის მოსაფიქრებლად? როგორ გადმოვცე ამბავი ისე, რომ დავაინტერესო მსმენელი? **კომპლექსური დავალება: ამბის მოგონება და გადმოცემა სურათზე დაყრდნობით** ➢ აღწერეთ სახელმძღვანელოში მოცემული ორი ნახატი და წაიკითხე მასზე დაწერილი სიტყვები: „დადე“ „,ადი“. მათი გამოყენებით ზეპირად შეაგდინეთ ამბავი პატარა გოგონასა და მის დედიკოზე. ➢ ამბავს შეურჩიე სათაური.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: მოსწავლე აცნობიერებს, რომ 1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად). 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე / მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** <u>თხრობისას წარმოაჩინე:</u> • როგორ დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); • ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ., ვინ არიან პერსონაჟები, სად ხდება მოქმედება, როგორი ამინდია, წელიწადის რომელი დროა, რა აცვიათ პერსონაჟებს, ვისი ნივთი უჭირავს იას, სავარაუდოდ, რას ეუბნება მას დედა, კიდევ ვინ მოჩანს სურათზე, რაზე მიანიშნებს იას დედა. როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებს ბოლოს გოგონა) (ს.2).

I ეტაპი. დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის დადგენა

- როგორ მოვყვეთ ამბავი?
  მოყევით რაიმე სახალისო ამბავი თქვენი ცხოვრებიდან.
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება? უნდა ჰქონდეს თუ არა მას დასაწყისი, გაგრძელება და დასასრული?
- თუ გახსენდება მანამდე შექმნილი მსგავსი დავალება?
- რა ამბავი მოიფიქრე მაშინ?
- დაფიქრდი, რა დაგეხმარება ამბის თხრობაში?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

აქტივობა1. ორსიტყვიანი წინადადებების გავრცობა, მაგალითად, ექვსსიტყვიან წინადადებად. მაგალითად, ამოსავალი წინადადება: შველი გარბის.

(გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: შეშინებული, პატარა შველი დაბურულ ტყეში გარბის.

როგორ ვაქციოთ ორსიტყვიანი წინადადება ექვსსიტყვიან წინადადებად? **(აქტ.1**).

- როგორი შველი გარბის? (შეშინებული, პატარა....)
- სად გარბის შველი? (ტყეში)
- როგორ ტყეში გარბის შველი? (დაბურულ....)

აქტივობა 2. „ჩემი წინადადება“ მივცეთ ნახატები და ნახატის მიხედვით დაალაგონ. ვის ჰქონდა დასაწყისი? გაგრძელება? დასასრული?

ვადგენთ 7-კაციან ჯგუფს, ვთავაზობთ ნაცნობ თემას, პერსონაჟების ვინაობას, რაოდენობას, მოქმედების ადგილს და ჟანრს (მოთხრობა / ზღაპარი)

მასწავლებელი ამბობს პირველ წინადადებას, მეორეს მოსწავლე აგრძელებს და ა.შ. თითო მოსწავლეს მხოლოდ ერთი წინადადების თქმის უფლება აქვს. თუ ერთ წრეზე ისტორია არ დამთავრდება, პირველი მოსწავლე იწყებს მეორე წრეს მანამ, სანამ ისტორია არ დასრულდება. დაგვჭირდება **ამბის ბარათების სამი კომპლექტის შექმნა.**

მასწავლებელი სთავაზობს კლასს ერთად შექმნან მაგ.: ერთი ლამაზი დღის ამბავი.

პირველ წინადადებას თვითონვე ამბობს: „მშვენიერი დილა გათენდა“. შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს, გააგრძელონ ამბავი თითო წინადადებით, ვიდრე დასრულდება თხრობა.

- რითი იწყება დღე?**(აქტ.2)**
- ახლა როგორ გავაგრძელოთ ჩემ მიერ დაწყებული ამბავი?
- რა ალამაზებს და ახალისებს დილას?
- ვისთვის იქნება დღე სახალისო? ვინ შეიძლება იყვნენ ამ ამბის გმირები?
- რას გააკეთებენ, რა იდეა მოუვათ მათ ამ მშვენიერ დღეს?
- როგორ გაგრძელდება ამბავი, რა მოხდება?
- როგორ დასრულდება ლამაზი დღის ამბავი?

აქტივობა 3. სურათებზე დაკვირვება. იდეების ორგანიზება.

  დროის/ თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვების შერჩევა, რომლებსაც ამბის შეთხზვისას გამოიყენებენ.

- რას ხედავ ნახატებზე?(აქტ.3)
- როგორ დაიწყებ ამბის თხრობას?
- რა მოხდა **ერთხელ**?
- სად ხდება მოქმედება?
- ვინ არიან პერსონაჟები?
- როგორი ამინდია, წელიწადის რომელი დრო შეიძლება იყოს?
- რა აცვიათ პერსონაჟებს?
- რით დაიწყო იამ თამაში?
- ვისი ნივთი უჭირავს იას?
- რატომ მოსთხოვა დედამ საფულის სკამზე დადება ?
- სავარაუდოდ, რას ეუბნება მას დედა?
- კიდევ ვინ მოჩანს სურათზე?
- რაზე მიანიშნებს იას დედა?

- როგორ ფიქრობ, რას გააკეთებს **ბოლოს** გოგონა?
- რომელი სიტყვებით დაიწყებ ამბის მოყოლას?
- ამბის გაგრძელებისას რა სიტყვები გამოგადგება?
- როდესაც ასრულებ ამბის მოყოლას, რა სიტყვას იყენებ?
- როგორ დაასათაურებ შენ მიერ შექმნილ ამბავს?

აქტივობა 4. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.
მოსწავლეები ინდივიდუალურად ქმნიან პატარა ამბავს პატარა გოგონასა და მისი დედიკოს შესახებ ნახატებზე დაყრდნობით და სიტყვების „ადი“ და „დადეს“ გათვალისწინებით.

აქტივობა 5. პრეზენტაცია
პრეზენტაციის შემდეგ შეგვიძლია ვკითხოთ მოსწავლეებს:
- აღწერე, რა თანმიმდევრობით შეასრულე დავალება?
- მოგეწონა თუ არა ამ დავალებაზე მუშაობა?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

დანართი N1
აფრინდა, აფრინდა
- გინდათ, „აფრინდა, აფრინდა” ვითამაშოთ? - წამოიძახა მამუკამ.
- გვინდა, გვინდა! - დაეთანხმნენ ბავშვები და მწვანეზე მოიკალათეს.
- ვიწყებ! - თითი მუხლზე დაიდო მამუკამ და სულგანაბულ მეგობრებს ეშმაკურად გადახედა - აფრინდა აფრინდა, ჩიტი აფრინდა!
- აფრინდა! - დაიძახეს ბავშვებმა და ხელები მაღლა ასწიეს.
- აფრინდა აფრინდა, თვითმფრინავი აფრინდა!
- აფრინდა! - ბავშვებმა ისევ მაღლა ასწიეს ხელები.
- აფრინდა აფრინდა, ხე აფრინდა!
- აფრინდა! - წამოსცდა ნინის.
- ხე არ ფრინავს! - ატეხეს ყიჟინა ბავშვებმა, - შეგეშალა, გავარდი!
- აფრინდა აფრინდა, გიგი აფრინდა!
- აფრინდა! - ხელი ასწია გიგიმ.
- წააგე, თამაშიდან გავარდი! - დაიძახეს ბავშვებმა.
- არაფერიც, რატომ წავაგე?! მე კოსმონავტი უნდა გავხდე, - ამაყად გადახედა გიგიმ მეგობრებს.
ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს და სიცილ-კისკისით განაგრძეს თამაში.
ქეთევან ჭილაშვილი

დანართი N2
დამხმარე მასალა:
სიტყვათა ჩამონათვალი ლექსიკური სავარჯიშოსათვის:

ა - აბი, აბჯარი, აგარაკი, აბგა, აგური, ადათი, ადამიანი, ავაზა, ავდარი, აზრი, აკვანი, აკიდო, ალიონი, ალყა, ამაგი, ამალა, ამანათი, ანბანი, ანდაზა, ანგელოზი, არშია, ასკილი, აუზი, აღვირი.

ი - იმედი, იადონი, იასამანი, იერიში, იარუსი, ინტერესი, ინსტიტუტი, ილეთი, ინდაური, ირემი, ისარი, ისლი, ისტორია, იუბილე, იუმორი, იფანი, იღბალი, ინჟინერი, იოდი, იაგუნდი, იალქანი, ილუსტრაცია, იარაღი.

დ - დათვი, დაირა, დალაქი, დამბაჩა, დარაჯი, დარბაზი, დარდი, დასი, დაფნა, დაღმართი, დახლი, დედალი, დევი, დეზი, დელფინი, დეპეშა, დერეფანი, დინგი, დინოზავრი, დილა, დომინო, დოქი, დოღი, დრაკონი, დღე, დურბინდი.

ე - ეზო, ექიმი, ელვა, ელდა, ელმავალი, ენა, ენძელა, ერი, ეტლი, ექსკურსია, ეშელონი, ეშვი, ეშმაკი, ეჩო, ეჭვი, ეკიპაჟი, ელჩი, ერდო, ესკიზი, ესტრადა.

მ - მადა, მათრახი, მაიმუნი, მამონტი, მაჟალო, მარანი, მარაო, მარგალიტი, მარილი, მარცვალი, მასხარა, მაყვალი, მაწონი, მახათი, მახე, მგელი, მდელო, მდინარე, მედუზა, მედალი, მეზღვაური, მელა, მერცხალი, მეფე, მთა, მიწა, მოედანი, მონადირე, მუსიკა, მურაბა, მუზეუმი, მხედარი, მხატვარი.

ს - საბძელი, საბუთი, საბუდარი, საგანი, საგანძური, საგზური, საგუშაგო, სადგისი, სადილი, სავარძელი, საზამთრო, სათვალე, სათითე, საკინძე, სანდალი, სარკე, სარო, სასთუმალი, საუნჯე, სელაპი, სერი, სიზმარი, სინდისი, სიტყვა, სეტყვა, სკივრი, სპილო, სხივი, სტუმარი, სურა.

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის:

სალამი - სალამი	ცხვარი - ცხვარი	შუქი - შუქი
სალამი - სალამი	ცხვარი - ცხვირი	ბუქი - ბუქი
კალამი - სალამი	ცხვირი - ცხვირი	შუქი - ბუქი
სალამი - კალამი	ცხვირი - ცხვარი	შუქი - შუქი
კალამი - კალამი	ცხვარი - ცხვარი	ბუქი - შუქი
კალამი - სალამი	ცხვარი - ცხვირი	ბუქი - ბუქი

რიდი - რიდი	ნესვი - ფესვი	პეშვი - პეშვი
რიდი - რიდე	ფესვი - ფესვი	ეშვი - ეშვი
რიდი - რიდე	ნესვი - ნესვი	ეშვი - პეშვი
რიდე - რიდე	ფესვი - ნესვი	პეშვი - პეშვი
რიდე - რიდი	ნესვი - ნესვი	პეშვი - ეშვი
რიდი - რიდი	ნესვი - ფესვი	ეშვი - ეშვი

ფანდი - ფანდი	ლახტი - ტახტი	ჯაფა - ჯაფა
ფანდი - ფანდი	ტახტი - ტახტი	ჯაფა - ჯაფა
ფანდი - ფანტი	ტახტი - ტახტი	დაფა - დაფა
ფანტი - ფანდი	ტახტი - ლახტი	დაფა - ჯაფა
ფანტი - ფანტი	ლახტი - ლახტი	ჯაფა - დაფა
ფანტი - ფანდი	ლახტი - ტახტი	ჯაფა - ჯაფა

დანართი N 3. იხ. მოსწავლის რვეულში, რვეულის არქონის შემთხვევაში მოცემული გვერდი გადააქსეროქსეთ, დაჭერით საჭირო რაოდენობით და დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნის პირველი გვერდის შესაქმნელად.

აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.
აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.
აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.
აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.
აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.
აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.	აი ია. აი იას დედა. ეს იას მამაა.

კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო ტესტი №1

1 მოძებნე დაკარგული მარცვალი, შეაერთე ხაზებით და შეადგინე სიტყვები:

დიდე	სი
მა	და
მაი	მა
სა	მი

2 გადახაზე ზედმეტი სიტყვა

დედა მამა და მაისი დიდედა მამიდა

3 დაადგინე ბგერათა და მარცვალთა რაოდენობა, მარცხენა მხარეს გააფერადე იმდენი უჯრა რამდენი ბგერაცაა სიტყვაში, მარჯვენა მხარეს გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში:

თემა N2. ზრუნვა **საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 სთ**			
თემაში გამოყენებული ტექსტი: ნესტან კუპრავას მოთხრობა **„ჰყავს“** (იხ. დანართი N1); სახელმძღვანელოს საკითხავი ტექსტი „ეზო“			
სხვა რესურსები: **სახელმძღვანელოს საანბანო მასალის (რ ჩ ვ ნ ზ ო) საკითხავი ტექსტები გვ. 24-32.** **კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო ტესტი N2 გვ. 29** **ფონეტიკური სავარჯიშოები** (იხილეთ დანართი N2). **საკლასო სამუშაოების რვეული, გვ. 25-29.** **I საკითხის N2 კომპლექტი დავალებისათვის** (დანართი N 3) ცხოველთა შვილები			
	საკითხები		
სამიზნე ცნებები	**1. საკითხი:** შესწავლილი ასოების გამოყენებით წიგნის ილუსტრირებული გვერდის შექმნა.	**2. საკითხი:** საკუთარი **ოჯახის წევრების დახატვა და გაცნობა** თანატოლებისთვის (ნესტან კუპრავას მოთხრობის, **„ჰყავს“ გათვალისწინებით)**	**3. საკითხი:** ზეპირი ამბის შეთხზვა სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციაზე დაყრდნობით.
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) მოთხრობა, თემა; იდეა, ძირითადი საკითხი ტექსტის გაგების სტრატეგია.		**ქვესაკითხები:** მოთხრობა „ჰყავს“ თემა, იდეა და ძირითადი საკითხი; ტექსტის გაგების სტრატეგიები; კითხვის სტრატეგიები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი. **ქვეცნება:** თხრობა			**ქვესაკითხები:** პატარა გოგონას შესახებ შექმნილი ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა, დროის გამომხატველი ენობრივი საშუალებები.
კოდირება-დეკოდირება (შედეგები I 2,4, 6) **ქვეცნება:** ასო, დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი).	**ქვესაკითხები:** რ ჩ, ვ ნ,ზ ო ასოთა წყვილები: შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები.		
	კომპლექსური დავალება 2. საანბანო პერიოდის პროექტი	**კომპლექსური დავალება** სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის გამოყენებით ნახატის შექმნა.	**კომპლექსური დავალება:** სახელმძღვანელოში მოცემულ ნახატებზე დაყრდნობით მოიფიქრე და გვიამბე პატარა <u>ამბავი</u> „ია სასეირნოდ იყო“.

	- ჩემი ილუსტრირებული წიგნი		

თემა N2. ზრუნვა	**რ ჩ ვ ნ ზ ო**
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის); (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნება:** ასო, დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი);	**საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა ახლად შესწავლილ ასოთა წყვილების - **რ ჩ ვ ნ ზ ო** - გამოყენებით. **ქვესაკითხი:** ასოთა წყვილები: შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები; **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ილუსტრირებული წიგნის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოების ცოდნა? როგორ წარმოვაჩინო ტექსტის შინაარსის ცოდნა? როგორ გავვარჯიშდე წინადადებების წაკითხვაში? **1. კომპლექსური დავალება - საანბანო პერიოდის პროექტი ჩემი ილუსტრირებული წიგნი** ➢ გადახედე გავლილ მასალას, სახატავ რვეულში შექმენი შესწავლილი ტექსტების შესაბამისი ილუსტრაციები. ➢ წაიკითხე დაჭრილ ფურცლებზე მოცემული წინადადებები; ➢ ამოარჩიე შენი ნახატის შესაბამისი წინადადებები და მიაწებე სასურველ ადგილას წიგნში.
1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის შუალედის დაცვა, წინადადების ბოლოს - წერტილის დასმა.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>ნამუშევრის წარდგენისას</u> • მოძებნე და დაასახელე ახლად ნასწავლი ასოები (დ.1); • წარმოაჩინე ნასწავლი ტექსტების შინაარსი შესაბამისი ილუსტრაციით (ტ. 1); • დაასახელე, რამდენი წინადადებაა შენ მიერ შედგენილ ტექსტში, რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში (დ. 3, 4); • წაიკითხე წინადადებები ხმამაღლა (დ. 3,4).

მზადება კომპლექსური დავალებისათვის
ზეპირი საკლასო სამუშაოები ფონოლოგიური ცნობიერების გასავითარებლად;
თემაში შემავალი ასოების შესწავლა, კითხვის სტრატეგიები.

აქტივობა 1. ფონეტიკური სავარჯიშოები: თავბგერის დასახელება, რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;

- მოცემულ ბგერებზე სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება;
- სიტყვების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივობა 2.

წარმოთქმული და დაწერილი ასოების (**ჯერ რ-ჩ; შემდეგ ვ-ნ; ბოლოს ზ-ო),** სიტყვების მოკლე წინადადებების კოდირება-დეკოდირება

ასოთა სამივე წყვილისათვის განკუთვნილი სამუშაოები

ა) <u>ანბანის ხმამაღლა, გუნდურად წაკითხვა</u> მასწავლებელთან ერთად (მუშაობის მეთოდი (იხ. მასწავლებლის წიგნის შესავალ ნაწილში);

ბ)ახალი ასოების გაცნობა მასწავლებელი წარმოსთქვამს შესასწავლ ასოს და ასევე აჩვენებს ბავშვებს. რა ბგერა გაიგონეთ, რა ასოს ხედავთ;

გ) <u>ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა</u> (მუშაობის მეთოდი- მაწავლებლის წიგნი გვ.....);

დ) <u>დაასახელეთ</u> **რ**-სა და **ჩ**- ზე (თემების შესაბამისად: **ვ--სა** და **ნ** -ზე; **ზ**-სა და **ო**-ზე) დაწყებული სიტყვები.

წიგნში საკითხავ მასალაზე მუშაობა; სამივე საანბანო წყვილზე ცალცალკე

- დამარცვლილი სიტყვის წაკითხვა;
- მთლიანი სიტყვის წაკითხვა;
- მოკლე წინადადებების წაკითხვა.

აქტივობა 3. (დეკ1, 4) წაიკითხე მითითებული სიტყვები და წინადადებები, დაადგინე მისი მნიშვნელობა და შინაარსი. (დეკ.4)

კითხვა-დეკოდირება მასწავლების საჩვენებელი კითხვა

რ-ჩ

მარცვლების წაკითხვა;

I. ასოების წაკითხვა : 1. მასწავლებელთან ერთად-ქორო; 2. ექოთი; დამოუკიდებლად - თითო-თითო მარცვალი - მატარებლის პრინციპით; ერთის გამოტოვებით, ბოლო მარცვლიდან დასაწყისისკენ

➢ დამარცვლილი სიტყვის წაკითხვა;

1. მასწავლებელთან ერთად-ქორო; 2. ექოთი; 3. წაიკითხე და გააერთიანე სიტყვა;

➢ მთლიანი სიტყვის წაკითხვა;

1. მასწავლებელთან ერთად-ქორო; 2.ექოთი; წყვილებად - დაასახელე რა სიტყვა წაიკითხა შენმა მეწყვილემ

➢ მოკლე წინადადებების წაკითხვა მასწავლებელთან ერთად- ქორო; მერე- ექოთი. თითო-თითო წინადადებების წაკითხვა წყვილად, გაიმეორე რა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;

➢ ძირითადი ტექსტის წაკითხვა ჯერ ექოთი, შემდეგ თითო-თითო წინადადებებით; შემდეგ წყილებად რიგრიგობით;

დაფაზე დაიწეროს იგივე წინადადებები სიტყვების გადანაცვლებით: დაჩისია რიჩი; მერისია მიმი; ჩამიჩი ესაა, ჩირი ისაა. ესაა რიჩი. ისაა მიმი...

ვ-ნ

I. ს-ს წაკითხვის მერე სიტყვები მუშავდება მატარებლოის პრინციპით - პირველიდან ბოლო სიტყვისკენ, იგივე ჯგუფი კითხულობს ბოლოდან პირველი სიტყვისკენ. ხოლო საკითხავი ტექსტი მუშავდება შინაარსის გათვალისწინებით. მასწავლებელი ჯერ მთლიანად კითხულობს, მერე ქოროში, ბოლოს კი იგი კითხულობს შეკითხვას, ბავშვები - პასუხს კითხულობენ ქოროში . შემდეგ ბაცვები კითხულობენ წყვილებად;

ძირითად ტექსტს ჯერ მასწავლებელი კითხულობს. ბავშვები ტექსტში დასმულ შეკითხვას - ვინ არის დაჩის დედა? ვინ არის დაჩის მამა? ვინ არის დაჩი? - სცემენ ზეპირად პასუხს. შემდეგ კითხულობენ ექოთი. მერე - ბავშვენბი კითხულობა წყვილებად- ერთი ერთ წინადადებას მეორე მეორეს.

II. ფურცლებზე წინასწარ დაწერილ შეკითხვებს მოუძებნონ პასუხები. ერთი შეკითხვა და ორი პასუხი მივცეთ მოსწავლეს. 1. ვისია ეს ნავი? - ეს ნავი დაჩისია. ეს ნავი დედასია; ვისია ეს ვარდი? - ეს ვარდი იასია. ეს ვარდი მამასია.

ზ-ო

I. საკითხავი სავარჯიშოების სიტყვების დამუშავებისას დამარცვლული სიტყვები იკითხება ქოროში. შემდეგ კითხულობენ ბავშვები და ამთლიანებენ, სიტყვები- ჯერ ექოთი, შემდეგ მატარებლის პრინციპით კითხულობენ თავიდან ბოლომდე, ბოლოდან პირველამდე; შემდეგ კითხულობენ სვეტებადსვეტებად;

II. მასწავლებელთან ერთად საკითხავი სავარჯიშოს ტექსტის დამუშავების შემდეგ კითულობენ ტრიოში - თითო თითო წინადადებას.

აქტივობა 4. წერის იმიტირება მაგნიტური ანბანითა და ანბანსტიკერით ან ელექტრორესურსის გამოყენებით;
სიტყვების აწყობა მაგნიტური ანბანით ან ელექტრო რესურსის გამოყენებით. ბუკში და კომპიუტერში შევუქმნათ მოსწავლებს ფაილი „ჩემი რვეული“ და კლავიატურაზე აკრიფოთ სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მითითებულია სახელმძღვანელიში (ვასწავლოთ, ეს როგორ უნდა შეძლონ)
პირველ წყვილთან - **რიჩი დაჩისია**
მეორე წყვილთან- **ეს დაჩის ნავია.**
მესამე წყვილთან- **ეს ჩვენი ეზოა**
აქტივობა 5. მარცვლებით ოპერირება
ჩა-მი-ჩი (ამოვაგდოთ შუა მარცვალი, რა გამოვიდა?)
მე- რი (ამოვაგდოთ მეორე მარცვალი, რა გამოვიდა? შეცვალე მ **ს**-თი, რა გამოვიდა?)
და- რი (ამოვაგდოთ მეორე მარცვალი, რა გამოვიდა? შეცვალე მ **ს**-თი, რა გამოვიდა?)
ი-სა-რი (ამოვაგდოთ პირველი ასო, რა გამოვიდა?)
აქტივობა 6. სამუშაო
<u>**მოსწავლის რვეულში**</u> მოცემული დავალებების შესრულება

I პირველ წყვილთან **რ ჩ**

- ასოთა სიმრავლეში ნასწავლი ასოები მოძებნა და მონიშვნა (შემოხაზვა ნიმუშის მიხედვით)
- სიტყვათა სიმრავლეში **რ**-ზე და **ჩ**-ზე დაწყებული სიტყვების წაკითხვა და მონიშვნა. (შემოხაზვა ნიმუშის მიხედვით)

II. მეორე წყვილთან **ვ ნ**

- სიტყვათა სიმრავლეში **ვ**-ზე და **ნ**-ზე დაწყებული სიტყვების წაკითხვა და მონიშვნა. (შემოხაზვა ნიმუშის მიხედვით)
- თითოეულ ნახატს მოუძებნე თავისი სიტყვა

III. მესამე წყვილთან **ზ ო**

- სიტყვათა სიმრავლეში მოძებნა ის სიტყვები, რომლებიც **ზო** მარცვლით იწყება
- დააკვირდი რომელ ასოზე იწყება სიტყვა და რომელი მარცვლით მთავრდება; მოძებნე და შემოხაზე ის სიტყვები, რომლებსაც ორი საერთო ნიშანი აქვს.

კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა

ეტაპი I დავალების პირობის გაცნობა:

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება;

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ დავალების შესრულებისას
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:

აქტივობები, რესურსები:
ნაბიჯი 1. ახალი ასოების ცოდნა (დ.1); ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4)

აქტივობა 1. წიგნის ერთი გვერდის შედგენა
პირველ 2-3 მასალას ამზადებენ მასწავლებლის დახმარებით. მოგვიანებით მოსწავლეები დამოუკიდებლად შეარჩევენ წიგნის მასალას.

1. გადაშალეთ სახატავი რვეულის შემდეგი ცარიელი ფურცელი. თქვენ მასში შექმნით თქვენი წიგნის მომდევნო გვერდს..
2. შეუდექით მომდევნო გვერდის შექმნას გავლილი მასალის გამოყენებით:
3. გაიხსენეთ ვის გაეცანით, რა ნახეთ: **დაჩი, მისი ძაღლი რიჩი, ასევე - ია და მისი კატა მიმი.. ვნახეთ დაჩის ეზო, გავიგეთ, სად მიდიან მზია და ია.**
4. თქვენ მოცემული გაქვთ წინადადებების კალათი (ყუთი).

5. წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ის. რასაც თქვენს წიგნში დამოიყენებთ;
6. შერჩეული წინადადებების მიხედვით დახატეთ, ან გააფერადეთ და გამოჭერით ან აარჩიეთ ნახატი და გამოჭერით.
7. გადაანაწილეთ ისინი ფურცელზე.
8. თქვენ მიერ შერჩეული წინადადებები და დააწებეთ შესაბამისი ნახატის ქვეშ.
9. რომელ წინადადებასაც არ გამოიყენებთ დააბრუნეთ ყუთში.
10. არ დაგავიწყდეთ, რომ წინადადებებს შორის გამოტოვოთ მანძილი. წინადადებების ბოლოს დასვით წერტილი.

1 კალათში (ყუთში) არის შემდეგი წინადადებები: **მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.**

11. გაითვალისწინე, ერთ ნახატთან შეიძლება 2-3 წინადადებაც გამოიყენო.
12. წინადადებები დააწებეთ თავის ნახატთან ახლოს.
13. დაფიქრდი, რამეს ხომ არ შეცვლიდი;

აქტივობა 2. წარუდგინე შენი ნამუშევარი კლასს:

ისაუბრე:

- რა დახატე, როგორ დახატე, და რა დაწერე.
- რის შემდეგ რა გააკეთე;
- როგორ გააფორმე წიგნის გვერდი, როგორ შექმენი ნახატები;
- როგორ შეიტანე წიგნში ტექსტი;

კითხვები:

- მოგწონს თუ არა შენი წიგნის პირველი გვერდი?
- შენი ნამუშევრიდან რა მოგწონს ყველაზე მეტად?
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას

რესურსები: სახელმძღვანელოს საკითხავი პატარა მოთხრობები, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, გამოსაჭრელი ან გასაფერადებელი ნახატები. წინადადებების კალათი. ელექტრო რესურსები, თუკი ბუკში ეწყობა წიგნი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები**: მოთხრობა დედააზრი, მნიშვნელოვანი დეტალი, ეპიზოდი ტექსტის გაგების სტრატეგიები	**საკითხი: ნ. კუპრავას მოთხრობაში** „ჰყავს“ გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით ნახატის შექმნა. **ქვესაკითხი:** ნესტან კუპრავას მოთხრობის „ჰყავს“ დედააზრი, მნიშვნელოვანი დეტალი, ეპიზოდი; ახალი და იშვიათად ხმარებული სიტყვები; **საკვანძო შეკითხვა**: რით და როგორ დავუკავშირო პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება მოთხრობას? **კომპლექსური დავალება**: სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის გამოყენებით ნახატის შექმნა. ➢ დაფიქრდი, <u>რა</u> გაგახსენა მოსმენილმა ტექსტმა „ჰყავს“ საკუთარ ოჯახთან დაკავშირებით. ➢ სახატავი საშუალებების გამოყენებით შექმენი ნახატი შენი ოჯახის წევრების შესახებ და წარუდგინე თანაკლასელებს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს,	<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • ვისგან რას სწავლობ, ვისთან ერთად რას აკეთებ, ვის თვლი შენს საუკეთესო მეგობრად?

რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	• რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1); • რით უკავშირდება მოსმენილი ტექსტი შენს გამოცდილებას (ტ.1, 2, 3); • რას მიაქციე ყურადღება, რაზედაც ტექსტის წაკითხვამდე არ დაფიქრებულხარ (ტ. 1 2, 3).

I ეტაპი. დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რა უნდა იცოდეთ, რომ დავალება კარგად შეასრულოთ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი: დავალების შესრულება:

ნაბიჯი 1. რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად?

ქვესაკითხი: ახალი და იშვიათად ხმარებული სიტყვები

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

ალბათ ყველას გიყვართ ცხოველები და ბევრი რამ გსმენიათ მათ შესახებ. ზოგს ოჯახშიც გყავთ ოთხფეხა მეგობრები.

- მოდით ჩამოვთვალოთ, რომელ ცხოველებს იცნობთ?
- რა იცით მათ შესახებ? სად ცხოვრობენ? რას ჭამენ?
- თქვენ თუ მეგობრობთ ცხოველებთან?
- თუ არ გყავთ, რომელი ცხოველის ყოლას ისურვებდით?

ვნახოთ, ჩვენი ტექსტის პერსონაჟებსაც ჰყავთ მეგობარი ცხოველები?

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა ილუსტრაციისა და სათაურის მიხედვით

რესურსი 1. სახელმძღვანელო: საანბანო საკითხავი ტექსტი „ეზო“

რესურსი 2. ვარაუდების ცხრილი

მინიშნებები სათაურზე მინიშნებები სურათზე



- შეგიძლიათ წაიკითხოთ ტექსტის სათაური? რა წერია?
- რატომ არის ასე დასათაურებული ტექსტი?
- სათაურის მიხედვით, რაზე იქნება ტექსტი?
- რას ხედავთ ილუსტრაციაზე? სად ხდება მოქმედება?
- ვის ხედავთ სურათზე? კიდევ ?
- რას ფიქრობთ, ამ სურათის მიხედვით, რის ან ვის შესახებ იქნება ტექსტი?

- თქვენი აზრით, ვისია სურათზე გამოსახული ძაღლი და კატა?
- რა ჰყავს იას? (თუ გამოიცნობენ ბავშვების ვინაობას, იმ შემთხვევაში ვკითხავთ ამას)
- რა ჰყავს დაჩის?
- თქვენი ვარაუდით, სათაურისა და ილუსტრაციის მიხედვით, რაზე იქნება ეს ტექსტი?

მოდით ვნახოთ, ნამდვილად ისეა ყველაფერი, როგორც თქვენ გგონიათ?
აქტივობა 3. საანბანო ტექსტის კითხვა **(მასწავლებელი ხმამაღლა უკითხავს ტექსტს, მუშაობს მის გაგებაზე)**



ეს იას და დაჩის ეზოა. ეზო დიდია. აი, დიდი მორი. მორზე დაჩი ზის. მზიანი ამინდია. რიჩი მიმის დასდევს. ვინ მოვიდა? ეს მზიაა. მზია იასთან მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა - ეს ჩემი მიმია.

წაკითხვის შემდეგ დასმული კითხვები:
- ვისია სურათზე გამოსახული ეზო?
- როგორია ეზო?
- სად ზის ბიჭი? ვინ არის ეს ბიჭი?
- იცით რა არის **მორი?** (დააკვირდით სურათს, **მორი მოჭრილი, ტოტებგაცლილი მსხვილი ხეა).**
- როგორი ამინდია?
- რას დასდევს რიჩი? თქვენი აზრით, რატომ დასდევს?
- ვინ მოვიდა იასთან?
- რა აჩვენა იამ მზიას?
- სად ხდება ტექსტში აღწერილი ამბავი?
- ვის შესახებ არის მოთხრობილი ამ ტექსტში?
- გამართლდა თქვენი ვარაუდი? ასე ფიქრობდით ტექსტის წაკითხვამდე?

აქტივობა 4. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა (მასწავლებელი კითხულობს და მოსწავლეები ტექსტს ადევნებენ თვალს).
აქტივობა 5. მოსწავლეებისა და მასწავლებლის ერთობლივი კითხვა.
აქტივობა 6. ტექსტიდან მითითებული სიტყვების, წინადადებების ამოკითხვა.

ნაბიჯი 2. რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1); რით უკავშირდება მოსმენილი ტექსტი შენს გამოცდილებას (ტ.1, 2, 3); რას მიაქციე ყურადღება ისეთს, რაზედაც ტექსტის წაკითხვამდე არ დაფიქრებულხარ (ტ. 1 2, 3).
ქვესაკითხი: დედააზრი, მნიშვნელოვანი დეტალი, ეპიზოდი; ტექსტის გაგების სტრატეგიები.
რესურსი 1. ნესტან კუპრავას მოთხრობა: „ჰყავს“
აქტივობა 1. მოთხრობის წაკითხვა/ ტექსტის გაგებაზე მუშაობა
ყველა ცხოველი გინახავთ თუ ზოგს მხოლოდ მულტფილმებიდან და ზღაპრებიდან იცნობთ?
https://www.youtube.com/watch?v=vWJdoNV7kz0 უხეირო დათვი
- რომელი მულტფილმი/ ზღაპარი გახსენდებათ ცხოველებზე?
- თუ იცით, როგორ უვლიან ცხოველები თავიანთ შვილებს?
- საიდან იცი ამის შესახებ?
- ხომ არ იცით, რას ეძახიან სხვაგვარად ცხოველის შვილს? (ცხოველის შვილს მის ნაშიერსაც უწოდებენ)

მოდით, წავიკითხოთ მოთხრობა და ზოგი რამ გავიგოთ
ა) ლექსიკის დამუშავება ილუსტრაციების დახმარებით (შეიძლება პრეზენტაციაც მომზადდეს);
ბ) კითხვებზე პასუხი:
1. რატომ ყოფილა სიტყვა „ჰყავს“ ყველაზე კარგი სიტყვა? რას ნიშნავს, როცა ვინმე გყავს?
2. რატომ არის კარგი, რომ ადამიანებს ერთმანეთი ჰყავთ. მაგ.: შვილს მშობლები, მშობლებს - შვილი?
3. რა კითხვა უჩნდება მთხრობელს?

4. როგორ ფიქრობთ, ჰყავთ ცხოველებს და ფრინველებს ერთმანეთი?
5. რა ჰყავს ლომს? დათვს? მერცხალს?...
6. მურას ლეკვი ჰყოლია. რა არის მურა? რომელი ცხოველის სახელია?
7. ჭრელას კნუტი ჰყავსო. ჭრელა რაღა იქნება? რის ნაშიერს ჰქვია კნუტი?
8. თქვენი აზრით, რატომ არქმევენ ხოლმე ცხოველებს ასეთ სახელებს - ჭრელა, მურა?
9. რას ეძახის ჩვენს მთხრობელს დედა? რატომ?
10. რას ჰყავს ბარტყი?
11. მამა რას ეძახის შვილს ამაყად, ანუ თავმომწონედ? რას ჰყავს მართვე?
12. რა ჰქვია მტრედის შვილს? ყვავის ნაშიერს?
13. რატომ ჰგონია ყვავს თავისი ბახალა ყველაზე კარგი?
14. როგორ სრულდება მოთხრობა?
15. მოთხრობაში ნახსენებია დედა და მამა. შენ კიდევ ვინ გყავს?
16. ვისთან ერთად მოგწონს სეირნობა და გართობა?

ტექსტში დასახელებული ცხოველები, ფრინველები და მათი ნაშიერები

აქტივობა 2. ცხოველებისა და ფრინველების ამოცნობა

(ქვემოთ, მარცხენა სვეტში მოცემული ილუსტრაციებიდან ჯერ ცხოველები ამოიცანი **და დაასახელე, შემდეგ - ფრინველები)**

აქტივობა 3.

ა) ცხოველების დაკავშირება მათ ნაშიერებთან (ნაშიერის დასახელება).

ბ) ფრინველების დაკავშირება მათ ნაშიერებთან (ნაშიერის დასახელება).



ნიმუში

აქტივობა 4. ტექსტის მთავარი სათქმელის აღმოჩენა

აქტივობა 5. მსჯელობა - ტექსტისა და საკუთარი გამოცდილების შედარება

აქტივობა 6. მოსწავლეები ხატავენ თავიანთი ოჯახის წევრებს

აქტივობა 7. ნამუშევრების გამოფენა და წარდგენა

- როგორ ფიქრობთ, რის აღმოჩენაში დაეხმარა მთხრობელს სიტყვა „ჰყავს“? (აქტ.4)
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელი წინადადებიდან იგებთ, რისი თქმა სურს მოთხრობის ავტორს? რა არის ამ ნაწარმოების დედააზრი?
- თქვენ რაში/როგორ გამოიყენებთ ტექსტით მიღებულ ცოდნას? (აქტ.5)
- შენი და შენი მშობლების, დანარჩენი ოჯახის წევრების ურთიერთობები ხომ არ გაგახსენდა ამ მოთხრობის მოსმენისას? (მაგ.: „ადამიანებს ერთმანეთი ჰყავთ“, მარტო არ ვართ დედამიწაზე“)
- შენ ვინ გყავს, ვინ დახატე სურათზე?
- შენ ვინ მიგაჩნია ოჯახში შენს მეგობრად?
- ვისგან რას სწავლობ? ვინ რაში გეხმარება? ვისი იმედი გაქვს?
- ახალი რა აღმოაჩინე ტექსტში?(მხოლოდ ადამიანები არ არიან მარტო)
- რას მიაქციე ყურადღება ისეთს, რაზეც აქამდე არ დაფიქრებულხარ?(ცხოველებს და ფრინველებსაც სცოდნიათ დედაშვილური სიყვარული)
- რით იყო მნიშვნელოვანი ეს ტექსტი შენთვის, რა დაგანახა მან?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რა დაგეხმარა ამ დავალების მომზადებაში?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს წერილს, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი(სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები:** თხრობა	**საკითხი:** ამბის ზეპირად შეთხზვა ილუსტრაციის მიხედით, თუ როგორ წავიდა ერთხელ (სახელმძღვანელოს პერსონაჟი გოგონა) ია სასეირნოდ **ქვესაკითხი:** პატარა გოგონას შესახებ შექმნილი ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა, დროის გამომხატველი ენობრივი საშუალებები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გამოვიყენო სურათი ამბის მოსაფიქრებლად? როგორ გადმოვცე ამბავი ისე, რომ საინტერსო იყოს, მოეწონოთ ჩემს თანატოლებს?

	კომპლექსური დავალება: ამბის მოგონება და გადმოცემა სურათზე დაყრდნობით ➢ დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ ნახატებს. თანმიმდევრობით ზეპირად აღწერე ისინი. ➢ შემდეგ ნახატებზე დაყრდნობით მოიფიქრე და გვიამბე პატარა <u>ამბავი</u> „ია სასეირნოდ იყო“.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლე აცნობიერებს, რომ** 1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად). 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე / მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს . 4. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** <u>თხრობისას წარმოაჩინე:</u> • რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); • მრავალფეროვანი სიტყვები, დროის გამომხატველი ენობრივი საშუალებები (ს.2); • ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ., ვინ არის პერსონაჟი და როგორი გოგოა ის ამ ეპიზოდების მიხედვით, სად ხდება მოქმედება,სად რა ნივთი დარჩა მას.) (ს.2).

I ეტაპი. დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის დადგენა

- როგორ მოვყვეთ ამბავი?
- მოყევით რაიმე სახალისო ამბავი თქვენი ცხოვრებიდან.
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარება ამბის შეთხზვაში?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

აქტივობა1. სამსიტყვიანი წინადადებების გავრცობა, მაგალითად, ექვსსიტყვიან სახალისო წინადადებად.

მაგალითად, ამოსავალი წინადადება: სამი ვარდი იასია.

(გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: ეს სამი ლამაზი, წითელი ვარდი პატარა იასია.

- ➢ როგორ ვაქციოთ სამსიტყვიანი წინადადება ექვსსიტყვიან წინადადებად? **(აქტ.1**).
- ➢ რომელი ვარდია იასი? (ეს)
- ➢ როგორია ვარდი? (ლამაზი, წითელი...)
- ➢ რამდენი ვარდია იასი? (სამი)
- ➢ როგორი გოგონაა ია? (პატარა)

აქტივობა 2. სურათებზე დაკვირვება. იდეების ორგანიზება

დროის/ თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვების შერჩევა, რომლებსაც ამბის შეთხზვისას გამოიყენებენ.

- ➢ როგორ დაიწყებ ამბის თხრობას?(აქტ.2)
- ➢ რა მოხდა **ერთხელ**? სად, რა მიზნით წავიდა ია?

- რა წაიღო თან გოგონამ?
- **ჯერ** სად დაჯდა ია?
- **შემდეგ** რითი გაერთო?
- **ბოლოს** სად წავიდა?
- როგორ დასრულდა მისი სეირნობა? სად რა დარჩა იას?
- ამ ეპიზოდების მიხედვით, როგორი გოგოა ია?

აქტივობა 3. კომპლექსურ დავალების პრეზენტაცია.
მოსწავლეები ჰყვებიან პატარა ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ ისეირნა ერთხელ იამ.

- აღწერე, რა თანმიმდევრობით შეასრულე დავალება?
- მოგეწონა თუ არა ამ დავალებაზე მუშაობა?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად პატარა ამბის ნიმუშია?
- რა დაგეხმარა ამბის შედგენაში?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს წერილს, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

დანართი N 1.
„ჰყავს“, ნ. კუპრავა

ჰ ყ ა ვ ს

რა კარგი სიტყვა ყოფილა ჰყავს. ეს სიტყვა თურმე იმას ნიშნავს, რომ დედამიწაზე მარტო არა ხარ. რა კარგია, რომ ადამიანებს ერთმანეთი ჰყავთ. ეს სიტყვა ცხოველებსაც და ფრინველებსაც ადამიანებივით უყვართ? იმათაც ხომ ჰყავთ ერთმანეთი? ადამიანს ჰყავს შვილი, ლომს ჰყავს ბოკვერი, დათვს ჰყავს ბელი, ჩვენს მურას ლეკვი ჰყავს. ჩვენი ჭრელა კატა კნავის, მე კნუტი მყავსო. ღორს გოჭი ჰყავს. ცხენს - კვიცი, ძროხას - ხბო. ქათამს - წიწილა. მერცხალს - ბარტყი. ხანდახან დედა სიყვარულით მეც ბარტყს მეძახის. - ბარტყი კი არა, მართვეა! მართვე! - ამაყად ამბობს მამა. ჰო, მართლა, მართვე არწივს ჰყავს. მტრედს ჰყავს ხუნდი. თურმე ყვავს თავისი ბახალა ყველაზე უკეთესი ჰგონია. ბეღურასაც მოსიყვარულე გული ჰქონია, რადგან პატარა ბარტყი ჰყავს. ოჰო! ჰყავს მართლა ყველაზე კარგი სიტყვა ყოფილა! გვყავს, ანუ მარტო არა ვართ დედამიწაზე.

დანართი N 2.
დამხმარე მასალა:
სიტყვათა ჩამონათვალი ლექსიკური სავარჯიშოსათვის:

რ – რადიო, რაზა, რაზმი, რაინდი, რაკეტა, რაფა, რაში, რგოლი, რებუსი, რეზინი, რეისი, რეკორდი, რეჰანი, რთველი, რიდი, რიდე, რკინა, რკო, როზგი, როიალი, რვეული, რეპუტაცია, რელსი, რეკლამა.

ჩ - ჩაი, ჩაიდანი, ჩალა, ჩამჩა, ჩანთა, ჩანგალი, ჩანჩქერი, ჩარჩო, ჩაქუჩი, ჩაჩი, ჩაჩქანი, ჩემპიონი, ჩემოდანი, ჩექმა, ჩვევა, ჩიკორი, ჩითი, ჩიბუხი, ჩვილი, ჩიტი, ჩოგანი, ჩოჩორი, ჩოხა, ჩრდილი, ჩუქურთმა, ჩხა, ჩხირი.

ვ – ვაგონი, ვადა, ვაზი, ვაზნა, ვალი, ვაკე, ვალსი, ვაჟი, ვარდი, ვარსკვლავი, ვაფლი, ვარცლი, ვაჭარი, ვახშამი, ველი, ვეზირი, ვენახი, ვერძი, ვერცხლი, ვეფხვი, ვირთხა, ვირი, ვიტრინა, ვულკანი, ველოსიპედი.

ნ – ნაგაზი, ნაბადი, ნაბიჯი, ნადირი, ნათურა, ნათლია, ნაკადული, ნამქერი, ნამცეცი, ნამცხვარი, ნაპრალი, ნაპირი, ნარგავი, ნატვრა, ნაყოფი, ნაყინი, ნაცარი, ნაძვი, ნაწნავი, ნაჭერი, ნახატი, ნახშირი, ნესვი, ნემსი, ნეკნი, ნესტარი, ნიგოზი, ნიაღვარი, ნისლი, ნისკარტი, ნიღაბი, ნიჩაბი, ნიშანი, ნიჭი, ნოტი, ნომერი.

ზ – ზაზუნა, ზამთარი, ზანდუკი, ზარმაცი, ზაფხული, ზებრა, ზეთი, ზეიმი, ზეწარი, ზვავი, ზვიგენი, ზვირთი, ზნე, ზომა, ზოლი, ზონარი, ზურგი, ზუთხი, ზღაპარი, ზღარბი, ზღვა, ზღუდე, ზღურბლი, ზაქი.

ო – ობი, ობობა, ობოლი, ოთახი, ომი, ონავარი, ოპერა, ოპერაცია, ორბი, ორაგული, ორთქლი, ოსტატი, ოფიცერი, ოქრო, ოფოფი, ოცნება, ოხრახუში, ოჯახი.

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის:

რვალი - რვალი	ხარი - ხარი	რაფა - რაფა
რკალი - რვალი	ხარი - ხარო	რაფა - ტაფა
რკალი - რკალი	ხარო - ხარი	ტაფა - რაფა
რვალი - რკალი	ხარო - ხარო	ტაფა - ტაფა
რვალი - რვალი	ხარი - ხარო	რაფა - რაფა

ცერი - ცერი	ქიმი - ქიმი	ნისლი - ნისლი
ცერი - ცერი	სიმი - სიმი	ნისლი - ნისლი
ცერი - ბერი	სიმი - ქიმი	ნისლი - ისლი
ბერი - ცერი	ქიმი - ქიმი	ისლი - ისლი
ბერი - ბერი	ქიმი - სიმი	ისლი - ისლი
ბერი - ცერი	სიმი - სიმი	ისლი - ნისლი

დანართი N3.

მოცემული გვერდი გადააქსეროქსეთ, დაჭერით საჭირო რაოდენობით და დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნის პირველი გვერდის შესაქმნელად. წინადადებათაგან მოსწავლე თვითონ შეარჩევს მისთვის სასურველ ფრაზებს.

მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.	მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.	მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.
მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.	მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.	მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.
მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.	მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.	მზიანი ამინდია. დაჩი ეზოში მორზე ზის. რიჩი მიმის დასდევს. იასთან მზია მოვიდა. იამ მზიას მიმი აჩვენა.

კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო მასალა №2

1 მოძებნე დაკარგული მარცვალი, შეაერთე ხაზებით და შეადგინე სიტყვები:

მა	ნა
ზვი	და
და	ვი
ნეს	ნი
მიმი	მი
ზეი	ნო

2 თითოეულ ნახატს მოუძებნე შესაბამისი ტექსტი და შეართე ხაზებით:

ეს რიჩია. რიჩი დაჩისია.

ია და მაია ზეიმზე მიდიან.

ეს დაჩის ეზოა. დაჩი მორზე ზის.

თემა N3. ახალი წელი **საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 სთ**			
თემაში გამოყენებული ტექსტი: დამატებითი საკითხავი მასალა „ახალი წელი“ **სახელმძღვანელოდან „დაჩის სკოლა“**			
სხვა რესურსები: **სახელმძღვანელოს ტექსტები: „დიდედა მაშოს თონე“, „ზამთარი“** **სახელმძღვანელოს საანბანო მასალის (თ შ ბ უ კ ლ) საკითხავი ტექსტები, გვ. 33-41.** **კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო ტესტი N3 გვ. 35** **ფონეტიკური სავარჯიშოები;** (იხილეთ დანართი N 2) **საკლასო სამუშაოების რვეული, გვ. 30-35.** **მასალა I საკითხის N 2 კომპლექსური დავალებისათვის** (დანართი N 3) **„ახალი წელი მოკოლენდში“- მულტფილმის ნახვა**			
	საკითხები		
სამიზნე ცნებები	**1. საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა ახლად შესწავლილ ასოთა წყვილების - შ, ბ უ, კ ლ - გამოყენებით	**2. საკითხი**: მოთხრობაში გადმოცემული ამბის ნახატით გადმოცემა	**3. საკითხი:** საჩუქრის ზეპირად აღწერა
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) მხატვრული ჟანრი - მოთხრობა, თემა; იდეა, ძირითადი საკითხი; ტექსტის გაგების სტრატეგია;		**ქვესაკითხი:** მოთხრობის „ახალი წელი“ თემა, დედააზრი, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟები	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება:** თხრობა			**ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები, ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები
კოდირება-დეკოდირება (შედეგები I 2,4, 6) **ქვეცნება:** ასო, დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი);	**ქვესაკითხი:** ასოთა წყვილები: **თ შ, ბ უ, კ ლ** შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები		
	კომპლექსური დავალება საანბანო პერიოდის პროექტი - ჩემი ილუსტრირებული წიგნი	**კომპლექსური დავალება** საახალწლო სამზადისის ნახატი	**კომპლექსური დავალება:** სანატრელი საჩუქრის აღწერა

თემა 3	**თ შ ბ უ კ ლ**
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის); (შედეგები: (I). 2, 4, 6)	**საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა ახლად შესწავლილ ასოთა წყვილების - შ, ბ უ, კ ლ - გამოყენებით. **ქვესაკითხი:** ასოთა წყვილები: **თ შ, ბ უ, კ ლ ,** შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ილუსტრირებული წიგნის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოების ცოდნა? როგორ წარმოვაჩინო ტექსტის შინაარსის ცოდნა? როგორ გავვარჯიშდე წინადადებების წაკითხვაში? **კომპლექსური დავალება - საანბანო პერიოდის პროექტი ჩემი ილუსტრირებული წიგნი** ➢ გადახედე გავლილ მასალას, სახატავ რვეულში შექმენი შესწავლილი ტექსტების შესაბამისი ილუსტრაციები: ➢ წაიკითხე დაჭრილ ფურცლებზე მოცემული წინადადებები; ➢ ამოარჩიე შენი ნახატის შესაბამისი წინადადებები და მიაწებე სასურველ ადგილას წიგნში.
კოდირება-დეკოდირება 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის შუალედის დაცვა, წინადადების ბოლოს - წერტილის დასმა.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>ნამუშევრის წარდგენისას</u> • მოძებნე და დაასახელე ახლად ნასწავლი ასოები (დ.1); • წარმოაჩინე ნასწავლი ტექსტების შინაარსი შესაბამისი ილუსტრაციით (ტ. 1); • დაასახელე, რამდენი წინადადებაა შენ მიერ შედგენილ ტექსტში, რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში (დ. 3, 4); წაიკითხე წინადადებები ხმამაღლა (დ. 3,4)

მზადება კომპლექსური დავალებისათვის
ზეპირი საკლასო სამუშაოები ფონოლოგიური ცნობიერების გასავითარებლად;
თემაში შემავალი ასოების შესწავლა, კითხვის სტრატეგიები.

აქტივობა 1. ფონეტიკური სავარჯიშოები: თავბგერის დასახელება, რაზე იწყება დასახელებული სიტყვა:

- **მოცემულ ბგერებზე** სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება;
- სიტყვების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივობა 2.
წარმოთქმული და დაწერილი ასოების (**ჯერ თ-შ; შემდეგ ბ-უ ; ბოლის კ-ლ),** სიტყვების, მოკლე წინადადებების კოდირება-დეკოდირება
ასოთა სამივე წყვილისათვის განკუთვნილი სამუშაოები
ა) <u>ანბანის ხმამაღლა, გუნდურად წაკითხვა</u> მასწავლებელთან ერთად(მუშაობის მეთოდი - მასწავლებლის;
ბ) ახალი ასოების გაცნობა, მასწავლებელი წარმოთქვამს შესასწავლ ასოს და ასევე აჩვენებს ბავშვებს. რა ბგერა გაიგონეთ, რა ასოს ხედავთ;
გ) <u>ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა.</u>
დ) <u>დაასახელეთ</u> **თ -** სა და **შ -** ზე (თემების შესაბამისად: **კ - სა** და **ლ** -ზე; **ბ** -სა და **უ** -ზე) დაწყებული სიტყვები;
წიგნში საკითხავ მასალაზე მუშაობა; სამივე საანბანო წყვილზე ცალ-ცალკე:

- დამარცვლილი სიტყვის წაკითხვა;
- მთლიანი სიტყვის წაკითხვა;
- მოკლე წინადადებების წაკითხვა.

აქტივობა 3. კითხვა-დეკოდირება
თ-შ
I. დამარცვლილი სიტყვის წაკითხვა;
1. მასწავლებელთან ერთად - ქორო; 2. ექოთი; 3. წაიკითხე და გააერთიანე სიტყვა;
II. მთლიანი სიტყვის წაკითხვა;
1. მასწავლებელთან ერთად - ქორო; 2. ექოთი; წყვილებად - დაასახელე რა სიტყვა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;
III. მოკლე წინადადებების წაკითხვა მასწავლებელთან ერთად - ქორო; მერე - ექოთი. თითო-თითო წინადადების წაკითხვა წყვილად, გაიმეორე, რა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;
IV. ძირითადი ტექსტის წაკითხვა ჯერ ექოთი, შემდეგ თითო-თითო წინადადებით; შემდეგ წყვილებად რიგრიგობით.
დაფაზე დაიწეროს ტექსტის ოთხი ნაწილის შესაბამისი გეგმა: გასეირნება; დიდედა მაშოს თონესთან; ვითომ, ვითომ, შინ დაბრუნება; ამ გეგმის მიხედვით წაიკითხონ ტექსტი რიგრიგობით.
ბ-უ
I. საკითხავი სავარჯიშოების სიტყვების დამუშავებისას დამარცვლული სიტყვები იკითხება ქოროში. სიტყვები - ჯერ ექოთი, შემდეგ - მატარებლის პრინციპით თავიდან ბოლომდე, ბოლოდან პირველამდე; შემდეგ - სვეტებად;
II. მასწავლებელთან ერთად საკითხავი სავარჯიშოს ტექსტის დამუშავების შემდეგ კითხულობენ ტრიოში - თითო-თითო წინადადებას;
III. ძირითადი ტექსტის წაკითხვა ჯერ ექოთი, შემდეგ თითო-თითო წინადადებებით, მატარებლის სისტემით. შემდეგ - წყვილებად რიგრიგობით, ერთი კითხულობს, მეორე იმეორებს.
კ-ლ
I. დამარცვლილი სიტყვის წაკითხვა;
II. მასწავლებელთან ერთად - ქორო; 2. ექოთი; 3. წაიკითხე და გააერთიანე სიტყვა;
III. ექოს პრინციპით წაკითხვის მერე სიტყვები მუშავდება მატარებლის პრინციპით - პირველიდან ბოლო სიტყვისკენ, იგივე ჯგუფი კითხულობს ბოლოდან პირველი სიტყვისკენ; ხოლო საკითხავი ტექსტი მუშავდება შინაარსის გათვალისწინებით. მასწავლებელი ჯერ მთლიანად კითხულობს, მერე ქოროში, ბოლოს კი მოსწავლეები კითხულობენ თითო- თითო წინადადებას; შემდეგ კითხულობენ წყვილებად - ერთი კითხულობს, მეორე ზეპირად იმეორებს;
V. ძირითად ტექსტს ჯერ მასწავლებელი კითხულობს. მერე ქოროში, ბოლოს კი მოსწავლეები კითხულობენ თითო-თითო წინადადებას;
დაფაზე დაიწეროს ტექსტის სამი ნაწილის შესაბამისი გეგმა: სკოლისაკენ; კინოჩვენება; შინ დაბრუნება; ამ გეგმის მიხედვით წაიკითხონ ტექსტი რიგრიგობით;

აქტივობა 4. წერის იმიტირება მაგნიტური ანბანითა და ანბანსტიკერით ან ელექტრორესურსის გამოყენებით;

სიტყვების აწყობა მაგნიტური ანბანით ან ელექტრორესურსის გამოყენებით. ბუკში და კომპიუტერში შევუქმნათ მოსწავლეებს ფაილი - „ჩემი რვეული“ და კლავიატურაზე აკრიფეთ სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მითითებულია სახელმძღვანელიში (ვასწავლოთ, ეს როგორ უნდა შეძლონ)

პირველ წყვილთან - **დათვი საშიში ნადირია**
მეორე წყვილთან - **ბაბუა შეშას ეზიდება**
მესამე წყვილთან - **ეს დაჩის სკოლაა**

აქტივობა 2 მოსწავლეებს დაურიგეთ ბარათები მოცემული სიტყვებით და დაფაზეც გამოაკარით მასალა.
დააკვირდი სიტყვის ბოლო ნაწილს, მოძებნე დიდ სიტყვებში პატარა სიტყვები და შუაში ჩამოუსვი ხაზი.

მაგალითად: ბუ**ნება** (ნება-სურვილს ნიშნავს); მაგალითი შესრულდება დაფაზე
ბორბალი საბანი ბარათი დიდედა მორი.

აქტივობა 3. შესწავლილ ასოთა წყვილების კოდირება-დეკოდირებაზე მუშაობა

1. პირველ წყვილთან **თ შ**
   - სიტყვათა სიმრავლეში სიტყვათა მოძებნა, რომლებშიც **ორი თ და ორი შ არის;**
   - შეაერთე სიტყვები შესაბამის ნახატებთან;
   - გადახაზე ზედმეტი სიტყვა;
     შოთა დავითი თათია მამა თამარი მაშო ვანო

2. მეორე წყვილთან **ბ უ**
   - სიტყვათა სიმრავლეში მოძებნე ის სიტყვები, რომლებიც **ბუ** მარცვლით იწყება;
   - შეაერთე ხაზებით შესაბამისი სიტყვები და შეადგინე წინადადებები.

3. მესამე წყვილთან **კ ლ**
   - სიტყვათა სიმრავლეში სიტყვათა მოძებნა, რომლებშიც **ორი კ და ლ არის;**
   - რომელი სიტყვა უკავშირდება სკოლას, რომელი - კინოს.

ეტაპი I - დავალების პირობის გაცნობა:

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება:
- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება;
- რისი ცოდნა გამოგადგებათ დავალების შესრულებისას;
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:

აქტივობები, რესურსები:
ნაბიჯი 1. ახალი ასოების ცოდნა (დ.1); ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4).

აქტივობები, რესურსი
ნაბიჯი1. ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4)

აქტივობა 1. გავიხსენოთ (წინარე ცოდნა)

გაიხსენეთ, როგორია წიგნის შიდა გვერდი (მოცემულია ნახატი და ტექსტი). ნახატი ასახავს მონათხრობ ამბავს. გაიხსენეთ, დანომრილია თუ არა გვერდები. სად წერია ტექსტი? როგორ მიხვდეს მკითხველი, რომელი ტექსტისაა ესა თუ ის ნახატი?

აქტივობა 2. წიგნის ერთი გვერდის შედგენა

პირველ 2-3 მასალას ამზადებენ მასწავლებლის დახმარებით. მოგვიანებით მოსწავლეები დამოუკიდებლად შეარჩევენ წიგნის მასალას.

1. გადაშალეთ სახატავი რვეულის შემდეგი ცარიელი ფურცელი. თქვენ მასში შექმნით თქვენი წიგნის მომდევნო გვერდს;
2. შეუდექით მომდევნო გვერდის შექმნას გავლილი მასალის გამოყენებით;
3. გაიხსენეთ, რა ხდებოდა დაჩის სკოლაში; დაჩი და მისი მეგობრები როგორ თამაშობენ ეზოში;
4. მოცემული გაქვთ წინადადებების კალათი (ყუთი). წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ის, რასაც თქვენს წიგნში გამოიყენებთ;
5. შერჩეული წინადადებების მიხედვით დახატეთ ან გააფერადეთ და გამოჭერით, ან აარჩიეთ ნახატი და გამოჭერით;
6. გადაანაწილეთ ისინი ფურცელზე;
7. თქვენ მიერ შერჩეული წინადადებები დააწებეთ შესაბამისი ნახატის ქვეშ;
8. რომელ წინადადებასაც არ გამოიყენებთ, დააბრუნეთ ყუთში;
9. არ დაგავიწყდეთ, რომ წინადადებებს შორის გამოტოვოთ მანძილი. წინადადებების ბოლოს დასვით წერტილი;
10. კალათში (ყუთში) არის შემდეგი წინადადებები: **დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ;**
11. გაითვალისწინე, ერთ ნახატთან შეიძლება 2-3 წინადადებაც გამოიყენო;
12. წინადადებები დააწებე თავის ნახატთან ახლოს;
13. დაფიქრდი, რამეს ხომ არ შეცვლიდი.

აქტივობა 3. წარუდგინე შენი ნამუშევარი კლასს.

ისაუბრე:

- რა დახატე, როგორ დახატე და რა დაწერე;
- რის შემდეგ რა გააკეთე;
- როგორ გააფორმე წიგნის გვერდი, როგორ შექმენი ნახატები;
- როგორ შეიტანე წიგნში ტექსტი.

კითხვები:

- მოგწონს თუ არა შენი წიგნის ახალი გვერდი?
- შენი ნამუშევრიდან რა მოგწონს ყველაზე მეტად?
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

რესურსები: სახელმძღვანელოს საკითხავი პატარა მოთხრობები, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, გამოსაჭრელი ან გასაფერადებელი ნახატები. წინადადებების კალათი. ელექტრორესურსები, თუკი ბუკში ეწყობა წიგნი.

თემა: ახალი წელი **საათების სავარაუდო რაოდენობა:**	
თემაში გამოყენებული ტექსტები: **მოთხრობა „ახალი წელი“** **დაჩი სკოლაში მიდის - სახელმძღვანელოდან**	
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები**: მოთხრობა თემა,დედააზრი, მოქმედების დრო და ადგილი.	**საკითხი**: მოთხრობაში „ახალი წელი“ გადმოცემული ამბის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება და მისი ზეპირად გადმოცემა. **ქვესაკითხი:** მოთხრობის „ახალი წელი“ თემა, დედააზრი, მოქმედების დრო და ადგილი. **საკვანძო შეკითხვა**: რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ დავუკავშირო ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მოთხრობას? **კომპლექსური დავალება:** **ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება** ➢ დააკვირდი ტექსტს და გადმოეცი ზეპირად, როგორ ემზადება ახალი წლისთვის შენი ოჯახი. თუ სურვილი გაქვს, შეგიძლია დახატო ან ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ შექმნა სურათი და ისე წარმოადგინო.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები **1.** ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>აღწერისას:</u>** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1); • რით უკავშირდება შენი ოჯახის საახალწლო სამზადისი ტექსტში მოსმენილს (ტ.1, 2, 3).

I ეტაპი - დავალების პირობის გაცნობა

რესურსი, აქტივობები

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- გახსოვთ, წელიწადის რომელ დროს ვზეიმობთ ახალ წელს?
- ახალი წლის ხსენებაზე თვალწინ რა წარმოგიდგებათ?
- როგორ ირთვება ქალაქის ქუჩები?
- რატომ უყვართ ბავშვებს ახალი წელი?
- ხალხი როგორ ეგებება მის მოსვლას? რა ისმის გარშემო?
- შეგიძლიათ თქვენი სიტყვებით ახსნათ, რა უნდა იცოდეთ, რომ ეს დავალება კარგად შეასრულოთ?
- გაიხსენეთ, მსგავსი დავალება თუ შეგისრულებიათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების /დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი1. ტექსტის გაგების სტრატეგიები. როგორ წაიკითხე ტექსტი/წინადადება? რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენე კითხვაში გასაწაფად (დეკ. 4);

რესურსი, აქტივობები

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

რესურსი 1. ასოციაციური რუკა

რა გახსენდებათ ზამთართან დაკავშირებით?



- რა ჰქვია ზამთრის თვეებს?
- როგორი ამინდებია ზამთარში?
- როგორ იცვამთ ზამთარში?
- რატომ თეთრდება ზამთარში არემარე?
- რას აკეთებთ, რით ერთობით თოვლიან ამინდში?
- რომელ დღესასწაულს აღვნიშნავთ ზამთარში?
- რით არის ის გამორჩეული და საყვარელი?

აქტივობა 2. მოთხრობის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა.

რესურსი 2. მოთხრობა „ზამთარი“ სახელმძღვანელოდან



ა) წაიკითხეთ მოთხრობის სათაური და დააკვირდით ილუსტრაციას.

- რაზე მიგვანიშნებს ტექსტის სათაური?
- რას ხედავთ სურათზე?
- თქვენი აზრით, რაზე იქნება მოთხრობა?

ბ) ტექსტის გასააზრებლად დასმული კითხვები:

- სად და როდის ხდება ტექსტში აღწერილი ამბავი?
- როგორ გამოიყურება გარემო?
- რატომ ჩავიდნენ ბავშვები ეზოში?
- რატომ მორბის რიჩი? რა უნდა მას?
- როგორ ერთობიან ბავშვები, ვინ რას აკეთებს?
  - ვისგან ელოდება საჩუქარს პატარა ია?

გ) ტექსტიდან მითითებული სიტყვების, წინადადებების ამოკითხვა.
აქტივობა 3. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა (მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს გამთლიანებულ ტექსტს)
აქტივობა 4. ექოდ კითხვა – მასწავლებელი ხმამაღლა, მიმდევრობით კითხულობს ტექსტის მონაკვეთებს (წინადადებას). მოსწავლეები ხმამაღლა ქოროში/გუნდად კითხულობენ ამავე მონაკვეთს.
აქტივობა 5. კითხვის მატარებელი
(მატარებლის ვაგონების მსგავსად ერთ მწკრივად მდგომი მოსწავლეები მიმდევრობით აგრძელებენ ერთი და იმავე ტექსტს)
ვნახოთ, კიდევ რით ერთობიან ბავშვები.
აქტივობა 6. ტექსტ „დაჩის სკოლის“ კითხვა. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და სვამს კითხვებს.

რესურსი 3. ტექსტი სახელმძღვანელოდან „დაჩის სკოლა“
სკოლის კედელთან საათია. ორი საათია. დაჩი და ლადო სკოლიდან მოდიან.

- სად მიდიან ბავშვები?
- რა ჰქვიათ მათ?
- როგორ ელიან ბავშვები კინოჩვენებას?
- რა უნდა ნახონ?
- რომელ საათზე დაირეკა სკოლის ზარი?
- მოეწონათ ბავშვებს ფილმი?
- ამოიკითხე, რომელი სიტყვებიდან ჩანს.
- ვინ ელოდება დაჩის?
- რაზე ესაუბრება დაჩი იას?
- რას ელოდება ია?
- თქვენ უყურებთ საახალწლო ფილმებსა და მულტფილმებს?
- რომელი ფილმი/მულტფილმი მოგწონთ?

მოდით, ჩვენც ვნახოთ მულტფილმი
აქტივობა 7. „ახალი წელი მოკოლენდში“ - მულტფილმის ნახვა
რესურსი 4. მულტფილმი
აქტივობა 8. მულტფილმის მიხედვით მსჯელობა

- ხომ არაფერი გაგახსენათ ნანახმა მულტფილმმა?
- რას ელოდნენ მოუთმენლად მულტფილმის გმირები?
- რომელი დღესასწაული უყვართ მათ ყველაზე მეტად? ყველას ერთნაირად უყვარს ახალი წელი?
- რატომ ჰგონია **ბაბის,** რომ თოვლის ბაბუ მას იმას მოუტანს, რაც ჩაიფიქრა?
- რა იკითხა ლოკო-მოკომ?
- რა მოიფიქრა ლოკო-მოკომ თოვლის ბაბუს გასახარებლად?
- როგორი უნდა იყოს საჩუქარი? რას ამბობს ლოკო-მოკო?
- როგორ შეარჩიეს მეგობრებმა თოვლის ბაბუსთვის საჩუქარი?
- სად წაიღეს მათ საჩუქრები?
- რას ამბობს ზღარბი, რა ყოფილა ფოსტა?
- რატომ ჩქარობენ ცხოველები ნაძვის ხესთან მისვლას?
- რომელ საათზე დადგა ახალი წელი?
- რა დაინახეს მეგობრებმა ნაძვის ხის ქვეშ? ცაში?
- როგორი ემოციები ჰქონდათ მოკოლენდელებს?
- რატომ გამოუგზავნა მათ თოვლის ბაბუმ წერილი? რას წერდა ის?
- როგორ დაარიგა ლოკო-მოკომ მეგობრები?
- რატომ მოუფიქრებია ლოკო-მოკოს თოვლის ბაბუსთვის საჩუქრის გაგზავნა, რას ამბობს ის მულტფილმის ბოლოს?
- ეთანხმები ლოკო-მოკოს? შენ თუ ზრუნავ მათზე, ვინც შენზე ზრუნავენ?

ნაბიჯი 2. რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1); რით უკავშირდება შენი ოჯახის საახალწლო სამზადისი ტექსტში მოსმენილს (ტ.1, 2, 3); რაში დაგეხმარა შენი გამოცდილებისა და მოთხრობის ერთმანეთთან შედარება (ტ.1, 2, 3).

ქვესაკითხი: თემა, დედააზრი, მოქმედების დრო და ადგილი

აქტივობა 1. დაეხმარე გოგონას ნაძვის ხის „მორთვაში". გააფერადე ნაძვის ხე, ზედ „დაკიდე სათამაშოები". მიუხატე ის საჩუქარი, რომელიც გსურს, რომ გაჩუქოს თოვლის ბაბუმ.

რესურსი 1. გასაფერადებელი ილუსტრაცია

რესურსი 2. მოთხრობა „ახალი წელი" დამატებით საკითხავი მასალა (იხ. დანართში)

აქტივობა 2. მოთხრობის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა

- როდის, რომელ საათზე მოდის ახალი წელი?
- წერია ეს ტექსტში? ვინ ამბობს?
- რატომ ელოდებიან ბავშვები ახალ წელს?
- სად დაუწყობს ბავშვებს თოვლის პაპა საჩუქრებს?
- როგორ გესმით ნათქვამი „„თოვლის პაპა სხვა ბავშვებისკენ გასწევს"?
- თქვენი აზრით, რას ნიშნავს საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს? რაზე მიგვანიშნებს საათის თორმეტჯერ დარეკვა?

აქტივობა 3. იდეების ორგანიზება

მოთხრობიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან (კომპლექსური დავალების შესასრულებლად მომზადება)

- თქვენი ოჯახი როგორ ემზადება ახალი წლისთვის?
- გოზინაყს ვინ აკეთებს?
- თქვენთან ვინ შლის სუფრას?
- თქვენ რითი ეხმარებით უფროსებს?
- როგორ რთავთ და ალამაზებთ ახალი წლის სუფრას?
- ნაძვის ხეს ვინ აწყობს თქვენს ოჯახში?
- შენც ელოდები ხოლმე თოვლის პაპას მოსვლას?
- რა საჩუქარი გინდა რომ მოგიტანოს თოვლის პაპამ?
- რა ხდება თქვენს ოჯახში ახალ წელს ისეთი, რაც მოთხრობაში არ ეწერა?
- თქვენც მსგავსად ხვდებით ახალ წელს თუ განსხვავებულად?
- თუ იცი, რას ეძახიან თორმეტი საათის შემდეგ სახლში შემოსულ სტუმარს?
- რას ნიშნავს ოჯახში მეკვლეს შემოსვლა?

აქტივობა 4. პრეზენტაცია. მოსწავლეები ჰყვებიან საკუთარი ოჯახის საახალწლო სამზადისის შესახებ, უკავშირებენ ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას.

- რა დეტალს მიაქციე ტექსტში განსაკუთრებული ყურადღება?
- რა გაიგე ტექსტიდან ისეთი, რაც მანამდე არ იცოდი?
- რა მოისმინე ისეთი, რამაც შენი ოჯახის საახალწლო საღამო გაგახსენა?
- შენი მეგობრების მოყოლილიდან განსაკუთრებით რა მოგეწონა?
- რას აკეთებენ საახალწლოდ მათ ოჯახებში ისეთს, რასაც მოუთხრობ შენი ოჯახის წევრებს და თქვენც გააკეთებთ მომავალ წელს?
- საინტერესო იყო შენთვის ამ დავალებაზე მუშაობა?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ტექსტთან პირადი გამოცდილების დაკავშირებაა?
- რა დაგეხმარა მოთხრობისა და შენი გამოცდილების შედარებაში?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?

- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს წერილს, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
-

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **აღწერა**	**საკითხი:** საჩუქრის ზეპირად აღწერა. **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები,ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები **საკვანძო შეკითხვები:** როგორ აღვწერო საჩუქარი ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს ეს საგანი? როგორ გამოვკვეთო საჩუქრის ნიშან-თვისებები? **კომპლექსური დავალება** ➢ ახალ წელს, როგორც ყველა ბავშვს, ალბათ, შენც გინდა, რომ საჩუქარი მოგიტანოს თოვლის ბაბუამ. ➢ უამბე შენს მეგობრებს, როგორ აღუწერდი თოვლის ბაბუას წერილში შენს სანატრელ საჩუქარს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები <u>აღწერისას:</u>** წარმოაჩინე, საჩუქრის ნიშან-თვისებები, მაგ.: რისგანაა დამზადებული; რა ფორმის, რა ფერისაა ის, რა ნაწილებისგან შედგება, რისთვისაა ის საჭირო (ს. 1, 2, 3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება წინარე ცოდნის გააქტიურების გზით.

- გაიხსენეთ, როგორ ვიქცევით, როცა რამეს აღვწერთ, რას ვაქცევთ ყურადღებას?
- აღწერისას, რომელ სიტყვებს ვიყენებთ?
- ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. წარმოაჩინე, საჩუქრის ნიშან-თვისებები. მაგ.: რა მასალის, რა ფორმის, რა ფერისაა ის, რა ნაწილებისგან შედგება, რა დანიშნულება აქვს, რისთვისაა ის საჭირო (ს. 1, 2, 3); გამოიყენე ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი სიტყვები (ს. 2).

ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები)

რესურსები/აქტივობები

აქტივობა 1. სათამაშო დათვის აღწერა. აღწერაზე დაკვირვება

სათამაშო დათუნია არის პატარა და ლამაზი. ის ღია კრემისფერი ბეწვისგან არის შეკერილი. დათუნიას აქვს შავი პლასტმასის თვალები და ცხვირი. მას აქვს ბეწვისგან შეკერილი პატარა ყურები. თავზე, მარჯვენა ყურთან უკეთია ცისფერი ბაფთა. დათუნიას აცვია საზაფხულო, მოკლემკლავიანი ცისფერი, ლამაზი კაბა. კაბას მკერდზე აქვს დაკერებული თეთრი, დაქარგული ქსოვილი, გაფორმებულია მაქმანებით, ორი პატარა, კრემისფერი ყვავილით. დათუნია ზის და ელოდება პატრონს.

რესურსი 1. აღსაწერი ილუსტრაცია

გეზისმიმცემი კითხვები:

- დააკვირდი, როგორ არის აღწერილი სათამაშო დათუნია?
- რას დაამატებდი დათუნიას აღწერას?
- რომელი სიტყვები დაგვეხმარა დათუნიას აღსაწერად?
- ზოგი სიტყვის მოკლებით რა დაემართა დათუნიას აღწერას ?
- როგორია სათამაშო დათუნია ? გავიგებთ, თუ არ ვიტყვით, რომ ის არის პატარა და ლამაზი?
- რისგან არის დათუნია შეკერილი? რა ფერისაა ის? რისგან არის დამზადებული მისი თვალები და ცხვირი?
- რა ფერის არის მისი თვალები და ცხვირი?
- სად აქვს დამაგრებული დათუნიას ბაფთა? რა ფერისაა ბაფთა?
- რა აცვია დათუნიას? რა ფერის, როგორი ქსოვილია კაბის მკერდზე დაკერებული?
- სად, კაბის რომელ ადგილზე არის დამაგრებული ყვავილები? რა ფერისაა ეს ყვავილები?

აქტივობა 3. იდეების ორგანიზება

დაფიქრდი, რა საჩუქარი გინდა, რას აღწერს შენი ტექსტი?

რომელ ნიშან-თვისებებზე გაამახვილებ ყურადღებას?

რომელ საინტერესო სიტყვებს გამოიყენებ?

დაგჭირდება მდებარეობის გამომხატველი სიტყვები?
ნიშან-თვისებების გამომხატველი რომელი სიტყვებით აღწერ შენს საჩუქარს? (ზომის, ფორმის, ფერის,გემოს, სუნის, ტექსტურის, რაოდენობის, შედგენილობის)

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში
აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

- **ნამუშევრების წარდგენა**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.
ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერილი საჩუქარი მეგობრისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

დანართი N1
ახალი წელი
ოჯახი ახალი წლის შესახვედრად ემზადება.
დედა ხაჭაპურს აცხობს.
დიდედა გოზინაყს ჭრის.
მამა დოქში ღვინოს ასხამს.
ბაბუა ბუხარში ცეცხლს ანთებს.
ჰაერში გემრიელი საჭმლის სუნი ტრიალებს.
ია და დაჩი ნაძვის ხეს რთავენ.
- როდის მოვა ახალი წელი? - ეკითხება ია დაჩის.
- როცა საათი თორმეტს ჩამოჰკრავს.
ია და დაჩი თოვლის პაპას ელოდებიან. უკვე გვიანია. ბავშვებს ეძინებათ.
მალე თოვლის პაპაც მოვა. იგი იას და დაჩის საწოლთან საჩუქრებს დაუწყობს და სხვა ბავშვებთან გასწევს.

დანართი N 2
დამხმარე მასალა:
სიტყვათა ჩამონათვალი ლექსიკური სავარჯიშოსათვის:

თ - თაგვი, თავი, თავადი, თავლა, თათი, თათარა, თაიგული, თალგამი, თამაში, თანამგზავრი, თანატოლი, თარგი, თანხა, თარიღი, თასი, თაფლი, თარო, თაღი, თეატრი, თევზი, თელა, თეფში, თვალი, თვე, თივა, თითი, თიკანი, თიხა, თმა, თონე, თოლია, თოკი, თოვლი, თოჯინა, თუნგი, თხილი, თხუნელა.

შ - შადრევანი, შარი, შარჟი, შაქარი, შემოდგომა, შენობა, შესახვევი, შედეგი, შვილი, შინდი, შვრია, შიში, შლამი, შმაგი, შორტი, შოთი, შნო, შოშია, შრომა, შტო, შუბლი, შური, შუქი, შხეფი.

ბ - ბაგე, ბაგა, ბალთა, ბადე, ბაქანი, ბარათი, ბარაქა, ბარგი, ბატკანი, ბარტყი, ბაფთა, ბატონი, ბაღნარი, ბაჭია, ბექობი, ბელი, ბელტი, ბეღელი, ბეღურა, ბეჭი, ბეჯითი, ბეჰემოთი, ბიბილო, ბინდი, ბორცვი, ბოხოხი, ბოხჩა, ბრძენი, ბუნაგი, ბუხარი, ბჭე, ბუნება.

უ - უბე, უბანი, უთო, უკმეხი, უზნეო, ულაყი, ულვაში, უნაგირი, უნაბი, უნარი, ურდული, ურემი, ურიკა, ურო, ურჩი, უსუსური, უფსკრული, უქმე, უქნარა, უღელი, უღრანი, ურჩხული, უჩინარი, უცნობი, უცხო, უხეში, უხვი, უჯრა.

კ - კაბა, კაბადონი, კავი, კათხა, კაკაბი, კალამი, კალათი, კალენდარი, კალთა, კალია, კალმახი, კამათი, კამარა, კამეჩი, კანჭი, კაპიკი, კარადა, კარტოფილი, კასრი, კაუჭი, კერა, კეცი, კეფა, კვერცხი, კვირტი, კლანჭი, კლდე, კნუტი, კოპი, კოცონი, კრაზანა, კრივი, კურდღელი.

ლ - ლაგამი, ლავა, ლავაში, ლანდი, ლარი, ლაფი, ლაქა, ლახტი, ლაშქარი, ლეკვი, ლეიბი, ლექსი, ლეღვი, ლიფტი, ლობიო, ლოგინი, ლოდი, ლოლუა, ლომი, ლოყა, ლოტო, ლულა, ლუკმა, ლუდი, ლხინი.

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის

მარანი - მარანი	საბანი - საბანი	კვალი - კვალი
მარანი - მარანი	საკანი - საკანი	კვალი - კვარი
მარანი - ფარანი	საბანი - საკანი	კვალი - კვარი
ფარანი - მარანი	საკანი - საკანი	კვალი - კვალი
ფარანი - ფარანი	საბანი - საბანი	კვარი - კვარი
ფარანი - მარანი	საბანი - საკანი	კვარი - კვალი

ვარდი - ვარდი	ნოტი - ნოტი	მანდილი - მანძილი
ვარდი - ვარდი	ნოტი - ბოტი	მანძილი - მანძილი
ბარდი - ბარდი	ბოტი - ბოტი	მანძილი - მანდილი
ვარდი - ბარდი	ბოტი - ბოტი	მანდილი - მანძილი
ბარდი - ვარდი	ბოტი - ნოტი	მანდილი - მანდილი
ბარდი - ბარდი	ნოტი - ნოტი	მანძილი - მანძილი

დანართი N 3 იხ. რვეულში, რვეულის არქონის შემთხვევაში მოცემული გვერდი გადააქსეროქსეთ, დაჭერით საჭირო რაოდენობით და დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნის პირველი გვერდის შესაქმნელად. წინადადებათაგან მოსწავლე თვითონ შეარჩევს მისთვის სასურველ ფრაზებს.

დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.	დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.
დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.	დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.
დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.	დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.
დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.	დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.
დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.	დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.
დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.	დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. სკოლაში კინოჩვენება იმართება. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს. თოვს. დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ.

კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო მასალა №3

1 მოძებნე დაკარგული მარცვალი, შეაერთე ხაზებით და შეადგინე სიტყვები;

კალა	ლი
კედე	მი
ზამთა	ნი
აივა	რი
ბურ	მო
მალა	თი

2 თითოეულ ნახატს მოუძებნე შესაბამისი ტექსტი

ლადო და დაჩი კინოში მიდიან. აი სალარო. სალაროსთან ქალია.

ეს იას სათამაშო ურიკაა.
იამ ურიკაში ბუ და დათუნია ჩასვა.

დაჩიმ ითევზავა.
მან იას დიდი თევზი აჩვენა

თემა N4. ჩემი თავისუფალი დრო **საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 სთ**				
თემაში გამოყენებული ტექსტი: „ზოოპარკი“ „დაჩის ნაამბობი „ჩვენი ეზოს გუნდი/პირველი თამაში“ „პირველი წერილი“				
სხვა რესურსები: **სახელმძღვანელოს საანბანო მასალის (პ, გ, ც, წ, ხ, ფ) საკითხავი ტექსტები გვ. 42-50.** **კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო ტესტი N4 გვ. 40** **რესურსი კომპლექსური დავალებისათვის გვ. 41** **ფონეტიკური სავარჯიშოები;** იხილეთ დანართი N 2 **საკლასო სამუშაოების რვეული, გვ. 36-41.** მულტფილმის ნახვა **მასალა I საკითხის N 2 კომპლექსური დავალებისათვის** (დანართი N 3)				
	საკითხები			
სამიზნე ცნებები	**1. საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა ახლად შესწავლილ ასოთა წყვილების - **პ გ ც წ ხ ფ** - გამოყენებით.	**2 საკითხი:** მოთხრობების - „ზოოპარკის“ და „დაჩის ნაამბობის“ მიხედვით გამაფრთხილებელი აბრის დამზადება.	**3. საკითხი** მოთხრობის - „ჩვენი ეზოს გუნდი“ მთავარი იდეის გამომხატველი პოსტერის შექმნა.	**4.საკითხი:** ამბის შეთხზვა სურათებზე დაყრდნობით.
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: მხატვრული ჟანრი-მოთხრობა, თემა; იდეა, ძირითადი საკითხი ტექსტის გაგების სტრატეგია.		**ქვესაკითხები:** მოთხრობა „ზოოპარკის“, „,,დაჩის ნაამბობის“ თემა, პერსონაჟები; აბრა - მაორგანიზებელი ელემენტები: სათაური, წარწერა, ილუსტრაცია; კითხვის სტრატეგიები.		
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** არამხატვრული ჟანრი - გამაფრთხილებელი აბრა; აბრის მახასიათებლები.			**ქვესაკითხები:** მოთხრობის „ჩვენი ეზოს გუნდი“ თემა, დედააზრი, პერსონაჟი. პოსტერის მახასიათებლები. ტექსტის კითხვის, გაგების სტრატეგია.	

სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება:** თხრობა; თხრობის მახასიათებლები.				**ქვესაკითხები:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ვრცელი წინადადებები.
კოდირება - დეკოდირება (შედეგები (I) 2,4, 6) **ქვეცნება:** დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი) - წინადადება	**ქვესაკითხები:** ასოთა წყვილები: **პ გ ც წ ხ ფ**, შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები; წინადადებები.			
	კომპლექსური დავალება 1 საანბანო პერიოდის პროექტი - ჩემი ილუსტრირებული წიგნი.	**კომპლექსური დავალება** 2 გამაფრთხილებელი აბრის შექმნა.	**კომპლექსური დავალება** 3 პოსტერის შექმნა.	**კომპლექსური დავალება 4.** ამბის შეთხზვა სურათზე დაყრდნობით.

თემა 4	**პ გ ც წ ხ ფ**
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1.**
სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის); (შედეგები: (I). 2, 4, 6)	**1. საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა ახლად შესწავლილ ასოთა წყვილების - **პ გ ც წ ხ ფ** - გამოყენებით **ქვესაკითხი:** ასოთა წყვილები, **პ გ ც წ ხ ფ** შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები; წინადადებები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ილუსტრირებული წიგნის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოს ცოდნა? როგორ

	გავვარჯიშდე ასოების, მარცვლების, სიტყვების, წინადადებების წაკითხვაში? **კომპლექსური დავალება - საანბანო პერიოდის პროექტი. ჩემი ილუსტრირებული წიგნი** ➢ გადახედე გავლილ მასალას, სახატავ რვეულში შექმენი ნასწავლი ტექსტების შესაბამისი ილუსტრაციები. ➢ წაიკითხე დაჭრილ ფურცლებზე მოცემული წინადადებები; ➢ ამოარჩიე შენი ნახატის შესაბამისი წინადადებები და მიაწებე სასურველ ადგილას წიგნში.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის მანძილის დაცვა, წინადადების ბოლოს - წერტილის დასმა. 4. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რომელ ბგერას გამოხატავს ახლად ნასწავლი ასოები (დ.1); • წარმოაჩინე ნასწავლი ტექსტების შინაარსი შესაბამისი ილუსტრაციით (ტ. 1); • დაასახელე, რამდენი წინადადებაა შენ მიერ შედგენილ ტექსტში, რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში (დ. 3, 4); წაიკითხე წინადადებები ხმამაღლა (დ. 3,4).

მზადება კომპლექსური დავალებისათვის
ზეპირი საკლასო სამუშაოები ფონოლოგიური ცნობიერების გასავითარებლად;
თემაში შემავალი ასოების შესწავლა, კითხვის სტრატეგიები

აქტივობა 1. ფონეტიკური სავარჯიშოები: თავბგერის დასახელება, რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;

- **მოცემულ ბგერებზე** სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება;
- სიტყვების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივობა 1 წარმოთქმული და დაწერილი ასოების (**ჯერ პ-გ; შემდეგ ც-წ, ბოლის ხ-ფ),** სიტყვების, მოკლე წინადადებების დეკოდირება

ასოთა სამივე წყვილისათვის განკუთვნილი სამუშაოები

ა) <u>ანბანის ხმამაღლა, გუნდურად წაკითხვა</u> მასწავლებელთან ერთად.(მუშაობის მეთოდი - მასწავლებლის წიგნი გვ....

ბ)ახალი ასოების გაცნობა, მასწავლებელი წარმოთქვამს შესასწავლ ასოს და ასევე აჩვენებს ბავშვებს. რა ბგერა გაიგონეთ, რა ასოს ხედავთ?

გ) <u>ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა</u>

დ) <u>დაასახელეთ</u> **პ**-სა და **გ-** ზე (თემების შესაბამისად: **ც--სა** და **წ**-ზე; **ხ**-სა და **ფ**-ზე) დაწყებული სიტყვები;

ნაბიჯი 2. (დეკ.1, 4) წაიკითხე მითითებული სიტყვები და წინადადებები, დაადგინე მისი მნიშვნელობა და შინაარსი. (დეკ.4)
კითხვა-დეკოდირება
აქტივობა 2. წიგნში საკითხავ მასალაზე მუშაობა; სამივე საანბანო წყვილზე ცალ-ცალკე

- მოკლე წინადადებების წაკითხვა.
- ძირითადი ტექსტის წაკითხვა.

ტექსტის წაკითხვა - დეკოდირება - კრიტერიუმები

პ-გ

I. საკითხავი სავარჯიშოების მოკლე წინადადებების წაკითხვა მასწავლებელთან ერთად - ქორო; მერე - ექოთი. თითო-თითო წინადადებების წაკითხვა წყვილად, გაიმეორე, რა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;

II. ჯერ მასწავლებელი კითხულობს ძირითად ტექსტს, მერე წაკითხვა ექოთი, შემდეგ - თითო-თითო წინადადებებით დამოუკიდებლად;

III. ყოველი შიგნით შეწეული ტექსტით იწყება ახალი აბზაცი. ყოველ ახალ აბზაცში სათქმელია რაღაც ახალი. რომელი აბზაცი რას შესახებაა? მასწავლებელი აბზაც-აბზაც კითხულობს ტექსტს და მოსწავლეები პასუხობენ.

შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს - მოძებნე და წაიკითხე, რა წერია ლომზე, დათვზე და ლეოპარდზე; მოძებნე და წაიკითხე, რა წერია კენგურუზე; მოძებნე და წაიკითხე, რა წერია პონებსა და ზებრებზე; მოძებნე და წაიკითხე რა წერია სპილოზე; მოძებნე და წაიკითხე რა წერია მაიმუნზე;

ასევე დამუშავდება ტექსტის მეორე ნაწილი, რომელიც დასრულდება იმგვარივე ამოცანებით: მოძებნე და წაიკითხე, რა უამბო მამამ დაჩის თეთრ დათვზე; მოძებნე და წაიკითხე, რა უამბო მამამ დაჩის სპილოზე; რა უამბო მამამ დაჩის კენგურუზე.

ც-წ

I. საკითხავი სავარჯიშოების მოკლე წინადადებების წაკითხვა მასწავლებელთან ერთად - ქორო; მერე - ექოთი. თითო-თითო წინადადების წაკითხვა წყვილად, გაიმეორე, რა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;

II. ჯერ მასწავლებელი კითხულობს ძირითად ტექსტს, მერე წაკითხვა ექოთი, შემდეგ თითო-თითო წინადადებით დამოუკიდებლად;

III. ძირითადი ტექსტის წაკითხვა ჯერ ექოთი, შემდეგ თითო-თითო წინადადებებით, მატარებლის სისტემით; შემდეგ წყვილებად რიგრიგობით, ერთი კითხულობს, მეორე იმეორებს;

IV. მასწავლებელი დაფაზე აკრავს წინასწარ გამზადებულ ტექსტს, რომელზეც 4-5 წინადადებაა მოცემული, იგი ავალებს მოსწავლეებს წაიკითხონ ტექსტები და ამოიცნონ, რომელი წინადადებაა წერილიდან, - 1.დაჩიმ წერა ისწავლა.

V. 2.შორიდან გეალერსებით. 3. დაჩიმ პაპას წერილი მისწერა. 4. გპირდებით, არ გაგაბრაზებთ. 5. გკოცნით ბევრს.

ხ-ფ

I. საკითხავი სავარჯიშოების მოკლე წინადადებების წაკითხვა მასწავლებელთან ერთად- ქორო; მერე - ექოთი. თითო-თითო წინადადების წაკითხვა წყვილად, გაიმეორე, რა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;

II. ჯერ მასწავლებელი კითხულობს ძირითად ტექსტს, მერე ძირითადი ტექსტის წაკითხვა ჯერ ექოთი, შემდეგ დამოუკიდებლად თითო-თითო წინადადებებით, მატარებლის სისტემით; შემდეგ წყვილებად რიგრიგობით, ერთი კითხულობს, მეორე იმეორებს;

III. რომელი აბზაცი რას შესახებაა? მასწავლებელი კითხულობს პირველ სამ აბზაცს და მოსწავლეები პასუხობენ, რაზეა საუბარი პირველ აბზაცში? რაზეა საუბარი მეორე აბზაცში? რაზეა საუბარი მესამე აბზაცში. ტექსტის ასე დამუშავების შედეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეს, მოძებნე და წაიკითხე ის აბზაცი, რომელშიც

მოედნის მოწესრიგებაზეა საუბარი; მოძებნე და წაიკითხე ის აბზაცი, რომელშიც ფორმებზეა საუბარი; მოძებნე და წაიკითხე ის აბზაცი, რომელშიც თამაშზეა საუბარი;

აქტივობა 3. წერის იმიტირება მაგნიტური ანბანითა და ანბანსტიკერით ან ელექტრორესურსის გამოყენებით;
სიტყვების აწყობა მაგნიტური ანბანით ან ელექტრორესურსის გამოყენებით. ბუკში და კომპიუტერში შევუქმნათ მოსწავლებს ფაილი „ჩემი რვეული“ და კლავიატურაზე ავკრიფოთ სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მითითებულია სახელმძღვანელოში (ვასწავლოთ, ეს როგორ უნდა შეძლონ)
პირველ წყვილთან - **მაგიდაზე პეპელა ზის.**
მეორე წყვილთან - **გუშინ წიწილა გამოიჩეკა.**
მესამე წყვილთან- **ვახო ფეხბურთელია.**
აქტივობა 4. ასოთა სიმრავლეში ნასწავლი ასოები, მოძებნა და მონიშვნა; სიტყვათა სიმრავლეში საჭირო სიტყვის მოძებნა; ბოლო მარცვლის შერჩევა და სიტყვის შედგენა; კლასიფიკაციის ამოცნობა, ზედმეტი სიტყვის დადგენა.

<u>საკლასო სამუშაოების რვეულში</u> მოცემული დავალებების შესრულება
1. პირველ წყვილთან **პ გ**
- სიტყვათა სიმრავლეში სიტყვათა მოძებნა, რომლებშიც **ორი პ და გ არის**;
- შეაერთე სიტყვები ხაზებით და შეადგინე წინადადებები(რა როგორია?)

2.მეორე წყვილთან **ც წ**
- სიტყვათა სიმრავლეში სიტყვათა მოძებნე, რომლებშიც **ორი ც და ორი წ არის**;
- შეაერთე სიტყვები ხაზებით და შეადგინე წინადადებები (რა როგორია?)
- შეაერთე ხაზებით ის სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე ასოზე იწყება;

3.მესამე წყვილთან **ხ ფ**
- სიტყვათა სიმრავლეში მოძებნე ის სიტყვები, რომლებშიც არის ორივე ასო - **ხ** და **ფ**
- შეაერთე სიტყვები ხაზებით და შეადგინე წინადადებები (რას რითი აკეთებენ).

კომპლექსური დავალება. საანბანო პერიოდის პროექტი. ჩემი ილუსტრირებული წიგნი

ეტაპი I დავალების პირობის გაცნობა:

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება:
- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ დავალების შესრულებისას?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:

აქტივობები, რესურსები:
ნაბიჯი 1. ახალი ასოების ცოდნა (დ.1); ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4)
აქტივობა 1. წიგნის ერთი გვერდის შედგენა
პირველ 2-3 მასალას ამზადებენ მასწავლებლის დახმარებით. მოგვიანებით მოსწავლეები დამოუკიდებლად შეარჩევენ წიგნის მასალას.
1. გადაშალეთ სახატავი რვეულის შემდეგი ცარიელი ფურცელი. თქვენ მასში შექმნით თქვენი წიგნის მომდევნო გვერდს;.
2. შეუდექით მომდევნო გვერდის შექმნას გავლილი მასალის გამოყენებით;
3. გაიხსენეთ, რა წაიკითხეთ, რას გაეცანით, რა ნახეთ: თქვენ მოცემული გაქვთ წინადადებების კალათი (ყუთი);
4. წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ის, რასაც თქვენს წიგნში გამოიყენებთ;
5. შერჩეული წინადადებების მიხედვით დახატეთ ან გააფერადეთ და გამოჭერით ან აარჩიეთ ნახატი და გამოჭერით;
6. გადაანაწილეთ ისინი ფურცელზე;

7. თქვენ მიერ შერჩეული წინადადებები დააწებეთ შესაბამისი ნახატის ქვეშ;
8. რომელ წინადადებასაც არ გამოიყენებთ, დააბრუნეთ ყუთში;
9. არ დაგავიწყდეთ, რომ წინადადებებს შორის გამოტოვოთ მანძილი. წინადადებების ბოლოს დასვით წერტილი;

კალათში (ყუთში) არის შემდეგი წინადადებები:

10. **მამამ დაჩი და მისი მეგობრები ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა;**
11. **ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა;**
12. გაითვალისწინე, ერთ ნახატთან შეიძლება 2-3 წინადადებაც გამოიყენო;
13. წინადადებები დააწებეთ თავის ნახატთან ახლოს;
14. დაფიქრდი, რამეს ხომ არ შეცვლიდი.

აქტივობა 2. წარუდგინე შენი ნამუშევარი კლასს

ისაუბრე:

- რა დახატე, როგორ დახატე და რა დაწერე;
- რის შემდეგ რა გააკეთე;
- როგორ გააფორმე წიგნის გვერდი, როგორ შექმენი ნახატები;
- როგორ შეიტანე წიგნში ტექსტი.

კითხვები:

- მოგწონს თუ არა შენი წიგნის ახალი გვერდი?
- შენი ნამუშევრიდან რა მოგწონს ყველაზე მეტად?
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას.

რესურსები: სახელმძღვანელოს საკითხავი პატარა მოთხრობები, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, გამოსაჭრელი ან გასაფერადებელი ნახატები. წინადადებების კალათი. ელექტრორესურსები, თუკი ბუკში ეწყობა წიგნი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) **მკვიდრი წარმოდგენები** **ქვეცნება:** არამხატვრული ჟანრი - საინფორმაციო ყოფითი ტექსტი - აბრა. შინაარსი, აბრის მახასიათებლები.	**1.საკითხი:** მოთხრობა - „ზოოპარკის“ და „დაჩის ნაამბობის“ მიხედვით გამაფრთხილებელი აბრის დამზადება. **ქვესაკითხები:** მოთხრობების - „ზოოპარკის“, „დაჩის ნაამბობის“ - თემა, პერსონაჟები; აბრა - მაორგანიზებელი ელემენტები: სათაური, წარწერა, ილუსტრაცია; კითხვის სტრატეგიები; **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა გამაფრთხილებელი აბრა? როგორ დავუკავშირო ჩემ მიერ დამზადებული გამაფრთხილებელი აბრა ზოოპარკის პრობლემებს? **კომპლექსური დავალება** - გამაფრთხილებელი აბრის დამზადება ➢ წაიკითხე მოთხრობები „ზოოპარკი“ და „დაჩის ნაამბობი“, ციფრული რესურსით „ვსწავლობ თამაშით“ ან სახატავი საშუალებებით დაამზადე

	➢ გამაფრთხილებელი აბრა ზოოპარკის ბინადრებისა და დამთვალიერებლების უსაფრთხოებისათვის. ➢ წარმოიდგინე, რომ შენ მიერ დამზადებულ აბრას ზოოპარკის თანამშრომლები ცხოველების გალიებთან განათავსებენ.
1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები:** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი გამაფრთხილებელი აბრაა (ტ. 3); • როგორ/რით უკავშირდება აბრაზე ასახული ინფორმაცია შენს გამოცდილებას და შესწავლილ მოთხრობებს (ტ.1, 2); • რა გამოიყენე იმისათვის, რომ მნახველებმ ყურადღება მიაქციონ შენს აბრას (მაგ., სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათები ან ნახატები) (ტ. 3).

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- სადმე გინახავთ გამაფრთხილებელი აბრა?
- რა მიზანი აქვს გამაფრთხილებელ აბრას?
- თქვენი აზრით, რას მოითხოვს თქვენგან წაკითხული დავალების შესრულება?
- რა გამოცდილება გამოგადგებათ ტექსტების შედარებისთვის?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი გამაფრთხილებელი აბრაა? როგორ/რით უკავშირდება აბრაზე ასახული ინფორმაცია შენს გამოცდილებას და ტექსტებს? (ტ.1, 2, 3);

ქვესაკითხი: მოთხრობა „ზოოპარკის'' თემა, პერსონაჟები; აბრის მაორგანიზებელი ელემენტები.

აქტივობა1. გამაფრთხილებელი აბრების გაცნობა

რესურსი 1. გამაფრთხილებელი აბრები

- თუ იცი, რა არის აბრა?
- სად გინახავს აბრა? რისთვის არის ხოლმე გამოკრული?
- შეგიძლია აღწერო, როგორი აბრა გინახავს?
- დააკვირდი, რამდენ სურათს ხედავ?
- რომელია მათ შორის აბრა და რომელი - არა?
- რატომ ფიქრობ ასე, რა განსხვავებაა მათ შორის?

- შენი აზრით, მხოლოდ ნახატია საკმარისი იმის მისახვედრად, რომ აბრა გამაფრთხილებელია?
- ნახატთან ერთად რა შეიძლება შეგვხვდეს გამაფრთხილებელ აბრაზე?

აქტივობა 2. ზოოპარკის ვიდეოს ნახვა/ ნანახის გააზრება
- ნანახ ვიდეოში რომელი ცხოველი მოგეწონა განსაკუთრებით?
- კიდევ რომელი ცხოველის ნახვას ისურვებდი?...

რესურსი 3. მოთხრობა „ზოოპარკი“
აქტივობა 3. მოთხრობა „ზოოპარკის“ წაკითხვა, შინაარსის გაგებაზე მუშაობა
- ვინ გაისეირნა გუშინ ზოოპარკში?
- რომელი ცხოველები ნახეს ბავშვებმა დიდ გალიებში?
- მათგან მოშორებით რომელი ცხოველი ბინადრობს?
- სად დასეირნობენ პონები და ზებრები?
- ვის უყვარს სპილოსთან ყოფნა?
- რომელი ცხოველი მიირთმევს ბანანს?
- მოეწონათ ბავშვებს ზოოპარკში ყოფნა?
- როგორ არის დასათაურებული მოთხრობა?
- რისი საბინადრო ყოფილა ზოოპარკი?

აქტივობა 4. სამოდელო კითხვა
აქტივობა 5. ქოროში კითხვა
აქტივობა 6. ტექსტიდან მითითებული ადგილების ამოკითხვა
ა) ტექსტიდან ამოიკითხე ადგილი, სადაც წერია,სად და ვისთან ერთად ცხოვრობს ლომი.
ბ) ტექსტში მოძებნე და ამოიკითხე ადგილი, სადაც სპილოებზეა საუბარი.
აქტივობა 7. წინადადებაში მოცემული სიტყვებისთვის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების შერჩევა.
წინადადებაში: „მოშორებით კენგურუ ბინადრობს“ შეცვალე სიტყვა „ბინადრობს“ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვით.
წინადადებაში: „იგი ბანანს მიირთმევს“, სიტყვა „მიირთმევს“ შეცვალე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვით.
რას ფიქრობ, ამ სიტყვების შეცვლით, წინადადებების აზრი არ შეიცვლება?
რესურსი 4. სახელმძღვანელოს ტექსტი „დაჩის ნაამბობი“
აქტივობა 8. ტექსტის წაკითხვა და კითხვების დახმარებით გაგება-გააზრებაზე მუშაობა
- ვინ წაიყვანა დაჩი და მისი მეგობრები ზოოპარკში?
- რა უამბო მამამ ბიჭებს?
- რა გაიგეს დაჩიმ და მისმა მეგობრებმა თეთრი დათვის შესახებ?
- საიდან ჩამოსულა სპილო? როგორ ზრდის კენგურუ თავის შვილს?
- რას ზეიმობდა კვირას მთელი ზოოპარკი?
- ვინ ჰყვება ზოოპარკში გასეირნების ამბავს ამ ტექსტში ?
- ზოოპარკში გასეირნების შესახებ ეწერა ტექსტ „ზოოპარკშიც“. იმასაც დაჩი გვიამბობდა?

რესურსი 5. ტექსტში ჩამოთვლილი ცხოველების ილუსტრაციები (სპილო, მაიმუნი, ლომი, დათვი, ლეოპარდი, კენგურუ,პონი, ზებრა)
აქტივობა 9. ცხოველების ამოცნობა/ამოკითხვა, დასახელება
- მოძებნე ტექსტში, ამოიკითხე და შემოხაზე ილუსტრაციაზე წითელი ფანქრით ის ცხოველები, რომლებიც დიდ გალიაში იყვნენ და დაასახელე სათითაოდ.
- მოძებნე ტექსტში, ამოიკითხე და შემოხაზე ლურჯი ფანქრით ის ცხოველები, რომლებიც კენგურუს გვერდით ბინადრობენ და დაასახელე;
- ამოიკითხე, რომელი ცხოველი ჭამდა ბანანს?
- რომელი ცხოველია ლეოპარდსა და მაიმუნს შორის?
- რა ჰქვია ცხოველს, რომელიც მაიმუნის ზემოთაა?
- კენგურუს მარჯვნივ რომელი ცხოველია?



რესურსი 6. მოთხრობა „პირველი წერილი“
აქტივობა 10. ტექსტის „პირველი წერილის“ წაკითხვა/ შინაარსის გაგებაზე მუშაობა

1) ტექსტის სათაურისა და ილუსტრაციის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა
2) ტექსტის შინაარსის გაგებაზე ორიენტირებული კითხვების დასმა
3) მსგავსი და განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების დადგენა

- რაზე მიგანიშნებთ ტექსტის სათაური? (აქტ. 9. 1)
- რას გვეუბნება ილუსტრაცია ტექსტის შესახებ?
- თქვენი აზრით, რაზე იქნება ეს ტექსტი?
- რას ფიქრობთ, ვინ წერს წერილს?
- შეძლებს დაჩი წერილის დაწერას?
- თქვენი ვარაუდით, ვის მისწერს დაჩი წერილს?
- რას დაწერს დაჩი წერილში?
- გამართლდა თქვენი ვარაუდები?
- საიდან გაიგეთ, რომ დაჩიმ წერა იცის? ამოიკითხეთ ეს ადგილი (აქტ. 9.2)
- ვისთვის მიუწერია დაჩის წერილი?
- რით დაიწყო დაჩიმ წერილი?
- რა დაწერა შემდეგ, როგორ გააგრძელა დაჩიმ წერილი?
- ვისი ამბავი აინტერესებდა ბიჭს?
- რას ატყობინებს დაჩი ბებიას და ბაბუას?
- სად წაიყვანა მამამ დაჩი და მისი მეგობრები?
- რას ზეიმობდა მთელი ზოოპარკი?
- როგორ სრულდება წერილი?

დაჩი ბებიას და პაპას წერს: „შორიდან გეალერსებითო“ (აქტ. 9.3).

- რას ნიშნავს გეალერსებით? რომელი სიტყვით შეცვლით ამ სიტყვას?

„შორიდან გეფერებით“ - სიტყვის შეცვლით შეიცვალა წინადადებამ აზრი? არა. ე.ი. გეალერსებით - გეფერებით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია.

- რომელი სიტყვით შეცვლით წინადადებაში სიტყვას „გვიამბო“, რომ აზრი იგივე დარჩეს, რომელია ამ სიტყვის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა? „მამამ ბევრი რამ **მოგვიყვა**“. მოგვიყვა და გვიამბო მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია. (მოიფიქრეთ თითო წინადადება სიტყვების: გვიამბო, გეალერსებით,მოგვიყვა, გეფერებით - გამოყენებით.)

აქტივობა 1. საჩვენებელი კითხვა
აქტივობა 2. განგრძობით კითხვა
აქტივობა 3. ტექსტის მინიშნებებზე დაკვირვება

რესურსი 7. მაორგანიზებელი ცხრილი

კითხვები	წავიკითხე ტექსტში	ამოიცანი მინიშნებებით
ვინ მისწერა ბებიას და პაპას წერილი?	+ (დაჩიმ და იამ)	
როგორი ბიჭია დაჩი?		+ 1. მოსიყვარულე, 2. ჭკვიანი, 3. ცნობისმოყვარე, 4. მზრუნველი 1.შორიდან გეალერსებით, გკოცნით ბევრს. 2.ბევრი რამ იცის, 3. წიწილები თუ გამოიჩეკა, ცუგა და კვიცი როგორ არიან, 4. გპირდებით, არ გაგაბრაზებთ
რამდენი ხანი დარჩებიან ია და დაჩი სოფელში?	+ ორი თვე	
სად ზრდის კენგურუ თავის შვილს?	+ ჩანთაში	
რას ზეიმობდნენ ზოოპარკში?	+ ბოკვერის გაჩენას	

აქტივობა 4. პრობლემაზე დაფიქრება, იდეების ორგანიზება

- ხშირად სტუმრობ ზოოპარკს? ვისთან ერთად დადიხარ?
- რომელი ცხოველი გიყვარს?
- იცი ზოოპარკში მოქცევის წესები? იცავ ამ წესებს?
- თუ დაკვირვებიხარ, იცავენ ადამიანები/ ბავშვები ცხოველებთან მოქცევის წესებს?
- შენი აზრით, რას აკეთებენ ზოოპარკის სტუმრები ისეთს, რაც სახიფათოა მათთვისაც და ცხოველებისთვისაც?
- ალბათ, ყველას სათითაოდ ვერ გააფრთხილებ. რას გააკეთებდი ისეთს, რითიც დაიცავდი ცხოველებსაც და ადამიანებსაც?
- როგორ გააფრთხილებდი მათ?
- როგორ დაამზადებ გამაფრთხილებელ აბრას? რა უნდა გაითვალისწინო დამზადებისას: ჯერ წარწერა უნდა მოიფიქრო და მერე ნახატი უნდა შეარჩიო, თუ პირიქით? რატომ?

რა წარწერას გაუკეთებ აბრას? რა გინდა, რომ მნახველებს უთხრა გამაფრთხილებელი აბრით?

- რას უნდა მიაქციო ყურადღება აბრაზე მუშაობისას,
  როგორ ასოებს დააწებებ აბრაზე? რას დახატავ ზედ?
- სად დაამაგრებ მომზადებულ აბრას?

დავალებაზე მუშაობა და პრეზენტაცია

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განსავითარებლად და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რა არის შენს აბრაზე წარმოდგენილი?
- ✓ რით უკავშირდება შენი გამაფრთხილებელი აბრა ზოოპარკების პრობლემას?
- ✓ გასაგები იქნება თუ არა შენი აბრა მნახველისთვის?
- ✓ რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება: მხატვრული ჟანრი -** მოთხრობა, დედააზრი, პერსონაჟი არამხატვრული ჟანრი - პოსტერი ტექსტის კითხვის, გაგების სტრატეგია	**საკითხი:** მოთხრობის „პირველი თამაში“ მთავარი იდეის გამომხატველი პოსტერის შექმნა. **ქვესაკითხები:** მოთხრობის „პირველი თამაში“ დედააზრი, პერსონაჟი; პოსტერის მახასიათებლები; ტექსტის კითხვის, გაგების სტრატეგიები. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით შევქმნა მკითხველის პოსტერი მოთხრობის „პირველი თამაში“ დედააზრის გამოსახატავად? რამდენად შეესაბამება ჩემ პოსტერზე წარმოდგენილი მაგალითები მოთხრობის დედააზრს? **კომპლექსური დავალება** - პოსტერის შექმნა შექმენი პოსტერი ციფრული რესურსის ან სახატავი საშუალებების გამოყენებით. ერთი ან ორი წინადადებით გადმოეცი სათქმელი (ჩააწებე წებოვანი ან ამობეჭდილი ასოები). პოსტერზე ასახე მოთხრობა „პირველი თამაშის“ ავტორის მთავარი სათქმელი: ➢ შეარჩიე და წარმოადგინე მაგალითები სხვა ტექსტებიდან, ფილმებიდან, რომლებიც შესაბამება შესწავლილი ნაწარმოების დედააზრს; ➢ სათაური, წარწერები და ილუსტრაციები აზრობრივად დააკავშირე ერთმანეთთან; ➢ გამოიყენე სხვადასხვა ზომის ასო, ილუსტრაცია.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები <u>აღწერისას: ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>** • რა ნამუშევარი შექმენი, რატომ ფიქრობ, რომ ის პოსტერია (ტ. 3);

2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	• რით უკავშირდება შენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების მთავარ აზრს (ტ. 1,2); • რა გამოიყენე სათქმელის გამოსაკვეთად (სხვადასხვა ზომის, ფერის წებოვანი, ან ამობეჭდილი ასოები, ილუსტრაციები) (ტ.3).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა.
დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ?
- რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

I I ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. როგორ, რა მინიშნებით გამოხატავს შენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების მთავარ აზრს (ტ. 1,2).

ქვესაკითხი: მოთხრობის დედააზრი, პერსონაჟის ქცევა; ტექსტის კითხვის, გაგების სტრატეგია.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- ხშირად თამაშობ თანატოლებთან ერთად ეზოში?
- განსაკუთრებით რომელი თამაში გიყვარს?
- როგორი წესები აქვს შენს საყვარელ თამაშს?
- შეგიძლია აღწერო ეს თამაში?
- სპორტის რომელ სახეობებს იცნობ?
- სპორტზე ხომ არ დადიხარ?
- რას თამაშობენ ბურთით, რომელ სპორტს არ სჭირდება ბურთი?
- რომელ სპორტს თამაშობს ერთი ადამიანი, რომელს - გუნდი ანუ ბევრი ადამიანი?
- რატომ არის საჭირო, რომ დავკავდეთ სპორტით, ან უბრალოდ, ხშირად ვივარჯიშოთ ეზოში?

აქტივობა 2. მულტფილმის ნახვა
რესურსი 1._ მულტფილმი

- რატომ მიდიან სავარჯიშოდ ჟოზე და მისი მეგობრები?
- ეთანხმები ჟოზეს, რომ სპორტი სასარგებლოა ჩვენი ჯანმრთელობისა და სიძლიერისთვის?
- სპორტის რომელ სახეობებზეა საუბარი მულტფილმში „ჟოზე“ (სპორტი)?
- შენ რომელი სპორტი მოგეწონა?
- დაასახელე, სპორტის რომელი სახეობებია მულტფილმში.

რესურსი 2. მოთხრობა „პირველი თამაში“
აქტივობა 3. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით
აქტივობა 4. კითხვა პაუზებით
გეზისმიმცემი კითხვები:

- რას გეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) შინაარსის შესახებ? რით უკავშირდება ისინი შენს ცოდნას? (**აქტივობა 1**)
- რას გახსენებს მოთხრობის სათაური „ჩიტი“?
- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ------ (**აქტივობა 2**)

- რატომ ფიქრობ ასე?
- რას დააკვირდი, როგორ გამოიცანი? მინიშნებებს ეყრდნობი?---------
- გამართლდა თუ არა შენი მოლოდინი? ყველა მინიშნებას მიაქციე ყურადღება?

აქტივობა 5. მთლიანი ტექსტის წაკითხვა (საჩვენებელი კითხვა).
აქტივობა 6. ერთობლივი კითხვა.
აქტივობა 7. ტექსტის შინაარსის გაგებაზე მუშაობა.

- რას ვიგებთ მოთხრობის დასაწყისში, მის პირველ აბზაცში? რა გააკეთეს ერთ დღეს ბავშვებმა?
- ვინ ეხმარებოდა ბავშვებს?
- როგორ მოემზადა ეზოს გუნდი პირველი თამაშისთვის?
- სპორტის რომელ სახეობაში ტარდებოდა თამაში?
- რა მოხდა, მოიგო დაჩის გუნდმა თამაში?
- როგორ იმოქმედა დაჩიზე წაგებამ? როგორ მოიქცა ის?
- როგორ აფასებ მის საქციელს?
- როგორ მოიქცნენ სხვები?
- რა უთხრა მამამ დაჩის?
- რომელი სიტყვიდან ვიგებთ, რომ მამა გაბრაზებული იყო?
- რით დასრულდა მოთხრობა? იგრძნო დაჩიმ დანაშაული?

აქტივობა 8. დედააზრის გამოკვეთა

- თამაშის დასრულების შემდეგ, წესის მიხედვით, როგორ იქცევიან მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეები?
- ალბათ შენც წაგიგია თამაში. როგორ გამოხატე შენი ემოცია?
- რისი თქმა სურს ავტორს? რა უნდა გვახსოვდეს?
- რომელი საქციელია სწორი და რომელი - არასწორი?

უნდა გვიყვარდეს სპორტი და დავიცვათ წესები. მიუხედავად გულის დაწყვეტისა, მოწინააღმდეგეს ყოველთვის უნდა მივულოცოთ გამარჯვება.

ნაბიჯი 2. რა ნამუშევარი შექმენით, რატომ ფიქრობ, რომ ის პოსტერია? (ტ. 3); რა გამოიყენე სათქმელის გამოსაკვეთად (სხვადასხვა ზომის, ფერის ასოები, ილუსტრაციები) (3).

ქვესაკითხი: პოსტერის მახასიათებლები

რესურსი 1. პოსტერის ნიმუშები

აქტივობა 1. პოსტერის მახასიათებლებზე დაკვირვება

- დააკვირდით ამ „სურათებს“. იცით, რას ეძახიან მათ? მათ პოსტერებს ეძახიან.
- რას ხედავთ პოსტერებზე? (ნახატებს, წარწერებს)
- როგორ ფერებშია ნაწერები? (სხვადასხვა ფერში)
- ასოების ზომები ერთნაირია თითოეულ პოსტერზე? (არა. ზოგი სიტყვა დიდი და განსხვავებული ფერის ასოებით წერია)
- სურათს, სათაურსა და დაწერილ წინადადებებს შორის რა არის საერთო? (ერთი აზრია გადმოცემული)
- რით განსხვავდება ის მოთხრობისგან? მოთხრობასაც ხომ აქვს შინაარსის შესაბამისი სათაური და ილუსტრაცია?(პოსტერზე მოთხრობისგან განსხვავებით ავტორი ძალიან მოკლედ წერს სათქმელს.



აქტივობა 2. პრობლემაზე დაფიქრება, იდეების ორგანიზება
გაიხსენე დავალების პირობა. რა უნდა შექმნა ?
პოსტერზე რა უნდა ასახო?
რა იყო შენ მიერ წაკითხული ნაწარმოების დედააზრი? შინაარსი?
იგივე დედააზრის რომელი მულტფილმი, მოთხრობა გახსენდება?
პირადი გამოცდილებიდან, შენი ცხოვრებიდან რა გახსენდება იგივე თემაზე?
ყველაფრის გათვალისწინებით, რას ასახავ შენს პოსტერზე?
როგორ ნახატებს დახატავ ან როგორი სურათებით გააფორმებ?
როგორ ასოებს ჩააწებებ შენს პოსტერში? როგორ ფერებს შეურჩევ ასოებს?
რას დააკვირდები ნახატების დახატვისას, წინადადების და სათაურის მოფიქრებისას?
აქტივობა 3. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
აქტივობა 4. პრეზენტაცია

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განსავითარებლად და წინსვლის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რა არის შენს პოსტერზე წარმოდგენილი?
- ✓ რით უკავშირდება შენი პოსტერის დედააზრი მოთხრობის ავტორის სათქმელს?
- ✓ გასაგები იქნება თუ არა შენი პოსტერი მნახველისთვის?
- ✓ რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 4.**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) ქვეცნება: **თხრობა** **თხრობის მახასიათებლები**	**საკითხი:** ამბის შეთხზვა სურათებზე დაყრდნობით. **ქვესაკითხები:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ვრცელი წინადადებები.

	საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოვიყენო სურათები ამბის მოსაფიქრებლად? რა ხერხები გამოვიყენო, როგორ გადმოვცე ამბავი? **კომპლექსური დავალება.** ამბის შეთხზვა სურათზე დაყრდნობით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	➢ მოცემულ სურათებზე დაყრდნობით მოიფიქრე და გადმოეცი პატარა ამბავი. **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** <u>თხრობისას წარმოაჩინე:</u> • რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); • ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ.: რა მოხდა ერთხელ, როგორი ამინდია, ვინ არის პერსონაჟი, სად არის ის, რას აკეთებს გოგონა თავიდან, რას აკეთებს შემდეგ, რა დაემართა გოგონას, რას ხედავ ბოლო სურათზე?) (ს.2)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

- როგორ ახსნით, რა არის ამბავი?
- როგორ მოვყვეთ ამბავი?
- რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარებათ ამბის შეთხზვაში?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); გამოიყენე ვრცელი წინადადებები და მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2); ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ., რა მოხდა ერთხელ, როგორი ამინდია, ვინ არის პერსონაჟი, სად არის ის, რას აკეთებს გოგონა, შემდეგ რას აკეთებს ის, რა დაემართა გოგონას, რას ხედავ ბოლო სურათზე?) (ს.2).

ქვესაკითხები: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);

რესურსები, აქტივობები

რესურსი 1. თხრობის ჩარჩო



აქტივობა 1. იდეების გენერირება
აქტივობა 2. თხრობის ჩარჩოს შევსება მოსწავლეთა კარნახით
აქტივობა 3. დაფაზე დაწერილი წინადადებების გავრცობა
მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს მათ მიერ გავრცობილ წინადადებს (სასურველია, ბავშვებმაც ამოიკითხონ ცალკეული სიტყვები შესწავლილი ასოების ფარგლებში)
მაგალითად, **ამოსავალი წინადადება:** ერთ დილას პატარა გოგონა მინდორში სათამაშოდ გავიდა.

გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი:
ერთ **მზიან** დილას **მხიარული,** პატარა გოგონა მინდორში სათამაშოდ გავიდა.
აქტივობა 4. მოსწავლეები ინდივიდუალურად თხზავენ ამბავს

გეზისმიმცემი კითხვები:

- რა ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს ჩვენი ამბავი?
- რით უნდა იწყებოდეს ამბავი?
- რა უყვარდა პატარა, მხიარულ კატოს?
- სად წავიდა გოგონა?
- როგორი იყო ბუნება? როგორი ამინდი იყო ?
- რით გაერთო გოგონა?
- რა დაემართა კატოს დიდი ხნის თამაშის შემდეგ?
- რა ქნა გაოფლიანებულმა და დაღლილმა კატომ?
- როგორ შეიცვალა კატოს მდგომარეობა და ხასიათი? რა მოუვიდა გოგონას?
- რით დასრულდა ამბავი?
- როგორ დაასათაურებთ ამბავს?
- როგორ განვავრცოთ ეს წინადადება? ხომ არ დავამატოთ აქ რამე დეტალი? რა სიტყვებით შეიძლება გავამდიდროთ?
- როგორ გავაუმჯობესოთ თხრობა?
- როგორ დილას გავიდა გოგონა სათამაშოდ? (მზიან)
- როგორი იყო გოგონა, რომელიც მინდორში თამაშობდა? (პატარა, მხიარული)
- ასე დამუშავდება სხვა წინადადებებიც.

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში
აღწერაზე დამოუკიდებლად მუშაობა

- **ნამუშევრების წარდგენა**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად
ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა შენი შეთხზული ამბავი მკითხველისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

დანართი N1

დამხმარე მასალა:

სიტყვათა ჩამონათვალი ლექსიკური სავარჯიშოსათვის:

პ - პალმა, პალტო, პანტა, პაპა, პარაშუტი, პარკი, პასტა, პასუხი, პატარძალი, პატრონი, პეიზაჟი, პეპელა, პერანგი, პეშვი, პინგვინი, პირი, პიტნა, პლანეტა, პოეტი, პორტი, პორტრეტი, პრიზი, პროფესია.

გ - გადია, გაზეთი, გაზონი, გამოცანა, განგაში, განთიადი, განძი, გარაჟი, გარმონი, გენერალი, გვარი, გვირაბი, გზა, გლეხი, გიშერი, გირჩა, გმირი, გოდორი, გოლიათი, გონება, გორა, გუბე, გუდა, გუნდა, გუშაგი, გუმბათი.

ც - ცელი, ცერი, ცეცხლი, ცვარი, ცერცვი, ციგა, ცინდალი, ცირკი, ცისკარი, ციფრი, ციყვი, ციცარი, ციცხვი, ცომი, ცოლი, ცოცხი, ცხენი, ცხვარი, ცხრილი, ცილინდრი, ცაცხვი, ცა.

წ - წამი, წამალი, წამწამი, წარბი, წარწერა, წელი, წებო, წერო, წერილი, წესი, წვეთი, წვეტი, წვიმა, წინდა, წიწვი, წკეპლა, წრე, წრუწუნა, წყალი, წყარო, წუთი, წიხლი, წინსაფარი, წვერი, წვეულება.

ხ - ხაბაზი, ხავსი, ხავერდი, ხაზი, ხათრი, ხალათი, ხალასი, ხალხი, ხალიჩა, ხანჯალი, ხარჯი, ხაფანგი, ხახვი, ხევი, ხედი, ხურდა, ხე, ხუნდი.

ფ - ფალავანი, ფანდი, ფანარი, ფანტელი, ფარდა, ფარდული, ფარჩა, ფასი, ფერფლი, ფაფა, ფაჩუჩი, ფეიქარი, ფელამუში, ფერდობი, ფერია, ფესვი, ფეტვი, ფიალა, ფიგურა, ფილაქანი, ფილმი, ფირფიტა, ფიტული, ფიფქი, ფიქრი, ფიჩხი, ფიჭვი, ფოთოლი, ფოსტა, ფოცხვერი, ფარანი, ფუნთუშა.

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის

ლოდი - ლოდი	ლომი - ლომი	მანძილი - მანდილი
ლოდი - ლოდი	ლომი - ლომი	მანდილი - მანდილი
ლუდი - ლოდი	ომი - ომი	მანძილი - მანძილი
ლუდი - ლუდი	ლომი - ომი	მანძილი - მანდილი
ლოდი - ლოდი	ლომი - ლომი	მანდილი - მანძილი
ლოდი - ლუდი	ომი - ლომი	მანდილი - მანდილი
ცხვარი - ცხვარი	ლოდინი - ლოდინი	ზავი - ზვავი
ცხვარი - ცხვირი	ლოდინი - ლოდინი	ზავი - ზავი
ცხვირი - ცხვარი	ლოდინი - ლოდინი	ზვავი - ზვავი
ცხვირი - ცხვირი	ლოდინი - როდინი	ზვავი - ზავი
ცხვირი - ცხვარი	როდინი - როდინი	ზავი -ზვავი
ცხვარი - ცხვარი	როდინი - ლოდინი	ზავი - ზავი

დანართი N 3 იხ. მოსწავლის რვეულში, რვეულის არქონის შემთხვევაში მოცემული გვერდი გადააქსეროქსეთ, დაჭერით საჭირო რაოდენობით და დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნის პირველი გვერდის შესაქმნელად. წინადადებათაგან მოსწავლე თვითონ შეარჩევს მისთვის სასურველ ფრაზებს.

მამამ დაჩი ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.	მამამ დაჩი ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.
მამამ დაჩი და ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.	მამამ დაჩი და ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.
მამამ დაჩი ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.	მამამ დაჩი ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.
მამამ დაჩი და ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.	მამამ დაჩი და ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.
მამამ დაჩი ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.	მამამ დაჩი ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.
მამამ დაჩი და ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.	მამამ დაჩი და ზოოპარკში გაასეირნა. მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. ლომს ბოკვერი გაუჩნდა. ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ. მალე პირველი თამაში გაიმართა.

მოსწავლის რვეული გვერდი 40

კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო მასალა №4

1 მოძებნე დაკარგული მარცვალი, შეაერთე ხაზებით და შეადგინე სიტყვები:

ხაფანგ	ლი
ცეცხ	გი
ფიგუ	ბი
ბუხა	რა
ფერდო	რი

2 რა რისია? შეაერთე ხაზებით.

ჩოგბურთი

ფეხბურთი

რაგბი

კალათბურთი

მოსწავლის რვეული გვერდი 41

ნახატების მიხედვით ამბის შედგენა

რესურსი კომპლექსური დავალებისთვის

პატარა კატო სკოლაში ვერ წავიდა. კატომ ჯერ წერა არ იცოდა. დახატა სამი სურათი და თავის მეგობრებს გაუგზავნა.

ბავშვებმა კატოს გამოგზავნილი ნახატები ნახეს და ყველაფერი კარგად გაიგეს.

დააკვირდი ამ ნახატებს და გვიამბე, რატომ არ მივიდა კატო სკოლაში:

საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 სთ			
თემაში გამოყენებული ტექსტი: დიანა ღვალაძის მოთხრობა „ფუჩნია“ სახელმძღვანელოს ტექსტები: „მეგობრები“, „დაბადების დღე“, „ახალი მეგობარი“.			
სხვა რესურსები: **სახელმძღვანელოს საანბანო მასალის (ქ ყ ძ ღ ჯ ტ) საკითხავი** ტექსტები, გვ. 51-59. **კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო ტესტი N5 გვ. 45** **ფონეტიკური სავარჯიშოები;** იხილეთ დანართი N 2 **საკლასო სამუშაოების** რვეული, გვ. 42-45 **მასალა I საკითხის N 2 კომპლექსური დავალებისათვის** (დანართი N 3) ილუსტრაციები სახელმძღვანელოდან გვ.55 ანიმაციური ფილმი „ტომი და ჯერი“			
	საკითხები		
სამიზნე ცნებები	**1. საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა	**2 საკითხი:** მისალოცი ბარათის მიწერა პერსონაჟისთვის	**3. საკითხი:** ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამბის შეთხზვა
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** მხატვრული ჟანრი-მოთხრობა, თემა; იდეა, პერსონაჟი. არამხატვრული ჟანრი -მისალოცი ბარათი. ტექსტის გაგების სტრატეგია.		**ქვესაკითხები:** მოთხრობის „ფუჩნია“ დედააზრი; მთავარი პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; მისალოცი ბარათის მახასიათებლები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი;(შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება:** თხრობა, თხრობის მახასიათებლები.			**ქვესაკითხები:** შეთხზული ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ვრცელი წინადადებები.
კოდირება-დეკოდირება (შედეგები I 2,4, 6) **ქვეცნება:** დაწერილი სიტყვა, დაწერილი წინადადება.	**ქვესაკითხები:** ასოთა წყვილებით: **ქ ყ ძ ღ ჯ ტ,** დაწერილი სიტყვები; წინადადებები.		
	კომპლექსური დავალება და	**კომპლექსური დავალება** მისალოცი ბარათი პერსონაჟს.	**კომპლექსური დავალება:** ამბის შეთხზვა.

	საანბანო პროექტი - წიგნის ილუსტრირებული გვერდის შექმნა.		

თემა 5.	**ქ ყ ძ ღ ჯ ტ**
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1.**
სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის); (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნებები:** დაწერილი სიტყვა, დაწერილი წინადადება	**საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა ახლად შესწავლილი ასოთა წყვილების - **ქ ყ ძ ღ ჯ ტ** - გამოყენებით. **ქვესაკითხი:** ასოთა წყვილების - **ქ ყ ძ ღ ჯ ტ** - გამოყენებით დაწერილი სიტყვები და წინადადებები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ილუსტრირებული წიგნის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოების ცოდნა? როგორ წარმოვაჩინო ტექსტის შინაარსის ცოდნა? როგორ გავვარჯიშდე წინადადებების წაკითხვაში? **კომპლექსური დავალება - საანბანო პერიოდის პროექტი. ჩემი ილუსტრირებული წიგნი** ➢ გადახედე გავლილ მასალას, სახატავ რვეულში შექმენი ნასწავლი ტექსტების შესაბამისი ილუსტრაციები. ➢ წაიკითხე დაჭრილ ფურცლებზე მოცემული წინადადებები; ➢ ამოარჩიე შენი ნახატის შესაბამისი წინადადებები და მიაწებე სასურველ ადგილას წიგნში.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის შუალედის დაცვა, წინადადების ბოლოს - წერტილის დასმა.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რომელ ბგერას გამოხატავს ახლად ნასწავლი ასოები (დ.1); • წარმოაჩინე ნასწავლი ტექსტების შინაარსი შესაბამისი ილუსტრაციით (ტ. 1); • დაასახელე, რამდენი წინადადებაა შენ მიერ შედგენილ ტექსტში, რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში (დ. 3, 4); • წაიკითხე წინადადებები ხმამაღლა (დ. 3,4).

მზადება კომპლექსური დავალებისათვის
ზეპირი საკლასო სამუშაოები ფონოლოგიური ცნობიერების გასავითარებლად;
თემაში შემავალი ასოების შესწავლა, კითხვის სტრატეგიები

აქტივობა 1. ფონეტიკური სავარჯიშოები: თავბგერის დასახელება, რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;

- **მოცემულ ბგერებზე** სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება;
- სიტყვების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივობა 2.
წარმოთქმული და დაწერილი ასოების (**ჯერ ქ-ყ;),** სიტყვების მოკლე წინადადებების კოდირება-დეკოდირება
ასოთა სამივე წყვილისათვის განკუთვნილი სამუშაოები

ა) <u>ანბანის ხმამაღლა, გუნდურად წაკითხვა</u> მასწავლებელთან ერთად (მუშაობის მეთოდი - მასწავლებლის წიგნი გვ....

ბ)ახალი ასოების გაცნობა - მასწავლებელი წარმოთქვამს შესასწავლ ასოს და ასევე აჩვენებს ბავშვებს. რა ბგერა გაიგონეთ, რა ასოს ხედავთ?

გ) <u>ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა</u> (მუშაობის მეთოდი - მაწავლებლის წიგნი გვ.....)

დ) <u>დაასახელეთ</u> **ქ**-სა და **ყ**- ზე (თემების შესაბამისად: **ძ--სა** და **ღ**-ზე; **ჯ**-სა და **ტ**-ზე)

წიგნში საკითხავ მასალაზე მუშაობა; სამივე საანბანო წყვილზე ცალ-ცალკე

- დამარცვლილი სიტყვის წაკითხვა;
- მთლიანი სიტყვის წაკითხვა;
- მოკლე წინადადებების წაკითხვა.

აქტივობა 3. კითხვა-დეკოდირება

ქ, ყ

I. მოკლე წინადადებების წაკითხვა მასწავლებელთან ერთად - ქორო; მერე - ექოთი. თითო-თითო წინადადებების წაკითხვა წყვილად, გაიმეორე, რა წაიკითხა შენმა მეწყვილემ;

II. ჯერ მასწავლებელი კითხულობს ძირითად ტექსტს, მერე წაკითხვა ექოთი, შემდეგ თითო-თითო წინადადებებით; შემდეგ როლური კითხვა რიგრიგობით.

ძ, ღ

I. ჯერ მასწავლებელი კითხულობს ძირითად ტექსტს, მერე წაკითხვა ექოთი, შემდეგ თითო-თითო წინადადებებით; მოძებნე და წაიკითხე, ვინ რა გაუკეთა და რა აჩუქა დაბადების დღეზე იას.

ჯ ტ

I. ძირითად ტექსტს ჯერ მასწავლებელი კითხულობს. მერე ქოროში, ბოლოს კი მოსწავლეები კითხულობენ თითო-თითო წინადადებას. დაფაზე დაიწეროს ტექსტის სამი ნაწილის შესაბამისი გეგმა: სკოლისაკენ; კინოჩვენება; შინ დაბრუნება; ამ გეგმის მიხედვით წაიკითხონ ტექსტი რიგრიგობით.

კომპლექსური დავალება. საანბანო პერიოდის პროექტი - ჩემი ილუსტრირებული წიგნი
დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)
I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა:
შეადგინეთ თქვენი წიგნის შემდეგი გვერდი ასოთა წყვილების **ქ ყ, ძ ღ, ჯ ტ-ს** საკითხავი ტექსტების გათვალისწინებით.
დავალების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ დავალების შესრულებისას?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა

აქტივობები, რესურსი

ნაბიჯი1. ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4)

აქტივობა1. გავიხსენოთ (წინარე ცოდნა)

გაიხსენეთ, როგორია წიგნის შიდა გვერდი? (მოცემულია ნახატი და ტექსტი) ნახატი ასახავს მონათხრობ ამბავს. გაიხსენეთ, დანომრილია თუ არა გვერდები; სად წერია ტექსტი? როგორ მიხვდეს მკითხველი, რომელი ტექსტისაა ესა თუ ის ნახატი?

აქტივობა 2. წიგნის ერთი გვერდის შედგენა

პირველ 2-3 მასალას ამზადებენ მასწავლებლის დახმარებით. მოგვიანებით მოსწავლეები დამოუკიდებლად შეარჩევენ წიგნის მასალას.

1. გადაშალეთ სახატავი რვეულის შემდეგი ცარიელი ფურცელი. თქვენ მასში შექმნით თქვენი წიგნის მომდევნო გვერდს.
2. შეუდექით მომდევნო გვერდის შექმნას გავლილი მასალის გამოყენებით;
3. გაიხსენეთ, რა ხდებოდა დაჩის სკოლაში; დაჩი და მისი მეგობრები როგორ თამაშობენ ეზოში.
4. თქვენ მოცემული გაქვთ წინადადებების კალათი (ყუთი). წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ის. რასაც თქვენს წიგნში გამოიყენებთ;
5. შერჩეული წინადადებების მიხედვით დახატეთ ან გააფერადეთ და გამოჭერით, ან აარჩიეთ ნახატი და გამოჭერით;
6. გადაანაწილეთ ისინი ფურცელზე;
7. თქვენ მიერ შერჩეული წინადადებები დააწებეთ შესაბამისი ნახატის ქვეშ;
8. რომელ წინადადებასაც არ გამოიყენებთ დააბრუნეთ ყუთში;
9. არ დაგავიწყდეთ, რომ წინადადებებს შორის გამოტოვოთ მანძილი. წინადადებების ბოლოს დასვით წერტილი;
10. კალათში (ყუთში) არის შემდეგი:

ია ოთხი წლის გახდა. დაჩიმ მას თავისი ხელით გაკეთებული მისალოცი ბარათი აჩუქა.ერთხელ რიჩიმ ოთახში შეირბინა და ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ;

1. გაითვალისწინე, ერთ ნახატთან შეიძლება 2-3 წინადადებაც გამოიყენო;
2. წინადადებები დააწებეთ თავის ნახატთან ახლოს;
3. დაფიქრდი, რამეს ხომ არ შეცვლიდი.

აქტივობა 3. წარუდგინე შენი ნამუშევარი კლასს.

ისაუბრე:

- რა დახატე, როგორ დახატე და რა დაწერე;
- რის შემდეგ რა გააკეთე;
- როგორ გააფორმე წიგნის გვერდი, როგორ შექმენი ნახატები;
- როგორ შეიტანე წიგნში ტექსტი.

კითხვები:

- მოგწონს თუ არა შენი წიგნის ახალი გვერდი?
- შენი ნამუშევრიდან რა მოგწონს ყველაზე მეტად?
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას.

რესურსები: სახელმძღვანელოს საკითხავი პატარა მოთხრობები, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, გამოსაჭრელი ან გასაფერადებელი ნახატები. წინადადებების კალათი. ელექტრორესურსები, თუკი ბუკში ეწყობა წიგნი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები**: მოთხრობა, პერსონაჟი, დედააზრი ტექსტის გაგების სტრატეგიები საინფორმაციო-ყოფითი ტექსტი - მისალოცი ბარათი	**საკითხი:** მისალოცი ბარათის მიწერა პერსონაჟისთვის. **ქვესაკითხები:** მოთხრობის „ფუჩნია“ დედააზრი; მთავარი პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; ახალი და იშვიათად ხმარებული სიტყვები. მისალოცი ბარათის მახასიათებლები. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები პერსონაჟ ფუჩნიას ფიქრების, განცდების, ემოციების ამოსაცნობად? როგორ მივწერო მისალოცი ბარათი პერსონაჟს, როგორ წარმოვაჩინო ჩემი მიზანი? როგორ შევარჩიო ენობრივი საშუალებები მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით? **კომპლექსური დავალება**: მისალოცი ბარათი პერსონაჟს ➢ დააკვირდი ტექსტის შინაარსს და მისწერე მისალოცი ბარათი პერსონაჟ „ფუჩნიას“: ➢ გამოკვეთე, რა მიზნით სწერ, რას ულოცავ ფუჩნიას; ➢ დაიცავი მისალოცი ბარათის აგებულება; ➢ გამოიყენე მისალმებისა და დამშვიდობების სიტყვები; ➢ გააფორმე მისალოცი ბარათი და შეარჩიე ისეთი სიტყვები, რომლებიც, შენი აზრით, საინტერესო იქნება ფუჩნიასთვის; ➢ გამოიყენე აბზაცები და სასვენი ნიშნები (სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუშის მიხედვით).
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები :** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • ვინ წერს მისალოც ბარათს, ვის სწერს და რა მიზნით (ტ.1, 3); • რა ნაწილებისგან შედგება შენი მისალოცი ბარათი (ტ. 3); • რატომ ფიქრობ, რომ შენი მისალოცი ბარათი დაინტერესებს ფუჩნიას (ტ.1, 2, 3).

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

რესურსი, აქტივობები

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?
- რისი შესწავლა დაგვჭირდება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

რესურსი, აქტივობები

ნაბიჯი 1. ტექსტის გაგების სტრატეგია. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს.(დეკ.4)

ქვესაკითხი: გაწაფული კითხვა

რესურსები და აქტივობები

რესურსი1. სახელმძღვანელოს ტექსტი „მეგობრები“

აქტივობა 1. ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციაზე დაკვირვება, ვარაუდების გამოთქმა

აქტივობა 2. ტექსტის პაუზებით მოსმენა, ვარაუდების გამოთქმა

რესურსი 2. ვარაუდების ცხრილი

მინიშნებები სათაურზე, მინიშნებები სურათზე



აქტივობა 3. გაწაფული კითხვის მოდელირება მასწავლებლის მიერ

აქტივობა 4. „ბუქსირით" კითხვა (მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეებისათვის თვალსაჩინოდ განთავსებულ საანბანე ტექსტს. მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მის წაკითხულს; მასწავლებელი მოსწავლეებისათვის მოულოდნელად ცვლის კითხვის ტემპს. მოსწავლეები ცდილობენ, მასწავლებლის მსგავსად წაიკითხონ ტექსტი. ტემპის ცვლილების შემდეგ მასწავლებელი ცვლის ხმის ტემბრს და ტონს. მაგალითად, კითხულობს უფრო ბოხი ან ჩუმი ხმით, სიმღერით და ა.შ. მოსწავლეები შეძლებისდაგვარად იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი აკეთებს.)

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. სახელმძღვანელოს ტექსტი: „ახალი მეგობარი“

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა და მის გაგება-გააზრებაზე მუშაობა

ვარაუდების გამოთქმა

პაუზა 1. **ლეკვმა ტახტზე პატარა კნუტი დაინახა...**

პაუზა 2. **რიჩი დამჯერი ძაღლია, მაგრამ ახლა გაჯიუტდა...**

პაუზა 3. **ორივეს მიუალერსა...**

აქტივობა 2. კითხვა-პასუხი ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენად

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- სათაურის მინიშნებების მიხედვით, რაზე/ვიზე იქნება ტექსტი? (აქტ.1)
- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ----------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?---

- სინამდვილეში რა მოხდა? ----------
- რა დაინახა რიჩიმ? (აქტ.2)
- რატომ გაჯავრდა ლეკვი?
- როგორ ფიქრობ, რამ უფრო გააბრაზა რიჩი, რომ უშლიდნენ ტახტზე ასვლას, თუ არ უყვარდა კატები?
- გაიხსნეთ გაჯავრებული რიჩის მოქმედებები და დაასახელეთ თანმიმდევრობით: ჯერ რა გააკეთა, მერე რა ქნა და ბოლოს როგორ მოიქცა? (ვიდრე ია გაუჯავრდებოდა)
- საერთოდ როგორი ძაღლია რიჩი, რა წერია ტექსტში?(დამჯერი)
- მიმის დანახვაზე რა დაემართა? (გაჯიუტდა)
- თქვენი აზრით, **დამჯერი** და **ჯიუტი** როგორი თვისებებია, ჰგავს ისინი ერთმანეთს? (საპირისპირო თვისებებია)

გაითვალისწინეთ წინა ეპიზოდები მიმისა და რიჩის შესახებ, როგორ დაასრულებთ ამ ამბავს? რა მოხდებოდა მათი გაცნობის შემდეგ?

აქტივობა 3. ყურადღებით მოისმინე და იპოვე ზედმეტი:

ა) ღრენა, წკმუტუნი, კნავილი, ყეფა;

ბ) ლეკვი, კნუტი, კვიცი, ძროხა.

რა ნიშნით განასხვავე ზედმეტი სიტყვა?

აქტივობა 4. საანბანო ტექსტის საჩვენებელი კითხვა

აქტივობა 5. საანბანო ტექსტის კითხვა სხვადასხვა სტრატეგიით (გუნდური კითხვა; ხმამაღალი კითხვა გაგრძელებით)

აქტივობა 1. მტრობით დაწყებული მეგობრობა

რესურსი, აქტივობები

რესურსი 1. სახელმძღვანელოს ტექსტი: „დაბადების დღე“

აქტივობა 1. ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით

აქტივობა 3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა.

- რას გეუბნებათ პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) ტექსტის შესახებ? (აქტ.1)
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? ----------
- რატომ ფიქრობთ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობით?---
- სინამდვილეში რა მოხდა? ----------
- ვისი დაბადების დღეა? (აქტ.2)
- რამდენი წლის გახდა ია?
- გაიხსენე, ვინ რა აჩუქა იას?
- რამდენი ვარდი მიართვა მამამ იას? რატომ?
- როგორია დედის ნაჩუქარი კაბა?
- ვინ გაუკეთა იას მისალოცი ბარათი?
- შენ თუ მოგიმზადებია ოდესმე მისალოცი ბარათი?
- რომელი დღესასწაული მიულოცე მისალოცი ბარათით?ვის მიულოცე?
- შენი აზრით, ყველა დღესასწაულის ტექსტი ერთნაირია? რატომ გგონია ასე?
- რატომ ღელავს ია?
- რამდენი მეგობარი ესტუმრა იას?
- ტექსტში წერია, რომ „ია ძალიან ღელავს“. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს სიტყვა, როცა ადამიანზე ვამბობთ ღელავსო? (განიცდის, ნერვიულობს)
- კიდევ რაზე ამბობენ ღელავსო? (მაგ.: ზღვა ღელავს)
- დედამ იას **ლამაზი** კაბა უყიდა. ლამაზის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა ხომ არ გახსოვთ?(**მშვენიერი, კოხტა)**
- თუ არ არის კაბა ლამაზი, მაშინ რას ვიტყვით? რა არის **ლამაზის საპირისპირო მნიშვნელობის** სიტყვა? **(უშნო, ულამაზო)**
- ბებიამ იას **გემრიელი** ნამცხვარი გამოუცხო. რას ვამბობთ, თუ არ არის საჭმელი გემრიელი? ვამბობთ, რომ **უგემურია. უგემური** გემრიელის **საპირისპირო სიტყვაა.** (მოიფიქრეთ ორი

წინადადება: 1) სადაც ერთმანეთს შეადარებთ ლამაზსა და ულამაზო ნივთს; 2) სადაც ერთმანეთს შეადარებთ გემრიელსა და უგემურ საჭმელს).

აქტივობა 4. მთლიანი ტექსტის საჩვენებელი კითხვა

აქტივობა 5. ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდურად. მასწავლებელი ყველასთან ერთად კითხულობს ტექსტს

აქტივობა 6. ექოდ კითხვა. ჯერ მასწავლებელი კითხულობს მონაკვეთს, შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ იმავე მონაკვეთს.

ნაბიჯი 2. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის უკეთ გასაგებად (ტ.3); როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები პერსონაჟ ფუჩნიას ფიქრების, განცდების, ემოციების ამოსაცნობად?

ქვესაკითხები: მოთხრობის დედააზრი; მთავარი პერსონაჟის „ფუჩნიას“ ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები, პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

რესურსი 1. ასოციაციური რუკა



- რა ცხოველს ხედავთ ილუსტრაციაზე?
- რატომ ეძახიან მას „მელია კუდაგრძელიას?“
- რა იცით მელიას შესახებ? სად ცხოვრობს ის?
- რით იკვებება მელია?
- რით არის ცნობილი მელაკუდა? კიდევ?
- რომელი ზღაპრებიდან, მულტფილმებიდან გახსენდება ის?
- როგორი პერსონაჟია ამ მულტფილმებსა და ზღაპრებში მელია?

რესურსი 2. დიანა ღვალაძის მოთხრობა „ფუჩნია“

აქტივობა 2. ტექსტის სათაურისა და ილუსტრაციის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა

აქტივობა 3. რამდენიმე ეპიზოდის მოსმენა, ვარაუდების გამოთქმა მოთხრობის შესაძლო შინაარსთან დაკავშირებით

ეპიზოდი 1. თვალი მოავლო თავის ვიწრო სოროს და გულდაწყვეტილმა ჩაიჩურჩულა...

ეპიზოდი 2. ფუჩნია ნელ-ნელა მიჰყვა ხმას, გადასწია შქერის დიდი ტოტი და რას ხედავს: ...

ეპიზოდი 3. ფუჩნია იდგა გაღიმებული, იღებდა მილოცვებს და ფიქრობდა....

აქტივობა 4. უცნობ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა

აქტივობა 5. კითხვა-პასუხი ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენად, სქემაზე (რეს.3) დაყრდნობით.

რესურსი 3.



- რამეს გეუბნებათ ეს სათაური, ილუსტრაცია? რის შესახებ იქნება მოთხრობა? (აქტ. 2)
- თქვენი აზრით, რატომ წაგიკითხეთ ეს ნაწყვეტი?
- ივარაუდეთ, რატომ იყო გულდაწყვეტილი ფუჩნია, რას ფიქრობდა ის?
- გამართლდა თქვენი ვარაუდი?
- ივარაუდეთ, რას დაინახავდა ფუჩნია?
- ნამდვილად ასე მოხდა? გამართლდა თქვენი ვარაუდი?
- ივარაუდეთ, რაზე ფიქრობდა გაღიმებული ფუჩნია?
- სინამდვილეში, რაზე ფიქრობდა პატარა მელაკუდა? გამართლდა შენი ვარაუდი? (აქტ. 3)
- რას ნიშნავს სიტყვა „**ნაკადული**“? გინახავს ოდესმე ნაკადული? სად? (აქტ. 4)
- რას ნიშნავს სიტყვა „**სერი**“? შეიძლება გინახავს კიდეც ის. სერი, წაგრძელებული ფორმის დაბალი მთაა.
- ტექსტში გვხვდება სიტყვა **ლელიანი.** იცით, რას ნიშნავს ლელი? ლელი მცენარეა და წყლის ნაპირას ხარობს.
- როგორ ფიქრობთ, რა იქნება **ლელიანი?** ე. ი. როგორ ადგილზე მიდიოდა ფუჩნია?
- რას აგროვებს ხოლმე საკვებად ზღარბი, რა უყვარს მას?
- ყველამ იცით, როგორი ცხოველია მგელი? რით იკვებება ის? იცით, როგორ ეძახიან მის ნანადირევს? ის, რასაც მოინადირებს მგელი საკვებად, მისი **ნადავლია.**
- როგორ ადიოდა მელაკუდა სერზე? რომელი სიტყვითაა გადმოცემული მისი გადაადგილება?(ხტუნვა-ხტუნვით)
- რომელი სიტყვითაა გადმოცემული ტექსტში ციყვის გადაადგილება(ჩაუქროლა), როგორ ჩაუარა მან მელაკუდას?
- როგორ ფიქრობთ, ეს როგორი მოძრაობაა?
- რომელი სიტყვით აგვიწერს ავტორი ზღარბის სიარულს? თხილის ხმაურს?
- როგორი სტაფილო მიართვეს ტყუპებმა ფუჩნიას? რა არის ქორფა? სხვაგვარად როგორ ვიტყოდით ამ სიტყვას?
- რომელ მწერს უწოდებს ავტორი ბზუილას? როგორ მიხვდი?
- რომელმა ცხოველებმა გაახარეს კეთილი მელაკუდა?
- როგორ ფიქრობთ, დიდხანს ემზადებოდნენ ცხოველები დაბადების დღისთვის? საიდან მიხვდი? რას ნიშნავს სიტყვა „სახელდახელოდ?“ რომელი სიტყვით შეცვლიდი ამ სიტყვას?
- **ვინ** იყო იუბილარი? (აქტ .5)
- **როდის** გაიღვიძა ფუჩნიამ?
- **სად** მიდიოდა ის?
- **რატომ** ჰქონდა გუნება გაფუჭებული? (ცუდ ხასიათზე იყო)
- **როგორ** შეეცვალა ხასიათი?

აქტივობა 6. ფუჩნიას დახასიათება პერსონაჟის რუკაზე დაყრდნობით

რესურსი 4. პერსონაჟის რუკა

- როგორი გარეგნობა ჰქონდა ფუჩნიას? (პატარა, ლამაზი, კეთილი, ფუმფულა, კუდიანი)(აქტ.5)
- რით განსხვავდებოდა ის სხვა მელიებისგან? (იყო კეთილი,ზრდილობიანი, არასდროს იტყუებოდა)
- რა თვისებები ჰქონდა ფუჩნიას? (მხიარული, მეგობრების მოყვარული)
- საიდან გაიგე, რომ კეთილია, რომ უყვარს მეგობრები, არ არის ძილისგუდა.
- ეწერა ტექსტში თუ შინაარსის მიხედვით გამოიცანი?



აქტივობა 7. მოთხრობის დედააზრის გამოკვეთა.

- ამ მოთხრობით რისი თქმა უნდა ავტორს?
- რა არის, შენი აზრით, მეგობრობა?
- ვის სიტყვებში ჩანს ავტორის სათქმელი, რომ კარგია მეგობრობა და მეგობრების ყოლა?
- ეთანხმები მოთხრობის დედააზრს? შენ თუ გყავს მეგობრები? რატომ არის კარგი მეგობრის ყოლა?
- შენ როგორ გაახარებდი ფუჩნიას? როგორ მიულოცავდი მას?

- ნაბიჯი 2. რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი მისალოცი ბარათია (ტ. 3);

სად და რაში ჩანს შენი მისალოცი ბარათის მიზანი (ტ. 1,2,3.).

ქვესაკითხები: მისალოცი ბარათის მახასიათებლები.

აქტივობა 1. მისალოცი ბარათის ამოცნობა

რესურსი1. მისალოცი ბარათის და წერილის ნიმუშები



- რას ხედავ ილუსტრაციებზე ?

- მოცემული სურათებიდან რომელია მისალოცი ბარათი და რომელი - არა. რატომ ფიქრობ ასე?
- რით განსხვავდება დანარჩენებისგან მისალოცი ბარათი?
- როგორ ფიქრობ, რისთვის სჭირდებათ ადამიანებს მისალოცი ბარათი?
- შენ თუ მიგიწერია ვინმესთვის მისალოცი ბარათი? რა მიულოცე? იყიდე თუ დაამზადე ბარათი?

აქტივობა 2. ვიდეოს ჩვენება
რესურსი 2. ვიდეო (როგორ დავამზადოთ მარტივი მისალოცი ბარათი)
აქტივობა 3. იდეების გენერირება

- რა დაგჭირდება მისალოცი ბარათის დასამზადებლად?
- როგორი უნდა იყოს მისალოცი ბარათი?როგორ გააფორმებ მისალოც ბარათს?
- რას მისწერ ფუჩნიას, რას მიულოცავ მას?
- რა უნდა გაითვალისწინო მისალოცი ბარათის დაწერისას? რა არ უნდა დაგავიწყდეს?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად მისალოცი ბარათის ნიმუშია?
- რა დაგეხმარა ბარათის შედგენაში?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს წერილს, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება**: თხრობა, თხრობის მახასიათებლები.	**საკითხი:** ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამბის შეთხზვა მეგობრობის თემაზე **ქვესაკითხები:** მეგობრობაზე შექმნილი ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ვრცელი წინადადებები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გამოვიყენო სურათები ამბის მოსაფიქრებლად? რა ხერხები გამოვიყენო, როგორ გადმოვცე ამბავი; რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო კითხვაში გასაწაფად? **კომპლექსური დავალება** ამბის შეთხზვა სურათზე დაყრდნობით.

	➢ სურათებზე დაყრდნობით შეთხზეთ ამბავი კატასა და თაგვზე, რომლებმაც დამეგობრება შეძლეს. ➢ უკარნახეთ მასწავლებელს მოფიქრებული ამბავი, შეარჩიეთ სათაური.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** თხრობისას წარმოაჩინე: • რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); • მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2); • ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ.: რას ვხედავთ პირველ, მეორე, მესამე და ა.შ. სურათებზე, რა შეიძლება მომხდარიყო პირველ სურათზე მომხდარ ამბამდე, ვინ არიან პერსონაჟები ერთმანეთისთვის, რატომ არიან ერთად (ს.2); • როგორ კითხულობ ტექსტს/ეპიზოდს - იყენებ თუ არა ინტონაციას, იცავ თუ არა პაუზებს (ტ.1. 3; დ. 4).

დანართი N 1

ფუჩნია

ერთ დაბურულ, უღრან ტყეში პატარა, ლამაზი მელია ცხოვრობდა. ის სხვა მელიებს სულაც არ ჰგვდა, ძალიან კეთილი და ზრდილობიანი იყო, არასოდეს იტყუებოდა და ყოველთვის ეხმარებოდა ტყის ბინადრებს. ამიტომ იგი ყველას ძალიან უყვარდა და სახელიც სასიყვარულო ფუჩნია შეარქვეს. დილით, ადრე გამოძვრებოდა ფუჩნია თავისი სოროდან, გაიხედ-გამოიხედავდა, ნაკადულის მეორე მხარეს ისკუპებდა, ხტუნვა-ხტუნვით აუყვებოდა სერს, თან ლამაზად მიიქნევდა თავის ფუმფულა კუდს და ღიღინებდა:

მე ვარ მელაკუდაო
არ ვარ ძილისგუდაო,
ვახმაურებ ლელიანს,
ტყეც და ველიც ჩემია!
ლალალალა ლალები
გაახილეთ თვალები!

ამ სიმღერის გაგონებაზე, ჟრიამულით აედევნებოდნენ ხოლმე ფუჩნიას მეგობრები და ახმაურებდნენ მიდამოს. ამ დილითაც ადრე ადგა ფუჩნია. თვალი მოავლო თავის ვიწრო სოროს და გულდაწყვეტილმა ჩაიჩურჩულა: დღეს ჩემი დაბადების დღეა, მეგობრებს კი ვერ დავპატიჟებ, აბა, აქ ვინ შემოეტევაო! გაუფუჭდა გუნება, უგუნებოდ გამოძვრა თავისი სოროდან და ის იყო ნაკადულზე უნდა გადამხტარიყო, რაღაც ხმაური შემოესმა. ფუჩნია ნელ-ნელა მიჰყვა ხმას და რას ხედავს: დიდი მუხის ძირში ფუსფუსია... აგერ, ციყვმა ჩაუქროლა თხილის ჩხრიალით, დაინახა ფუჩნია და მთელი ხმით იყვირა: იუბილარი გვეწვია, იუბილარი! აბა, შევხვდეთ! ყველა ფუჩნიასკენ შემობრუნდა და ერთდროულად დასძახეს: ფუჩნიას გაუმარჯოს! გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! აქეთ-იქიდან ტყუპი ძმები, ბაჭიები ამოუდგნენ ფუჩნიას, რომელიც საკუთარ თვალებს არ უჯერებდა და სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა. ძმებმა ქორფა სტაფილო მიართვეს მეგობარს და სახელდახელოდ გაშლილი სუფრისკენ წაიყვანეს. ასე ტკბილად დამიბერდიო და ბზუილამ თაფლი მიართვა, ციყვმა თხილი ჩაუჩხრიალა, ზღარბმა ზურგით მსხალი და სოკო მოუცუნცულა, ბურდღუნა დათუჩასაც კი არ დაზარებია და თევზით სავსე თეფში დაუდგა ფეხებთან ფუჩნიას. მგელმაც გაუყო ნადავლი მეგობარს, ხოლო ნადირთ მეფე ლომმა ყანწით შესვა პატარა, კეთილი მელიას სადღეგრძელო.

გახარებული და ბედნიერი ფუჩნია იდგა გაღიმებული, იღებდა მილოცვებს და ფიქრობდა:- „უჰ, რა მაგარია, როცა ამდენი მეგობარი გყავს!“
 დიანა ღვალაძე

დანართი N2
სიტყვათა ჩამონათვალი ლექსიკური სავარჯიშოსათვის:

ქ - ქადა, ქადილი, ქალამანი, ქალაქი, ქანდაკება, ქანდარა, ქარავანი, ქარაფი, ქარვა, ქართველი, ქაფი, ქარქაში, ქაჯი, ქედი, ქერქი, ქერი, ქვა, ქვაბი, ქვეყანა, ქვიშა, ქილა, ქინქლა, ქლიავი, ქისა, ქორი, ქორწილი, ქოჩორი, ქუდი, ქუჩა, ქუხილი.

ყ - ყაჩაღი, ყბა, ყბედი, ყდა, ყვავილი, ყვავი, ყორანი, ყვინჩილა, ყინვა, ყინული, ყირა, ყლორტი, ყლუპი, ყოჩი, ყრუ, ყუთი, ყულფი, ყუნწი, ყური, ყურმილი, ყურძენი, ყმაწვილი, ყოჩივარდა.

ძ - ძაბრი, ძალა, ძაღლი, ძეგლი, ძვალი, ძიძა, ძელი, ძირი, ძმარი, ძნა, ძუნწი, ძროხა, ძოწი, ძღვენი, ძმა, ძია, ძეხვი.

ღ - ღამე, ღაბაბი, ღამურა, ღარი, ღაწვი, ღელე, ღერო, ღერძი, ღვედი, ღვეზელი, ღვინო, ღვიძლი, ღილი, ღიმილი, ღიღილო, ღმერთი, ღობე, ღრუბელი, ღუზა.

ჯ - ჯაგარი, ჯადო, ჯვარი, ჯადოქარი, ჯალათი, ჯავშანი, ჯამი, ჯამბაზი, ჯაშუში, ჯარი, ჯაფა, ჯარისკაცი, ჯაჭვი, ჯგუფი, ჯეჯილი, ჯემი, ჯებირი, ჯიბე, ჯინი, ჯირკი, ჯიხური, ჯუბა, ჯოხი, ჯორი.

ტ - ტაბლა, ტაიჭი, ტალახი, ტანი, ტანკი, ტანსაცმელი, ტარო, ტაში, ტახტი, ტელევიზორი, ტერფი, ტვინი, ტვირთი, ტილო, ტირი, ტომარა, ტომი, ტოტი, ტორტი, ტოროლა, ტურა, ტყავი, ტუჩი, ტყვე, ტყე, ტალღა.

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის

სათლი - სათლი	ძეძვი - ძეხვი	რიგი - რიგი
სათლი - სათლი	ძეძვი - ძეხვი	რიგი - რიგი
სახლი - სახლი	ძეძვი - ძეძვი	რიგი - რიდი
სახლი - სათლი	ძეხვი - ძეხვი	რიდი - რიგი
სათლი - სახლი	ძეხვი - ძეძვი	რიდი - რიდი
სათლი - სათლი	ძეხვი - ძეძვი	რიგი - რიდი

საბელი - საბელი	ჩოჩორი - ქოჩორი	ტკბილი - ტკბილი
საბძელი - საბელი	ქოჩორი - ქოჩორი	ტკბილი - ტკბილი
საბძელი - საბძელი	ქოჩორი - ჩოჩორი	ტკბილი - კბილი
საბძელი - საბელი	ჩოჩორი - ქოჩორი	კბილი - კბილი
საბელი - საბელი	ჩოჩორი - ჩოჩორი	კბილი - ტკბილი
საბელი - საბძელი	ქოჩორი - ქოჩორი	ტკბილი - ტკბილი

კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო მასალა №5

ყურადღებით წაიკითხე და შეასრულე დავალება

დაჩი იჯდა და ხატავდა. დახატა ყვითელი მზე, ლურჯი ზღვა. ზღვაში მწვანე ნავი მიცურავდა. ნავს წითელი აფრა ჰქონდა.

გააფერადე ნახატი ისე, როგორც დაჩიმ დახატა:



დანართი N3. იხ. მოსწავლის რვეულში. რვეულის არქონის შემთხვევაში მოცემული გვერდი გადააქსეროქსეთ, დაჭერით საჭირო რაოდენობით და დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნის პირველი გვერდის შესაქმნელად. წინადადებათაგან მოსწავლე თვითონ შეარჩევს მისთვის სასურველ ამბავსა და ფრაზებს.

ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ	ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ
ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ	ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ
ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ	ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ
ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ	ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ
ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ	ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ
ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ	ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან. ორივეს უყვარს ეზოში თამაში. ორივეს უყვარს კითხვა. დაჩიმ გოგონას ხიდან ქუდი ჩამოუღო. რიჩიმ ოთახში შეირბინა. ტახტზე კნუტი დაინახა. რიჩი ტახტზე ახტა. მალე რიჩი და ფისო დამეგობრდნენ

თემა N6. კითხვა-წიგნის სამყაროში **საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 სთ**			
თემაში გამოყენებული ტექსტი: მოთხრობა „ფისო ცაცას მეგობრები“ სახელმძღვანელოს სხვა ტექსტები - „ვაშა, ჩვენ კითხვა ვიცით“, „სათვალე“			
სხვა რესურსები: **სახელმძღვანელოს საანბანო მასალის (ჟ ჭ ჰ) საკითხავი ტექსტები, გვ. 60-68** **კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო ტესტი N6 გვ 48** **ფონეტიკური სავარჯიშოები;** იხილეთ დანართი N 2 **საკლასო სამუშაოების რვეული, გვ. 46-52.** **ბადიან სივრცეში სამუშაო მასალა: ა, ი, მ, ე, ს, ხ.** **მასალა I საკითხის N 2 კომპლექსური დავალებისათვის** (დანართი N 3) **დანართი N 4** ციფრული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი.			
	საკითხები		
სამიზნე ცნებები	**1. საკითხი:** შესწავლილი ასოების - **ჟ ჭ ჰ** - გამოყენებით წიგნის ილუსტრირებული გვერდის შექმნა.	**2. საკითხი:** მოთხრობის „ფისო ცაცას მეგობრები“ პერსონაჟ ფისო ცაცას დახასიათება.	**3. საკითხი:** ამბის შეთხზვა პატარა ბიჭის შესახებ, რომელმაც კითხვა ისწავლა.
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) მხატვრული ჟანრი - მოთხრობა, თემა, იდეა; ტექსტის გაგების სტრატეგია;		**ქვესაკითხები:** მოთხრობის „ფისო ცაცას მეგობრები“დედააზრი; პერსონაჟ ფისოს გარეგნობა, ქცევა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან;	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება:** თხრობა			**ქვესაკითხები:** მეგობრობაზე შეთხზული ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ვრცელი წინადადებები.;
კოდირება-დეკოდირება (შედეგები I 2,4, 6) **ქვეცნება:** ასო, დაწერილი სიტყვა,	**ქვესაკითხები:** ასოები **ჟ ჭ ჰ**, შესწავლილი ასოებით დაწერილი სიტყვები; დაწერილი წინადადები.		

დაწერილი წინადადება (ასო, სიტყვის ანალიზი და სინთეზი)			
	კომპლექსური დავალება 1 საანბანო პროექტი - წიგნის ილუსტრირებული გვერდის შექმნა;	**კომპლექსური დავალება** 2 პერსონაჟის დახასიათება სქემაზე დაყრდნობით.	**კომპლექსური დავალება 3** ამბის შეთხზვა.

თემა 6	**ჟ, ჭ, ჰ**
გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 1.**
სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის); (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნებები:** ასო, დაწერილი სიტყვა, დაწერილი წინადადება (ასო, სიტვის ანალიზი და სინთეზი)	**საკითხი:** ილუსტრირებული წიგნის გვერდის შექმნა ახლად შესწავლილი ასოების - **ჟ ჭ ჰ** - გამოყენებით. **ქვესაკითხი:** ნასწავლი ტექსტების გათვალისწინებით **ჟ, ჭ, ჰ** ასოთა გამოყენებით შედგენილი წინადადებები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ილუსტრირებული წიგნის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოების ცოდნა? როგორ წარმოვაჩინო ტექსტის შინაარსის ცოდნა? როგორ გავვარჯიშდე წინადადებების წაკითხვაში? **კომპლექსური დავალება: საანბანო პერიოდის პროექტი- ჩემი ილუსტრირებული წიგნი** ➢ გადახედე განვლილ მასალას, სახატავ რვეულში შექმენი ტექსტების შესაბამისი ილუსტრაციები. ➢ წაიკითხე დაჭრილ ფურცლებზე მოცემული წინადადებები; ამოარჩიე შენი ნახატის შესაბამისი წინადადებები და მიაწებე სასურველ ადგილას წიგნში.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის შუალედის დაცვა, წინადადების ბოლოს - წერტილის დასმა.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> • რომელ ბგერას/ბგერებს გამოხატავს ახლად ნასწავლი ასო/ასოები (დ.1); • რამდენი წინადადებაა შენ მიერ აწყობილ ტექსტში; (დ. 3); • წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3).

მზადება კომპლექსური დავალებისათვის
ზეპირი საკლასო სამუშაოები ფონოლოგიური ცნობიერების გასავითარებლად;
თემაში შემავალი ასოების შესწავლა, კითხვის სტრატეგიები

აქტივობა 1.
მუშაობა სიტყვის ფონეტიკური სტრუქტურის გაცნობიერებაზე - ფონოლოგიური უნარების განვითარება
ფონეტიკური სავარჯიშოები: თავბგერის დასახელება, რაზე იწყება დასახელებული სიტყვა:

- მოცემულ ბგერებზე სიტყვების დასახელება;
- მარცვლებად ან ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- მთლიანი სიტყვის მარცვლებად ან ბგერებად დაშლა;
- ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება;
- სიტყვების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივობა 2.
სამივე ასოსთვის განკუთვნილი სამუშაოები

ა) <u>ანბანის ხმამაღლა, გუნდურად წაკითხვა</u> მასწავლებელთან ერთად;
ბ) ახალი ასოების გაცნობა, მასწავლებელი წარმოთქვამს შესასწავლ ასოს და ასევე აჩვენებს ბავშვებს. რა ბგერა გაიგონეთ, რა ასოს ხედავთ?
გ) <u>ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა;</u>
დ) <u>დაასახელეთ</u> **ჟ-ზე, ჭ-სა** და **ჰ-** ზე დაწყებული სიტყვები.

აქტივობა 3. კითხვა-დეკოდირება, კითხვის სტრატეგიები

ჟ
ჯერ მასწავლებელი კითხულობს ძირითად ტექსტს, მერე წაკითხვა ექოთი, შემდეგ წაიკითხე ეპიზოდი - რა ხდება სცენაზე.

ჭ
ჯერ მასწავლებელი კითხულობს ძირითად ტექსტს, მერე წაკითხვა ექოთი, შემდეგ - თითო-თითო წინადადებით; მოძებნე და წაიკითხე ეპიზოდები: დამეგობრება, მარტოობა და სასწაული.

ჰ
ძირითად ტექსტს ჯერ მასწავლებელი კითხულობს. მერე - ქორაში, ბოლოს კი მოსწავლეები კითხულობენ თითო- თითო წინადადებას; შემდეგ - დიალოგში -მასწავლებელი-მოსწავლე.

კომპლექსური დავალება. საანბანო პერიოდის პროექტი - ჩემი ილუსტრირებული წიგნი

დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა:
შეადგინეთ თქვენი წიგნის შემდეგი გვერდი ასოთა წყვილების **ქ ყ ძ ღ ჯ ტ-ს** საკითხავი ტექსტების გათვალისწინებით.

დავალების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება;
- რისი ცოდნა გამოგადგებათ დავალების შესრულებისას?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა

აქტივობები, რესურსი

ნაბიჯი1. ნასწავლი ტექსტის შინაარსის გააზრება (ტ. 1); წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა (დ. 3,4)

აქტივობა1. გავიხსენოთ (წინარე ცოდნა)

გაიხსენეთ, როგორია წიგნის შიდა გვერდი (მოცემულია ნახატი და ტექსტი), ნახატი ასახავს მონათხრობ ამბავს? გაიხსენეთ, დანომრილია თუ არა გვერდები. სად წერია ტექსტი? როგორ მიხვდეს მკითხველი, რომელი ტექსტისაა ესა თუ ის ნახატი?

აქტივობა 2. წიგნის ერთი გვერდის შედგენა
პირველ 2-3 მასალას ამზადებენ მასწავლებლის დახმარებით. მოგვიანებით მოსწავლეები დამოუკიდებლად შეარჩევენ წიგნის მასალას.

1. გადაშალეთ სახატავი რვეულის შემდეგი ცარიელი ფურცელი. თქვენ მასში შექმნით თქვენი წიგნის მომდევნო გვერდს;
2. შეუდექით მომდევნო გვერდის შექმნას გავლილი მასალის გამოყენებით;
3. გაიხსენეთ: რა ხდებოდა დაჩის სკოლაში; დაჩი და მისი მეგობრები როგორ თამაშობენ ეზოში;
4. თქვენ მოცემული გაქვთ წინადადებების კალათი (ყუთი). წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ის, რასაც თქვენს წიგნში გამოიყენებთ; ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. ბავშვებს მოეწონათ სპექტაკლი „ტყის ზღაპარი“. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.
5. შერჩეული წინადადებების მიხედვით დახატეთ ან გააფერადეთ და გამოჭერით, ან აარჩიეთ ნახატი და გამოჭერით;
6. გადაანაწილეთ ისინი ფურცელზე;
7. თქვენ მიერ შერჩეული წინადადებები დააწებეთ შესაბამისი ნახატის ქვეშ;
8. რომელ წინადადებასაც არ გამოიყენებთ დააბრუნეთ ყუთში;
9. არ დაგავიწყდეთ, რომ წინადადებებს შორის გამოტოვოთ მანძილი; წინადადებების ბოლოს დასვით წერტილი;
10. კალათში (ყუთში) არის შემდეგი წინადადებები: გაითვალისწინე, ერთ ნახატთან შეიძლება 2-3 წინადადებაც გამოიყენო;
11. წინადადებები დააწებეთ თავის ნახატთან ახლოს;
12. დაფიქრდი, რამეს ხომ არ შეცვლიდი.

აქტივობა 3. წარუდგინე შენი ნამუშევარი კლასს

ისაუბრე:

- რა დახატე, როგორ დახატე და რა დაწერე;
- რის შემდეგ რა გააკეთე;
- როგორ გააფორმე წიგნის გვერდი, როგორ შექმენი ნახატები;
- როგორ შეიტანე წიგნში ტექსტი.

კითხვები:

- მოგწონს თუ არა შენი წიგნის ახალი გვერდი?
- შენი ნამუშევრიდან რა მოგწონს ყველაზე მეტად?
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

რესურსები: სახელმძღვანელოს საკითხავი პატარა მოთხრობები, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, გამოსაჭრელი ან გასაფერადებელი ნახატები, წინადადებების კალათი, ელექტრორესურსები, თუკი ბუკში ეწყობა წიგნი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი -** მოთხრობა. დედააზრი, პერსონაჟი; ტექსტის გაგების სტრატეგიები კითხვის სტრატეგიები	**საკითხი: მოთხრობის „ფისო ცაცას მეგობრები“** პერსონაჟ ფისო ცაცას დახასიათება. **ქვესაკითხები:** მოთხრობა „ფისო ცაცას მეგობრების“ პერსონაჟ ფისო ცაცას დედააზრი; გარეგნობა, ქცევა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; ტექსტის გაგების სტრატეგიები, კითხვის სტრატეგიები **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? რა ხერხების გამოყენებით დავახასიათო ფისო ცაცა? **კომპლექსური დავალება. პერსონაჟის დახასიათება** ➢ წაიკითხე მოთხრობა ლ. ვაშაკიძის „ფისო ცაცას მეგობრები“, შეავსე ქვემოთ მოცემული სქემა და მასზე დაყრდნობით ზეპირად დაახასიათე ფისო ცაცა.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე: • როგორია ფისო ცაცა - რა თვისებები აქვს მას, სად, როდის და როგორ ვლინდება ეს თვისებები (ტ. 1, 2); • როგორია პერსონაჟი დასაწყისში, როგორია მოთხრობის ბოლოს - რამდენად იცვლება ან არ იცვლება იგი (ტ. 1); • ფისო ცაცას რომელი თვისება მოგწონს ან არ მოგწონს? რატომ? (ტ.1) რისი თქმა უნდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ. 1, 3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?
რისი შესწავლა დაგვჭირდება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის უკეთ გასაგებად (ტ.3), როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები პერსონაჟ ფისო ცაცას ფიქრების, განცდების, ემოციების ამოსაცნობად?

ქვესაკითხები: ტექსტის გაგების, კითხვის სტრატეგიები; მთავარი პერსონაჟის „ფისო ცაცას“ ქცევა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; მოთხრობის დედააზრი.

რესურსები/აქტივობები
აქტივობა 1. წინარე ცოდნის შემოწმება
მოდით გაიხსენეთ, რა იცით კატის შესახებ. როგორი ცხოველია კატა?
რატომ ეძახიან მას შინაურს?
რომელ ცხოველს გვაგონებს კატა თავისი გარეგნობით? შეგიძლიათ აღწეროთ?
რა ჰქვია მის ნაშიერს?
როგორი კუდი აქვს კატას? როგორი - თვალები? რა აქვს თათებზე?
რა უყვარს კატას? რითი იკვებება ის?
რომელ ცხოველს ემტერება კატა?
რომელ შინაურ ცხოველთან უჭირს ურთიერთობა?
შენ თუ გიყვარს კატები? გყავს ან გინდა, რომ გყავდეს კატა?
აქტივობა 2. ტექსტის სათაურისა და ილუსტრაციის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა.
რესურსი 1. მოთხრობა „ფისო ცაცას მეგობრები“.
აქტივობა 3. რამდენიმე ეპიზოდის მოსმენა, ვარაუდების გამოთქმა მოთხრობის შესაძლო შინაარსთან დაკავშირებით.
ეპიზოდი 1. დადგა სექტემბერი....
ეპიზოდი 2. როცა ძალიან მოიწყენდა კედელზე ხატავდა იმ ფერადი ცარცით, რომელიც გოგონას ეზოში დარჩა...
ეპიზოდი 3. ასე გაჰყავდა დღეები. ერთხელ...
აქტივობა 4. უცნობ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა.
აქტივობა 5. კითხვა-პასუხი ტექსტის შინაარსისა და დედააზრის აღმოსაჩენად.
რას გეუბნებათ ეს სათაური, ილუსტრაცია? რის შესახებ იქნება მოთხრობა? (აქტ. 2)
თქვენი აზრით, რა მოჰყვებოდა სექტემბრის დადგომას? როგორ გაგრძელდება ეს ამბავი? გამართლდა თქვენი ვარაუდი?
ივარაუდეთ, რას დახატავდა მოწყენილი ფისო?
ნამდვილად ასე მოხდა? გამართლდა თქვენი ვარაუდი?
ივარაუდეთ, რა მოხდა ერთხელ?
სინამდვილეში რა მოხდა? გამართლდა შენი ვარაუდი? (აქტ.3)
როგორ გამოიყურებოდა ფისო ცაცა? ფუმფულა? იცით რას ნიშნავს „**ფუმფულა“?**
რომელი სიტყვით შეგვიძლია სიტყვა ფუმფულას შეცვლა? (ფაფუკი)
თქვენი აზრით, რას ნიშნავს სიტყვა „**ჭირვეული**“? როგორ ადამიანზე იტყვიან ჭირვეულიაო?
ტექსტში ვკითხულობთ: **„გოგონამ მოხიბლა ჭრელი კატა“.** იცით, რას ნიშნავს სიტყვა **„მოხიბლა“?**
დააკვირდით, როგორ გრძელდება ტექსტი: „იგი მისი საუკეთესო მეგობარი გახდა“. ე.ი. რა ყოფილა ვინმეს მოხიბვლა?
როგორ გესმით სიტყვა „**ჩამოსკუპება**“ ? რომელი სიტყვით შეგვიძლია მისი შეცვლა? თუ „ჩამოსკუპდებოდას“ ნაცვლად დავწერთ „**ჩამოჯდებოდას**“(ფისო ჩამოჯდებოდა) წინადადების აზრი იგივე დარჩება თუ შეიცვლება?
თქვენ სკოლაში ბევრი მეგობარი გაიჩინეთ. ხომ ვერ მეტყვით, სხვაგვარად როგორ შეგიძლიათ ამის თქმა: „მე ბევრი მეგობარი გავიჩინე“?
ვის შეუძლია თქვას, როგორ წერია ეს ტექსტში? **(მეგობარი შეიძინა)**
მოიფიქრეთ წინადადებები სიტყვების: „ფუმფულა“, „ჭირვეული“, „მოხიბლა“, „ჩამოსკუპდა“ გამოყენებით.
ვინ არის ფისო ცაცა? (აქტ.4)
როდის გაიცნო ფისომ გოგონა?
სად წავიდა სექტემბერში ფისოს მეგობარი გოგონა?
რატომ ესაუბრებოდა ფისო ცაცა თავის დახტულ ცხოველებს?
როგორ შეიძინა ფისომ მეგობრები და მიტოვებულმა სახლმა - მოსახლეები?
როგორ ფიქრობ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი?
რას დააკვირდი, რა დაგეხმარა დედააზრის გაგებაში?
რა გაგახსენა ფისო ცაცას ამბავმა შენი ცხოვრებიდან?
ეთანხმები მოთხრობის დედააზრს?

რატომ არის კარგი მეგობრის ყოლა? შენ გყავს მეგობარი?
როგორია შენი მეგობარი? შენ როგორი მეგობარი ხარ?
აქტივობა 6. საჩვენებელი კითხვა
აქტივობა 7. ერთობლივი კითხვა
აქტივობა 8. პერსონაჟის რუკაზე მუშაობა (ზეპირად)
რესურსი 2. პერსონაჟის რუკა
როგორი გარეგნობა ჰქონდა ფისო ცაცას? (იყო ლამაზი, ფუმფულა, ვეფხვივით ზოლებით)(აქტ.5)
რომელი თვისებები ჰქონდა ფისოს? (იყო 1. ჭირვეული - არავის ეკარებოდა;
2. ერთგული - ციცუნიას ეუბნებოდა: ნუ გეშინია, მე შენ არასდროს მიგატოვებო;
3. მეგობრული - დახატა ცუგა, ფისო, წიწილა, ბატის ჭუკი და ციცქნა კნუტი,.... ამბობდა, ესენი არიან ჩემი მეგობრებიო.
4. მგრძნობიარე - ფისო ცაცას ისე ეტკინა გული, რომ იმ უბნისკენ აღარც გაუხედავს.

საიდან გაიგე, რომ ფისო ჭირვეულია, ტექსტში ეწერა თუ მიხვდი?
ტექსტში ამოიკითხე, რომ ფისო მგრძნობიარე და ერთგულია? მაშ, როგორ მიხვდი ?



აქტივობა 9. იდეების ორგანიზება
შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში
პერსონაჟის დახასიათებაზე დამოუკიდებლად მუშაობა
პრეზენტაცია
კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.
ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით?
რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?
აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:
რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
გასაგები იქნება თუ არა შენი პერსონაჟის დახასიათება მკითხველისთვის?
აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:
რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**

სიტყვა, წინადადება, ტექსტი(სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები:** თხრობა, თხრობის მახასიათებლები	**საკითხი:** ამბის შეთხზვა ბიჭზე, რომელმაც კითხვა ისწავლა; **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევთხზა ამბავი ბიჭის შესახებ, რომელმაც ისწავლა კითხვა და აიხდინა ოცნება? როგორ დავწერო ისე, რომ შთაბეჭდილება მოვახდინო მკითხველზე/მსმენელზე? **ქვესაკითხი:** შეთხზული ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ვრცელი წინადადებები; **კომპლექსური დავალება: ამბის შეთხზვა - მასწავლებელი - კალამი** ➢ ერთად მოიგონეთ პატარა ამბავი ბიჭის შესახებ, რომელმაც კითხვა ისწავლა. ➢ გამოიყენეთ შესწავლილი სიტყვები, გამოთქმები: ჭირვეული, ჩამოსკუპდებოდა, გული ეტკინა, მეგობრები შეიძინა. მე ტექსტს დაფაზე დავწერ. შემდეგ მას გადავიტანთ დიდ ფურცელზე, ამბავს მოვუფიქროთ სათაური და გავაფორმოთ ილუსტრაციებით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** ნამუშევარში წარმოვაჩინოთ: • რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 1, 3); • ამბის დეტალები (ს.2); • მრავალფეროვანი და საინტერესო სიტყვები (ს.2); • რომელი წინადადებების/ეპიზოდის წაკითხვა შეგიძლია გამოთქმით (დ.4).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

- ერთად დავწეროთ ამბავი ბიჭზე, რომელსაც ძალიან უნდოდა კითხვის სწავლა, თქვენ მიკარნახებთ, მე დავწერ - ყველანი ვიქნებით ამ ამბის ავტორები, დავასურათებთ, წიგნად ვაქცევთ და ვისწავლით მის წაკითხვას.
- ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?
- დაფიქრდით, რა დაგეხმარებათ ამბის შეთხზვაში?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); მრავალფეროვანი სიტყვები და ვრცელი წინადადებები (ს.2); ამბის სხვადასხვა დეტალი (ს.2).

ქვესაკითხები: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); მრავალფეროვანი სიტყვები.

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. მოსწავლეთა მოფიქრებული და მასწავლებლის დაწერილი ტექსტი.

აქტივობა 1. ორსიტყვიანი წინადადებების გავრცობა ათსიტყვიან სახალისო წინადადებად, მაგალითად, ამოსავალი წინადადება: დაჩი კითხულობს.

(გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: გახარებული და კმაყოფილი დაჩი თავის საყვარელ წიგნს ოთახში ხმამაღლა კითხულობს.)

აქტივობა 2. იდეების გენერირება

აქტივობა 3. ერთობლივი წერა

აქტივობა 4. ტექსტის ერთობლივად გაუმჯობესება

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ განვავრცოთ წინადადება? **(აქტ.1**).
- სად შეიძლება კითხულობდეს დაჩი? (ოთახში, სკოლაში, ბიბლიოთეკაში, ეზოში, პარკში)
- როგორი შეიძლება იყოს დაჩი/როგორ შეიძლება გრძნობდეს ის თავს? (მაგ., ბედნიერი, კმაყოფილი, გახარებული)
- რას შეიძლება კითხულობდეს დაჩი? (მაგ., საყვარელ წიგნს, საინტერესო ჟურნალს, საბავშვო გაზეთს, მეგობრის წერილს, გამაფრთხილებელ აბრას...)
- როგორ შეიძლება კითხულობდეს დაჩი? (მაგ., ჩუმად, ხმამაღლა, სიამოვნებით, ინტერესით, ყურადღებით)
- რით იწყებოდეს ამბავი? **(აქტ.2)**
- რა ნატვრა ჰქონდა დაჩის ვიდრე კითხვას ისწავლიდა?
- ვის ელოდებოდა/სთხოვდა ბიჭი, რომ დრო გამოენახათ და მისთვის წიგნები ეკითხათ?
- სტკიოდა ბიჭს გული, რომ მიუხედავად სურვილისა, ხშირად ვერ იცლიდნენ მისთვის მშობლები?
- რით იყვნენ ისინი დაკავებულები? რას საქმიანობდნენ? რატომ ბრუნდებოდნენ შინ გვიან?
- როგორ ცდილობდა დაჩი თვითონ ესწავლა კითხვა? სად/ვისთან ჩამოსკუპდებოდა ხოლმე დაჩი და ეკითხებოდა, რა ერქვა ამა თუ იმ ასოს? (მაგ., ბებოსთან, უფროს მეგობრებთან, რომლებიც მეზობლად ცხოვრობდნენ)
- რა უყიდეს მას მშობლებმა ანბანის შესასწავლად?
- რატომ გაუხარდა დაჩის სექტემბრის დადგომა? სად წავიდა ის?
- ვინ დახვდა ბიჭს სკოლაში? როგორ შეხვდა მასწავლებელი? როგორი მეგობრები შეიძინა დაჩიმ?
- რამდენი ასო უნდა შეესწავლა დაჩის, რომ წაეკითხა წიგნები? როგორ ისწავლიდა ის სკოლაში?
- რა რეაქცია ექნება ბიჭს, როდესაც თვითონ წაიკითხავს სასურველ წიგნს?
- როგორ დასრულდება ამბავი?
- როგორ შეიძლება უკეთ ჩამოვაყალიბოთ ეს წინადადება? (ა**ქტ. 3, 4)**
- როგორ განვავრცოთ ეს წინადადება? ხომ არ დავამატოთ აქ რამე დეტალი?
- ასე ამბობენ? როგორ უნდა ითქვას?
- რამე ხომ არ არის ზედმეტი?

ნაბიჯი 2. როგორ წაიკითხე ტექსტი/ეპიზოდი - გამოიყენე თუ არა ინტონაცია, დაიცავი თუ არა პაუზები ? ს. 3; დეკ. 4); რა ხერხი/სტრატეგიები გამოიყენე კითხვაში გასაწაფად (დეკ. 4).

ქვესაკითხი: გაწაფული კითხვა

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1: ერთად შეთხზული და მასწავლებლის მიერ დაწერილი ამბავი.

აქტივობა 1. შეთხზული ამბის ერთობლივი წაკითხვა მისი ვარიაციებით (ერთობლივი კითხვა, ექოდ კითხვა, ქოროში კითხვა).
აქტივობა 2. ტექსტის ერთ-ერთი წინადადების აწყობა მოძრავი ანბანით.
აქტივობა 3. სიტყვების მოძებნა და ბუკში დაბეჭდვა ინსტრუქციის მიხედვით, მაგ.: ბუკში აკრიფე ხუთასოიანი სიტყვები; აკრიფე სიტყვები, რომლებშიც ერთი „ჭ“ „ჟ“ ან „ჰ“ ასოა და სხვა.
აქტივობა 4. ილუსტრაციისა და წარწერის მომზადება (შეიძლება აკრეფილი ვერსიის ამობეჭდვაც)
აქტივობა 5. შერჩეული ეპიზოდის წაკითხვაში ვარჯიში მეწყვილესთან ერთად.
აქტივობა 6. ერთი ეპიზოდის გამომსახველობით წაკითხვა აუდიტორიის წინაშე.

გეზისმიმცემი კითხვები:

- ვის რომელი ეპიზოდის დახატვა უნდა? (აქტ.4)
- ვის რომელი პერსონაჟის დახატვა უნდა?
- როგორ დაასათაურებ შენს ნახატს? როგორ აკრეფ ბუკში? რომელი ასო იცი, რომელი არა?
- შეფერხებებით კითხულობ თუ შეუფერხებლად? (აქტ. 5)
- რომელ სიტყვებში დაუშვი შეცდომები?
- გაითვალისწინე წერტილები? დაიცავი პაუზები წინადადებების ბოლოს?
- რამდენად წარმოაჩინე ინტონაციისა და მიმიკის გამოყენებით მთხრობელის გრძნობა ან განწყობა? (აქტ.5)
- რამდენად დაიცავი პაუზები და მახვილები?

როგორ მოიქცევი, რომ გააუმჯობესო ამ ტექსტის /ეპიზოდის წაკითხვა?

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში

- **ნამუშევრების წარდგენა**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- გასაგები იქნება თუ არა თქვენი შეთხზული ამბავი/ შენი წაკითხული ეპიზოდი მკითხველისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

დანართი N1

სიტყვათა ჩამონათვალი ლექსიკური სავარჯიშოსათვის:

ჟ - ჟანგი, ჟანგბადი, ჟაკეტი, ჟანდარმი, ჟირაფი, ჟილეტი, ჟიური, ჟოლო, ჟურნალი, ჟურნალისტი, ჟინი, ჟეტონი, ჟასმინი, ჟუნჟრუკო.

ჭ - ჭადარი, ჭადრაკი, ჭავლი, ჭალა, ჭანჭიკი, ჭაობი, ჭარხალი, ჭაღი, ჭერამი, ჭერი, ჭიგო, ჭია, ჭიაყელა, ჭილოფი, ჭინკა, ჭინჭარი, ჭირნახული, ჭიშკარი, ჭკუა, ჭოტი, ჭორი, ჭუკი, ჭრიჭინა, ჭურჭელი, ჭური.

ჰ - ჰაერი, ჰავა, ჰალვა, ჰალსტუხი, ჰერცოგი, ჰიმნი, ჰოროლი, ჰორიზონტი, ჰოსპიტალი.

ფონეტიკური სავარჯიშოები

სარდალი - სარდალი	შლამი - შლამი	ნერვი - ნერვი
სარდალი - სარდალი	შლამი - ხლამი	ნერგი - ნერგი
სარდალი - სანდალი	ხლამი - შლამი	ნერგი - ნერვი
სარდალი - სარდალი	ხლამი - ხლამი	ნერვი - ნერვი

სანდალი - სანდალი	შლამი - ხლამი	ნერგი - ნერვი
სანდალი - სარდალი	შლამი - შლამი	ნერგი - ნერგი.

დანართი 2. იხ. მოსწავლის რვეულში. რვეულის არქონის შემთხვევაში მოცემული გვერდი გადააქსეროქსეთ, დაჭერით საჭირო რაოდენობით და დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნის პირველი გვერდის შესაქმნელად. წინადადებათაგან მოსწავლე თვითონ შეარჩევს მისთვის სასურველ ამბავსა და ფრაზებს:

ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.	ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.
ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.	ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.
ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.	ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.
ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.	ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.
ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.	ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.

ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.	ია და დაჩი თეატრში წავიდნენ. ფარდა გაიხსნა, აჟღერდა მუსიკა. სცენაზე ტყე იყო, ტყეში ჟირაფი იდგა. დაჩიმ კითხვა ისწავლა. მან „ფისო ცაცას მეგობრები“ წაუკითხა იას. დაჩი კიდევ ბევრ წიგნს წაიკითხავს.

კოდირება-დეკოდირების სადიაგნოსტიკო მასალა №6

ყურადღებით წაიკითხე და შეასრულე დავალება

მასწავლებელმა ბავშვები ცირკში წაიყვანა. ბავშვებს ყველაზე მეტად ჯამბაზი პეპე მოეწონათ. პეპეს ყვითელი თმები, წითელი ცხვირი და წითელი ტუჩები ჰქონდა. განიერი ლურჯი შარვალი და მწვანე პერანგი ეცვა. ფეხზე ლამაზი წითელი წაღები ეცვა.

მეორე დღეს ბავშვებმა ჯამბაზი პეპე დახატეს. გააფერადე ნახატი ზუსტად ისე, როგორიც იყო პეპე:

ანბანის შემდგომი პერიოდი

ანბანის შემდგომი პერიოდისათვის ინფორმაცია მოცემული თითოეული თემის ბოლოს მოსწავლის სახელმძღვანელოში

<table>
<tr><td colspan="3">თემა N1: სწავლის მნიშვნელობა
საათების სავარაუდო რაოდენობა: 8სთ</td></tr>
<tr><td colspan="3">თემაში გამოყენებული ტექსტები: ი. ევდოშვილის „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი! “, „დილა ჩვენს ეზოში“, ნინო ნაკაშიძის „ჩიტის ბუდე“ გვ. 69-73.</td></tr>
<tr><td colspan="3">სხვა რესურსები:
საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 53-57.
ბადიან სივრცეში სამუშაო მასალა: ზ, თ, ო, კ, ვ.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">საკითხები</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებები</td><td>1. საკითხი
პოსტერის შექმნა შესწავლილი ტექსტების - „დილა ჩვენს ეზოში“ და „ჩიტის ბუდე“ - დედააზრის წარმოჩენის მიზნით.</td><td>ამბის შეთხზვა იმაზე, თუ როგორ დაეხმარა დაჩი ბეღურას ზამთარში</td></tr>
<tr><td>ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

ქვეცნებები:
მხატვრული ჟანრი- მოთხრობა,
თემა, იდეა,
ძირითადი საკითხი;

არამხატვრული ჟანრი-პოსტერი;
ტექსტის გაგების სტრატეგია;
კოდირება-დეკოდირება (შედეგები I 2,4, 6)

ქვეცნება:
დაწერილი ასო</td><td>ქვესაკითხები:
მოთხრობების „დილა ჩვენს ეზოში“ და „ჩიტის ბუდე“ მთავარი იდეა/დედააზრი, პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია, ახალი სიტყვები; პოსტერის მახასიათებლები;

ქვესაკითხები:
ასოს მოხაზულობის პრინციპი და წერის მიმართილება; (ელექტრორესურსის გამოყენება) ბადეში მუშაობა; ასოების ს, ხ, ზ, თ, ო, წერა ბადიან სივრცეში.</td><td></td></tr>
<tr><td>სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I). 4, 5, 6)

ქვეცნება: თხრობა</td><td></td><td>ქვესაკითხები:
მოგონილი ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები;</td></tr>
<tr><td></td><td>კომპლექსური დავალება 1.
მკითხველის პოსტერი</td><td>კომპლექსური დავალება 2.
ამბის შეთხზვა</td></tr>
</table>

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი-მოთხრობა, არამხატვრული ჟანრი-პოსტერი ტექსტის შინაარსობრივი მხარე, დედააზრი, გაგებისა და წერის სტრატეგიები	**საკითხი** - პოსტერის შექმნა შესწავლილი ტექსტების „დილა ჩვენს ეზოში“ და „ჩიტის ბუდე“; დედააზრის წარმოჩენის მიზნით; **ქვესაკითხი** - მოთხრობების „დილა ჩვენს ეზოში“ და „ჩიტის ბუდე“ მთავარი იდეა/დედააზრი, პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია, ახალი სიტყვები; პოსტერის მახასიათებლები **საკვანძო შეკითხვები** • რა ხერხები, რა სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? • როგორ შევქმნა მოთხრობების: „დილა ჩვენს ეზოში“ და „ჩიტის ბუდე“ დედააზრის გამომხატველი პოსტერი? **კომპლექსური დავალება:** მკითხველის პოსტერი: „ხელს ნუ ახლებთ ჩიტის ბუდეს“ ➢ ნიკოს და ელოს მაგალითზე გაიხსენე, რა დანაშაულს სჩადიან ადამიანები ფრინველებისა და ცხოველების მიმართ; ➢ შექმენი გამაფრთხილებელი პოსტერი ადამიანებისაგან ცხოველების დასაცავად. ➢ გამოკვეთე პოსტერის მთავარი აზრი, დაუკავშირე იგი ილუსტრაციებსა და წარწერებს. გამოიყენე სხვადასხვა ზომის ფერადი ასოები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>** • რატომ გგონია, რომ შენი ნამუშევარი პოსტერია; • რით უკავშირდება ერთმანეთს შენი პოსტერი და შესწავლილი ნაწარმოებების დედააზრი; • რატომ ფიქრობ, რომ ყურადღებას მიაქცევენ შენს პოსტერს.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- თქვენი აზრით, რატომ არის საჭირო სწავლა?
- რაში დაგეხმარებათ სიბეჯითე და ცოდნის შემენა?
- საჭიროა თუ არა ბუნების მოფრთხილება? რატომ?
- როგორ გგონიათ, უკვე იცით როგორ უნდა მოუფრთხილდეთ ბუნებას (ცხოველებს, ფრინველებს) თუ ჯერ კიდევ ბევრი რამის სწავლა და გაგება გჭირდებათ?
- დაგხმარებიათ მიღებული ცოდნა სწორი გადაწყეტილების მიღებაში?

აქტივობა 2. პოსტერის ამოცნობა მისი მახასიათებლების მიხედვით

- გაიხსენეთ, რა არის პოსტერი? როგორი უნდა იყოს ის?
- როგორ უნდა შეირჩეს მისთვის ნახატები? როგორი წარწერები უნდა ჰქონდეს პოსტერს? სჭირდება თუ არა სათაური? როგორი ასოებით წერენ პოსტერზე?

აქტივობა 3. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რატომ თვლით, რომ თქვენი ნამუშევარი პოსტერია(ტ. 3); რით, რა საშუალებებით, რა მინიშნებით გამოხატავს შენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების მთავარ აზრს (ტ. 1,2); რა ვიზუალური ეფექტები გამოიყენე სათქმელის გამოსაკვეთად (ტ.3).

ქვესაკითხები: ახალი სიტყვები, ტექსტის დედააზრი; პოსტერის მახასიათებლები. ტექსტის გაგების სტრატეგიები.;

ი. ევდოშვილის ლექსი „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“

რესურსი 1. ი. ევდოშვილის ლექსი „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი“

აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა.
აქტივობა 2. ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენა.
აქტივობა 3. ლექსის „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“ მოსმენა. (მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა)
აქტივობა 4. მოსწავლეები ლექსს კითხულობენ გუნდურად.
აქტივობა 5. კითხვებზე პასუხი. ლექსის დაზეპირება სახალისო აქტივობებით (მაგ., ბოხი და წვრილი ხმით ლექსის გადმოცემა, შეიძლება მელოდიაც მოიფიქრონ და სიმღერით დაისწავლონ ლექსი).

აქტივობა 6. სიტყვებით: მზე, სხივი, ფანჯარას, სტყორცნა, ბავშვები, სკოლა, მიდიან - წინადადებების შედგენა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რაზე მიგანიშნებს ტექსტის სათაური? **(აქტ.1)**
- რით უკავშირდება სათაური და ილუსტრაცია შენს ცოდნა-გამოცდილებას?
- რა შეგიძლია ივარაუდო მასზე დაყრდნობით ტექსტის შესახებ?

- რას ხედავთ ფანჯარაში? **(აქტ. 2)**
- როგორია მზე? რატომ ფიქრობთ ასე?
- მზიან დილით როგორ გვაღვიძებს მზის სხივები?
- როგორ გესმით „სტყორცნა“? განასახიერეთ ეს მოქმედება.
- თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს „სამუშაოდ ეშურება“? როგორ წავლენ სამუშაოდ, რომ არ დააგვიანდეთ? მიდიან თუ მიიჩქარიან?
- რას ნიშნავს „მარდად“? რომელია ამ სიტყვის საპირისპირო სიტყვა? თქვენ როგორ მიდიხართ სკოლაში? მარდად თუ ნელა, ზლაზვნით?
- როგორი დილა გათენდა?**(აქტ. 5**)
- რისთვის უხმობენ ბავშვები ერთმანეთს?
- როგორი ბავშვები არიან ისინი? რატომ ფიქრობთ ასე?
- ლექსის მიხედვით, რა სჭირდებათ სკოლაში ბავშვებს?
- თქვენ როგორი განწყობით მოხვედით სკოლაში? რატომ?
- ახლა როგორია თქვენი განწყობა სკოლის მიმართ? რატომ?

დილა ჩვენს ეზოში

რესურსი 1. მოთხრობა „დილა ჩვენს ეზოში ”

აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა.

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა. წაკითხულის გააზრება.

რესურსი 2. სქემა „სიტყვის პირამიდა“.



სიტყვა: ***ჭადარი***
სიტყვის განმარტება
• რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია ამ სიტყვაში • წინადადება ტექსტიდან, რომელშიც ეს სიტყვაა • შენ მიერ მოფიქრებული წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რაზე მიგანიშნებს ტექსტის სათაური? **(აქტ.1)**
- რით უკავშირდება სათაური და ილუსტრაცია შენს ცოდნა-გამოცდილებას?
- რა შეგიძლია ივარაუდო მასზე დაყრდნობით ტექსტის შესახებ?
- რას აკეთებს დაჩი ყოველ დილით? **(აქტ.2**)(სკოლაში მიიჩქარის)
- ხომ არ გახსოვთ სიტყვის „მიიჩქარის“ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა? (ეშურება)
- რა აინტერესებს ბეღურას?
- რას ესაუბრება ბეღურა? ჭადარს
- თქვენი აზრით, რა არის ჭადარი?

- მოთხრობის მიხედვით, სად დგას ჭადრის ხე?
- თურმე რატომ დადის დაჩი სკოლაში?
- ვის რითი გაახარებს დაჩი?
- რისი იმედი აქვს ჭადრის ხეს?
- როგორ გესმით „ბეღურა ადგილს მოსწყდა“? თქვენი აზრით, რა გააკეთა ბეღურამ?
- რა დაინახა ფანჯარაზე დასკუპებულმა ბეღურამ?
- რას კითხულობდა წიგნში დაჩი?
- როგორ ფიქრობთ, გამოადგებათ ბავშვებს იმის ცოდნა, რომ ბუნებას მოვლა სჭირდება? რატომ?

ვინ არიან ამ ტექსტის პერსონაჟები?

- დაჩის რა თვისება ჩანს ამ ტექსტიდან? ამოიკითხე ადგილი მოთხრობიდან
- რას ფიქრობთ, ვინ ასწავლის დაჩის ბუნების სიყვარულს და მასზე ზრუნვას?
- თქვენი აზრით, რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ მოთხრობით ? რატომ უნდა ვისწავლოთ კარგად?
- ვის გამოადგება თქვენი ცოდნა?

აქტივობა 4. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა

აქტივობა 5. ექოს ტიპის კითხვა

აქტივობა 6. მოსწავლეები ინაწილებენ ტექსტს და კითხულობენ როლებში

ჩიტის ბუდე

რესურსი 1: ნ.ნაკაშიძის მოთხრობა: „ჩიტის ბუდე“.

აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით.

აქტივობა 2._ტექსტის „ჩიტის ბუდე“ პაუზებით კითხვა და ანალიზი.

- გინახავთ ჩიტის ბუდე? სად გინახავთ? როგორ მოექეცით მას? (აქტ.1)
- ხომ ვერ შეძლებთ ივარაუდოთ მოთხრობის შინაარსი სათაურისა და ილუსტრაციების მიხედვით? რატომ იფიქრეთ ასე?
- როგორ ფიქრობ რა მოხდება? რას უზამენ ბავშვები ბუდეს? რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი? (აქტ.2)
- რა მოხდა სინამდვილეში?
- თქვენი აზრით, ბარტყებს მოეწონებათ ბავშვებისგან ასეთი მზრუნველობა? რა გამოცდილებას დაეყრდენი?
- რა გაირკვა მოთხრობის ამ ეპიზოდში?
- როგორ ფიქრობთ, რას ურჩევს მამა ბავშვებს? რატომ ფიქრობ ასე?
- სინამდვილეში რა მოხდა მოთხრობის ამ ეპიზოდში?
- რას იზამენ ბაშვები? დაუჯერებენ მამას?
- რა მოხდა სინამდვილეში?
- როგორ მოგეწონათ მოთხრობის დასასრული?

აქტივობა 3. ახალ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა; ახალი სიტყვებით /შესიტყვებებით წინადადებების მოფიქრება.;

აქტივობა 4. იპოვეთ ზედმეტი სიტყვა:

ჭუკჭუკებს, ჭიკჭიკებს, ჭყივის, მღერის,ჭყიპინებს, წივწივებს, კრიახებს, ჭახჭახებს, ყრანტალებს, ჟივის - რით გამოირჩევა ეს სიტყვა სხვებისგან?

ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- **ჩასხეს** - რას ნიშნავს **„ჩასხეს**“? როგორ მიხვდი? რა დაგეხმარა სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობაში? როგორ იტყოდით ერთი ჩიტის შემთხვევაში? შეადგინეთ 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით (აქტ.3)
- **იპოვნეს** - როგორ იტყოდი სხვაგვარად ამ სიტყვას? შეადგინეთ 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.
- **ტიტველი** - სხვაგვარად როგორ იტყოდით? რატომ იყვნენ ტიტვლები ბარტყები? ადამიანის შემთხვევაშიც თუ შეიძლება გამოვიყენოთ ეს სიტყვა? კიდევ რა შეიძლება იყოს შიშველ-ტიტველი?
- **გვეცოდება, ეფერებოდნენ** - გაიხსენეთ მოცემული სიტყვების მნიშვნელობით მსგავსი სიტყვები
- რომელი სიტყვაა ზედმეტი? რატომ? რისი ხმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები მოისმინეთ? (აქტ.4)

აქტივობა 5. ვარჯიში გაწაფულად წაკითხვაში, მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა, ერთობლივი კითხვა, კითხვა აბზაცებით, გაგრძელებით.

აქტივობა 6. დავალება სრულდება მასწავლებლის დახმარებით. მოსწავლეების მიერ მოფიქრებული სიტყვებით დაფაზე ივსება დაკარგული სიტყვების ცხრილის პირველი სვეტი.

სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასში მოცემული სიტყვებით შეივსება დაკარგული სიტყვების ცხრილის მეორე სვეტი.

რესურსი 2: დაკარგული სიტყვების ცხრილი

(სიტყვებდაკარგული ტექსტით და ცხრილით)

ნიკომ და ელომ ბუჩქებში 1.------- ბუდე იპოვეს. ბუდეში ოთხი პატარა, სულ ტიტველი 2.-------- იჯდა. გახარებულმა ბავშვებმა ბარტყები ამოსხეს და შინ მიიყვანეს. 3.------- კოლოფში ბამბა და შიგ ჩასხეს;

გეზისმიმცემი კითხვები:

- რომელი სიტყვები შეარჩიე გამოტოვებულ ადგილას ჩასასმელად?
- რამ მიგახვედრა რომ ეს სიტყვა ჩაგესვა?
- დაემთხვა თუ არა შენ მიერ ჩასმული და ტექსტის სიტყვები ერთმანეთს?

რესურსი 3. საყრდენი ჩარჩო თხრობითი ტექსტების დასამუშავებლად.

აქტივობა 7. საყრდენ ჩარჩოზე დაყრდნობით ტექსტის დამუშავება.

საყრდენი ჩარჩო თხრობითი ტექსტების დასამუშავებლად		
დასაწყისი	მოქმედების დრო	როდის ხდება მოქმედება?
	მოქმედების ადგილი	სად ხდება მოქმედება?
	მთხრობელი	ვინ ჰყვება ამბავს/ვინ არის ამბის მთხრობელი? (მაგ., ავტორი, ერთ-ერთი პერსონაჟი)
	პერსონაჟი 1.	როგორები არიან ნიკო და ელო? - როგორი წარმოდგენა ჩამოგიყალიბდათ მათზე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?
	სხვა პერსონაჟები	არიან თუ არა სხვა პერსონაჟები?
შუა ნაწილი (ამბის განვითარება)	მოვლენა /ეპიზოდი 1.	რა მოხდა? (ნიკომ და ელომ ჩიტის ბუდე იპოვეს....) როგორ დაახასიათებთ ნიკოს და ელოს ამ ეპიზოდის მიხედვით?
	მოვლენა / ეპიზოდი 2.	• რა მოხდა? (ნიკომ და ელომ არ იცოდნენ, როგორ დაემშვიდებინათ ჩიტები....) • რას გვეუბნება ეს ეპიზოდი პერსონაჟი ბავშვების შესახებ? რომელი დეტალი იყო საგულისხმო? რატომ დაუშვეს შეცდომა? • რომელ ახალ პერსონაჟებს ვხვდებით? • კიდევ რომელი პერსონაჟი გამოჩნდა? • რა ურჩია მან ბავშვებს?
დასასრული		• რით დასრულდა ამბავი? (როგორ მოიქცნენ ნიკო და ელო? რას უთვალთვალებდნენ ბავშვები? როგორი ბავშვები იყვნენ ნიკო და ელო?)

- დააკვირდით, როგორაა აგებული მოთხრობა, რა ნაწილებისგან შედგება ?

აქტივობა 8. წაკითხული ნაწარმოებების მიხედვით იმსჯელე:

- როგორ მოიქცნენ ბავშვები? რა მოგეწონათ, რა არ მოგეწონათ მათ საქციელში?
- ასე მოიქცეოდნენ ნიკო და ელო, რომ ჰქონოდათ ცოდნა ჩიტების შესახებ?
- მაინც რა შეცდომა დაუშვეს მათ? რატომ? რა არ იცოდნენ ნიკომ და ელომ ?
- ნიკოს, ელოს და კიდევ სხვა ბავშვებს შენ რას ურჩევდი?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ამ ბავშვების ადგილზე? რა დაგეხმარებოდათ შეცდომის თავიდან არიდებაში?

რომელი მოთხრობები გაგახსენათ ცხოველებსა და ფრინველებზე, მათ ნაშიერებსა და მათ დედაშვილურ სიყვარულზე, ახლა წაკითხულმა ტექსტებმა? (ნესტან კუპრავას „ჰყავს“)

რა გასწავლათ ამ მოთხრობებმა ისეთი, რასაც გაითვალისწინებთ მომავალში და რის შესახებ სხვებსაც მისცემთ რჩევას?

აქტივობა 9. იდეების ორგანიზება პოსტერის მოსამზადებლად:
გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ, რისი გამოყენებით გააფრთხილებ თანატოლებს,რომ ხელი არ ახლონ ჩიტის ბუდეს, არ დაუნგრიონ ჩიტებს ბუდე, არ ამოსხან ბუდიდან ბარტყები?
- გამოგადგება ამისთვის პოსტერი ?
- რა შინაარსის სურათებს/ ნახატებს და წარწერებს გამოიყენებ პოსტერისთვის?
- რას დააწერ სათაურად?
- რა ზომის წინადადებებს დაწერ პოსტერზე?
- როგორი ასოებით გააფორმებ პოსტერს?
- როგორ დაასათაურებ პოსტერს?

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში

აქტივობა 10. პოსტერზე მუშაობა
ნამუშევრების წარდგენა
კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარისა ხელშესაწყობად:
ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი შექმნილი დავალება არის პოსტერი?
- როგორ დაუკავშირე ტექსტების დედააზრი პოსტერის შინაარსს?
- ტექსტების რომელ ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომის შექმნისას? რატომ?
- რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად?რატომ?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?
აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი თანაკლასელების ნაუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6)	**საკითხი** - ამბის შეთხზვა იმაზე, თუ როგორ დაეხმარა დაჩი ბეღურას ზამთარში, **ქვესაკითხი: მოგონილი ამ**ბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი,

ქვეცნება - თხრობა, თხრობის მახასიათებლები.	დასასრული); ვრცელი წინადადებები, იშვიათად ხმარებული სიტყვები, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები; **კომპლექსური დავალება: ამბის შეთხზვა** ➢ მოიფიქრე და მოჰყევი საინტერესო ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა დაჩი პატარა ბეღურას ზამთარში. ➢ ამბავს შეურჩიე სათაური.
მკვიდრი წარმოდგენები **სამიზნე ცნება:** სიტყვა, წინადადება, ტექსტი; 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი** - (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>თხრობისას:</u>** • რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი; • ამბის დეტალები (მაგ.: სად და როდის ნახა დაჩიმ ბეღურა, როგორი ამინდი იყო, რა ხდებოდა გარშემო, როგორ გამოიყურებოდა ბეღურა და სხვა).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1.
როგორ ახსნით, რა არის ამბავი?

- როგორ მოვყვეთ ამბავი?
- რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარებათ ამბის შეთხზვაში?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
ნაბიჯი 1. წარმოაჩინე, რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 1, 3);
ქვესაკითხი: თხრობის სამნაწილინიანი სტრუქტურა.
რესურსები, აქტივობები
რესურსი 1. თხრობის რუკა

რესურსი 1. თხრობის ჩარჩო

ერთხელ	მერე	ბოლოს
ისაუბრე, სად ნახა დაჩიმ ბეღურა. რას აკეთებდა ბეღურა, რა გააკეთა დაჩიმ.....		ისაუბრე, რა მოხდება, რას გააკეთებენ ბეღურა და დაჩი.....

აქტივობა 1. თხრობის ჩარჩოს შევსება

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- გაგიადვილებთ თუ არა ეს ჩარჩო დავალების შესრულებას? რატომ? როგორ?
- ეს ამბის დასაწყისია თუ შუა ნაწილი? სად ჩავწერო, ჩარჩოს რომელ უჯრაში?
- რით შეიძლება დაიწყოს ამბავი? (აქტ.1)
- სად და როდის ნახა დაჩიმ ბეღურა?
- როგორი ამინდი იყო?
- რა ხდებოდა გარშემო?
- როგორ გამოიყურებოდა ბეღურა?
- რა გააკეთა ბიჭმა ბეღურისთვის?
- რატომ არ წაიყვანა სახლში ფრინველი?
- ვინ დაეხმარა დაჩის?
- როგორ გაატარა ბეღურამ ზამთარი?
- როგორ დასრულდება ამბავი?

როგორ დაასათაურებთ თქვენს ამბავს?

ნაბიჯი 2. გამოიყენე ვრცელი წინადადებები და იშვიათად ხმარებული სიტყვები, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები (ს. 1, 2, 3); გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი. (ს. 2).

ქვესაკითხი: ვრცელი წინადადებები

რესურსები/აქტივობები

აქტივობა 1. იდეების გენერირება

აქტივობა 2. წინადადებების გავრცობა

მაგალითად:

ამოსავალი წინადადება: დაჩიმ ბეღურა ეზოში იპოვა.

გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: კეთილმა, მზრუნველმა დაჩიმ მშიერი და გაყინული პატარა ბეღურა თოვლიან ეზოში იპოვა.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

როგორია დაჩი? (კეთილი, მზრუნველი....) (აქტ.1)

- ბეღურა როგორია? (მშიერი, გაყინული,პატარა...)
- სად იყო ბეღურა? (ეზოში...)
- როგორი იყო ეზო? (თოვლიანი...)
- როგორ განვავრცოთ წინადადება. **(აქტ.2**)
- ხომ არ დავამატოთ აქ რაიმე დეტალი?
- რა ხერხს მიმართავთ იმისთვის, რომ გამოიყენოთ საინტერესო სიტყვები, მრავალფეროვანი, ვრცელი წინადადებები?

აქტივობა 3. **მოსწავლეები ინდივიდუალურად ამზადებენ პატარა ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა დაჩი პატარა ბეღურას გამოზამთრებაში.**

- აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული (რეს.1)

- იყენებ თუ არა საინტერესო სიტყვებს, მრავალფეროვან, ვრცელ წინადადებებს;
- რა არის გასაუმჯობესებელი?

გეზისმიმცემი შეკითხვები

- ვის რა ამბავი გაგახსენდათ იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარე გასაჭირში ჩავარნილ ფრინველს. ცხოველს...? (აქტ. 1)
- კიდევ რას გაიხსენებდით სკოლაში ნასწავლიდან, მულტფილმებიდან, პირადი ცხოვრებიდან?
- როგორ გამოიყენებთ თხრობის ჩარჩოს მოსამზადებლად? რა ხერხებს მიმართავთ იმისთვის, რომ გამოიყენოთ საინტერესო, იშვიათად ხმარებული
- სიტყვები და ვრცელი წინადადებები?
- როგორ გააუმჯობესებთ თხრობას?

ამბის წარმოდგენა

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარისა ხელშესაწყობად:

ახსენი, რაცოდნაშეიძინედაწარმოაჩინეკომპლექსურიდავალებისსაშუალებით:

- რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი?
- რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია)
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი/

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება.

თემა N2: თამაშით სწავლა **საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 სთ**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: „წითელი და მწვანე“, ვ. სუტეევის მოთხრობა **„ტყუპები“** **გვ 74 – 79.**		
სხვა რესურსები: **საკლასო სამუშაოების რვეული გვ 58 - 63;** **ბადიან სივრცეში სამუსაო მასალა: გ, ძ, შ, რ, ჩ, დ.**		
	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** მოთხრობა „ტყუპების“ პერსონაჟების გიგას და გაგას დახასიათება.	**საკითხი 2.** სურათზე დაყრდნობით ამბის შეთხზვა თემაზე „თამაშით სწავლა“.
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები მხატვრული ჟანრი-** მოთხრობა, თემა, იდეა, ძირითადი საკითხი ტექსტის გაგების სტრატეგია;		**ქვესაკითხები:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები;
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება:** თხრობა	**ქვესაკითხები**: მოთხრობა „ტყუპების“ თემა, დედააზრი, პერსონაჟი -ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, პიროვნული მახასიათებლები, გრძნობები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან.	
	კომპლექსური დავალება 1. პერსონაჟების დახასიათება	**კომპლექსური დავალება 2.** ამბის შეთხზვა და გადმოცემა სურათზე დაყრდნობით

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მხატვრული ჟანრი-მოთხრობა თემა, დედააზრი, პერსონაჟები ტექსტის გაგების სტრატეგია	**საკითხი -** მოთხრობა „ტყუპების“ პერსონაჟების გიგას და გაგას დახასიათება. **ქვესაკითხი** - მოთხრობა „ტყუპების“ თემა, დედააზრი, პერსონაჟი -ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, პიროვნული მახასიათებლები, გრძნობები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან. **საკვანძო შეკითხვები**: როგორ/ რა ხერხის გამოყენებით დავახასიათო მოთხრობა „ტყუპების“ პერსონაჟები გიგა და გაგა? რა სტრატეგიები გამოვიყენო მოთხრობის გასაგებად? **კომპლექსური დავალება:** პერსონაჟების დახასიათება; ➢ წაიკითხე მოთხრობა „ტყუპები“, დააკვირდი და შეადარე გიგას და გაგას ქცევა და თვისებები. ➢ შეავსე მოცემული სქემა და მასზე დაყრდნობით ზეპირად დაახასიათე პერსონაჟები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>** • როგორები არიან <u>გიგა და გაგა</u> - რა თვისებები აქვთ მათ. რატომ ფიქრობ ასე? (ტ. 1, 2); • რომელი პერსონაჟის თვისებები მოგწონს, რომლის თვისებები არ მოგწონს? რატომ? (ტ.1); • რისი თქმა უნდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ. 1, 3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება და დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ამ დავალებამდე თუ დაგიხასიათებიათ რომელიმე პერსონაჟი? ვინ?
- საიდან ვიგებთ, თუ როგორია ეს პერსონაჟი?
- რას აქცევდით დახასიათებისას ყურადღებას?

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ვ. სუტეევის მოთხრობა **„ტყუპები“**

რესურსი 1. ვ. სუტეევის მოთხრობა: **„ტყუპები“**
აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურზე დაყრდნობით
აქტივობა 2. მოთხრობის **„ტყუპების“** მოსმენა
აქტივობა 3. კითხვა-პასუხი ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენად
სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

- რა იცი ტყუპების შესახებ? (აქტ.1)
- თქვენი აზრით, ვის ეძახიან ტყუპებს?
- რა აქვთ მათ საერთო?
- რით შეიძლება ჰგავდნენ ტყუპები ერთმანეთს?
- ყოველთვის ჰგვანან ისინი ერთმანეთს?
- გარეგნული მსგავსება ნიშნავს იმას, რომ მათ თვისებებიც ერთნაირი ექნებათ?
- ხომ ვერ მეტყვით, რაზე იქნება ჩვენი მოთხრობა? რატომ ფიქრობ ასე?
- რას გეუბნება სათაური, ილუსტრაცია შინაარსის შესახებ?
- რა არის ამ მოთხრობის საერთო სათაური?
- რამდენი თავისგან შედგება ეს მოთხრობა?
- რა ჰქვია თითოეულ თავს?
- რით უკავშირდება ისინი შენს ცოდნას?
- სად ცხოვრობენ ბიჭები?(**აქტ.3)**
- რა ჰქვიათ მათ?
- ვინ არიან ერთმანეთისთვის გიგა და გაგა?
- რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს? რით განსხვავდებიან?
- რა გააკეთა ზამთრის ბურუსიან, ცივ დღეს გიგამ? როგორ მოიქცა გაგა?
- რომელს უფრო არ შესცივდებოდა, გიგას თუ გაგას? რატომ?
- როგორი თოვლის პაპები გააკეთეს ერთხელ გიგამ და გაგამ?
- სად დადგა გიგამ თავისი თოვლის პაპა? რატომ?
- რატომ შეაფარა გაგამ თავისი თოვლის პაპა ნაძვის ჩრდილში?
- როგორ გგონიათ, ვისი თოვლის პაპა დადნებოდა უფრო ჩქარა: გიგასი თუ გაგასი? რატომ?
- სად წავიდნენ ზაფხულის ერთ დღეს გიგა და გაგა?
- რა გააკეთეს ბიჭებმა ჭყუმპალაობის შემდეგ?
- რისგან გააკეთეს ტყუპებმა გემები?
- რომელი გააკეთებდა თიხის გემს?
- რატომ ფიქრობ ასე?
- წელიწადის რომელი დროა აღწერილი პირველ, მეორე და მესამე თავებში?
- რით ერთობოდნენ ბიჭები ზამთარში? ზაფხულში?
- რას ამჟღავნებდნენ ტყუპები ნებისმიერ საქმიანობაში?
- რისი თქმა უნდა ავტორს ამ მოთხრობით?

აქტივობა 4. ახალი ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა; ახალი სიტყვებით /შესიტყვებებით წინადადებების მოფიქრება.
აქტივობა 5. იპოვეთ ზედმეტი სიტყვა
ცივა, გრილა, ცხელა, ცურავს, თბილა, ყინავს - რით გამოირჩევა ეს სიტყვა სხვებისგან?
ბურუსი- რას ნიშნავს **ბურუსი?** (ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლია. ის მოთეთრო-მონაცრისფროდ ფარავს ყველაფერს.)
ჩაფუთნული-როგორ გესმის, რას უნდა ნიშნავდეს? სხვანაირად როგორ იტყვი ამ სიტყვას? (ძალიან თბილად ჩაცმული). მოიფიქრე 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.)

შეყუჟული - რას ნიშნავს შეყუჟული? რაზე ვამბოთ, შეიყუჟა, შეყუჟულიაო? სხვაგვარად როგორ ვიტყვით ამ სიტყვას? შეყუჟული იგივეა, რაც თავშეფარებული, მიმალული. (მოიფიქრე 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.)
რა არის **ფიჭვი?**- ფიჭვი წიწვოვანი ხეა.
თიხა- მიწაში მოიპოვება, სველი იზილება, გაშრობის შემდეგ ინარჩუნებს მიცემულ ფორმას. თიხისგან ჭურჭელს ამზადებენ. (მოიფიქრე 3-4 სიტყვიანი წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.)

- დაფიქრდი, მოცემული სიტყვებიდან - **ყინავს, გრილა, ცივა,** რომელი სიტყვა გამოხატავს ყველაზე მეტ სიცივეს, რომელი - შედარებით ნაკლებს, რომელი- კიდევ უფრო ნაკლებს?

აქტივობა 5. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა
აქტივობა 6. ქოროში კითხვა, ექოს ტიპის კითხვა, კითხვის მატარებელი
აქტივობა 7. ხაზებით დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები: ცხელა, ცივა, გრილა, თბილა, მაღლობი, დაბლობი, სასაცილო, სატირალი, მსუბუქი, მძიმე.
აქტივობა 8. გამოიყენე მოცემული სიტყვები: გამოთალა, შეკერა, გამოჭრა, გამოძერწა და ზეპირად დაასრულე წინადადებები:
გიორგიმ თიხის კაცუნა....
ნიკამ ხისგან თოჯინა...
თაკომ ქაღალდის ყვავილი...
ნინომ ჩითის კაბა...

აქტივობა 9. წინადადების ბოლოს დასვი წეტილი.

ზამთრის ერთ ბურუსიან დღეს გიგა და გაგა ეზოში გამოვიდნენ. ყინავდა, ბიჭებს შესცივდათ.
- დათვალე, რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში?
- სად და რატომ დასვი წერტილი?
- რას გამოხატავს წინადადება?

ნაბიჯი 2. როგორები არიან <u>გიგა და გაგა</u> - რა თვისებები აქვთ მათ. სად, როდის და როგორ ვლინდება ეს თვისებები (ტ. 1, 2); რომელი პერსონაჟის თვისებები მოგწონს, რომლის თვისებები არ მოგწონს? რატომ? (ტ.1)რა მსგავსება-განსხვავებებია ამ ორ პერსონაჟს შორის?
ქვესაკითხი: პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, პიროვნული მახასიათებლები, გრძნობები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან.

აქტივობა 1.ტექსტის მინიშნებებზე დაკვირვება. ტყუპების ქმედებებზე დაკვირვება, მსჯელობა. წაიკითხეთ მოთხრობის სამივე თავი. დააკვირდით, რით ჰგვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან გიგა და გაგა?
- როგორი გარეგნობა აქვთ გიგას და გაგას?
- როგორ მოიქცა გაგა ზამთრის ცივ დღეს? (ნიჩბით გაკვალა გზა და ასე გათბა)
- როგორ მოიქცა გიგა?(ჩაიფუთნა)
- რომელი მოიქცა გონივრულად?
- სად დადგა გიგამ თავისი თოვლის ბაბუა? (მაღლობზე დადგა)
- რა სურდა გიგას?(სურდა ყველას დაენახა)
- სად დადგა თავისი თოვლის ბაბუა გაგამ? (ნაძვის ქვეშ, ჩრდილში)
- რომლის საქციელი აღმოჩნდა გონივრული? საიდან მიხვდი?
- მდინარეზე გაგამ და გიგამ გემები გააკეთეს.
- რომელ გემს გააკეთებდა გაგა? რატომ გგონია ასე?

- რომელს გააკეთებდა გიგა? რატომ ფიქრობ ასე?
- როგორი იქნება თიხის გემი? როგორი იქნება ფიჭვის ხის ქერქის გემი?
- რა მოუვა თიხის გემს? ხის ქერქის გემს?(თიხის გემი მძიმეა და ჩაძირება, ფიჭვის ხის ქერქის მსუბუქია და იცურავებს წყალზე)

რესურსი 1. პერსონაჟის რუკა



აქტივობა 2. როგორია გიგა, როგორია გაგა?
შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე:
გონიერი
დაუფიქრებელი
ჭკვიანი
საქმიანი
თავმომწონე
აქტივობა 3. პერსონაჟის რუკის შევსება
აქტივობა 4. პერსონაჟების დახასიათება და შედარება პერსონაჟის რუკაზე დაყრდნობით

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ჩამოწერილი სიტყვებიდან რომელი შეესაბამება გაგას, რომელი - გიგას? (აქტ. 3)
- რომელი ორი თვისება შეურჩიე გაგას პერსონაჟის რუკას?
- რომელი ორი თვისება შეუსაბამე გიგას პერსონაჟის რუკას?
- ტესტის რომელი მინიშნებების მიხედვით დაასაბუთებ, რომ გაგა არის..... (გონიერი, საქმიანი)?
- ტექსტიდან რომელი მინიშნებებით დაასაბუთებ, რომ გიგა ნამდვილად არის..... (დაუფიქრებელი, თავმომწონე)?
- რა მსგავსებაა გიგასა და გაგას შორის? (ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ვერ გაარჩევ) (აქტ.4)
- ისინი საქციელითაც ჰგვანან ერთმანეთს?

(დახასიათების შესაძლო ვერსია: გაგა გონიერი, დაფიქრებული და საქმიანი ბიჭია, გიგა კი - თავმომწონე და დაუფიქრებელი. ისინი მხოლოდ გარეგნობით ჰგვანან ერთმანეთს.)

ნამუშევრების წარდგენა
კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:
ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით
რატომ ფიქრობ, რომ შენი შექმნილი დავალება არის პერსონაჟების დახასიათება?
- როგორ დაუკავშირე პერსონაჟების დახასიათება ტექსტების დედააზრს?
- ტექსტების რომელ ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომის შექმნისას? რატომ?
- რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად?რატომ?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას? რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- თანაკლასელების ნაუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** - თხრობა	**საკითხი** - სურათზე დაყრდნობით ამბის შეთხზვა თემაზე „თამაშით სწავლა“. **ქვესაკითხი:** ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები; **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევთხზა ამბავი სურათებზე დაყრდნობით თემის: „თამაშით სწავლა“ გათვალისწინებით? **კომპლექსური დავალება: ამბის მოგონება და გადმოცემა სურათზე დაყრდნობით** ➢ დაარქვით სახელები პერსონაჟებს და სურათებზე დაყრდნობით (გვ. 76) მოიფიქრეთ პატარა ამბავი იმაზე, თუ როგორ დაეხმარა ერთი ბიჭი მეორეს, რომელმაც არ იცოდა ქუჩაზე გადასვლის წესები. (წარმოიდგინე, რა მოხდა სურათზე გამოსახულ ამბამდე, საბოლოოდ რით დასრულდა ეს ამბავი). ➢ ამბავს შეურჩიეთ სათაური.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები თხრობისას წარმოაჩინე:** • რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); • მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2); • ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ., ვინ არიან პერსონაჟები, როგორ იქცევიან ისინი და სხვა). (ს.2).

2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გაქტიურება

აქტივობა 1.

როგორ ახსნით, რა არის ამბავი?

- როგორ მოვყვეთ ამბავი?
- რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარება ამბის შეთხზვაში?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2);
ქვესაკითხი: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები.

რესურსი 1. მოთხრობა „წითელი და მწვანე“

რესურსი 2. შუქნიშნების ილუსტრაციები

აქტივობა 1.ნაწარმოების თემის, დედააზრის გარკვევა;
წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურზე დაყრდნობით
აქტივობა 2. თემის გააზრების მიზნით ტექსტის „წითელი და მწვანე“ მოსმენა
აქტივობა 3. კითხვა-პასუხი ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენად

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

- რაზე მიგანიშნებთ ეს ორი ფერი: „წითელი და მწვანე“ ? (აქტ.1)
- მწვანე ფერის რომელი საგნების ჩამოთვლა შეგიძლიათ?
- წითელი ფერის რომელი საგნები გახსენდებათ?
- სად გხვდებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ორი ფერი?
- არის თუ არა მნიშვნელოვანი, რომ ცნობდეთ ფერებს და არ გერეოდეთ ისინი ერთმანეთში? რატომ?
- ხომ ვერ მეტყვით, რაზე იქნება ჩვენი მოთხრობა? რატომ ფიქრობ ასე?
- რას გეუბნებათ სათაური, ილუსტრაცია შინაარსის შესახებ?
- რას ხედავთ პირველ სურათზე?
- იცით, რა არის ჯეჯილი? (ჯეჯილი ხორბლის, ქერის აღმონაცენია, სანამ თავთავს დაისხამს.)
- რა ფერისაა ჯეჯილი?

- რა ყვავილს ხედავთ მეორე სურათზე? რა ფერის ყოფილა ყაყაჩო?
- მოთხრობის მიხედვით, რა მოუვიდათ ერთხელ ფერებს? (აქტ.3)
- რა გამოიწვია ფერების არევამ?
- რა დაემართა ჯეჯილს, ყაყაჩოს?
- რა ფერის შუქზე გადადიოდნენ ბავშვები?
- რომელ ფერზე იცდიდნენ ბავშვები შუქნიშანთან?
- სწორად მიგაჩნია ეს ყველაფერი?
- რა შეიძლება მოჰყვეს წითელ შუქზე გადასვლას?
- როგორ ფიქრობთ, სჭირდებათ ჯეჯილს, ყაყაჩოს და ბავშვებს თქვენი დახმარება?
- რისი ცოდნაა საჭირო, ქუჩაზე უსაფრთხოდ გადასასვლელად?
- რას გვასწავლის ქუჩაში მოძრაობის წესები?
- სად უნდა გადავიდეთ?
- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ქუჩაზე გადასვლისას?
- რომელი ფერის შუქზე უნდა გავჩერდეთ? რომელზე გადავიდეთ?
- რომელია მოსამზადებელი ფერი, რომელზეც უნდა შევჩერდეთ და დაველოდოთ, რომელი ფერი აინთება?
- როგორ ფიქრობთ, რისი თქმა უნდა ავტორს ამ მოთხრობით?
- რა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც უნდა გვახსოვდეს?

აქტივობა 4. ხმამაღლა საჩვენებელი წაკითხვა
აქტივობა 5. ექო წაკითხვა, ქოროში კითხვა, გაგრძელებით კითხვა.

1) 2)

აქტივობა 6. დააკვირდი, დაიმახსოვრე და დახატე
დააკვირდი პირველ შუქნიშანს და დაიმახსოვრე რომელი ფერის შუქზე, რა ხატია. რაც დაგამახსოვრდება, დახატე მეორე შუქნიშნის შესაბამის ფერებზე (ნახავენ და ხატავენ ნიმუშის გარეშე, რასაც დაიმახსოვრებენ).

აქტივობა 7. ქუჩაში მოძრაობის წესების გათამაშება:
თამაშის წესი: გამოჭერით ყვითელი, წითელი და მწვანე რგოლები. გაინაწილეთ როლები: ერთი შუქნიშანი იყოს; მეორე-პოლიციელი; მესამე- ფეხით მოსიარულე.
გაითამაშეთ:
- შუქნიშანი აჩვენებს რომელიმე ფერს.
- პოლიციელი ფერის მიხედვით ბრძანებას იძლევა, როგორ მოიქცეს ფეხით მოსიარულე: სდექ! გადადი! გაფრთხილდი!
- ფეხით მოსიარულე ასრულებს ბრძანებას.
- რაზე დამაფიქრა წაკითხულმა მოთხრობამ?
- რით უკავშირდება წაკითხული ტექსტი რეალურ ცხოვრებას?
- როგორ გამოვიყენებ წაკითხულით მიღებულ გამოცდილებას ცხოვრებაში?
- რით უკავშირდება ეს ტექსტი ჩემს გამოცდილებას, ცხოვრებას?

- როგორ გამომადგება თამაშით ნასწავლი „ქუჩაში მოძრაობის წესები“ ჩემი და გარშემო მყოფთა უსაფრთხოების დასაცავად?

რესურსები, აქტივობები

ნაბიჯი 2. მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2); ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ., ვინ არიან პერსონაჟები, როგორ იქცევიან ისინი, ვინ იქცევა სწორად და ვინ არასწორად, რა შეიძლება იყოს არასწორად მოქცევის მიზეზი, როგორ დაეხმარება ერთი ბიჭი მეორეს, რა ურთიერთობა ექნებათ ამ შემთხვევის შემდეგ ბავშვებს, როგორ ასწავლიდა ახალ მეგობარს მარტივად ქუჩაზე გადასვლის წესებს) (ს.2).

<u>რესურსი 1. მცირე პროზის ჩარჩო;</u>

რა ჰქვია ბიჭს,რომელსაც ვხედავთ პირველ სურათზე ? ----------
როგორი გარეგნობა აქვს მას?----------
რა აცვია ბიჭს?----------
ვინ არის ის (რას ვიგებთ სურათით)? ----------
საიდან ბრუნდება ბიჭი? ----------
სად ნახა მეორე ბიჭი?----------
რა ჰქვია ამ ბიჭს? ----------
როგორი გარეგნობა აქვს მას? ----------
რა ასაკის ჩანს ბიჭი?----------
რა აცვია პატარა ბიჭს?----------
რაში და რატომ სჭირდება მას დახმარება? ----------

<u>რესურსი 2. თხრობის ჩარჩო</u>

თხრობის ჩარჩო		
დასაწყისი	**შუა ნაწილი**	**დასასრული**
იყო ერთი ბიჭი, სახელად... მას ჰქონდა..... (თვალები, თმები,) მას ეცვა..... ბიჭს ზურგჩანთა უკეთია, რადგან...	ერთხელ ის.... შემთხვევით,..... (დაინახა...) მეორე ბიჭი, სახელად.... მას ჰქონდა..... (თვალები, თმები,) მას ეცვა....	ბოლოს...

აქტივობა 1. გონებრივი იერიში: „მცირე პროზის ჩარჩოს“ შევსება (შეიძლება მოსწავლეების კარნახით დაფაზე ერთობლივადაც შეავსონ).

აქტივობა 2. იდეების მოფიქრება და ორგანიზება თხრობის ჩარჩოს გამოყენებით.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად

- როგორ დავიწყო, გავაგრძელო და დავასრულო ამბავი? (აქტ.1, 2)
- ვინ არიან ჩემი ამბის პერსონაჟები?
- რა ჰქვიათ მათ?
- დაახლოებით რა ასაკის ბავშვები არიან?
- რომელია სკოლის მოსწავლე?
- სავარაუდოდ, საიდან ბრუნდება ის?
- რატომ იცის მან ქუჩაში მოძრაობის წესები? სად ისწავლიდა?
- ერთხელ გადასასვლელთან მდგომმა ბიჭმა ვინ დაინახა?

- რა ერქვა მეორე ბიჭს?
- როგორ გამოიყურებოდა ის?
- რა ეცვა მას?
- სავარაუდოდ, რატომ არ იცოდა მან რა ფერის შუქნიშანზე უნდა გადასულიყო?
- დაეხმარებოდა უფროსი ბიჭი პატარას? როგორ მოახერხებდა ამას?
- როგორ გაგრძელდებოდა მათი ურთიერთობა?
- **რაში გამოადგებოდა უფროს მეგობარს სკოლაში თამაშით შესწავლილი წესები? (თამაშით ასწავლიდა პატარას)**
- როგორ დავასათაურო ამბავი? (კარგი იქნება: თამაშით შესწავლილი წესები)

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად

რამდენად დავიცავი თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა?

- გამოვკვეთე თუ არა დეტალები?
- გამოვიყენე თუ არა მრავალფეროვანი სიტყვები?
- სწორად შევურჩიე თუ არა სათაური მოფიქრებული ამბის შინაარსს?

ამბის წარმოდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი?
- რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია)
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი.

თემა N3: გაზაფხული **საათების სავარაუდო რაოდენობა: 6 სთ**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: გ, ჭიჭინაძის ლექსი „თებერვალი“, ი. გოგებაშვილის „ენძელა“, გვ.80-83		
სხვა რესურსები: **საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 64-67.** **ბადიან სივრცეში სამუსაო მასალა: ლ,ღ, ნ, წ.**		
	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1** მოთხრობილი ამბის ზეპირად გადმოცემა შერჩეული პერსონაჟის, ზამთრის, ხედვის კუთხიდან.	**საკითხი 2.** სურათის ზეპირად აღწერა
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები** თემა, იდეა, ძირითადი საკითხი ტექსტის გაგების სტრატეგია;	**ქვესაკითხები - გ, ჭიჭინაძის ლექსის „თებერვალი“, ი. გოგებაშვილის მოთხრობა „ენძელას“,** მთავარი იდეა/დედააზრი, პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია, ეპიზოდი, პერსონაჟის (ზამთარის) ხედვის კუთხე, მთხრობელი, ახალი სიტყვები;	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება:** აღწერა		**ქვესაკითხები:** აღწერა. აღწერის სტრუქტურა-აგებულება, ენობრივი საშუალებები
	კომპლექსური დავალება 1. თხრობა მთხრობლის შეცვლით	**კომპლექსური დავალება 2.** სურათის დამოუკიდებლად აღწერა

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი- მოთხრობა, მხატვრული ჟანრი-ლექსი** ტექსტების შინაარსობრივი მხარე, პერსონაჟი. გაგების სტრატეგიები	**საკითხი** - გივი ჭიჭინაძის ლექსში „თებერვალო, თებერვალო“ და იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „ენძელა“ მოთხრობილი ამბის ზეპირად გადმოცემა შერჩეული პერსონაჟ ზამთრის ხედვის კუთხიდან. **ქვესაკითხები** - გივი ჭიჭინაძის ლექსის „თებერვალო, თებერვალოს“ და იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ენძელას“ მთავარი იდეა/დედააზრი, პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია, ეპიზოდი, პერსონაჟის (ზამთარის) ხედვის კუთხე, მთხრობელი, ახალი სიტყვები; **საკვანძო შეკითხვები**: რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო გივი ჭიჭინაძის ლექსის „თებერვალო, თებერვალოსა“ და იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ენძელას“ გასაგებად? როგორ ამოვიცნო და გამოვხატო პერსონაჟის ხედვის კუთხე?

	კომპლექსური დავალება: თხრობა მთხრობლის შეცვლით ➢ ყურადღებით წაიკითხე ტექსტები: „თებერვალო, თებერვალო“ და „ენძელა“, მოირგე ზამთრის როლი; ➢ წარმოიდგინე და ზეპირად გადმოეცი, როგორ მოჰყვება ზამთარი თავის ამბავს. ➢ წარმოაჩინე სხვადასხვა დეტალი (მაგ. როგორ ცდილობს ზამთარი ენძელას შეშინებას; როგორ, რატომ არ შეეშინდა მისი ყვავილს; რას გრძნობდა, როცა პატარა ენძელამ მის მუქარას მუქარითვე უპასუხა; რატომ ატირდა ზამთარი; რას გრძნობს ზამთარი, როცა თებერვალი დობილებს ფერად კაბებს უკერავს; რატომ გადაწყვიტა ზამთარმა მისთვის ასპარეზის დათმობა).
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>** • რატომ ფიქრობ, რომ ზამთარი ასე მოჰყვებოდა ამბავს (ტ. 1,2,3); • რა გაგახსენა ამ ამბავმა (ტ. 1);

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

ქვეცნება: ხედვის კუთხე

აქტივობა 1. ხედვის კუთხის ამოცნობა

წარმოიდგინე, რომ კატას უყურებს**: დედა, მამა, ბიჭი, ბებია, ძაღლი, თაგვი,** რას იფიქრებს თითოეული მათგანი მის დანახვაზე, ანუ როგორია თითოეული მათგანის **ხედვის კუთხე;**

რას იფიქრებს ბიჭი ----------

რას იფიქრებს მამა ----------

რას იფიქრებს დედა ----------

რას იფიქრებს ბებია **----------**

რას იფიქრებს თაგვი ----------

რას იფიქრებს ძაღლი----------

შეადარეთ მათი ნაფიქრი და გააკეთეთ დასკვნა - განსხვავდება თუ არა სხვადასხვა ხედვის კუთხე ერთმანეთისაგან;

ექნებათ თუ არა ამ თუ იმ ნაწარმოების პერსონაჟებს განსხავებული ხედვის კუთხე?

გასათვალისწინებელია თუ არა ნაწარმოებში პერსონაჟების ხედვის კუთხე?

რესურსი 1. ასოციაციური რუკა:

დავალების გაცნობიერება:
რა გახსენდებათ სიტყვა ზამთარის გაგონებაზე?როგორია ის?
რას იტყვი მის შესახებ?
გიყვარს წელიწადის ეს დრო? რატომ?
მხოლოდ კარგი/ცუდი შეგიძლია თქვა ზამთარზე?

ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
რისი ცოდნა გამოგადგებათ?
თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 პერსონაჟების თვისებები, ქცევები, ქცევის მიზეზები (ტ.1. 2);
პერსონაჟ ზამთრის ხედვის კუთხე - რას ფიქრობს, რას გრძნობს, რას ამბობს.(მისი დამოკიდებულება მომხდარი ამბის მიმართ (ტ. 1, 2. 3);
ქვესაკითხები: მთავარი იდეა, პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია, ეპიზოდი, პერსონაჟის (ზამთარის) ხედვის კუთხე, ახალი სიტყვები.
რესურსი, აქტივობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება
გაიხსენე წელიწადის დროები, თვეები წელიწადის დროების მიხედვით.
რამდენი დროა წელიწადში?
წელიწადის თითოეული დრო რამდენ თვეს გრძელდება?
რომელია ზამთრის თვეები?
თებერვალი ზამთრის მერამდენე თვეა?
რით გამოირჩევა თებერვალი სხვა თვეებისგან?
წელიწადის რომელი დრო მოსდევს ზამთარს?
რა ჰქვიათ გაზაფხულის თვეებს?
რა იცით ენძელას შესახებ?
როდის ამოდის ენძელა? რას ეძახიან მას?

რესურსი 1. გ. ჭიჭინაძის „თებერვალო, თებერვალო“
აქტივობა 2. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა;
გეზისმიმცემი შეკითხვები (აქტ.2):
რაზე მიგანიშნებს ლექსის სათაური?
რით უკავშირდება სათაური შენს ცოდნა-გამოცდილებას?
რა შეგიძლია ივარაუდო მასზე დაყრდნობით ტექსტის შესახებ?

რესურსი 2. სქემა „სიტყვების გამომძიებელი“

აქტივობა 3. ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენა პირადი ცოდნა-გამოცდილებით (თავდაპირველად ივსება მხოლოდ პირველი და მეორე სვეტი);

სიტყვა	**ჩემი განმარტება**	**სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით**	**განმარტება ლექსიკონში**
ფაფხური			
დობილი			

გეზისმიმცემი შეკითხვები (აქტ. 3):
რას ნიშნავს სიტყვები: „ფაფხური“? „დობილი“?
სიტყვა „ფაფხურის” ნაცვლად კიდევ რა სიტყვა შეიძლება გამოვიყენოთ? (ფახი-ფუხი; ბაქი-ბუქი)
ფაფხური - (აქ: წვალებას ნიშნავს)
რას ნიშნავს „დობილი“ ? როგორ ახსნი ამ სიტყვის მნიშვნელობას? შენთვის ნაცნობ რომელ სიტყვასთან არის ახლოს?
როგორ გესმის გამოთქმა „კართან მოდგა გაზაფხული“? - როდის ვამბობთ ვინმეზე „კართან მოდგაო“? სხვა სიტყვებით როგორ ვთქვათ იგივე?
დავაკვირდეთ, არის თუ არა ეს სიტყვები ტექსტში გამოყენებული იმავე მნიშვნელობით, როგორც ჩვენ განვმარტეთ?

აქტივობა 4. **ლექსის წაკითხვა. წაკითხულის გააზრება**
გეზისმიმცემი შეკითხვები: (აქტ.4)
რას აკეთებს თებერვალი?
როგორ კაბებს კერავს ის?
ვისთვის უნდა თებერვალს ფერად-ფერადი კაბები?
რამ გაუხალისა თებერვალს გული?
რომელ თვეებს უწოდებს თებერვალი დობილებს?
გაზაფხულს როგორი ფერები აქვს? რომელი ფერები ჭარბობს ბუნებაში?
თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს გაზაფხულთან თებერვლის მიერ შეკერილ კაბებს?

აქტივობა 5. სქემის „სიტყვების გამომძიებელი“ ბოლომდე შევსება (ივსება მასწავლებლის დახამარებით)

გეზისმიმცემი შეკითხვები (აქტ.5)
წაიკითხეთ წინადადება, რომელშიც გამოყენებულია სიტყვა “ფაფხურობს”. დააკვირდით, არის თუ არა იმ მნიშვნელობით გამოყენებული, როგორც ჩვენ განვმარტეთ? მოვძებნოთ სიტყვა „დობილი“, დავაკვირდეთ, ემთხვევა თუ არა მისი შინაარსი ჩვენს განმარტებას?
აქტივობა 6. **ლექსის „თებერვალო, თებერვალო!“ მოსმენა. (მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა)**

აქტივობა 7. **მოსწავლეები ლექსს კითხულობენ გუნდურად, როლებში.**

აქტივობა 8. ლექსის დაზეპირება სახალისო აქტივობებით (მაგ., ბოხი და წვრილი ხმით ლექსის გადმოცემა, შეიძლება მელოდიაც მოიფიქრონ და სიმღერით დაისწავლონ ლექსი).

რესურსი 3. პერსონაჟის რუკა

აქტივობა 9. პერსონაჟის დახასიათება:
გეზისმიმცემი შეკითხვები
ვინ არის ლექსის პერსონაჟი?
რას აკეთებს? როგორ იქცევა პერსონაჟი ზამთარი?
რაზე ფიქრობს? რა აზრები აქვს მას?
რას გრძნობს? რა განცდები აქვს პერსონაჟ ზამთარს?
რა სურს? რა მიზანი აქვს მას?
ლექსის მიხედვით, როგორია პერსონაჟი ზამთარი?
მოიყვანეთ დასახელებული თვისებების დამადასტურებელი არგუმენტები (ადგილები) ლექსიდან.
რა მიგანიშნებს, რომ პერსონაჟი ზამთარი კეთილია? მზრუნველია? ყურადღებიანია?

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში

აქტივობა 10. საწყისი ფრაზის - ვხედავ, რომ ჩემი წასვლის დრო მოახლოვდა. მალე ჩემს ძმებს, დეკემბერს და იანვარს უნდა მივაკითხო. ამიტომ დავჯექი და...
გადმოეცი თუ არა ამბის დეტალები?
ჩანს თუ არა შენს ნაამბობში პერსონაჟების ქცევები და ქცევის მიზეზები?
ჩანს თუ არა, რას ფიქრობს ან გრძნობს, რას ამბობს?
გამოკვეთილია თუ არა მისი დამოკიდებულება გაზაფხულის მოახლოების მიმართ?
არის თუ არა ამბავი გადმოცემული ზამთრის ხედვის კუთხიდან?
ნაჩვენებია თუ არა, რა შეცვალა ხედვის კუთხის შეცვლამ?

რესურსი 1. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა: „ენძელა“

აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა

გეზისმიმცემი შეკითხვები (აქტ.1):
რაზე მიგანიშნებს ტექსტის სათაური?
რით უკავშირდება სათაური და ილუსტრაცია შენს ცოდნა-გამოცდილებას?
რა შეგიძლია ივარაუდო მასზე დაყრდნობით ტექსტის შესახებ?

აქტივობა 2. **ლექსის წაკითხვა. წაკითხულის გააზრება**
გეზისმიმცემი შეკითხვები: (აქტ.2)
როგორ გამოიღვიძა ენძელამ?
როდის, რომელი თამაშისას ამბობთ ხოლმე „ჭიტას“?
როგორ შეხვდა ზამთარი ენძელას გამოჩენას?
რატომ არ შეეშინდა ენძელას?
უფრო ადრე რომ გაღვიძებოდა და ამოსულიყო, მაშინაც იგივეს უპასუხებდა?
რა დაეხმარა პატარა ყვავილს? როგორ?
რამ დააღონა ზამთარი?
რატომ არის ნათქვამი, რომ ზამთარი ბებერია? როგორ გესმით „ბებერი ზამთარი“?
დაფიქრდით, ვის შეუძლია ტირილი?
ზამთარს შეუძლია ტირილი? რას ნიშნავს - ზამთარი ატირდა?

აქტივობა 3. ლექსის „ენძელა“ მოსმენა. (მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა)

აქტივობა 4. **ერთობლივი კითხვა, ექოდ კითხვა, კითხვა წყვილებში.**
აქტივობა 5. **სავარჯიშო: რომელია ზედმეტი და რატომ?**

მარტი	დეკემბერიი	აპრილი	მაისი

რა ნიშნით განასხვავე ზედმეტი?

აქტივობა 6. მოცემული სიტყვებით შეადგინე წინადადებები:
იღვიძებს, გაზაფხული, ბუნება
ჩიტი, ბუდე გაიკეთა, ხე
თავი, მიწა, ყვავილები, ამოყვეს

რესურსი 2. პერსონაჟის რუკა

აქტივობა 7. პერსონაჟის დახასიათება:
გეზისმიმცემი შეკითხვები
ვინ არიან მოთხრობის პერსონაჟები?
მოთხრობის მიხედვით, როგორია პერსონაჟი ზამთარი, ენძელა?
მოიყვანეთ დასახელებული თვისებების დამადასტურებელი არგუმენტები (ადგილები) მოთხრობიდან.
რა მიგანიშნებს, რომ ზამთარი ბრაზიანია? ბებერია? ძალაგამოცლილია?
რა მიგანიშნებს, რომ ენძელა უშიშარია? გონიერია?
ტექსტის მიხედვი, რას ამბობს, რას აკეთებს პერსონაჟი ზამთარი?
რა მიზანი აქვს მას? რის მიღწევას ცდილობს?
რას გრძნობს? რას განიცდის ზამთარი?

შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომლექსურ დავალებაში
აქტივობა 10. საწყისი ფრაზის - რომ იცოდეთ, რა დამემართა! დილით ენძელამ მიწიდან თავი ამოყო, მერე აქეთ-იქით მიმწი-მომწია, ბოდიშიც არ მომიხადა. ამაზე უცებ გავბრაზდი და.....
დასათაურება.
გადმოეცი თუ არა ამბის დეტალები?
ჩანს თუ არა შენს ნაამბობში პერსონაჟების ქცევები და ქცევის მიზეზები?
ჩანს თუ არა, რას ფიქრობს ან გრძნობს, რას ამბობს?
გამოკვეთილია თუ არა მისი დამოკიდებულება ენძელას მიმართ?
გამოკვეთილია თუ არა მისი დამოკიდებულება გაზაფხულის მოახლოების მიმართ?
არის თუ არა ამბავი გადმოცემული ზამთრის ხედვის კუთხიდან?
ნაჩვენებია თუ არა, რა შეცვალა ხედვის კუთხის შეცვლამ?

სურვილის შემთხვევაში, შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს, ორივე ნაწარმოების პერსონაჟი ზამთრის ამბავი ერთ ამბად აქციოს და ისე გადმოსცეს.
შეიძლება ამ ორი პერსონაჟის შედარებაც. ეს მასწავლებლის შემოქმედებითობასა და სურვილზეა დამოკიდებული.

დავალების წარდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებას და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

როგორი აგებულება აქვს შენს ამბავს?
რატომ ფიქრობ, რომ ამბავი გადმოცემულია ზამთრის ხედვის კუთხიდან?
როგორ ამოიცანი პერსონაჟების თვისებები და დამოკიდებულებები, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
რომელ ეპიზოდზე/ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომში და რატომ?
რა ცვლილება გამოიწვია ხედვის კუთხის შეცვლამ?
რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად?რატომ?
რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
თანაკლასელების პრეზენტაციიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?

მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** - აღწერა	**საკითხი -** სურათის ზეპირად აღწერა სათანადო სტრუქტურა - აგებულებისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებით. **ქვესაკითხი:** აღწერა. აღწერის სტრუქტურა-აგებულება, ენობრივი საშუალებები (მდებარეობის, სივრცეში ლოკალიზების აღმნიშვნელი სიტყვები) საკვანძო კითხვები: როგორ შევადგინო სურათის აღწერა ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს იგი? რამდენად ეფექტურია ჩემ მიერ შერჩეული აღწერის მიმართულება? **კომპლექსური დავალება**: სურათის დამოუკიდებლად აღწერა ➢ მოემზადე სურათის აღსაწერად: შეადგინე გეგმა და მის საფუძველზე აღწერე სურათი.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები აღწერისას წარმოაჩინე:**
1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	• წელიწადის რომელი დროა სურათზე, რატომ ფიქრობ ასე; • რა არის ახლოს, რა მოჩანს შედარებით შორს; • ვინ არიან გამოსახული სურათზე, რას აკეთებენ ისინი; • ადგილის მიმანიშნებელი სიტყვები: მარჯვნივ, მარცხნივ, შორს, ახლოს, გვერდით, წინ, უკან.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გაქტიურება

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

გაიხსენეთ, რისი აღწერა გიწევთ თანატოლისთვის ან მეგობრისთვის;
რამდენად მოგიხერხებიათ რაიმე საგნის ან გარემოს აღწერა?
როგორ აღვწეროთ, მაგ., ჩვენი საკლასო ოთახი?
ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი რომელი სიტყვების გამოყენება დაგვჭირდება აღწერისას?
რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?
რისი შესწავლა დაგვჭირდება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. როგორ შევადგინო სურათის აღწერა ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს იგი?
ქვესაკითხი: აღწერა; აღწერის სტრუქტურა-აგებულება, ენობრივი საშუალებები.

რესურსები, აქტივობები

რესურსი 1. აღსაწერი სურათი



რესურსი 2. რვაპუნქტიანი გეგმა

1. ვინ ჩანს სურათზე?
2. სად არიან?
3. რა დროა? როგორ ამინდია?
4. რას აკეთებენ სურათის მარცხენა მხარეს გამოსახული ბავშვები?
5. რას აკეთებენ სურათის მარჯვენა მხარეს გამოსახული ბავშვები?
6. სად არის და რას აკეთებს ძაღლი?

7. რა ჩანს სურათის ზედა მხარეს?
8. რას აკეთებენ ჩიტები?

რესურსი 3. აღწერის მოკლე და განვრცობილი ვერსია

გეგმის მიხედვით დაწერილი მოკლე ვარიანტი	**განვრცობილი ვარიანტი**
1. სურათზე ჩანან ბავშვები. 2. ბავშვები ეზოში არიან. 3.გაზაფხულია, კარგი ამინდია. 4. მარცხენა მხარეს გამოსახული ბიჭი და გოგონა ნერგს რგავენ. 5. მარჯვენა მხარეს გოგონა ჩიტისთვის გაკეთებულ ბუდეს აწვდის ხეზე ასულ ბიჭს. 6.ძაღლი დგას გოგონასთან ახლოს და უყურებს ბავშვებს. 7. სურათის ზედა მხარეს ჩანს ჩიტები. 8. ისინი დაფრინავენ ხესთან.	სურათზე ჩანან საქმიანი და მომღიმარი ბავშვები. ისინი დიდ, ლამაზ ეზოში არიან. გაზაფხულია. კარგი ამინდია. მარცხენა მხარეს ქერათმიანი ბიჭი და კიკინებიანი გოგონა ვაშლის ნერგს რგავენ. მარჯვენა მხარეს მწვანემაისურიანი გოგონა ჩიტისთვის გაკეთებულ ხის პატარა ლამაზ ბუდეს აწვდის მსხლის გაფოთლილ ხეზე ასულ შავთმიან ბიჭს. გოგონასთან ახლოს დგას თეთრი, შავკოპლებიანი პატარა ძაღლი და უყურებს საქმიან ბავშვებს. სურათის ზედა მხარეს ჩანს გახარებული და ბედნიერი ჩიტები. ისინი მხიარული ჭიკჭიკით დაფრინავენ ხესთან.

აქტივობა 1. სურათებზე მინიშნებების პოვნა (რესურსი1)

აქტივობა 2. გეგმის რვა პუნქტის მიხედვით რვა წინადადებების შედგენა სურათზე დაყრდნობით (მოსწავლეების ნაკარნახებ წინადადებებს მასწავლებლი დაფაზე წერს). (რესურსი 2.)

აქტივობა 3. გეგმის მიხედვით დაწერილი მოკლე ვარიანტისა და განვრცობილი ვარიანტის შედარება. დამატებული სიტყვების ხაზგასმა და ხაზგასმული სიტყვებისთვის კითხვების დასმა (რესურსი 3).
გეზისმიმცემი შეკითხვები:
რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ გაზაფხულია? **(აქტ. 1)**
რა მიგანიშნებს იმაზე, რომ კარგი ამინდია?
რა მიგვანიშნებს, რომ ქერათმიანი ბიჭი და კიკინებიანი გოგონა ნერგს რგავენ?
რა მიგვანიშნებს, რომ მწვანემაისურიანი გოგონა და შავთმიანი ბიჭი ბუდეს დგამენ?
რა მიგანიშნებს იმაზე, რომ ბავშვები საქმიანები და მხიარულები არაიან?
რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩიტებს არ ეშინიათ ამ ბავშვების?
რით განსხვავდება მოკლე ვარიანტის და განვრცობილი ვარიანტის წინადადებები ერთმანეთისაგან? **(აქტ. 3)**
რომელი სიტყვებია დამატებული? რა დამატებით ინფორმაციას გვაძლევს ეს სიტყვები? (როგორი არიან ბავშვები, რომლებსაც სურათზე ვხედავთ).
(მსგავსად შეიძლება დამუშავდეს სხვა წინადადებებიც)

<u>ნაბიჯი 2:</u> გადმოეცი, წელიწადის რომელი დროა, წარმოაჩინე აღწერის მიმართულება (მაგ., „ახლოდან შორს“ /წინა პლანი - უკანა პლანი) (ს. 3); ისაუბრე, რა ან ვინ არის გამოსახული სურათის ცალკეულ ნაწილებში, სად იმყოფებიან, რას აკეთებენ ისინი (ს. 1, 2, 3); გამოიყენე ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები (მაგ., მარჯვნივ, მარცხნივ, შუაში, ზევით, წინ, უკან...) (ს. 1).
ქვესაკითხები: აღწერა. აღწერის სტრუქტურა-აგებულება, ენობრივი საშუალებები.

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. აღსაწერი სურათი

რესურსი 2. სურათის აღწერის გეგმა

რესურსი 2. გეგმა
ვინ ჩანს სურათზე?
სად ხდება მოქმედება ?
რა დროა? როგორი ამინდია?
როგორ გამოიყურება ბუნება?
რას აკეთებს მარჯვენა მხარეს გამოსახული გოგონა?
რას აკეთებენ სურათის შუაში გამოსახული ბიჭი და გოგონა?
რა ჩანს სურათის წინა პლანზე?
რა ჩანს სურათის უკანა პლანზე?

აქტივობა 1. შექმნილი აღწერითი წინადადებების გავრცობა.
მაგალითი 1. საწყისი წინადადება - გოგონა და ბიჭი ნერგს რგავენ.
სად რგავენ ნერგს გოგონა და ბიჭი ? ეზოში/ხეხილის ბაღში.
რის ნერგს რგავენ? ვაშლის/ მსხლის/ატმის და ა.შ.
როგორია გოგონა? მოკლეთმიანი/ ჟღალთმიანი/ლურჯშარვლიანი.
როგორია ბიჭი? შავთმიანი/ცისფერტანსაცმლიანი.
როგორ გამოიყურებიან ბავშვები? ბედნიერად/მხიარულად/ღიმილიანი /მომღიმარი სახით.

ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი -
მომღიმარი სახის მოკლე, ჟღალთმიანი გოგონა და შავთმიანი ბიჭი ხეხილის ბაღში ვაშლის ნერგს რგავენ.
აქტივობა 2. აღსაწერ სურათზე მინიშნებების პოვნა;
აქტივობა 4. სურათის მოკლედ აღწერა წერილობით, გეგმის შეკითხვებზე დაყრდნობით; (რესურსი 2)
აქტივობა 5. მოკლე აღწერის დეტალებით გამდიდრება. სურათის უფრო განვრცობილად აღწერა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
წელიწადის რომელი დროა სურათზე გამოსახული? რა მიგვანიშნებს ამაზე? **(აქტ. 2)**
როგორი ამინდია? რა მიგვანიშნებს ამაზე?
რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ სურათის მარჯვნივ პატარა გოგონას ყვავილები უყვარს?
რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ სურათის შუაში ჩაცუცქული ბავშვები ნერგს რგავენ?
რა მოგვნიშნებს იმაზე, რომ ბავშვები კმაყოფილი არიან?
ბუნების სიყვარულის რა მაგალითებია ამ სურათზე გამოსახული?
რა დეტალებზე გაამახვილე ყურადღება ? რით გაამდიდრე მოკლე აღწერა ?
რა ენობრივი საშუალებები გამოიყენე აღწერის დროს - ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი
რომელი სიტყვები გამოიყენე? (მაგ., მარჯვნივ, მარცხნივ, გვერდით, უკან,ზემოთ).
რაზე დაგაფიქრათ ამ სურათმა?
ხომ არ გაგიჩნდათ სურვილი თქვენც გააკეთოთ იგივე?
როგორ ფიქრობთ, ვინ შექმნა ეს სურათი? რისი თქმა უნდოდა სურათის ავტორს?

გეზისმიმცემი შეკითხვები
აღწერის წარმოდგენა

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით: რა დაგეხმარა ამ აღწერაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია)
რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე
რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გაუმჯობესებდი.
აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:
რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
მსგავსი დავალება სხვადროს თუ შეგისრულებია?
იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება.

თემა 4: დედის დღე
საათების სავარაუდო რაოდენობა: 7 სთ

თემაში გამოყენებული ტექსტები: იაკობ გოგებაშვილის „ყველაზე ლამაზი დედიკო“ გვ.84-87.

სხვა რესურსები:
საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 68-69.
ბადიან სივრცეში სამუსაო მასალა: ბ, უ.

	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**1. საკითხი:** დედისთვის მისალოცი ბარათი შექმნა	**2. საკითხი:** **- ამბის შედგენა**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი**-მოთხრობა, თემა, იდეა, ძირითადი საკითხი ტექსტის გაგების სტრატეგია;	**ქვესაკითხები**: მოთხრობის „ყველაზე ლამაზი დედიკო“ თემა, დედააზრი, პერსონაჟი; მისალოცი ბარათის მახასიათებლები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება:** თხრობა		**ქვესაკითხები:** შეთხზული ამბის სამნაწილიანობა, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები; ვრცელი წინადადებები.
	კომპლექსური დავალება1. მისალოცი ბარათის მომზადება	**კომპლექსური დავალება 2.** ამბის შედგენა

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი-მოთხრობა,** საინფორმაციო-ყოფითი ტექსტი-- **მისალოცი ბარათი** თემა, დედააზრი, ტექსტის გაგების სტრატეგიები	**საკითხი -** დედისთვის მისალოცი ბარათის მომზადება **ქვესაკითხი** - იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „ყველაზე ლამაზი დედიკო“ თემა, დედააზრი, პერსონაჟი; მისალოცი ბარათის მახასიათებლები. **საკვანძო შეკითხვები** **კომპლექსური დავალება:** მისალოცი ბარათის შექმნა. მოუმზადე დედას დედის დღის მისალოცი ბარათი ➢ გამოკვეთე, რა მიზნით სწერ, რას ულოცავ დედას; ➢ დაიცავი მისალოცი ბარათის აგებულება; ➢ გააფორმე მისალოცი ბარათი და შეარჩიე სიტყვები, რომლებიც, შენი აზრით, მოეწონება დედას.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>**

1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	• რა ნაწილებისგან შედგება შენი მისალოცი ბარათი (ტ. 3); • რატომ ფიქრობ, რომ შენი მისალოცი ბარათი მოეწონება დედას (ტ.1, 2, 3); • რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები (გ.1,2).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- რა არის მისალოცი ბარათი? რისთვის იყენებენ მას?
- შენ თუ მოგიმზადებია მისალოცი ბარათი?
- გაიხსენე, ვის და რას ულოცავდი მისალოცი ბარათით?
- როგორ მოამზადე და გააფორმე შენი მისალოცი ბარათი?
- რის მიხედვით შეარჩიე შიგნით ჩასაწერი ტექსტი?

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის უკეთ გასაგებად. რომელი პერსონაჟი წარმოაჩენს ტექსტის დედააზრს, რატომ ფიქრობ ასე (ტ.1, 2, 3).

ითხები: ტექსტის გაგების სტრატეგია. მოთხრობის თემა, დედააზრი;

რესურსი, აქტივობები

რესურსი1. სახელმძღვანელოს ტექსტი „ყველაზე ლამაზი დედიკო“

აქტივობა 1. ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციაზე დაკვირვება, ვარაუდების გამოთქმა

რესურსი 2. ვარაუდების ცხრილი

მინიშნებები სათაურზე მინიშნებები სურათზე





ჩემი ვარაუდი

ჩემი ვარაუდით ეს ტექსტი იქნება...

რესურსი 3: ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენი სქემა
აქტივობა 2. უცნობი ლექსიკური ერთეულების დამუშავება და მათი გამოყენებით წინადადებების შედგენა
აქტივობა 3. სქემაზე დაყრდნობით ტექსტის შინაარსის აღმოჩენა (კითხვა-პასუხი)

ვინ/რა?	სად?	რას შვრება/რა ქნა?	როდის?	რატომ?

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- ილუსტრაციისა და სათაურის მინიშნებების მიხედვით, რაზე იქნება ტექსტი? (აქტ.1)
- როგორ ფიქრობ, ტექსტის მიხედვით რა მოხდება? ----------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?---
- სინამდვილეში რა მოხდა? ----------
- რას ნიშნავს **გიორგობა**? (რელიგიური, საეკლესიო დღესასწაული - წმინდა გიორგის სახელობის დღესასწაული) (აქტ.2)
- შენი აზრით, რას ნიშნავს „**უამრავი**“? რომელია შინაარსით მსგავსი სიტყვა? **ბევრი, მრავალი.**
- რომელი სიტყვა იქნება **უამრავი, ბევრი, მრავლის** საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა? **ცოტა**
- როგორ გესმის „**,,უამრავი ხალხი ირეოდა“?** სხვანაირად როგორ შეიძლება ითქვას? (მოიფიქრე 5-6 სიტყვიანი წინადადება „**უამრავი ხალხი ირეოდას“** გამოყენებით).
- როგორ გესმით სიტყვა „**მიუალერსეს**“ ? გაიხსენეთ მისი მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა (მოეფერნენ)
- სხვაგვარად როგორ იტყვი „**გულში ჩაიკრა“? (**გულში ჩაიხუტა)(მოიფიქრე 5-6 სიტყვიანი წინადადება)
- რა დღე იყო? (აქტ.3)
- სად იდგა ატირებული პატარა გოგონა?
- რას შეეცადნენ ქალები?
- რატომ გაეღიმათ ქალებს?
- როდის მივიდა დედა?
- ვინ არიან მოთხრობის პერსონაჟები?
- ვინ არიან ამ ტექსტის პერსონაჟები?
- გოგონას რა თვისებას ვიგებთ ტექსტიდან? ამოიკითხე ადგილი მოთხრობიდან.
- როგორია დედა? როგორები არიან გამვლელი ქალები?
- რას ფიქრობ, მართლა ყველაზე ლამაზია პატარა გოგონას დედა?
- შენი აზრით, შენი დედიკო უფრო ლამაზია თუ იმ გოგონასი? ასე რატომ ფიქრობ?
- შეძლებდნენ ადამიანები გოგონას მინიშნების მიხედვით მის დახმარებას? რატომ გგონია ასე?
- შენი აზრით, რისი თქმა უნდა ავტორს ამ მოთხრობით ? კიდევ?
- როგორ უნდა მოიქცე დაკარგვის შემთხვევაში? რა უნდა იცოდე, რომ ადვილად დაგეხმარონ ადამიანები?
- შენ რომ დაკარგულიყავი, როგორ მოიქცეოდი?
- რისი ცოდნა გამოგადგება? როგორ დაარიგებ შენს თანატოლს ან შენზე უმცროსს, რისი ცოდნაა მთავარი?

აქტივობა 4. ქოროში კითხვა, ექოს ტიპის კითხვა.
აქტივობა 5. მოსწავლეები ინაწილებენ ტექსტს და კითხულობენ როლებში.
აქტივობა 6. გამოკრებით წაკითხვა.

- მოძებმე ტექსტში ხუთსიტყვიანი წინადადება და ამოიკითხე.
- მოძებნე ტექსტში და ამოიკითხე წინადადება, სადაც ხალხმრავლობაზეა საუბარი.
- მოძებნე ტექსტში და ამოიკითხე ის წინადადებები, რომლებშიც წერია სიტყვა **პატარა.**

- სულ რამდენ წინადადებაში შეგხვდა ეს სიტყვა? რამდენსიტყვიანია ეს ორი წინადადება?

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. სახელმძღვანელოს ტექსტი: „დედის დღე“

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა და მის გაგება-გააზრებაზე მუშაობა,
ვარაუდების გამოთქმა, ტექსტის შუა ნაწილის აღდგენა

მონაკვეთი 1. დაჩი, რას აკეთებ? - ეკითხება ია დაჩის.
- საქმე მაქვს, ხელს ნუ მიშლი.
- რა საქმე გაქვს?--არ ეშვება ია.
დედიკოსთვის მისალოცი ბარათს ვწერ.
.....

მონაკვეთი 2. იამ სახატავი რვეული გადაშალა, ფერადი ფანქრები მოიმარჯვა და ხატვას შეუდგა.
დახატა მზე, მთები და ყვავილები.

აქტივობა 2. კითხვა-პასუხი ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენად

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- სათაურის მინიშნებების მიხედვით, რაზე იქნება ტექსტი? (აქტ.1)
- პირველი და მესამე ნაწილის გათვალისწინებით, რაზე იქნება საუბარი მეორე ნაწილში?
- როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ----------
- რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?---
- სინამდვილეში რა მოხდა? ----------
- თუ დედას უკვე ჰქონდა დაბადების დღე, ახლა რის მილოცვას აპირებს დაჩი?(აქტ.2)
- რატომ შეწუხდა ია?
- რა ურჩია დაჩიმ იას?
- რა დახატა იამ?

აქტივობა 3. საანბანო ტექსტის საჩვენებელი კითხვა

აქტივობა 4. საანბანო ტექსტის კითხვა სხვადასხვა სტრატეგიით (გუნდური კითხვა; ხმამაღალი კითხვა გაგრძელებით)

აქტივობა 5. მთლიანი ტექსტის საჩვენებელი კითხვა

აქტივობა 6. ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდურად მასწავლებელი ყველასთან ერთად კითხულობს ტექსტს.

აქტივობა 7. ექოდ კითხვა - ჯერ მასწავლებელი კითხულობს მონაკვეთს, შემდეგ შემსწავლელები ხმამაღლა კითხულობენ იმავე მონაკვეთს.

აქტივობა 8. მოთხრობის დედააზრის გამოკვეთა

- ამ მოთხრობებით რისი თქმა უნდათ ავტორებს?
- რატომ არიან ჩვენი დედიკოები ყველაზე ლამაზები? რატომ გვინდა მათი გახარება?
- ვის სიტყვებში ჩანს ავტორის სათქმელი, რომ დედა ლამაზი და საყვარელია?
  რომ შეგვიძლია დედებს მისალოცი ბარათითაც მივულოცოთ დედის დღე?
- ეთანხმები მოთხრობის დედააზრს? შენ თუ ულოცავ დედას დედის დღეს?
- მოგიმზადებია დედისთვის დედის დღის მისალოცი ბარათი?

ნაბიჯი 2. რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი მისალოცი ბარათია (ტ. 3); სად და რაში ჩანს შენი მისალოცი ბარათის მიზანი (ტ. 1,2,3.)

ქვესაკითხები:მისალოცი ბარათის მახასიათებლები.

აქტივობა 1. მისალოცი ბარათის მახასიათებლების გახსენება/ამოცნობა

რესურსი1. მისალოცი ბარათის, გამაფრთხილებელი აბრის, წერილის ნიმუშები. (იხილეთ. რესურსი მოსწავლის რვეულში)

- რას ხედავ ილუსტრაციებზე ?
- მოცემული სურათებიდან რომელია მისალოცი ბარათი და რომელი - არა. რატომ ფიქრობ ასე?

- რით ჰგავს მისალოცი ბარათები ერთმანეთს? რით განსხვავდება დანარჩენებისგან მისალოცი ბარათი?
- როგორ ფიქრობ, რისთვის სჭირდებათ ადამიანებს მისალოცი ბარათი?
- შენ თუ მიგიწერია ვინმესთვის მისალოცი ბარათი? რა მიულოცე? იყიდე თუ დაამზადე ბარათი?

აქტივობა 2. ვიდეოს ჩვენება

რესურსი 2. ვიდეო (როგორ დავამზადოთ მარტივი მისალოცი ბარათი)

აქტივობა 3. იდეების გენერირება

- შენ როგორ მისალოც ბარათს მოუმზადებდი დედას დედის დღისთვის?
- რა დაგჭირდება მისალოცი ბარათის დასამზადებლად?
- როგორი უნდა იყოს მისალოცი ბარათი?როგორ გააფორმებ მისალოც ბარათს?
- რას დახატავდი ბარათზე? როგორ ტექსტს შეურჩევდი ბარათს?
  დაახლოებით, რა ზომის იქნებოდა შენი მისალოცი ბარათის ტექსტი?
- რას მისწერ დედას, რას მიულოცავ მას?
- რა უნდა გაითვალისწინო მისალოცი ბარათის დაწერისას? რა არ უნდა დაგავიწყდეს?
- ქვემოთ მოცემული ბარათებიდან, რომელს აირჩევდი დედის დღის მისალოცი ბარათისთვის? რატომ?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად მისალოცი ბარათის ნიმუშია?
- რა დაგეხმარა ბარათის შედგენაში?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს წერილს, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 2**

სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** - თხრობა	**საკითხი - ამბის შედგენა** თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვების და თხრობის სტრუქტურა-აგებულების დაცვით, **ქვესაკითხი:** თხრობის მახასიათებლები; ვრცელი წინადადებები; თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ გამოვიყენო თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვების და თხრობის სტრუქტურა-აგებულების ცოდნა პატარა ამბის დასაწერად? **კომპლექსური დავალება**: ამბის შეთხზვა ნაცნობ თემაზე. ➢ მოიგონე მცირე ზომის ამბავი დაკარგულ ბავშვზე, რომელმაც ადვილად შეძლო მშობლების პოვნა. ➢ შეურჩიე სახელი პერსონაჟ ბავშვს, დაასათაურე და გააფორმე შენი მოგონილი ამბავი ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ შექმნილი ილუსტარციით ან შენი ნახატით.
სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი** - (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** <u>ნამუშევარში</u> წარმოაჩინე: • რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა დაკარგული ბავშვის ამბავი (ს. 1, 3); • ამბის დეტალები: (სად იყო ერთხელ ბავშვი, ვისთან ერთად იყო ის, რა ხდებოდა იქ, როგორ დაიკარგა,შეეშინდა თუ არა, როგორ მოახერხა მშობლების სწრაფად პოვნა).(ტ.2); • სასვენი ნიშნები წინადადებების შინაარსის გათვალისწინებით.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1.

- როგორ ახსნით, რა არის ამბავი?
- როგორ მოვყვეთ ამბავი?
- რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარებათ ამბის შეთხზვაში?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. წარმოაჩინე, რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 1, 3);

ქვესაკითხი: თხრობის სამნაწილიანი სტრუტურა;

რესურსები, აქტივობები

რესურსი 1. თხრობის რუკა

ერთხელ	მერე	ბოლოს
ისაუბრე, სად და ვისთან ერთად იყო ბავშვი, რას აკეთებდნენ ის, რა მოხდა შემდეგ.....		ისაუბრე, რა მოხდება, რას გააკეთებენ უფროსები, როგორ დასრულდება ამბავი.

აქტივობა 1. ვიდეოს ნახვა და განხილვა

- რა მოისმინეთ ვიდეოში?
- რა დაემართა ბავშვის დედას?
- როგორ მოიქცა თქვენი თანატოლი პატარა ბიჭი, რომელიც მარტო იყო დედასთან ?
- როგორ ფიქრობთ, შეეშინდა ბავშვს?დაიბნა ის?
- სად დარეკა ბიჭმა?
- გსმენიათ რამე ამ სამსახურის შესახებ?
- კიდევ რა შემთხვევაში ვრეკავთ 112-ზე?
- რა შეატყობინა ბავშვმა 112-ის ოპერატორს?
- რა იცოდა მან მშობლის შესახებ?
- რისი ცოდნა ყოფილა საჭირო?(სახელი, გვარი; ტელეფონის ნომერი; მისამართი)
- რომ არ სცოდნეოდა ბავშვს ეს ყველაფერი, შეძლებდა დედის გადარჩენას?
- როგორ გგონია, დაკარგულ ბავშვს დაეხმარება სამაშველო სამსახურის ნომრის - 112-ის, მშობლის სახელის, გვარის, ტელეფონის ნომრის; მისამართის ცოდნა?
- შენ თუ იცი, ეს ყველაფერი?
- რაზე დაგაფიქრა ამ ვიდეოს ნახვამ?

აქტივობა 2. თხრობის ჩარჩოს შევსება

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- გაგიადვილებთ თუ არა ეს ჩარჩო დავალების შესრულებას? რატომ? როგორ?
- ეს ამბის დასაწყისია თუ ამბის შუა ნაწილი? სად ჩავწერო, ჩარჩოს რომელ უჯრაში?
- რით შეიძლება დაიწყოს ამბავი? (აქტ.1)
- როგორი ამინდი იყო?
- სად და ვისთან ერთად წავიდა ერთხელ ბავშვი?
- როგორი გარემო იყო, რა ხდებოდა იქ?
- როგორ ასცდა მშობელს? რას აკეთებდა და რატომ მოხდა ეს?
- რა განცდა დაეუფლა ბავშვს?
- ამ დროს როგორ გრძნობდნენ თავს მშობლები და სხვა ადამიანები?
- რა მოხდა მერე?რა გაახსენდა უცებ ბავშვს?
- რისი ცოდნა დაეხმარებოდა ბავშვს?
- როგორ დასრულდება ამბავი?
- როგორ დაასათაურებთ თქვენს ამბავს?
- როგორ, რა საშუალებებით გააფორმებთ თქვენს ამბავს?

ნაბიჯი 2. გამოიყენე ვრცელი წინადადებები და იშვიათად ხმარებული სიტყვები, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები (ს. 1, 2, 3); გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი (ს. 2).

ქვესაკითხი: ვრცელი წინადადებები

რესურსები/აქტივობები

აქტივობა 1. იდეების გენერირება

აქტივობა 2. წინადადებების გავრცობა

მაგალითად:

ამოსავალი წინადადება: ნიამ გამვლელს დედასთან დაარეკინა.

გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: გონიერმა პატარა ნიამ გამვლელ ახალგაზრდა ქალს სასწრაფოდ დედასთან დაარეკინა.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- როგორია ნია? (გონიერი, პატარა,ჭკვიანი....)
- ქალი როგორია? (ახალგაზრდა, ლამაზი, კეთილი...)
- როგორ დაარეკინა? (სასწრაფოდ, უცბად...)
- როგორ განვავრცოთ წინადადება **?**
- ხომ არ დავამატოთ აქ რაიმე დეტალი?
- რა ხერხს მიმართავთ იმისთვის, რომ გამოიყენოთ საინტერესო სიტყვები, მრავალფეროვანი, ვრცელი წინადადებები?

აქტივობა 3. მოსწავლეები ინდივიდუალურად ამზადებენ პატარა ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ შეძლო პატარა გოგონამ მშობლების სწრაფად მოძებნა.

- აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული (რეს.1)
- იყენებ თუ არა საინტერესო სიტყვებს, მრავალფეროვან, ვრცელ წინადადებებს;
- რა არის გასაუმჯობესებელი?

გეზისმიმცემი შეკითხვები

- ვის რა ამბავი გაგახსენდათ იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარათ ადამიანებს ან თქვენ 112- ის სამსახურის შესახებ ინფორმაციის ცოდნა, მშობლის/ახლობლის ტელეფონის ნომრის, მისამართის, სამსახურის ცოდნა?
- კიდევ რას გაიხსენებდით სკოლაში, ოჯახში ნასწავლიდან, მულტფილმებიდან, პირადი ცხოვრებიდან?
- როგორ გამოიყენებთ თხრობის ჩარჩოს მოსამზადებლად?
- რა ხერხს მიმართავთ იმისთვის, რომ გამოიყენოთ საინტერესო, იშვიათად ხმარებული სიტყვები და ვრცელი წინადადებები?
- როგორ გაუმჯობესებთ თხრობას?

ამბის დაწერა და წარმოდგენა

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი?
- რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია)
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რ აგააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი/

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება.

თემა N5: პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე **საათების სავარაუდო რაოდენობა: 7 სთ**
თემაში გამოყენებული ტექსტები: „ხატვის გაკვეთილზე“, „სიტყვის ძალა“, „ფაიფურის თოჯინა“
სხვა რესურსები: **საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 83-91.** **ბადიან სივრცეში სამუშაო მასალა: ფ, ქ, ყ, ც.**

სამიზნე ცნებები:	**საკითხი 1.** **ლ. ვაშაკიძის მოთხრობის „ფაიფურის თოჯინის“** შინაარსის (დასაწყისის, შუა ნაწილის, დასასრულის) თანამიმდევრულად გადმოცემა ნახატების მეშვეობით.	**საკითხი 2.** ამბის შეთხზვა „ჯადოსნური სიტყვების” (თავაზიანი სიტყვების) გამოყენების შესახებ.
ტექსტი **ქვეცნებები**: მოთხრობა, სიუჟეტის განვითარების საფეხურები, დედააზრი, პერსონაჟი; ტექსტის გაგების სტრატეგიები	**ქვესაკითხები**: მოთხრობის „ფაიფურის თოჯინა“ სიუჟეტის განვითარების საფეხურები, დედააზრი, პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება**: თხრობა;		**ქვესაკითხები:** ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა, თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები, იშვიათად ხმარებული სიტყვები, მნიშვნელოვანი დეტალი, გავრცობილი წინადადებები.
	კომპლექსური დავალება 1. **თხზულების შინაარსის გადმოცემა ზეპირად**	**კომპლექსური დავალება 2.** **ამბის შეთხზვა**

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მოთხრობა, სიუჟეტის განვითარების საფეხურები, დედააზრი, პერსონაჟი; ტექსტის გაგების სტრატეგია	**საკითხი - ლ. ვაშაკიძის მოთხრობის „ფაიფურის თოჯინის“** შინაარსის (დასაწყისის, შუა ნაწილის, დასასრულის) თანამიმდევრულად გადმოცემა ნახატების მეშვეობით. **ქვესაკითხი** - მოთხრობის „ფაიფურის თოჯინა“ სიუჟეტის განვითარების საფეხურები, დედააზრი, პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ გადმოვცე ლ.ვაშაკიძის მოთხრობის - „ფაიფურის თოჯინა“ შინააარსი (დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული) ნახატების მეშვეობით? რით და როგორ უკავშირდება შენი ნახატები ნაწარმოების დასაწყისს, შუა ნაწილსა და დასასრულს? **კომპლექსური დავალება**: თხზულების შინაარსის გადმოცემა ზეპირად

	➢ ციფრული რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით ან სახატავი საშუალებებით დახატე სამი სურათი მოთხრობა „ფაიფურის თოჯინას“ მიხედვით: ერთი ნახატი უნდა ასახავდეს ამბის დასაწყისს, მეორე _ შუა ნაწილს, მესამე _ დასასრულს. ➢ დაალაგე ნახატები თანმიმდევრობით და მათზე დაყრდნობით ზეპირად გადმოეცი მოთხრობის შინაარსი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** • რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება • მოთხრობა, გამოიყენე ახალი და საინტერესო სიტყვები; • რას გვასწავლის მოთხრობა; • რას მიაქციე ყურადღება ნახატების შექმნისას;

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

რესურსი 1. ბასტი-ბუბუს სიმღერა-- ბოდიში, გმადლობ, თუ შეიძლება

რესურსი 2. ილუსტრაციები



აქტივობა 1. ვიდეორგოლის მოსმენა

აქტივობა 2. ილუსტრაციებზე დაყრდნობით წინარე ცოდნის გააქტიურება

რა მოისმინეთ, რაზე მღეროდნენ ბავშვები?(აქტ.1)
რომელი სიტყვები უნდა ვიცოდეთ? რატომ ეძახიან მათ ჯადოსნურს?

რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?(აქტ.2)
რატომ ეხმარებიან ადამიანები სხვებს?
ასეთ საქციელს რას ვეძახით? (თავაზიანობას, მზრუნველობას)
სხვისთვის დახმარება, სხვაზე ზრუნვა თავაზიანი, კეთილშობილი საქციელია. ასევე, დახმარების ან ნივთის თავაზიანად თხოვნა და მადლობის გადახდაც არის თავაზიანი,ზრდილობიანი საქციელი.
თქვენი აზრით, რა და როგორ შეიძლება ეთხოვა ბიჭისთვის წაქცეულ გოგონას? (მაგ., თუ შეიძლება დამეხმარე; უკაცრავად, იქნებ დამეხმაროთ...)
რას ეტყოდა დასახმარებლად მისულ ბიჭს? (მადლობას გადაუხდიდა)
კიდევ რა შეიძლება ეთქვა? (მაპატიე, რომ შეგაწუხე; ბოდიში, რომ შეგაწუხეთ)
ამ ილუსტრაციების მიხედვით, ვის შეიძლება ეთხოვა: თუ შეიძლება დამეხმარეთ?
ვის შეიძლება მოეხადა ბოდიში მეორე ადამიანისთვის იმიტომ, რომ შეაწუხა, მოაცდინა ის მასთან დასახმარებლად მისვლის გამო?
ვინ გადაიხდიდა მადლობას?
სწორი იქნებოდა, რომ მათ დახმარებისთვის მადლობა არ გადაეხადათ; მოცდენისთვის, შეწუხებისთვის ბოდიში არ მოეხადათ?

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
რისი ცოდნა გამოგადგებათ?
თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება მოთხრობა, გამოიყენე ახალი ანდა საინტერესო სიტყვები (ტ. 1, 3); რას გვასწავლის მოთხრობა (ტ. 1, 3); რა მინიშნებები გამოიყენე ნახატების შესაქმნელად (ტ. 2).
ქვესაკითხები: მოთხრობის „ფაიფურის თოჯინა“ დედააზრი, პერსონაჟები, სიუჟეტის განვითარების საფეხურები.

რესურსი 1. მოთხრობა „სიტყვის ძალა“

რესურსი 2. ვარაუდების ცხრილი

აქტივობა 1. სათაურსა და ილუსტრაციაზე დაკვირვებით ვარაუდების გამოთქმა
აქტივობა 2. ტექსტების ეპიზოდებად წაკითხვა, ვარაუდების გამოთქმა.
აქტივობა 3. ტექსტის გაგებაზე მუშაობა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

რას გეუბნებათ მოთხრობის სათაური, რაზე იქნება ტექსტი? (აქტ.1)
სად და როდის უნდა ხდებოდეს, სავარაუდოდ, მოქმედება?
მოთხრობა „სიტყვის ძალაში“ რას ხედავთ ილუსტრაციაზე? რაზე მიგანიშნებთ ის?
თქვენი ვარაუდით, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ორ მოთხრობას?
ეპიზოდი I - უცებ მარიამი ატირდა... (აქტ.2)
როგორ ფიქრობთ, რატომ ატირდა გოგონა? რა შეიძლება ყოფილიყო მისი ტირილის მიზეზი?
მასწავლებელი რას იზამს, რით დააწყნარებს გოგონას?
თქვენ ან თქვენი მეგობარი თუ ატირებულხართ გაკვეთილზე? რა მიზეზით? ვინმემ ხომ არ გაწყენინათ? როგორ მოაგვარეს მასწავლებელმა/ მოსწავლეებმა საქმე.
ეპიზოდი II - მარიამმა ტირილს უმატა...
რატომ უტირია მარიამს? ვინ ან რა არის მისი ტირილის მიზეზი? თქვენი ვარაუდით, ვინ გაარკვევს, რა ატირებდა მარიამს?
გამართლდა თქვენი ვარაუდი?
III - ბავშვებო, რა შეარიგებთ დაჩის და მარიამს?
რას უპასუხებენ ბავშვები? რა შეარიგებთ დაჩის და მარიამს? რატომ ფიქრობთ ასე? რამე მინიშნებებს ეყრდნობთ თუ საკუთარ გამოცდილებას? სინამდვილეში რა მოხდა? გამართლდა თქვენი ვარაუდი?
როგორ დაიწყო ხატვის გაკვეთილი?
რა მოხდა უეცრად?
რა გაარკვია მასწავლებელმა?
რა უსაყვედურა მასწავლებელმა დაჩის?
როგორ მოიქცა დაჩი? თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო ის?
როგორ მოიქცა მარიამი? თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო იგი?
უნდა ვაგოთ თუ არა პასუხი საკუთარ საქციელზე?
რა კითხვა დასვა მასწავლებელმა?
რა უპასუხეს ბავშვებმა? იმათაც იგივე აზრი ჰქონდათ, რაც თქვენ?
როგორ მოიქცნენ დაჩი და მარიამი?
ეთანხმებით აზრს, რომ სიტყვა „ბოდიშს“ ჯადოსნური ძალა აქვს? რატომ?
თქვენ თუ გქონიათ შემთხვევა, როცა მოუხადეთ ვინმეს ბოდიში, ან პირიქით, თქვენ მოგიხადეს?
კიდევ რომელ ჯადოსნურ სიტყვებს იცნობთ? ხშირად იყენებთ ასეთ სიტყვებს?
რა არის ამ მოთხრობის ავტორის მთავარი სათქმელი? რა უნდა გვახსოვდეს მუდამ?

უნდა ვიყოთ თუ არა, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლები?

აქტივობა 4. შეავსე წინადადებები ზეპირად და ისე წაიკითხე. გამოიყენე სიტყვები: თუ შეიძლება, მაპატიე, გმადლობთ
... აღარ დავხევ რვეულს.
... შენი საჩუქარი ძალიან მომეწონა.
... თუ შეიძლება, ნამცხვარი მომაწოდეთ.
აქტივობა 5. მოცემული სიტყვებით შეადგინე წინადადებები:
1.მასწავლებელი დაფა სიტყვები ჩამოწერა
2. დაჩი მარიამი ფანქარი აიღო
3. მარიამი დაჩი ბოდიში მოუხადა
აქტივობა 6. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა
აქტივობა 7. ექოში კითხვა, შეცდომებით წაკითხული
აქტივობა 8. მოსწავლეები ინაწილებენ ტექსტს და კითხულობენ როლებში

რესურსი 1. მოთხრობა „ფაიფურის თოჯინა“

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა ვარაუდების გამოთქმით
აქტივობა 2. ლექსიკური ერთეულების (ფაიფური, შეკრთა)

ა ქტივობა 3. ტექსტის გაგებაზე მუშაობა. დამუშავება

რესურსი 2: სიტყვის გამომძიებელი

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობის ტექსტის მიხედვით	განმარტება ლექსიკონში

ფაიფურის ჭურჭელი და ფიგურა

გეზისმიმცემი კითხვები:

რას გეუბნებათ ტექსტის სათაური და ილუსტრაცია?(აქტ.1)
რას აკეთებს ია?
კიდევ რას ხედათ ილუსტრაცაზე?
რა ყრია ძირს? ხომ ვერ იტყვით, რა მოხდებოდა?
თქვენი ვარაუდით, რაზე იქნება მოთხრობა?
როგორ გგონიათ, რა **არის ფაიფური?** (მკვრივი, წყალშეუღწევი მინერალური მასა, დამზადებული საუკეთესო ხარისხის თეთრი თიხის და საგანგებო მინარევებისგან, იყენებენ კერამიკული ნაკეთობისთვის, ჭურჭლის დასამზადებლად.)
თურმე რას ამზადებენ ფაიფურისგან?
ხომ არ იცით, კიდევ რა გვხვდება ფაიფურის?
რა თვისება აქვს ფაიფურს?(ადვილად იმსხვრევა)
ჩვეულებრივ, სათამაშო თოჯინებს ფაიფურისგან ამზადებენ? რატომ ფიქრობთ ასე?
შეკრთა (შეკრთომა) - მოულოდნელი ხმაურის გამო შეკრთა (შეშინდა) ია, - წერია ტექსტში. რა გემართებათ თქვენ მოულოდნელი ხმაურისგან? უცაბედი ხმაურით ოდნავ შეშინებაა შეკრთომა?
რა ამშვენებდა კარადას? **(აქტ.3)**
რას აფრთხილებდა დედა ბავშვებს?
რა ჰქნა ერთხელ იამ?
რამ შეაკრთო გოგონა?
როგორ მოიქცა ია?
რატომ შერცხვა მას?
რისი თქმა უნდა ამ ნაწარმოებით ავტორს?
რას იტყვით მისი საქციელის შესახებ?
თქვენ თუ დაგიმალავთ ჩადენილი დანაშაული?
რა მოჰყვა ამას? რას ურჩევდით იას?

აქტივობა 4.

ამბავი დაალაგეთ ისე, როგორც მოთხრობაში ხდება. ამის მიხედვით ჩამოწერეთ დაფაზე წრეში მოცემული ასოები. რა სიტყვა მიიღეთ?

ი	იამ ფაიფურის თოჯინა ჩამოიღო.
ო	ფაიფურის თოჯინა გატყდა.
ფ	იამ კარადას სკამი მიადგა.
ს	იას თოჯინა ხელიდან გაუვარდა.

აქტივობა 5. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა
აქტივობა 6. გუნდურად წაკითხვა
აქტივობა 7. გამოკრებით წაკითხვა
აქტივობა 8. ტექსტის დაყოფა ეპიზოდებად. (მოსწავლეები კარნახობენ, მასწავლებელი წერს დაფაზე ვერსიებს)

მთავარი პერსონაჟები: **სხვა პერსონაჟები**	**მოქმედების დრო და ადგილი:**

რა მოხდა დასაწყისში?	**შემდეგ რა მოხდა?**	**რით დასრულდა ამბავი?**
„ერთხელ...	„ამის შემდეგ...	„ბოლოს...

გაიხსენეთ, რას ითვალისწინებთ ამბის გადმოცემისას, დააკვირდით სქემას და შეავსეთ. გამოყოფილი სამი ეპიზოდის მიხედვით დახატეთ სამი ნახატი და მოკლედ, თანმიმდევრულად გადმოეცით მოთხრობა.

ინდივიდულური სამუშაო

შემენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომლექსურ დავალებაში

ნამუშევრების წარდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

რატომ ფიქრობ, რომ შენი შექმნილი დავალება არის თხზულების მოკლე შინაარსი?
როგორ შეუსაბამე ნახატს წაკითხული, რა მინიშნებები გაითვალისწინე ხატვისას ?
ტექსტების რომელ ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომის შექმნისას? რატომ?
რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად?რატომ?
რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შემენილ ცოდნას?
რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?
აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე
რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?

რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება? გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? თანაკლასელების ნაუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება? **აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:** რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს? იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება? მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** - თხრობა	**საკითხი** - ამბის შეთხზვა „ჯადოსნური სიტყვების" (თავაზიანი სიტყვების) ძალაზე. **ქვესაკითხები:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები, მნიშვნელოვანი დეტალი, იშვიათად ხმარებული სიტყვები, გავრცობილი წინადადებები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევთხზა ამბავი „ჯადოსნური სიტყვების" გამოყენებით? **კომპლექსური დავალება:** მოიფიქრე და დაწერე ამბავი ჯადოსნური სიტყვების ძალაზე ➢ მოიფიქრე და დაწერე ამბავი ჯადოსნური სიტყვების ძალაზე. ამისთვის: გამოკვეთე ამბის დეტალები (მაგ., ვინ არის შენი პერსონაჟი _ გოგონა თუ ბიჭუნა; ➢ როგორი იყო იგი ამბის დასაწყისში, როგორ ექცეოდა სხვებს და როგორ შეიცვალა იგი ჯადოსნური სიტყვების ძალით); ➢ გამოკვეთე ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; ➢ წინადადებების შინაარსის გათვალისწინებით, დასვი სასვენი ნიშნები; ➢ შეთხზულ ამბავს შეურჩიე სათაური.
მკვიდრი წარმოდგენები **სამიზნე ცნება:** 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა.	**ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** • როგორი აგებულება აქვს შენს ამბავს; • განსაკუთრებით რომელი დეტალი, რომელი ეპიზოდი მიანიშნებს ჯადოსნური სიტყვების ძალაზე. • რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად; • რატომ დაასათაურე ამბავი ასე; • რატომ დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად.

2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გაქტიურება

აქტივობა 1. მოსწავლის წინარე ცოდნის დადგენა

რა მიგაჩნია თავაზიან მოქცევად?
შენ მიმართ როგორი მოქცევა მოგწონს? რატომ?
შენ როგორ ექცევი სხვებს?
როგორ გამოხატავ ახლობლების მიმართ პატივისცემას, თავაზიანობას?
რა გეხმარება ადამიანების მიმართ თავაზიანობის გამოხატვაში?
რა ამბები გახსენდება საკუთარი გამოცდილებიდან, რომელიც თავაზიანობას, პატივისცემას, ჯადოსნური სიტყვების გამოყენებას ეხება?
დაგეხმარება საკუთარი გამოცდილება ანუ ის, რაც თავს გადაგხდა, რაც ნახე, წაიკითხე ან მოისმინე ჯადოსნურ სიტყვებთან დაკავშირებით, ამ დავალების შესრულებაში?
დავალების მოთხოვნების გაცნობიერება
როგორ ახსნით, რა არის ამბავი?

- როგორ მოყვებით ამბავს ჯადოსნური სიტყვების ძალის შესახებ?
- დაფიქრდით, რა უნდა გაითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარება ამბის შეთხზვაში?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება?
- შენი აზრით, რა გაგიადვილდება, რა გაგიძნელდება?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი1. როგორი აგებულება აქვს შენს ამბავს (ს.3); განსაკუთრებით რომელი დეტალი, რომელი ეპიზოდი მიანიშნებს ჯადოსნური სიტყვების ძალაზე (ს. 1. 3); რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად (ს.2); ახსენი, რატომ დაასათაურე ამგვარად და არა სხვაგვარად (ს.3).
ქვესაკითხი: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები.
რესურსები, აქტივობები
რესურსი 1. მოთხრობის რუკა



აქტივობა 1. თხრობის ჩარჩოს შევსება მოსწავლეთა კარნახით
აქტივობა 2. დაფაზე დაწერილი წინადადებების გავრცობა
მოსწავლეები კითხულობენ მათ მიერ გავრცობილ წინადადებს.
მაგალითად., **ამოსავალი წინადადება:** ეზოში ცხოვრობდა ერთი გოგონა.

გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი:
დიდ, ძველ ეზოში ცხოვრობდა ერთი ბუზღუნა და ბუტია გოგონა.

აქტივობა 4. მოსწავლეები ინდივიდუალურად თხზავენ ამბავს და ხატავენ შესაბამის ნახატებს.
აქტივობა 5. მეწყვილეები ეხმარებიან ერთმანეთს წინადადებების გავრცობაში, იშვიათად ხმარებული სიტყვების გამოყენებაში

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
რა ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს ჩვენი ამბავი?
რით იწყება ამბავი? **(აქტ.1, 2)**
ვინ იყო ამბის მთავარი პერსონაჟი?
რით იყო ის განსხვავებული თანატოლებისგან?
რა პრობლემა იყო თავიდან?
როგორ ექცეოდა გოგონა მეზობელ ბავშვებს, საკუთარ და-ძმას?
სურდათ ბავშვებს მასთან თამაში, მისთვის სათამაშოების თხოვება?
როგორ გამოხატავდნენ ბავშვები მის მიმართ დამოკიდებულებას?
ვისზე ბრაზობდა ის? გრძნობდა საკუთარ შეცდომას?
ვინ გაიცნო ერთ დღეს გაბუტულმა გოგონამ?
რა რჩევა მისცა მან გოგონას?
რომელი სიტყვების გამოყენება დაავალა?

როგორ დაეხმარა გოგონას უცნობის რჩევა?
შეიცვალა თუ არა გოგონას მიმართ თანატოლებისა და და-ძმის დამოკიდებულება?
რით დასრულდება ამბავი? როგორ გადაიჭრა პრობლემა?
როგორ დაასათაურებთ ამბავს?
როგორ განვავრცოთ ეს წინადადება? ხომ არ დავამატოთ აქ რამე დეტალი? რა სიტყვებით შეიძლება გავამდიდროთ? **(აქტ. 3)**
როგორ გავაუმჯობესებოთ თხრობა?
როგორ მოვახდინო შთაბეჭდილება მსმენელზე? როგორ დავაინტერესო ის?
როგორ ეზოში ცხოვრობდა გოგონა? (დიდ, ძველი...)
როგორი იყო გოგონა, რომელიც ეზოში სწავლობდა? (ბუზღუნა, ბუტია...)

ასე დამუშავდება სხვა წინადადებებიც

ნაბიჯი 2. გამომსახველობითად მოყევი თუ არა ტექსტი - გამოიყენე თუ არა ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია (მკვ. 3)

რესურსი 1. კრიტერიუმების ბადის ნიმუში

გ = გასაუმჯობესებელია კ = კარგია	
	დამკვირვებელი
აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული	
იყენებ თუ არა იშვიათად ხმარებულ სიტყვებს, მრავალფეროვან, ვრცელ წინადადებებს	
გადმოცემ თუ არა ამბავს გამომსახველობითად	
რა არის გასაუმჯობესებელი? ---------- ----------	

აქტივობა 1. სურათებზე დაყრდნობით რეპეტიციის გავლა მეწყვილესთან ერთად, დაკვირვების კრიტერუმების გამოყენებით მონათხრობის გაუმჯობესება;
როგორ გავაუმჯობესო თხრობა?
როგორ მოგეწონა მეწყვილის მონათხრობი?
რა რჩევას მისცემდი მას?
რით ჰგავს შენს მონათხრობს? რით განსხვავდება?

აქტივობა 2. მოსწავლეები ინდივიდუალურად ამზადებენ ამბავს კლასის წინაშე წარმოსადგენად.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი?
- რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია)
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?

- თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი.

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება.

თემა N6: ჩვენი სურვილები-პროფესიები **საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 სთ**
თემაში გამოყენებული ტექსტები: „მოგზაური“, „უშიშარი კაპიტანი“-მ ბოლქვაძის მიხედვით, დამატებითი მასალა: ნესტან კუპრავას „ვინ რას აკეთებს“
სხვა რესურსები: **საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 74-76** **ბადიან სივრცეში სამუშაო მასალა: ჯ, ტ.**

სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ტექსტში „ვინ რას აკეთებს“ გადმოცემული ამბის საკუთარ ცხოვრებასთან, მომავალ პროფესიასთან დაკავშირება და დახატვა.	**საკითხი 2.** მხიარული სათავგადასავლო ამბის შეთხზვა კაპიტნის მოგზაურობის შესახებ.
ტექსტი **ქვეცნებები**: მხატვრული ჟანრი- მოთხრობა; თემა, დედააზრი, მნიშვნელოვანი დეტალი.	**ქვესაკითხები**: ნესტან კუპრავას მოთხრობის „, ვინ რას აკეთებს“ თემა, დედააზრი, მნიშვნელოვანი დეტალი, ტექსტის გაგების სტრატეგიები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება**: თხრობა		**ქვესაკითხები:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები; ვრცელი წინადადებები.
	კომპლექსური დავალება 1. ტექსტის პირად ცხოვრებასთან დაკავშირება	**კომპლექსური დავალება 2.** ამბის შეთხზვა

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი** - მოთხრობა თემა, დედააზრი, მნიშვნელოვანი დეტალი	**საკითხი: ტექსტში** „ვინ რას აკეთებს“ გადმოცემული ამბის საკუთარ ცხოვრებასთან, მომავალ პროფესიასთან დაკავშირება და დახატვა. **ქვესაკითხი:** ნესტან კუპრავას მოთხრობის „, ვინ რას აკეთებს“ დედააზრი, მნიშვნელოვანი დეტალი, ტექსტის გაგების სტრატეგიები **საკვანძო შეკითხვა**: როგორ დავუკავშირო მოთხრობიდან მიღებული ინფორმაცია საკუთარ ცხოვრებას? როგორ დამეხმარება მოსმენილი მომავალი საქმიანობის არჩევაში? **კომპლექსური დავალება: ტექსტის პირად ცხოვრებასთან დაკავშირება** ➢ გაიხსენე , ტექსტი „ვინ რას აკეთებს“. წარმოდგენილი პროფესიებიდან რომელი მოგეწონა და რატომ? ➢ შექმენი ნახატი „ჩემი მომავალი საქმიანობა“, ამისთვის გამოიყენე სახატავი საშუალებები ან ციფრული რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები :** ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	• რატომ შეარჩიე ეს პროფესია; • რატომ არის საჭირო ამდენი პროფესია; • რა არის მნიშვნელოვანი თითოეული საქმიანობისთვის; • რა გაიგე ახალი პროფესიების შესახებ, რა იცოდი აქამდე.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
რისი ცოდნა გამოგადგებათ?
თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ მოთხრობით (ტ.1); რა გაიგე ახალი ამ ტექსტით, რაც მანამდე არ იცოდი მაგ.: რატომ არის საჭირო ამდენი პროფესიის არსებობა. რა არის მნიშვნელოვანი თითოეული პროფესიისთვის (ტ. 1 2, 3).

ქვესაკითხები: გაგების სტრატეგია, დედააზრი, პერსონაჟი, მოთხობის მთავარი დეტალი

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

რომელ პროფესიებს იცნობთ? რა იცით მათ შესახებ?
ცხოვრებაში გინახავთ ამ პროფესიის ადამიანები, თუ ფილმებიდან, მულტფილმებიდან და წიგნებიდან გაიცანით მათი საქმიანობა?
თქვენ რომელი პროფესიის ადამიანები გყავთ ოჯახში?
ხომ არ გახსენდებათ რამე საინტერესო ამბავი მათ შესახებ?

აქტივობა 2. ილუსტრაციების მიხედვით პროფესიების დასახელება

რესურსი 1. ილუსტრაციები

რესურსი 2. ვიდეომასალა „ჩვენ ვსწავლობთ პროფესიებს“
https://www.youtube.com/watch?v=abQZ-o6SaII
აქტივობა 3. ვიდეოს ნახვა
რომელი პროფესიის ადამიანებს ხედავ სურათზე?(აქტ.2, აქტ. 3)
რომელი პროფესიაა ისეთი, რომელსაც აქამდე არ იცნობდი?
ვინ რას აკეთებს: მეცნიერი? დურგალი? მფრინავი? კოსმონავტი? მზარეული?
რომელი პროფესიის ადამიანები ნახე ვიდეოში, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი იცოდი?
თქვენი აზრით, არის საჭირო ამდენი პროფესია? რატომ თვლი ასე?
რა მოხდებოდა ექიმები რომ არ არსებობდნენ? პოლიციელები? მეხანძრეები? მასწავლებლები?
ნანახიდან და მოსმენილიდან, შენ რომელი პროფესიით დაინტერესდი?

რესურსი1. მოთხრობა - „მოგზაური“
რესურსი 2. ვარაუდების ცხრილი
მინიშნებები სათაურზე მინიშნებები სურათზე



ჩემი ვარაუდი

ჩემი ვარაუდით ეს ტექსტი იქნება...

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა ვარაუდების ცხრილზე დაყრდნობით
აქტივობა 2. ტექსტის გაგებაზე მუშაობა, დედააზრის ამოცნობა
აქტივობა 3. ზურიკოს დახასიათება რუკაზე დაყრდნობით
გეზისმიმცემი კითხვები:
რას გეუბნებათ ტექსტის სათაური და ილუსტრაცია ტექსტის შესახებ?(აქტ.1)
რა საერთოს ხედავთ ილუსტრაციასა და სათაურს შორის?
თქვენი ვარაუდით, რაზე იქნება მოთხრობა?
რა მოხდება შემდეგ? ბოლოს?
გამართლდა თქვენი ვარაუდი?
რას ვკითხულობთ ტექსტში? როგორი ბიჭია ზურიკო? (აქტ.1)

რა უნდოდა ზურიკოს? (წაიკითხე პირველი აბზაცის მეორე წინადადება)
რატომ წავიდა ზურიკო სახლიდან?
რას ნიშნავს „მთელი სახლი ფეხზე დადგა?“ წაიკითხეთ მომდევნო აბზაცი და ახსენით, რას ნიშნავს ეს ფრაზა?
სად ეძებდნენ ზურიკოს მამა, დედა, მეზობლები?(ამოიკითხეთ ტექსტიდან)
სად იპოვეს ბოლოს ზურიკო?
რისი თქმა უნდა ავტორს ზურიკოს საქციელის გათვალისწინებით?
რა არის მისი მთავარი სათქმელი?
თქვენი აზრით, როგორ მოიქცა ზურიკო?
როგორი ბიჭია ზურიკო?
მის რომელ ორ თვისებას დაასახელებ?
სად ვკითხულობთ ამის შესახებ?(ამოიკითხე ტექსტიდან)
რა შეცდომა დაუშვა ბიჭმა?
რომელ პროფესიებს ვეცნობით ტექსტში?
თქვენ თუ გიფიქრიათ, ვინ უნდა გამოხვიდეთ? რა არის საჭირო, რომ სურვილი აისრულოთ?
რესურსი 3.



აქტივობა 4. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა
აქტივობა 5. მოსწავლეების გუნდური კითხვა
აქტივობა 6. გაგრძელებით და ამოკრებით კითხვა

რესურსი 1. ნესტან კუპრავას მოთხრობა: „ვინ რას აკეთებს“

აქტივობა 4. მოთხრობის წაკითხვა/ ტექსტის გაგებაზე მუშაობა
როგორ გესმის სიტყვა ზრუნვის მნიშვნელობა? როდის ამბობენ ვინმეზე ზრუნვასო?(აქტ.4)
შენზე ვინ ზრუნავს?
შენ თვითონ თუ ზრუნავ ვინმეზე ან რამეზე? როგორ?
ტასოს ოჯახის წევრები რითი ამაყობენ?
რა პროფესიისა ტასოს დედა? საიდან მიხვდი, ეწერა მოთხრობაში?
რას აკეთებს, რა პროფესიისაა ტასოს მამა? არის თუ არა საამაყო და თან სახიფათო მისი საქმიანობა? რატომ ფიქრობ ასე?
ტასოს ბებია ვინ არის და რას საქმიანობს? რის გამო წუხს ის?
ბაბუა რა პროფესიისაა? საიდან მიხვდი?
რა პროფესიისა ტასოს ბიძა? როგორ მიხვდი, რა არის მისი მოვალეობა?
რითი იწონებს თავს ტასოს მამიდა? რას საქმიანობს, რა პროფესიისაა ის?
ლუკას მომვლელი რას საქმიანობს?

რატომ არაფერს აკეთებს ლუკა?
შენი აზრით, როგორ ადამიანზე იტყვიან ჭირვეულიაო? შეგვიძლია შინაარსის მიხედვით ამის დადგენა?
რას აკეთებს ტასო? ვინ არის ის? რა მიზანი აქვს მას?
აქტივობა 5. ტექსტის მთავარი სათქმელის აღმოჩენა
რისი თქმა სურს ამ მოთხრობით ავტორს?
რომელი პროფესიის ადამიანი რას აკეთებს?
რატომ არის საამაყო ყველა პროფესია?
რატომ უნდა ვიყოთ მზრუნველები?
როგორი უნდა იყოს ნებისმიერი პროფესიის ადამიანი?
აქტივობა 6. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა

აქტივობა 7. გუნდურად კითხვა, წყვილებში კითხვა

აქტივობა 8. გაწაფულ კითხვაზე მუშაობა „ხმამაღლა წაკითხვა შეცდომებით“

აქტივობა 9. მსჯელობა - ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის შედარება საკუთარ გამოცდილებასთან, საკუთარ შეხედულებებთან

რომელი პროფესიაზე ოცნებობ? ვინ გინდა გამოხვიდე?
ყოველთვის მოგწონდა ეს პროფესია თუ მოსმენილმა ტექსტმა, ნანახმა ვიდეომ ან ილუსტრაციებზე მსჯელობამ გადაგაწყვეტინა?
რატომ მოგწონს ეს პროფესია?
დაფიქრდი, როგორი დამოკიდებულება აქვთ მოთხრობის პერსონაჟებს საკუთარი პროფესიის მიმართ?(ამაყები არიან) რა აბედნიერებთ მათ?(სხვებზე ზრუნვა რომ შეუძლიათ)
დააკვირდი, რას ამბობს ტასო „**- ჯერ ვსწავლობ, რომ შემდეგ მეც თქვენსავით სხვებზე ვიზრუნო...** “ თურმე რას მოითხოვს საკუთარი საქმის კარგად ცოდნა? როდის აკეთებს ადამიანი თავის საქმეს კარგად?
(როდესაც უყვარს თავისი პროფესია და იცის თავისი საქმე, შეუძლია სხვებზე ზრუნვა)

რესურსი 1. მერი ბოლქვაძის „უშიშარი კაპიტანი“
რესურსი 2.



აქტივობა 1. ვარაუდები გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით
აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით

აქტივობა 3.ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა
აქტივობა 4. აქტივობა - სიტყვების „იშვიათად“ „უშიშარი“ დამუშავება
თითოეულისათვის შეავსეთ სქემას შემდეგი რუბრიკებით:
სიტყვა
სიტყვის განმარტება;
სინონიმი/(მაგალითი);
წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით.

გეზისმიმცემი კითხვები:
რას გეუბნება სათაური, ილუსტრაცია ტექსტის შესახებ? (აქტ.1)
რაზე იქნება მოთხრობა?
რა არის გემი? რისთვის იყენებენ გემს?
ვინ არის კაპიტანი? რას საქმიანობს ის?(აქტ.2)
კიდევ ვინ მუშაობს გემზე?
როგორები წარმოგიდგენია კაპიტანი? მეზღვაურები?
ყველას შეუძლია გახდეს კაპიტანი/მეზღვაური? რატომ თვლი ასე?
სად ცხოვრობდა პატარა ბიჭი? (აქტ.3)
რატომ ხედავდა მამას იშვიათად?
რატომ იყო ბიჭისთვის დიდი ზეიმი მამის ჩამოსვლა?
რა მოჰქონდა მამას შვილისთვის?
რას ჰყვებოდა ხოლმე მოგზაურობიდან დაბრუნებული კაპიტანი?
რაზე ოცნებობდა პატარა ბიჭი?
ტექსტის მიხედვით, როგორი იყო კაპიტანი?
როგორ ადამიანს ეძახიან უშიშარს? (აქტ. 3.)
ხომ ვერ გაიხსენებ სიტყვას, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს?
უშიშარ ადამიანს სხვაგვარად რას ეძახიან? (მამაცი, გულადი)
ვინც არაა უშიშარი და ყველაფრის ეშინია, მას რას ვეძახით?
როგორ გგონია, უნდა იყოს თუ არა კაპიტანი უშიშარი?

მშიშარა და უშიშარი ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია.
უშიშარი -მამაცი-გულადი - მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია.

იშვიათად(იშვიათი) - როგორ გესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა?
იშვიათი არის ის, რაც ადვილად საშოვნელი ან სანახავი არ არის, რაც ძნელად გვხვდება,
რადგან გემის კაპიტანი მამა უმეტესად ზღვაში იყო, **ბავშვი მას იშვიათად ხედავდა.**
მამა რომ გემის კაპიტანი არ ყოფილიყო და იმავე ქალაქში ემუშავა, მაშინაც იშვიათად ნახავდა ბავშვს?
ამ შემთხვევაში რას ვიტყვით? რა იქნება „**იშვიათად**“ სიტყვის საპირისპირო?
მამა ბიჭს... ხედავდა (**ხშირად**).

შენ თუ ისურვებდი გემის კაპიტნობას?

აქტივობა 4. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა
აქტივობა 5. კითხვა მეთოდით: „კითხვის მატარებელი“
აქტივობა 6. ფრაზებად კითხვა - „სასვენ ნიშნებსა და ინტონაციებზე ვარჯიში
აქტივობა 7. იდეების ორგანიზება
შენ უკვე იცი, ვინ უნდა გამოხვიდე. ისიც იცი, რას აკეთებენ ამ პროფესიის ადამიანები.
დაფიქრდი:
რისი გაკეთება მოგიწევს, როცა შენს საოცნებო პროფესიას შეიძენ?
როგორი სამოსი გეცმევა?რა ინსტრუმენტები დაგჭიდება? (გააჩნია პროფესიას)
როგორი იქნება გარემო, სადაც იმუშავებ?
ვიზე/ რაზე ზრუნვა მოგიწევს?

დაფიქრდი, რას დახატავ და რას ისაუბრებ ამ პროფესიაზე, რომ შენი მომავალი საქმიანობა კარგად გააცნო კლასელებს?

აქტივობა 8. მოსწავლეები ხატავენ თავიანთი მომავალი საქმიანობის ამსახველ ნახატს

ნამუშევრების გამოფენა და წარდგენა

რა დახატე და რა დეტალს მიაქციე განსაკუთრებული ყურადღება?

თხრობისას რით დააინტერესებ შენს კლასელებს?

ნამუშევრების წარდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

რატომ ფიქრობ, რომ შენი შექმნილი დავალება არის პოსტერი?

როგორ დაუკავშირე ტექსტების დედააზრის პოსტერის შინაარსს?

ტექსტების რომელ ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომის შექმნისას? რატომ?

რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად?რატომ?

რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?

რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?

გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თანაკლასელების ნაუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?

ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?

იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?

მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** - თხრობა, თხრობის მახასიათებლები	**საკითხი** - მხიარული სათავგადასავლო ამბის შეთხზვა კაპიტნის მოგზაურობის შესახებ **ქვესაკითხი:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები. ახალი ლექსიკა, იშვიათად ხმარებული სიტყვები. ვრცელი წინადადებები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ/რა ხერების გამოყენებით შევთხზა ამბავი კაპიტნის მოგზაურობის შესახებ? როგორი სიტყვები უნდა გამოვიყენო შთაბეჭდილების მოსახდენად?

	კომპლექსური დავალება: ამბის შეთხზვა ➢ შეარჩიე მოცემული თემებიდან ერთ-ერთი (როგორ დაუმეგობრდა კაპიტანი დელფინს, როგორ გადაურჩა გემი ქარიშხალს, როგორ დაეხმარნენ მეზღვაურები პატარა სელაპს, როგორ წამოიყვანეს სპილო აფრიკიდან). ➢ მოიგონე საინტერესო და სახალისო ამბავი, მოამზადე ილუსტრაციები და შეურჩიე სათაური. ➢ შემდეგ ილუსტრაციებზე დაყრდნობით უამბე ეს ამბავი თანაკლასელებს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი** • რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 1, 3); • მრავალფეროვანი სიტყვები (ს. 1, 2, 3); • ამბის სხვადასხვა დეტალი (ს. 2).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გაქტიურება

აქტივობა 1. დავალების გაცნობიერება

- როგორ ახსნით, რა არის ამბავი?
- როგორ მოვყვეთ ამბავი?
- რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარება ამბის შეთხზვაში?

აქტივობა 2. დავალების ინსტრუქციის გაცნობა

ერთად დავწეროთ სათავგადასავლო ამბავი თოლიაზე, რომელიც დაუმეგობრდა გემის კაპიტანს. თქვენ მიკარნახებთ, მე დავწერ - ყველანი ვიქნებით ამ ამბის ავტორი, დავასურათებთ, წიგნად ვაქცევთ და წავიკითხავთ მას.
თავგადასავლებიდან მსგავსად უნდა შექმნათ თქვენთვის სასურველი ამბავი.
ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; გამოიყენეთ თუ არა იშვიათად ხმარებული სიტყვები, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები, ვრცელი წინადადებები.

ქვესაკითხები: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები, ვრცელი წინადადებები.

რესურსები, აქტივობები

III ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

რესურსები/აქტივობები:

რესურსი 1. მოსწავლეთა მოფიქრებული და მასწავლებლის დაწერილი ტექსტი

აქტივობა 1. ორსიტყვიანი წინადადებების გავრცობა ათსიტყვიან სახალისო წინადადებად

მაგალითად, ამოსავალი წინადადება: თოლია დაფრინავდა.

(გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი:

მოუსვენარი თოლია დაფრინავდა, ზღვის ლურჯ ტალღებს ეთამაშებოდა და მხიარულად ყურყუმელაობდა)

აქტივობა 2. იდეების გენერირება

აქტივობა 3. ერთობლივი წერა (კრეფენ ბუკში)

აქტივობა 4. ტექსტის ერთობლივად გაუმჯობესება

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ განვავრცოთ წინადადება? **(აქტ.1**).
- რას შეიძლება ეთამაშებოდეს თოლია? (მაგ., მეგობრებს, ზღვის ტალღებს...)
- როგორია თოლია? (მაგ., მოუსვენარი, თეთრი, მხიარული, ცელქი...)
- როგორ შეიძლება ყურყუმელაობდეს? (მაგ. მხირულად, სასაცილოდ)
- რა ფერის/როგორი შეიძლება იყოს ტალღა? (ლურჯი, ცისფერი, ქაფიანი, ცელქი, გაბრაზებული...)
- რით იწყებოდეს ამბავი? **(აქტ.2)**
- სად ცხოვრობდა თოლია ?
- როგორი იყო ის?
- ყველაზე მეტად რისი გაკეთება უყვარდა?
- ვინ შეიძლება იყოს მისი მეგობარი?
- რა მოხდა ერთხელ?
- როგორ იზრუნეს ბინადრებმა მეგობრებზე?
- როგორ დასრულდება ამბავი?

- სად დავწერო სათაური? (**აქტ.3, 4)**
- პირველი სიტყვა რომელი ადგილიდან დავიწყო?
- სად დავწერო მომდევნო წინადადება?
- როგორ შეიძლება უკეთ ჩამოვაყალიბოთ ეს წინადადება?
- როგორ განვავრცოთ ეს წინადადება? ხომ არ დავამატოთ აქ რაიმე დეტალი?
- სად დავწერო წერტილი?

ნაბიჯი 2. როგორ წაიკითხე ტექსტი/ეპიზოდი - გამოიყენე თუ არა ინტონაცია, დაიცავი თუ არა პაუზები ? (თხრ. 3; დეკ. 4); რა <u>ხერხი</u>/სტრატეგიები გამოიყენე კითხვაში გასაწაფად (დეკ. 4)

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1: ერთად შეთხზული და მასწავლებლის მიერ დაწერილი ამბავი

აქტივობა 1. შეთხზული ამბის ერთობლივი წაკითხვა და მისი ვარიაციებით (ერთობლივი კითხვა, ექოდ კითხვა, ქოროში კითხვა.)

აქტივობა 2. სიტყვების მოძებნა და გადაწერა ინსტრუქციის მიხედვით

აქტივობა 3. ილუსტრაციისა და წარწერის მომზადებ;

აქტივობა 4. შერჩეული ეპიზოდის წაკითხვაში ვარჯიში მეწყვილესთან ერთად

აქტივობა 6. ერთი ეპიზოდის გამომსახველობით წაკითხვა აუდიტორიის წინაშე

- ვის რომელი თავგადასავლის/ეპიზოდის დახატვა უნდა? (**აქტ.**4)
- ვის რომელი პერსონაჟის დახატვა უნდა?

- რას დააწერ შენს ნახატს? როგორ დაწერ? რომელი ასო იცი, რომელი არა?(5)
- რომელ სიტყვებში დაუშვი შეცდომები?
- გაითვალისწინე წერტილები? დაიცავი პაუზები წინადადებების ბოლოს?

- რამდენად წარმოაჩინე ინტონაციისა და მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით მთხრობელის გრძნობა ან განწყობა (აქტ.5);
- რამდენად დაიცავი პაუზები და მახვილები?
- როგორ მოიქცევი, რომ გააუმჯობესო ამ ტექსტის /ეპიზოდის წაკითხვა?

ამბის წარმოდგენა

კომპლექსური დავალების შესრულების დაპრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რაცოდნაშეიძინედაწარმოაჩინეკომპლექსურიდავალებისსაშუალებით:

- რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი?
- რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია)
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი/

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება.

ვინ რას აკეთებს

დამატება

ტასო დიდ ოჯახში ცხოვრობს. ამ ოჯახის ყველა წევრი თავისი საქმიანობით ამაყობს.

- ჩვენ ყველანი სხვებზე ვზრუნავთ, -ამბობენ ისინი.

- როგორ ზრუნავთ? რას აკეთებთ? - უკვირს ტასოს.

- მე ბავშვებს ვასწავლი,-ამბობს ტასოს დედა,-ჩემმა მოსწავლეებმა უკვე კითხვაც ისწავლეს და წერაც...

- მე კი დღეს ქალაქში ხანძარი ჩავაქრე,- ეუბნება მამა,-ცეცხლწაკიდებული სახლიდან მოხუცი ქალი გამოვიყვანე...

- მე ავადმყოფებს ვმკურნალობ,-ამბობს ბებია,- უკვე აცივდა. სეზონური გრიპის პერიოდია... დღეს წამლის ბევრი რეცეპტი გამოვწერე...

- მე მრავალსართულიან სახლებს ვაშენებ, - უხსნის ბაბუა, - დღეს კიდევ ერთი სართული ავაშენეთ...

- მე კი ადამიანების უსაფრთხოებას ვიცავ, - ეუბნება ბიძა, - თვალყურს ვადევნებ, რომ წესრიგი ყველამ დაიცვას...

- მე ახალ ფილმში მიღებენ, - თავს იწონებს მამიდა, - ძალიან საინტერესო ფილმია, ვიცი, ყველას მოეწონება...
- მე ბავშვს ვუვლი, - ამბობს ლუკას მომვლელი ქალი, - ვაცმევ, ვაჭმევ, ვასეირნებ, თვალყურს ვადევნებ, რომ ცუდი არაფერი შეემთხვეს...
- ჩვენი ლუკა რას აკეთებს? - იცინის ტასო.
- არაფერს. მას მხოლოდ ძილი და ჭამა შეუძლია. სულ ხელში აყვანას ითხოვს და სულ ჭირვეულობს...
- შენ რას აკეთებ, ტასო? - ახლა გოგონას ეკითხებიან.
- მე უკვე სკოლაში დავდივარ, - წამსვე პასუხობს ტასო, - ჯერ ვსწავლობ, რომ შემდეგ მეც თქვენსავით სხვებზე ვიზრუნო...
ბავშვებო, ამ საუბარს ხომ მოუსმინეთ? ვიცი, უკვე არ გაგიჭირდებათ ტასოს ოჯახის წევრების პროფესიის გამოცნობა. რა საინტერესოა! ნეტავ, ლუკა რატომ არ აკეთებს არაფერს?

თემა N7: მეგობრობა და ზრუნვა **საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 სთ**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: „მეგობრობა“, „სოფელში“ გვ. 94-96.		
სხვა რესურსები: **საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 77-79.** **ბადეში სამუშაო მასალა. ჭ, პ, დ.**		
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** შ. ქავთარაძის ლექსის „სოფელში“ გარდაქმნა მოთხრობად.	**საკითხი 2.** ამბის შეთხზვა პატარა ბიჭზე, რომელიც ზრუნავდა თავის თანაკლასელზე.
ტექსტი **ქვეცნებები**: მხატვრული ჟანრი- ლექსი,თემა, დედააზრი, პერსონაჟი; მხატვრული ჟანრი- მოთხრობა, ტექსტის გაგების სტრატეგიები		**ქვესაკითხები**: ლექსის „სოფელში“ თემა, დედააზრი, პერსონაჟის - ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, პიროვნული მახასიათებლები, გრძნობები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან. მოთხრობის მახასიათებლები
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება**: თხრობა	**ქვესაკითხები:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ვრცელი წინადადებები	
	კომპლექსური დავალება 1. ჟანრის შეცვლა- მოთხრობა ლექსის საფუძველზე	**კომპლექსური დავალება 2.** ამბის შეთხზვა

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მხატვრული ჟანრი-ლექსი, თემა, დედააზრი, პერსონაჟები; მხატვრული ჟანრი-მოთხრობა; ტექსტის გაგების სტრატეგია	**საკითხი** - შ. ქავთარაძის ლექსის „სოფელში“ გარდაქმნა მოთხრობად. **ქვესაკითხი** - ლექსის „სოფელში“ თემა, დედააზრი, პერსონაჟის - ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, პიროვნული მახასიათებლები, გრძნობები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან. ახალი და იშვიათად ხმარებული სიტყვები;მოთხრობის მახასიათებლები. **საკვანძო შეკითხვები**: რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო შ. ქავთარაძის ლექსის „სოფელში“ გასაგებად? როგორ ამოვიცნო პერსონაჟის ხედვის კუთხე? რა ხერხების/სტრატეგიების გამოყენებით გარდავქმნა ლექსი მოთხრობად? **კომპლექსური დავალება:** ჟანრის შეცვლა - მოთხრობა ლექსის საფუძველზე ➢ გადააკეთე მოთხრობად შ. ქავთარაძის ლექსი „სოფელში“. ➢ შენს მოთხრობას დაამატე ახალი დეტალები, მაგალითად: როგორი იქნება ზამთარი შენს მოთხრობაში; ➢ კიდევ როგორ შეიძლება ზრუნავდეს ბესო ბებოზე; ➢ როგორ გაატარებდნენ ზამთრის საღამოებს ბესო და ბებო; ➢ შეგიძლია, შენი ზეპირი მოთხრობა ილუსტრაციითაც გააფორმო.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** • რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება მოთხრობა; • რით არის საინტერესო შენ მიერ დამატებული დეტალები, სიტყვები; • რას გვასწავლის მოთხრობა; • რას მიაქციე ყურადღება ილუსტრაციების შექმნისას.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება და დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

გაიხსენეთ შესწავლილი და მოსმენილი ტექსტები: „**სკოლისაკენ ჰერი, ჰერი**“ „„**დათვის ბელი**“ „„**მინდა ვხატო**“ „„**დაირეკა სკოლის ზარი**“ „„**ვისწავლოთ ანგარიში**“ „„**სკოლა**“ „„**დაჩის ნაამბობი**“ „„**ქარიანი დღე**“ „„ **ფაიფურის თოჯინა**“, „**ფუჩნია**“ **და ა.შ.**
(შესადარებლად შეიძლება ორი ლექსის და ორი პატარა მოთხრობის ნიმუში გამოვუკრათ დაფაზე)

- რით ჰგავს და რით განსხვავდება ეს ტექსტები ერთმანეთისგან?
- რომელია მათ შორის ლექსი? რომელია მოთხრობა?
- („სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“ „„**დათვის ბელი**“ „„**მინდა ვხატო**“ „„**დაირეკა სკოლის ზარი**“ „„**ვისწავლოთ ანგარიში**“ „„**სკოლა**“-- **ლექსებია, „დაჩის ნაამბობი“ „„ქარიანი დღე“ „„ ფაიფურის თოჯინა“, „ფუჩნია“----მოთხრობებია)**
- რა აქვს ლექსსა და მოთხრობას საერთო? რა არის გადმოცემული ორივეში?
- რამდენნაწილიანია მოთხრობით გადმოცემული ამბავი?
- რა საჭიროა მოთხრობის ნაწილების გათვალისწინება?
- რისგან შედგება ლექსი? (სტროფებისგან)
- რა დაგჭირდება ლექსის მოთხრობად გადასაკეთებლად?

ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?

- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოვიყენე ტექსტების გასაგებად. რისი თქმა უნდა მწერალს მოთხრობით „მეგობრობა“ და ლექსით „სოფელში“?(ტ. 1, 3);

ქვესაკითხები: ტექსტის გაგების სტრატეგია. ნაწარმოებების თემა, დედააზრი; პერსონაჟი; მოთხრობისა და ლექსის მახასიათებლები

რესურსი 1. მოთხრობა „**მეგობრობა**“

რესურსი 2. ქარგა: გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე

აქტივობა 1. ტექსტის სათაურისა და ილუსტრაციის შესახებ ვარაუდების გამოთქმა
აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა
აქტივობა 3. გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე

გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე

ინსტრუქცია: წიგნის ან მისი ნაწილის წაკითხვის შემდეგ შეარჩიე ქარგა. დაწერე შენი შთაბეჭდილება წაკითხულის შესახებ რვეულში ან დღიურში.

ტექსტის სათაური: _____
(მოთხრობა, ზღაპარი, ლექსი ...)

მე შევამჩნიე, რომ .....
მე გამიჩნდა შეკითხვა .....
მაინტერესებს, რატომ .....
მე დავფიქრდი .....
როგორც ჩანს, ...
ვერ გავიგე, ...
არ ვარ დარწმუნებული .....
მე ვიცი, რასაც გრძნობს .....
მე ძალიან მომეწონა .....
მე წარმომიდგენია, ...
მე გავიაზრე .....
მე გამაკვირვა .....
მე რომ ..... ვიყო, ...
მე აღმოვაჩინე, რომ .....

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

- რას გეუბნებათ ტექსტის სათაური? რაზე იქნება, თქვენი აზრით, ეს მოთხრობა? (აქტ.1)
- ვის ხედავთ ილუსტრაციაზე? ილუსტრაციის მიხედვით, ვინ უნდა იყვნენ მეგობრები?
- რა აღმოაჩინე ტექსტის წაკითხვის შემდეგ, გამართლდა თქვენი ვარაუდი? რა დაემთხვა, რა არ დაემთხვა თქვენს ვარაუდს?
- ვინ და ვინ არიან მეგობრები? (აქტ. 2)
- სად ცხოვრობენ ისინი?
- როგორ გესმით „მაღალ სახლში ცხოვრობენ?“ რა უნდა იყოს მაღალი სახლი?
- ვინ არის ამ ბავშვების მეზობელი?
- რატომ ეხმარებიან ბავშვები ლიზა ბებიას?
- როგორ ეხმარებიან ბავშვები ლიზა ბებიას? ვის რა საქმე აქვს განაწილებული?
- რასაც ბავშვები აკეთებდნენ ლიზა ბებიასთვის, ამას სხვაგვარდ რა ჰქვია? (ზრუნვა)
- შენ თუ ზრუნავ ვინმეზე, თუ ეხმარები ვინმეს? ვის?
- შენ ვინ გეხმარება, ვინ ზრუნავს შენზე?
- რას ამბობდა კმაყოფილი და მადლიერი ლიზა ბებია ?
- რას აკეთებდა ლიზა ბებია ბავშვებისთვის?
- როგორ უნდა მოექცე მეგობარს?

(მეგობარი უნდა გიყვარდეს.
მეგობარს უნდა დაეხმარო.
მეგობრისათვის არაფერი უნდა დაიშურო.
მეგობართან არ უნდა იჩხუბო.
მეგობარს არ უნდა გაებუტო.)

წაკითხულმა მოთხრობამ რაზე დაგაფიქრა? რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე? (აქტ. 3)
შეავსე მოცემული ქარგა:

- რა შეამჩნიე? რა კითხვა გაგიჩნდა? რა გაინტერესებს? რაზე დაფიქრდი?
- რა ვერ გაიგე? რაში არ ხარ დარწმუნებული?

- რა იცი, რას გრძნობს ბებია ლიზა? ბავშვები?
- რა მოგეწონა? რა წარმოგიდგენია?რა გაიაზრე? რამ გაგაკვირვა?
- შენ რომ ეკატერინეს, ნუციკოს და დიმიტრის მეგობარი იყო, რას იზმადი?
- რა აღმოაჩინე?

აქტივობა 4. ხმამაღლა საჩვენებელი წაკითხვა

აქტივობა 5. ექო წაკითხვა, ქოროში კითხვა, გაგრძელებით კითხვა.

აქტივობა 6. გამოკრებით კითხვა: (მაგ., ამოიკითხე ადგილი, სადაც ჩანს, ვინ როგორ ეხმარება ბებიას?

ამოიკითხე ადგილი, საიდანაც ვიგებთ, რატომ ეხმარებოდნენ ბავშვები ლიზა ბებიას? ამოიკთხეთ ტექსტიდან ყველაზე დიდი წინადადება. რამდენი სიტყვისგან შედგება? კიდევ რამდენი წინადადებაა ასეთი?

რესურსი 1. შ. ქავთარაძის ლექსი „სოფელში“

რესურსი 2. პერსონაჟის რუკა

რესურსი 3. თხრობის რუკა



აქტივობა1. ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდის გამოთქმა

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა

აქტივობა 3. პერსონაჟის რუკის შევსება

აქტივობა 4. ბესოს დახასიათება რუკაზე დაყრდნობით

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას გეუბნება ტექსტის სათაური? რაზე იქნება ლექსი?(აქტ.1, 2)
- სად ხდება მოქმედება?
- წელიწადის რომელ დროზეა საუბარი ლექსში?
- როგორ გამოიყურება გარემო?ვის ვეცნობით ლექსში? რას ვიგებთ პერსონაჟის შესახებ?
- როდის ადგა ბესო? რატომ?
- როგორ ზრუნავს ბესო ბებოზე?
- კიდევ რა სცოდნია ბესოს?
- როგორი ბიჭი ყოფილა ბესო?რას ვიგებთ ტექსტიდან?
- რატომ უკეთებს ღუმელს შეშას?
- რა დროს ადგა ბესო?
- რა იცის ბესომ?

დაასახელე მისი სამი თვისება, მოიყვანე მაგალითები ლექსიდან (აქტ. 3)

აქტივობა2. იდეების ორგანიზება

დაფიქრდი,გარდა ლექსში არსებული ინფორმაციისა, რა დეტალებს დაამატებ ბესოს შესახებ დაწერილ მოთხრობაში?

- როდის და სად ხდება მოქმედება?
- ხომ არ გსურს აღწერო ზამთრის სოფელი, ბესოს ეზო...
- ვინ არიან მოთხრობის პერსონაჟები?
- ბესოს და ბებოს გარდა კიდევ სხვა პერსონაჟებიც ხომ არ არიან შენს მოთხრობაში?ვინ?
- რას იტყვი ამ პერსონაჟებზე? რა ურთიერთობა აქვთ მათ ბესოსთან?
- ბესოზე ზრუნავენ თუ თავად ზრუნავს მათზე ბესო?
- როგორები არიან ისინი? შეუძლიათ მეგობრობა, ზრუნვა?
- რით დაიწყებ მოთხრობას?
- რით გააგრძელებ, როგორ დაასრულებ მოთხრობას?
- რამდენ ილუსტრაციას შექმნი შენი მოთხრობის თანმიმდევრულად გადმოსაცემად?

დააკვირდი თხრობის რუკას და გამოიყენე მოთხრობის შესადგენად

მთავარი პერსონაჟები: **სხვა პერსონაჟები:**		**მოქმედების დრო და ადგილი:**
რა მოხდა დასაწყისში	**შემდეგ რა მოხდა?**	**რით დასრულდა ამბავი?**
„ერთხელ... ⇨	„ამის შემდეგ... ⇨	„ბოლოს... ⇨

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ინდივიდუალურად

ნამუშევრების წარდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რატომ ფიქრობ, რომ შენი შექმნილი დავალება არის ლექსის გადაკეთება მოთხრობად?
- როგორ დაუკავშირე პერსონაჟის დახასიათება ტექსტების დედააზრს?
- ტექსტების რომელ ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომის შექმნისას? რატომ?
- რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად?რატომ?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას? რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- თანაკლასელების ნაუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** **(სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** - თხრობა	**საკითხი -** ამბის შეთხზვა პატარა ბიჭზე, რომელიც ზრუნავდა თანაკლასელზე **საკვანძო შეკითხვები:** როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევთხზა საინტერესო ამბავი ბიჭზე, როემლიც თანაკლასელზე ზრუნავდა? **კომპლექსური დავალება**: ამბის შეთხზვა ➢ მოიფიქრე საინტერესო ამბავი ბიჭზე, რომელიც ზრუნავდა ყველასგან გარიყულ თანაკლასელზე. ➢ მოიფიქრე სათაური, მოამზადე ილუსტრაციები და მოჰყევი ამბავს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6) 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **თხრობისას წარმოაჩინე:** • რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი • გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი (მაგ., თანაკლასელის ფიქრები, განცდები, როგორ სწავლობდა ის; • რა შეიტყო ბიჭმა მის შესახებ, რა გადაწყვიტა, როგორ ზრუნავდა მასზე; • როგორ დაეხმარა ბიჭი თანაკლასელს პრობლემის გადაჭრაში.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1.
როგორ ახსნით, რა არის ამბავი?
როგორ მოვყვეთ ამბავი?
რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
როგორ გესმის ვინმეზე ზრუნვა?
ვინ ზრუნავს შენზე?
შენ თვითონ თუ ზრუნავ ვინმეზე/ რამეზე?
რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
რა დაგეხმარება ამბის შეთხზვაში?
რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; გამოიყენეთ თუ არა საინტერესო სიტყვები და ვრცელი წინადადებები;

ქვესაკითხები: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);ვრცელი წინადადებები.

რესურსები და აქტივობები

რესურსი 1. თხრობის ჩარჩო

დასაწყისი	**შუა ნაწილი**	**დასასრული**
სკოლაში სწავლობდა ერთი ღარიბი გოგონა, სახელად... მას ჰქონდა..... (თვალები, თმები,) მას მუდამ..... ეცვა	ერთხელ ის.... მას ჰქონდა..... (თვალები, თმები,) შემთხვევით,..... (დაინახა...) მისი თანაკლასელი ბიჭი, სახელად.... მან გოგონას ამბავი..... თურმე მამამისი....	ბოლოს...

აქტივობა 1. გონებრივი იერიში: **„მცირე პროზის ჩარჩოს“ შევსება** (შეიძლება მოსწავლეების კარნახით დაფაზე ერთობლივადაც შეავსონ)
აქტივობა 2. იდეების მოფიქრება და ორგანიზება თხრობის ჩარჩოს გამოყენებით;
აქტივობა 3. დაფაზე დაწერილი წინადადებების გავრცობა;
მოსწავლეები კითხულობენ მათ მიერ გავრცობილ წინადადებას.
მაგალითად., **ამოსავალი წინადადება:** სკოლაში სწავლობდა ერთი ღარიბი გოგონა.

გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი:
სოფლის სკოლაში სწავლობდა ერთი ღარიბი, ობოლი გოგონა.
აქტივობა 4. მეწყვილეები ეხმარებიან ერთმანეთს წინადადებების გავრცობაში, იშვიათად ხმარებული სიტყვების გამოყენებაში
სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:
აქტივობა 5. რა ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს ამბავი?
რით უნდა იწყებოდეს ამბავი? **(აქტ.1, 2,3)**
რა სახელები შვურჩიოთ პერსონაჟ გოგონას და ვაჟს?
რა ასაკისები არიან ისინი?
სად ხდება მოქმედება?
რით მიიქცია ბიჭის ყურადღება თანაკლასელმა?
რით იყო გოგონა განსხვავებული თანატოლებისგან?
როგორ ექცეოდნენ გოგონას თანაკლასელები?
როგორი იყო გოგონა იმის გამო, რომ მას ყურადღებას არავინ აქცევდა?
რა გაიგო ბიჭმა გოგონას ოჯახის შესახებ?
ვინ მისცა მას ერთხელ რჩევა? რა რჩევა მისცა?
როგორ დაეხმარა კეთილი თანატოლი ღარიბ გოგონას?
შეიცვალა თუ არა გოგონას მიმართ თანაკლასელების დამოკიდებულება?
რით დასრულდება ამბავი?
როგორ დაასათაურებთ ამბავს?

როგორ განვავრცოთ ეს წინადადება? ხომ არ დავამატოთ აქ რამე დეტალი? რა სიტყვებით შეიძლება მისი გამდიდრება? **(აქტ. 3)**
როგორ გავაუმჯობესოთ თხრობა?
როგორ მოვახდინოთ შთაბეჭდილება მსმენელზე? როგორ დავაინტერესოთ ის?

როგორ სკოლაში სწავლობდა ღარიბი გოგონა? (სოფლის, ქალაქის, ძველი...)
როგორი იყო გოგონა, რომელიც სკოლაში სწავლობდა? (პატარა, ობოლი, ციცქნა, უდედმამო...)
ასე დამუშავდება სხვა წინადადებებიც

ნაბიჯი 2. გამომსახველობითად მოჰყევი თუ არა ტექსტი - გამოიყენე თუ არა ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია (მკვ. 3)

რესურსი 1. კრიტერიუმების ბადის ნიმუში

გ = გასაუმჯობესებელია კ = კარგია	
	დამკვირვებელი
აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული	
იყენებ თუ არა იშვიათად ხმარებულ სიტყვებს, მრავალფეროვან, ვრცელ წინადადებებს	
გადმოცემ თუ არა ამბავს გამომსახველობითად	
რა არის გასაუმჯობესებელი? ---------- ----------	

აქტივობა 1. სურათებზე დაყრდნობით რეპეტიციის გავლა მეწყვილესთან ერთად, დაკვირვების კრიტერუმების გამოყენებით მონათხრობის გაუმჯობესება

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
რამდენად დავიცავი თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა?
გამოვკვეთე თუ არა დეტალები?
გამოვიყენე თუ არა მრავალფეროვანი სიტყვები?
სწორად შევურჩიე თუ არა სათაური მოფიქრებული ამბის შინაარსს?
როგორ გავაუმჯობესო თხრობა?
როგორ მომეწონა მეწყვილის მონათხრობი?
რა რჩევას მივცემდი მას?
რით ჰგავს შენს მონათხრობს? რით განსხვავდება?

კლასში მეწყვილესთან ერთად მუშაობის შემდეგ მოსწავლეები უკვე ინდივიდუალურად თხზავენ ამბავს, ხატავენ შესაბამის ნახატებს და ამზადებენ კლასის წინაშე წარმოსადგენად.

ამბის წარმოდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:
რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი?
რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია)
რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე
რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი/

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:
რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება.

თემა N8: წელიწადის ოთხი **საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 სთ**			
თემაში გამოყენებული ტექსტები: გ.ჭიჭინაძის ლექსი „ღრუბელი“, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ოთხი სურვილი“, „წელიწადი“, „წელიწადის დროები“. გვ. 97-102.			
სხვა რესურსები: საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 80-85. **ჟირაფი ჟოზე - წელიწადის დროები (სერია 4 | სეზონი 2)**			
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ტექსტის - „ოთხი სურვილის“ - მიხედვით, ოთხსცენიანი ილუსტრაციის შექმნა წელიწადის დროებზე.	**საკითხი 2.** სურათებზე დაყრდნობით ამბის შეთხზვა	**საკითხი 3**. წელიწადის ორი დროს (გაზაფხულისა და ზამთრის) შედარება მახასიათებლების ცხრილზე დაყრდნობით.
ტექსტი ქვეცნებები: - მხატვრული ტექსტი - მოთხრობა, ეპიზოდი ხვის სტრატეგიები	**ქვესაკითხი**: მოთხრობის სტრუქტურა; მოთხრობის - „ოთხი სურვილი” ეპიზოდები, ლექსიკური ერთეულები.		
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; ქვეცნება: თხრობა		**ქვესაკითხი: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა,** თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები, ვრცელი წინადადებები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; ქვეცნება: შედარება			**ქვესაკითხი: ზაფხულისა და ზამთრის** ზეპირი შედარება; შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები); მაპირისპირებელი სიტყვები: „ხოლო“ და „მაგრამ“
	კომპლექსური დავალება 1. ილუსტრაციების შექმნა	**კომპლექსური დავალება 2. „ვაშლის თავგადასავალი“** სურათების აღწერა	**კომპლექსური დავალება 3.** მახასიათებლების ცხრილზე დაყრდნობით წელიწადის დროების შედარება

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება - ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება** - მხატვრული ჟანრი - მოთხრობა, ეპიზოდი - სტრატეგიები - კითხვის სტრატეგიები	**საკითხი** - ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ მოთხრობის - „ოთხი სურვილი“ სეზონების 4-სცენიანი ილუსტრაციის შექმნა **ქვესაკითხი:** მოთხრობის - „ოთხი სურვილი“ ეპიზოდების მიხედვით ილუსტრაციების შექმნა; ახალიდა იშვიათად ხმარებული სიტყვები; **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა სეზონების 4-სცენიანი ილუსტრაციები მოთხრობა „ოთხი სურვილის“ მიხედვით? რამდენად შეესაბამება ჩემ მიერ შექმნილი ილუსტრაციის სცენები ტექსტის ეპიზოდს? **კომპლექსური დავალება:** ილუსტრაციების შექმნა ➢ მოთხრობა „ოთხი სურვილის“ მიხედვით შექმენი ოთხსცენიანი ილუსტრაცია წელიწადის დროებზე, ამისთვის გამოიყენე ციფრული რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“. ➢ ნამუშევარი დაასათაურეთ.
სამიზნე ცნების -ტექსტი (ჟანრები) მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	<u>**ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:**</u> • რით უკავშირდება შენი ილუსტრაციები მოთხრობას. რას მიაქციე ყურადღება ილუსტრაციების შექმნისას; • რომელი ეპიზოდი მოგეწონა ყველაზე მეტად, რატომ; რას გახსენებს იგი; • როგორ და რით უკავშირდება შენი სათაური მოთხრობის შინაარსს; • რატომ დაასათაურე შენი მოთხრობა ამგვარად.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 რა ხერხები გამოიყენე ტექსტის შინაარსის უკეთ გასაგებად?

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1.: გოგებაშვილი „ოთხი სურვილი“

რესურსი 2. გამოცანა წელიწადზე

რესურსი 3. ციფრული რესურსი წელიწადის დროებზე.

აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა გამოცანაზე დაყრდნობით

აქტივობა 2. წინარე ცოდნის შეკითხვები

აქტივობა 3. ტექსტის „ოთხი სურვილის“ წაკითხვა -დამუშავება ჯიქსოუს მეთოდით (იხ. მეთოდიკური დანართი 1).

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:
რას გეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., ილუსტრაცია, გამოცანის შინაარსი...)?
რით უკავშირდება ისინი შენს ცოდნას?
წელიწადში რამდენი დროა? რამდენი თვე? (რესურსი 2, 3)
რით გამოირჩევა თითოეული დრო?
რამდენი თვეა თითოეულ სეზონზე? იცვლება თუ არა ამინდი სეზონების მიხედვით?
ზამთარს რომელი სეზონი მოჰყვება? გაზაფხულს? ზაფხულს?
როგორ გესმით სიტყვა „სურვილი“ ? მეორენაირად როგორ იტყოდით?
თქვენ რას ფიქრობთ? რაზე შეიძლება იყოს ეს ტექსტი? რას შეიძლება უკავშირდებოდეს „ოთხი სურვილი?“
პირველ ეპიზოდში წელიწადის რომელ დროზე იყო საუბარი?(**აქტ.3)**
რას აკეთებდა ნიკო ზამთარში?
რა ინატრა ნიკომ?
რა სთხოვა მამამ?
რატომ მოეწონა ნიკოს გაზაფხული?
ახლა რა ინატრა ნიკომ?
როგორ მოიქცა მამა?
როგორ გაერთო ბიჭი ზაფხულში?
ჰქონდა თუ არა მას განსხვავებული სურვილი?
შემოდგომით რას საქმიანობდა ნიკო?
მოეწონა თუ არა მას წელიწადის ეს დრო?
რა ჩაწერა უბის წიგნაკში?
რას მიხვდა ნიკო ძველი ჩანაწერების წაკითხვისას?

აქტივობა 4. **ლექსიკაზე მუშაობა** (უცხო სიტყვები: **ძნა, კონა, უბე, აკიდო) (იხ. მეთოდიკური დანართი 1).**

სიტყვა	**ნახატი**

მნიშვნელობა	**ასოციაცია**

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:
როგორ გესმის სიტყვა „ძნა“ ?
რას ნიშნავს „კონა“ ? სხვანაირად როგორ იტყოდი?
რა არის უბე ? როგორ ახსნიდი მის მნიშვნელობას შენი სიტყვებით?
რა არის აკიდო?
რა მაგალითს მოიყვან/ რასთან დააკავშირებ/რა ასოციაცია გაგიჩნდა ამ სიტყვაზე?

აქტივობა 5 „კითხვის მატარებელი“(იხ. მეთოდიკური დანართი 1)
აქტივობა 6. შესაძლებელია მასწავლებელმა წყვილებში წააკითხოს მოსწავლეებს ტექსტი (იხ. მეთოდიკური დანართი 1)

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:
რატომ და როგორ უნდა გავიწაფო კითხვაში?
როგორ გამოვხატო მთხრობლის, პერსონაჟის გრძნობები, ემოციები?
როგორ მოვახდინო მსმენელზე შთაბეჭდილება?
რაში და როგორ მეხმარება სასვენი ნიშნები? **(აქტ.5,6)**

ნაბიჯი 2. _რითია ეს ეპიზოდი შენთვის საინტერესო, რას გახსენებს იგი? რომელი სიტყვა ან სიტყვები მოგეწონა ამ ეპიზოდში ყველაზე მეტად და რატომ?

რესურსები/აქტივობები
აქტივობა 1. სიუჟეტის აღდგენა შეკითხვების დასმით, ტექსტთან მიბრუნება მინიშნებზე დასაკვირვებლად.
აქტივობა 2. ეპიზოდების დასათაურება და შერჩევა

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:
რატომ მოსწონს ნიკოს ზამთარი? (გაზაფხული? ზაფხული? შემოდგომა?) **(აქტ.1)**
რას მიხვდა ნიკო?
შენ რომელი დრო მოგწონს და რატომ?
ნიკოსავით შენც ხომ არ გაგიჭირდა არჩევანის გაკეთება?
რისი თქმა უნდოდა ავტორს?
შენი აზრით, ასე რატომ დაასათაურა ავტორმა მოთხრობა?
რამდენ ეპიზოდად დაყოფდით ამ მოთხრობას? **(აქტ. 2.)**
რამდენი ამბისგან, მოვლენისგან შედგება იგი?
როგორ დაასათაურებდი მათ?
ვინ რომელ ეპიზოდს აირჩევთ?
რომელი სიტყვა ან სიტყვები/ შესიტყვევები მოგეწონა ამ ეპიზოდში ყველაზე მეტად და რატომ?

აქტივობა 3. მკითხველთა თეატრი (იხ. მეთოდ. დანართი 1)

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:
როგორ გაინაწილეთ როლები?
რატომ არის მნიშვნელოვანი სასვენი ნიშნების გათვალისწინება? (აქტ.3)

რამდენად წარმოაჩინე ინტონაცია, გრძნობა ან განწყობა, რომლებითაც მთხრობელი ან პერსონაჟი წარმოთქვამდა სიტყვებს, წინადადებებს?

ნაბიჯი 3. რით უკავშირდება შენი ილუსტრაციები ეპიზოდებს, რა მინიშნებები გამოიყენე მის შესაქმნელად? (მოთხ. 1, ტ. 2);

რესურსები/აქტივობები

რესურსი: ციფრული რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“

რესურსი: ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ მომზადებული ილუსტრაციების ხვადასხვა ტექსტზე

- კლასში შექმნილი ერთ-ერთი ილუსტრაცია

აქტივობა 1. რესუსრსის ინსტრუქციის გახსენება (ინსტრუმენტები: გარემო, გამოსახულება, ხმები, საღებავი, საშლელი; სასურველი გარემოს გამოსახულებების არჩევა, სივრცის სასურველი რაოდენობის ნაწილებად დაყოფა და ა.შ.)

აქტივობა 1. საერთო მახასიათებლების პოვნა ილუსტრაციებს შორის

აქტივობა 2. მომზადება ილუსტრაციების შესაქმნელად

რა არის ილუსტრაცია?
რისთვის ვიყენებთ ილუსტრაციას? რა დანიშნულება აქვს მას?
შეიძლება თუ არა თქვენ მიერ შერჩეული ეპიზოდის მიხედვით ილუსტრაციის გაკეთება?
რა დაგვჭირდება მის შესაქმნელად? რა უნდა გავითვალისწინოთ?
„ვსწავლობთ თამაშის“რა ინსტრუმენტები შეიძლება გამოვიყენოთ სასურველი ილუსტრაციების შესაქმნელად?
რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ილუსტრაციებზე მუშაობისას?
როგორი ფერები ვიცით?
რომელი ფერები გამოვიყენოთ გაზაფხულის აღსაწერად?
ზაფხულის/შემოდგომის/ზამთრის?
რომელი ფერები ჭარბობს წელიწადის ამ დროს?
რა ფორმა აქვს ციგას? ჰეპელას? მარწყვს?....

შემენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება კომპლექსურ დავალებაში

დიორამაზე დამოუკიდებლად მუშაობა

- **ეპიზოდების გეგმის შედგენა;**
- **ილუსტრაციების პირველადი ვარიანტის მომზადება**
- **ილუსტრაციების შექმნა, საბოლოო ვარიანტის მომზადება**
- **ნამუშევრების წარდგენა**

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად ილუსტრაციაა?
- უკავშირდება თუ არა შენი ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს//მთავარ სათქმელს? რით?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შემენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ ამოიცანი ეპიზოდები, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება;
- გასაგები იქნება თუ არა შენი დიორამა მკითხველისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რომელი ჯგუფის დიორამამ მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რით იყო თქვენთვის საინტერესო? რაზე დაგაფიქრათ, რაზე მიგაქცევინათ ყურადღება?

○ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? ○ მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** - თხრობა	**საკითხი** - წელიწადის დროების თემაზე, სურათებზე დაყრდნობით ამბის შეთხზვა. **ქვესაკითხი: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა,** თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები. ვრცელი წინადადებები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ გამოვიყენო სურათები ამბის მოსაფიქრებლად? რა ხერხები გამოვიყენო, როგორ გადმოვცე ამბავი ? **კომპლექსური დავალება**: ➢ დააკვირდი ოთხივე სურათს. ➢ ამ სურათებზე დაყრდნობით მოიფიქრე და გადმოეცი, როგორ მოჰყვებოდა ვაშლის ხე თავის ამბავს.
მკვიდრი წარმოდგენები **სამიზნე ცნება:** **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6) 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი** <u>თხრობისას წარმოაჩინე:</u> • რა მოხდა გაზაფხულიდან გაზაფხულამდე _ რას ფიქრობს, რას გრძნობს ვაშლის ხე წელიწადის სხვადასხვა დროს; რისი იმედი აქვს ვაშლის ხეს ზამთარში, რას ელის იგი; რა მოსდის, როგორ იცვლება ხე;

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გაქტიურება

აქტივობა 1. დავალების გაცნობიერება
როგორ ახსნით, რა არის ამბავი?
როგორ მოვყვეთ ამბავი?
რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
რა დაგეხმარება ამბის შეთხზვაში?
აქტივობა 2. დავალების ინსტრუქციის გაცნობა
ერთად დავწეროთ ამბავი ერთ ხეზე, რომელიც წელიწადის ყველა დროს სხვადასხვაგვარად გამიყურება. თქვენ მიკარნახებთ, მე დავწერ - ყველანი ვიქნებით ამ ამბის ავტორები, დავასურათებთ, წიგნად ვაქცევთ და წავიკითხავთ მას.

ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; გამოიყენეთ თუ არა იშვიათად ხმარებული სიტყვები, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები, ვრცელი წინადადებები.
ქვესაკითხები: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები, ვრცელი წინადადებები.
რესურსები, აქტივობები

II ეტაპი. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა
რესურსები/აქტივობები:

აქტივობა 1. ოთხსიტყვიანი წინადადების გავრცობა თორმეტსიტყვიან წინადადებად.
მაგალითად, ამოსავალი წინადადება: ბაღში ვაშლის ხე იდგა.
(გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: (ბაღის შუაგულში ზამთრის ყინვისა და სიცივისგან გათოშილი შიშველი ვაშლის ხე მოწყენილი იდგა.)
აქტივობა 2. იდეების გენერირება
აქტივობა 3. ერთობლივი წერა;
აქტივობა 4. ტექსტის ერთობლივად გაუმჯობესება;
გეზისმიმცემი კითხვები:
როგორ განვავრცოთ წინადადება? **(აქტ.1**).
სად, ბაღის რომელ ნაწილში შეიძლება იდგეს ვაშლის ხე? (მაგ.: შუაგულში, განაპირას, შესასვლელში, მარცხენა, მარჯვენა მხარეს...)
რისგან შეიძლება გაითოშოს ხე...? (სიცივისგან, ყინვისგან...)
როგორი იქნება ზამთრის სიცივეში ხე? (მაგ., გაყინული, გათოშილი, შიშველი, მოწყენილი...)
რით იწყებოდეს ამბავი? **(აქტ.2)**
სად იდგა ვაშლის ხე ?
როგორი იყო ის?
ყველაზე მეტად რა ენატრებოდა მას?
რა იგრძნო ერთ დღეს?
როგორ დაეხმარა ხეს მზის სითბო?
როგორ შემოსა ყვავილებით?
რა მოხდა შემდეგ? (ზაფხულში?)
რა მოხდა ბოლოს, შემოდგომაზე?
სად აღმოჩნდა ვაშლის ხის მწიფე ნაყოფი?
სად დავწერო სათაური? (**აქტ.3, 4)**
პირველი სიტყვა რომელი ადგილიდან დავიწყო?

სად დავწერო მომდევნო წინადადება? როგორ შეიძლება უკეთ ჩამოვაყალიბოთ ეს წინადადება? როგორ განვავრცოთ ეს წინადადება? ხომ არ დავამატოთ აქ რაიმე დეტალი? სად დავწერო წერტილი? ნაბიჯი 2. როგორ წაიკითხე ტექსტი/ეპიზოდი - გამოიყენე თუ არა ინტონაცია, დაიცავი თუ არა პაუზები ? (ს. 3; დეკ. 4); რა ხერხი/სტრატეგიები გამოიყენე კითხვაში გასაწაფად (დეკ. 4) **რესურსები/აქტივობები** **რესურსი 1: ერთად შეთხზული და მასწავლებლის მიერ დაწერილი ამბავი** **აქტივობა 1. შეთხზული ამბის ერთობლივი წაკითხვა და მისი ვარიაციებით** (ერთობლივი კითხვა, ექოდ კითხვა, ქოროში კითხვა.); **აქტივობა 2**. სიტყვების მოძებნა და გადაწერა ინსტრუქციის მიხედვით **აქტივობა 3.** ილუსტრაციისა და წარწერის მომზადება **აქტივობა 4.** შერჩეული ეპიზოდის წაკითხვაში ვარჯიში მეწყვილესთან ერთად **აქტივობა 5.** ერთი ეპიზოდის გამომსახველობით წაკითხვა აუდიტორიის წინაშე ვის რომელი ეპიზოდის დახატვა უნდა? რას დააწერ შენს ნახატს? როგორ დაწერ? რომელ სიტყვებში დაუშვი შეცდომები? გაითვალისწინე წერტილები? დაიცავი პაუზები წინადადებების ბოლოს? რამდენად დაიცავი პაუზები და მახვილები? როგორ მოიქცევი, რომ გააუმჯობესო ამ ტექსტის /ეპიზოდის წაკითხვა **ამბის წარმოდგენა** **კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკიმო სწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიისუნარისახელშესაწყობად:** **ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:** რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი? რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში?(ილუსტრაცია, ფანტაზია) რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას? **აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე** რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით? რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი/ **აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:** რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N3**
სამიზნე ცნება - (2) სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6)	**საკითხი -** წელიწადის ორი დროს (გაზაფხულისა და ზამთრის) შედარება მახასიათებლების ცხრილზე დაყრდნობით **ქვესაკითხი:წელიწადის ორი დროს** ზეპირი შედარება - - შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით

ქვეცნება - შედარება, ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი ენობრივი საშუალება; მაპირისპირებელი სიტყვები	დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები); მაპირისპირებელი სიტყვები: „ხოლო“ და ‘მაგრამ“ **საკვანძო შეკითხვა** - როგორ შევადარო წელიწადის ორი დრო მახასიათებლების ცხრილზე დაყრდნობით? რამდენად დამეხმარება შედარებისას საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები? **კომპლექსური დავალება**: **მახასიათებლების ცხრილზე დაყრდნობით წელიწადის დროების შედარება** ➢ წერილობით შეავსე მახასიათებლების ცხრილი და მასზე დაყრდნობით ➢ ზეპირად შეადარე წელიწადის ორი დრო ერთმანეთს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები **სიტყვა, წინადადება,ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6) 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი -** • რა მსგავსება და განსხვავებებია წელიწადის ამ ორ დროს შორის; • გამოიყენე მრავალფეროვანი სიტყვები; • რის მიხედვით შეადარე ეს ორი დრო ერთმანეთს.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები
I ეტაპი. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
დავალების მოთხოვნების გაცნობიერება
ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
II ეტაპი. – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
ნაბიჯი1. რის მიხედვით შეადარე ეს ორი დრო ერთმანეთს? (ს.3.)
ქვესაკითხი: წელიწადის ორი დროს ზეპირი შედარება - შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები); მაპირისპირებელი სიტყვები: „ხოლო“ და „მაგრამ“

რესურსები და აქტივობები
რესურსი 1. ერთობლივად შემუშავებული სიტყვის რუკა

აქტივობა 1. ინდივიდუალურ ბარათებზე ზამთრის სამი მახასიათებლის დაწერა;
აქტივობა 2. გონებრივი იერიშით ზამთრის მახასიათებლებზე, დაფაზე ჩამოწერა;
აქტივობა 3. „ზამთრის“ სიტყვის რუკის შექმნა: მახასიათებლების დაჯგუფება კატეგორიების მიხედვით (მაგ. ამინდი, გართობა), მონაცემების გამდიდრება;

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ზამთრის რომელი სამი მახასიათებელი გახსენდებათ? (აქტ. 1)
- რით ხასიათდება კიდევ ზამთარი? რა გახსენდებათ, როცა ზამთარზე ფიქრობთ? კიდევ? (აქტ.2)
- როგორ დავაჯგუფოთ თქვენ მიერ დასახელებული მახასიათებლები? რა შეიძლება დავაჯგუფოთ ერთად? (აქტ. 3)
- რომელი კატეგორიები გამოიკვეთა? რამდენია?
- კიდევ რა გახსენდებათ ამ კატეგორიის (მაგ., ჩაცმულობასთან, ამინდთან, გასართობებთან) დაკავშირებით? რით შეიძლება გავამდიდროთ ჩვენი „სიტყვის“ რუკა?

ნაბიჯი 2. რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ დროს შორის ? (ს.2)
მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები და წინადადებები გამოიყენე (ს.1)

რესურსები/აქტივობები
რესურსი 1. ერთობლივად შემუშავებული სიტყვის რუკები
რესურსი 2. სამუშაო ცხრილი შედარებისთვის
ნიმუში:

წელიწადის დროები	**ამინდი**	**ფერები და ხმები ჩვენ ირგვლივ**	**ჩაცმულობა**	**გასართობები**
ზაფხული				
ზამთარი				

რესურსი 3. კრიტერიუმების ბადის ნიმუში

გ = გასაუმჯობესებელია კ = კარგია	
	დამკვირვებელი
მსგავსებები და განსხვავებები გამოკვეთე საერთო კატეგორიების მიხედვით	
მსგავსებები და განსხავებები გამოკვეთე ცხრილის ყველა კატეგორიისათვის	
ინტონაციით და პაუზებით აზრის გამოკვეთაში ეხმარები მსმენელს	
რა არის გასაუმჯობესებელი? ---------- ----------	

აქტივობა 1. „ზაფხულის“, „გაზაფხულის“, „შემოდგომის“ სიტყვის რუკების შედგენა უკვე შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით (რით ხასიათდება, რით გამოირჩევა?)
აქტივობა 2. წელიწადის ორი დროის ინდივიდუალურად შერჩევა, არჩევანის მიხედვით ცხრილის შევსება (იხ. მეთოდიკური დანართი);
აქტივობა 3. ცხრილზე დაყრდნობით შედარებითი ტექსტის ზეპირად ჩამოყალიბება მწყვილესთან/სხვასთან მისი გაუმჯობესების მიზნით;

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- შემოდგომის/გაზაფხულის/ზაფხულის რა მახასიათებელი გახსენდებათ ჩვენ მიერ დადგენილი კატეგორიების მიხედვით? როგორი ამინდი იცის წელიწადის ამ დროს? როგორია დღე-ღამის ხანგრძლივობა? როგორი ტემპერატურაა?
- რომელი ფერები ჭარბობს? როგორი ხმები ისმის სოფლად, ბუნებაში?
- რა საქმიანობენ წელიწადის ამ დროს სოფლად ?

- რომელია თქვენი საყვარელი გასართობი წელიწადის ამ დროს? რომელი გასართობებია საერთო წელიწადის სხვა დროისთვის? რომელია განსხვავებული?
- რაიმე კატეგორია ხომ არ უნდა დავამატოთ კიდევ?
- რომელ წელიწადის დროებს აირჩევ შესადარებლად? (**აქტ.2**)
- როგორ გადაიტან „სიტყვის“ რუკის მონაცემებს ცხრილში? (აქტ.3)
- როგორ წარმოადგენ ცხრილის მონაცემებს?

აქტივობა 4. დავალების წარდგენა

რესურსი: მსმენელის დღიური: რომელი მსგავსება ან განსხვავება დაასახელა ისეთი, რომლისთვისაც მე ყურადღება არ მიმიქცევია?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად შედარებაა?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა დაგეხმარა შედარებაში, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება;

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თანაკლასელის რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით? რომელი მსგავსება ან განსხვავება დაასახელა ისეთი, რომლისთვისაც მე ყურადღება არ მიმიქცევია?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

დანართი 1 - ჯიგსოუს მეთოდი

პირველი ფაზა:

ამ ფაზაში მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს განსახილველ თემას და მოსწავლეებს გააცნობს ჯიგსოუს ტექნიკას. შემდეგ იქმნება ძირითადი ჯგუფები. თითოეულში შედის არა უმეტეს ექვსი მოსწავლისა. დაკომპლექტებისას გასათვალისწინებელია, რომ ჯგუფი უნდა იყოს ჰეტეროგენული სქესის, წარმომავლობისა და უნარების მიხედვით, რაც მოსწავლეებს ტოლერანტობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობათა გამომუშავებაში ეხმარება. ამის შემდეგ ხდება ძირითადი ჯგუფებიდან ე.წ. ჯგუფის ხელმძღვანელის არჩევა, რომელიც პასუხისმგებლია მუშაობის პერიოდში ჯგუფის მობილიზებაზე.

მეორე ფაზა: ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფების შიგნით

მასწავლებელი დასამუშავებელ თემას წინასწარ ყოფს იმდენ ნაწილად, რამდენი წევრიც არის თითოეულ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფში. თემის ნაწილები უნდა იყოს თანაბარი სირთულისა და მათ დამუშავებას უნდა სჭირდებოდეს ერთი და იგივე დრო. თითოეული ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფი ამუშავებს ერთსა და იმავე თემას. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა თემის შესაბამისი ნაწილი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ამუშავებს.**მესამე ფაზა: თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში**

მას შემდეგ, რაც თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად დაამუშავებს თემის შესაბამის ნაწილს, დგება ექსპერტთა ჯგუფები. მოსწავლეები, რომელთაც დაამუშავეს ერთი და იგივე ნაწილი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების გასარკვევად. კომპლექტდება იმდენი ექსპერტთა ჯგუფი, რამდენ ნაწილადაც იყო დაყოფილი თემა. ექსპერტთა ჯგუფების შიგნით მოსწავლეები აჯერებენ ინდივიდუალურად მოპოვებულ ცოდნას და მსჯელობენ იმაზე, როგორ გადასცენ უკეთ მათ მიერ მოპოვებული ცოდნა ძირითადი/ჯიგასოუს

ჯგუფის სხვა წევრებს.
მეოთხე ფაზა: თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში - მეოთხე ფაზაში მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებს, რათა ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადასცენ თემის მათ მიერ დამუშავებული და შემდეგ ექსპერტთა ჯგუფებში გაღრმავებული ნაწილი. ცალკეულ ნაწილთა ერთმანეთისთვის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ამ ნაწილებს აერთიანებენ და დასამუშავებელ თემას ერთ მთლიანობად მოიაზრებენ.
მეხუთე ფაზა: თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება
დასკვნით, მეხუთე ფაზაში მოწმდება, რამდენად აითვისა თითოეულმა მოსწავლემ თემა.

დანართი2

ცნება შედარება, ნაბიჯი 1
აქტივობა 2. წელიწადის ორი დროის ინდივიდუალურად შერჩევა, არჩევანის მიხედვით ცხრილის შევსება (იხ. მეთოდიკური დანართი);
წერითი აქტივობა (ცხრილის შევსება) შეიძლება განხორციელდეს ნაბიჯ-ნაბიჯ პასუხისმგებლობის გადაცემის გზით. მასწავლებელი დაწერს მოსწავლეების მიერ ნაკარნახებ ტექსტს. შემდეგში წაუკითხავს და გააუმჯობესებენ პირველად ვარიანტს.
შესაძლებელია, მასწავლებელმა შესთავაზოს მოსწავლეებს დაადგინონ, რა კრიტერიუმების მიხედვით შეადარებენ წელიწადის დროებს ერთმანეთს. წარადგენენ კრიტერიუმებს, მოეწყობა განხილვა-დისკუსია, რაიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ხომ არ აკლია? შეივსება კრიტერიუმების სია (მაგალითად, ამინდი, საქმიანობა, გართობა, ჩაცმულობა, დღესასწაულები...).

რეკომენდებული მეთოდური რესურსები მასწავლებელთათვის

ციფრული საგანმანათლებლო რესურსი

ტელესკოლა - გადაცემა ანბანეთი

https://www.youtube.com/watch?v=kcqXwkQZoDM

https://el.ge/projects/iskola – ახალი საგანმანათლებლო პროექტი I სკოლა

https://el.ge/webinars – ვებინარები თამარ ჯაყელის ვებინარები:

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.youtube.com%2Fwatch%3Fv%3DcKrxLqmdPXs%26fbclid%3DIwAR0IpIzfyuaEBSU7WRF8j_jLtJHdA6IJZSwrUdpCdm1-SwUxWBZLumwqks0&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbQqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.youtube.com%2Fwatch%3Fv%3DBikbQeUr3mY%26fbclid%3DIwAR2f6kjXqIXpSs7K7N-ZkWQ63T7HUO1KBCmXk9vjhbAlLwGacUlEmHq5eUc&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbQqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw

ნიკოლოზ სილაგაძე

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.youtube.com%2Fwatch%3Fv%3DLIto-zJjgWM%26fbclid%3DIwAR3kfJV-c_U78KsF4AkDGc5GnVo8vQ3jHeHvPboxQLvWO5a4_UgF9A9Revw&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbQqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw

mes.gov.ge

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fmes.gov.ge%2Fcontent.php%3Fid%3D12552%26lang%3Dgeo%26fbclid%3DIwAR3ABoCuH7xhxWe9l5wKJazzvdl5t3wjSs1uGPcSrFAP6FCNPdsM3O1vBYo&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbQqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw

სოფიკო ლობჟანიძე - **თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – ჯიგსოუს ტექნიკა (ინტერნეტგაზეთი - მასწავლებელი)** http://mastsavlebeli.ge/?p=2466

Android ვერსია: https://play.google.com/store/apps/details?id=com.Geolab.Anbani

iOS ვერსია: https://apps.apple.com/app/id1506972449

windows ვერსია: https://drive.google.com/file/d/1QTOSoR

სიტყვობანა

ანდროიდ ვერსია: https://play.google.com/store/apps/details?id=com.Geolab.Sityvobana

iOS ვერსია: https://apps.apple.com/app/id1506972833

windows ვერსია: https://drive.google.com/file/d/1EUw6XVNdovF

მარცვლობანა

ანდროიდ ვერსია: https://play.google.com/store/apps/details?id=com.Geolab.Martsvlobana

iOS ვერსია: https://apps.apple.com/lb/app/martsvlobana/id1597064681

windows ვერსია: https://drive.google.com/file/d/1EUw6XV

ვსწავლობთ თამაშით windows ვერსია (64 bit): https://drive.google.com/file/d/1lxhKKlpNfCOnsyOJ

ვსწავლობთ თამაშით windows ვერსია(32 bit): https://drive.google.com/file/d/1ZtHXCTLXL0qhiOc

molaparake anbani, bmuli: http://buki.ge/programs-list.html

qamabuki, bmuli: http://buki.ge/programs-list.html

სწავლებისა და სწავლის, შეფასების, მოტივაციის ამაღლების, გაკვეთილის დაგეგმვისა და სხვა საკითხების უკეთ გაცნობის მიზნით, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ლიტერატურა:

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები:

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (2007), დამხმარე სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი;

განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტისათვის (2007), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი;

სწავლებისა და შეფასების მეთოდები (2008), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი;

როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები, 2008;

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, 2007.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები:

1. სწავლება და შეფასება (2008), დამხმარე სახელმძღვანელო;
2. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები;
3. განვითარებისა და სწავლის თეორიები;
4. ეფექტური სწავლება სკოლაში – რ. მარზანო;
5. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი – ჯ. თერნბული;
6. ინტერკულტურული განათლება;
7. მასწავლებელთა კომპეტენციების ;
8. მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო;
9. რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას (ფილმი და სახელმძღვანელო);
10. კლასის მართვა (ფილმი და სახელმძღვანელო);
11. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში;
12. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მასწავლებლებისთვის;

13. სტატიები განათლების საკითხებზე;
14. კითხვის ეფექტური მეთოდები, გზამკვლევი;
15. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი;
16. სადამრიგებლო საათი(I-IV) - ნინო ლაბარტყავა;

სოფიკო ლობჟანიძე - **თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – ჯიგსოუს ტექნიკა (ინტერნეტგაზეთი - მასწავლებელი)** http://mastsavlebeli.ge/?p=2466

NAEC. Ge
დამხმარე სახელმძღვანელოები:
პროფესიული უნარები;
ეფექტიანი სწავლება.
ჟურნალი naec.ge

https://el.ge/projects/iskola

tpdc.gov.ge
რესურსები:
სახელმძღვანელოები;
სასწავლო ფილმები;
ინტერნეტჟურნალი;
ელექტრონული რესურსები;
ჟურნალი მასწავლებელი;
ელექტრონული ბიბლიოთეკა;
სოციალური კვლევა.